

ლაილა
ლაგოჩავა-სოჭბარია

საქართველო





Ms. Campbell

ქამი და უფალი

1984

რომანი



რომანს „ქამი და უფალი საფუძვლად დაედო სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში მოძალადეების მიერ გამოძალვის მიზნით, წინა საუკუნის 80-იან წლებში ბავშვის მოტაცების გახმაურებული ამბავი.

რომანის მთავარი ხაზი ობოლი გოგონას, ირინეს, მკვლევლობის ძიებაა, რაც არასწორად წარიმართა. სიმართლის დადგენის რთულ საქმეს ეჭიდება დაღუპულის სიყრმის მეგობარი ჟურნალისტი ნათია ლორია, რომელიც გაუკუღმართებული წყობილების მიერ მორალურად გადაგვარებული პარტიული თუ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს თავისებურ სამსჯავროს უწყობს.



ის-ის იყო ნათია ბათას კართან გაჩერებული ავტობუსიდან ჩამოვიდა და სიყვარულით მოავლო თვალი გორაკებზე შეფენილ მონატრებულ მშობლიურ სოფელს, რომ შემზარავმა კივილმა გაკვეთა ჰაერი. შემკრთალმა ქალიშვილმა ხმის მიმართულებით გაიხედა. ქვევით, ჭალაში, ქალი სასოწარკვეთით გაჰკიოდა, შველას ითხოვდა და თან მდინარეს არ აშორებდა მზერას.

ნათიამ სამგზავრო ჩანთა მსუბუქად აიტაცა და მოკლე ბილიკით გაიქცა ქალისკენ. დაღმართში, თან ღორღიან ბილიკებზე, სირბილს გადაჩვეულს, უჭირდა, ფეხი უცდებოდა.

— ვუშველოთ, ეგებ ცოცხალია! — ახლა ნათიას შესთხოვა ქალმა და მდინარის გაღმა ნაპირთან წყალში გამოტილ ადამიანზე მიუთითა.

ნათიამ იცნო ქალი. იგი მეზობელი სოფლიდან, ჯუმიდან იყო.

— რაიონში სასწრაფო საქმე მქონდა. ვიფიქრე, ჯუმის ავტობუსი გვიან მიდის და მურიცხადან წავალ-მეთქი, ამიტომ წამოვედი ასე დილაუთენია ამ გზით. ეს კი რა ვნახე! — ტირილნარევი ხმით ამბობდა ქალი და ერთიანად კანკალებდა. ნათია მიხვდა, ქალს ეშინოდა, თვითონაც შეცბა, ეგებ შველა შეიძლება, ამ უკაცრიელ ადგილზე კი სანამ სხვა მშველელი გამოჩნდება, მანამ რომ დაგვიანდეს?“ — გაიფიქრა ქალიშვილმა, ქალს კი უთხრა, შენ იკივლე, ვინძლო გააგონო ვინძესო და თვითონ დრო რომ არ დაეკარგა, ტანსაცმლიანად გადაეშვა მდინარეში.

ნაპირს რომ მიაღწია, უკვე სუნთქვა ეკვროდა. ტანსაცმლიანს ადრიანი დილის თავისებური სუსხი ნაპირთან მომლოდინე განსაცდელთან ერთად ერთგვარად ბოჭავდა და უნებურად შინაგანი კანკალიც იგრძნო, მაგრამ... ადამიანის გადარჩენის სურვილმა ძალა შემატა და ისიც მიუახლოვდა წყალში დიდ ქვას გვერდულად მოდებულ ქალის სხეულს. „დამხრჩვალა!“ — გაიფიქრა ნათიამ და ხელი შეახო, თითქოს ამ პატარა ბიძგს უცდიდაო, უეცრად ამოტრიალდა გვამი და ახლა ნათიას აღმოხდა კვილი:

— ირინე!

ამასობაში ქალის ხმასაც მიეღწია სოფლამდე და ყოველი მხრიდან მორბოდნენ.

— ირინე! — ლულულულებდა ნათია და ცდილობდა ნაპირზე გამოეტანა სიყრმის მეგობრის უსულო სხეული.

ნათია მერე დიდხანს ატანდა თავს ძალას, რომ გაეხსენებინა რა მოიმოქმედა, როცა დამხრჩვალში ირინე ამოიცნო, მაგრამ ვერ იხსენებდა. ვერც ის უთხრა გამომძიებელს, ქვებში სპეციალურად გაჩხირულს ჰგავდა თუ არა მკვდარი. მარტო ის ახსოვდა, რომ ხელით შეხებისას გვამი ამოტრიალდა და ამის შემდეგ გონებამ მხოლოდ ის მომენტი აღბეჭდა, როცა სახლში ტახტზე დასვენებულ ირინეს ვიღაცამ ფეხზე გახადა. მიცვალებულს ფეხი მიწით ჰქონდა მოსვრილი. ნათიას გაუკვირდა:

— როგორ, მკვდარი ხუთი დღე იყო წყალში? — მერამდენედ კითხულობდა ნათია და იჭვნეულად დაჰყურებდა მიცვალებულს.

მურიცხელას არაერთი სიცოცხლე გაუწირავს. ორი მათგანი ნათლად

ახსოვდა ნათიას_ ერთი იყო ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მორევის ნაპირზე ფეხი დასცდენოდა, ნაპირზე მყოფი პატარა ბავშვები ვერ მიშველებოდნენ და დამხრჩვალყო. მკვდარი მხოლოდ მეორე დღეს ნახეს — მდინარეს ორიოდე კილომეტრით ქვევით გამოერიყა. იმ ერთ ღამეში წყალს ხორცი ისე დაეჭმუჭნა, როგორც ქალებს დიდხანს რეცხვისას ემართებათ ხელებზე. წყალმა ეგრე იცისო, თქვეს მაშინ. მეორე იყო ათი შვილის მამა, რომელიც მთაში შეშას ამზადებდა მეზობლებთან ერთად. თურმე სადილისთვის წყალზე ჩასულა და არ დაბრუნებულა. რომ დაიგვიანა, ჩააკითხეს, მაგრამ ვერ ნახეს. რამდენიმე დღის შემდეგ შუაგულ სოფელში ამოატივტივა მდინარემ. მაშინაც სისხამი დილა იყო და წივილ-კივილზე შეყრილ თანასოფლელებში მდგარი პატარა ნათია გაოცებული უყურებდა „დამჭკნარ“ მკვდარს — ასე მოეჩვენა მაშინ ნათიას დღეების განმავლობაში წყალში ნამყოფი მიცვალებული. ახლა?... ახლა რომ ასე არ არის? ირინე თითქოს ჩვეულებრივი მკვდარია, ან ფეხსაცმელში რა უნდოდა მიწას, განა მურიცხელას ფსკერზე მიწაა? ქვიშა რომ ყოფილიყო, შლამი რომ ყოფილიყო სხვაა, მაგრამ მიწა იყო, ჩვეულებრივი მიწა. ხელითაც გასინჯა ნათიამ. აკი თქვა კიდევ ხმამაღლა. სხვებმაც მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება, მაგრამ ვის უნდა მოეკლა უწყინარი ირინე? რატომ უნდა მოეკლა? რატომ უნდა დაემარხა მიწაში და მერე, ხუთი დღის შემდეგ, რატომ უნდა ამოეთხარა? რატომ უნდა ჩაეგდო წყალში... არ შორდებოდა ნათიას ეს კითხვები, სხვებსაც იგივე კითხვები ეკერათ პირზე და იქმნებოდა ათასგვარი ვერსია, სიმართლეს კი სქელი ბურუსი ებურა... იძიებდნენ ორგანოს მუშაკები, დააკავეს კიდევ ვიღაც-ვიღაცეები, მაგრამ ფაქტის უქონლობის გამო ისევ გაათავისუფლეს.

— არიქა, რაიკომის მდივანი მოდის! — მიცვალებულის ირგვლივ მოვიშვიშე ჭირისუფლებთან მოულოდნელი ცნობა მოიტანა ვიღაცამ და ყველა ერთივით გააშეშა. დაბნეულები უსასოოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს, რადგან არავის ახსოვდა ასე უბრალო ადამიანის ოჯახში და ისიც რაიონის ცენტრიდან დაშორებულ მთიან მურიცხაში რაიკომის მდივანს ვინმეს ჭირი გაეზიარებინოს.

— მერე რაა, ასეთი საცოდაობა ვის არ დასწვავს გულს, ისიც ხომ ადამიანია? — ბოლოს მოვიდა ვიღაცა გონზე და შვილის ცხედარს გადაფარებულმა დედამაც იმედის თვალით ახედა ოთახში შემოსულ რაიკომის მდივანს.

— დედაშვილობას, თქვენ თუ მიშველით, თქვენ თუ არ მაჭმევთ ჩემი ობლის თვალების დამხუჭველის ჯავრს, ეგრემც შეგეწევათ ქვრივ-ოხრის ლოცვა-კურთხევა.

რაიკომის მდივანმა მხარზე ხელი დაადო ატირებულ ქალს და უთხრა:

— ყველაფერს ვიღონებთ!

მაშინ იქ იდგა ნათიაც და რატომღაც მოეჩვენა, რომ რაიკომის მდივნის ხმაში გულგრილობა უფრო იგრძნობოდა, ვიდრე თანაგრძნობა.

„მართლა რატომ მოვიდა, ან რატომ მომეჩვენა მის ხმაში ყალბი თანაგრძნობა?“ — ეს აზრი უტრიალებდა ერთთავად ნათიას და მაშინაც ამაზე ფიქრობდა, როცა რაიონული გაზეთის რედაქტორის კაბინეტის კარი შეაღო. — მაშინ რა იცოდა ნათიამ, რომ ეს საფიქრალი მთელი სიცოცხლე ტკივილად გაჰყვებოდა.

— აა, ბუდეს დაბრუნებულ მერცხალს გაუმარჯოს!_ ფეხზე ადგომით მიესალმა ნათიას რედაქტორი, ხელი ჩამოართვა, მოიკითხა და დაჯდომა შესთავაზა. — ამას ქვია მშობლიური მიწის სიყვარული, მამ უარი თქვი უნივერსიტეტში დარჩენაზე?

— ჩემში ჟურნალისტის მოუსვენარი სულია და არა მეცნიერის. მე აქ მირჩვენია. — ღიმილით უპასუხა ნათიამ და განაწილების ფურცელი მიაწოდა.

რაიონული გაზეთის რედაქციაში ნათიას უცხო არავინ დახვედრია. ყველა ნაცნობი და ახლობელივით საყვარელი ადამიანი იყო. განსაკუთრებით კი პასუხისმგებელი მდივანი ლატავრა პაპავა. სწორედ ლატავრა იყო ის ჩირაღდანი, რომელიც ნათიას ცხოვრების გზაზე გზის მანათობლად მიუძღოდა, მან ჯერ კიდევ პატარა ბავშვს მიაქცია ყურადღება ერთ-ერთ სასკოლო ღონისძიებაზე, სადაც დიდრონთვალემა, შავტუხა, ნაწნავებიანი გოგონა საოცარი უშუალოებით კითხულობდა საკუთარ ლექსებს. არც ლექსები იყო ურიგო და იქიდან ჩაეყარა საფუძველი ლატავრასა და ნათიას მეგობრობას. სტუდენტობის წლებში ნათია ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე რედაქციას. ლატავრასთან კი დამატებით, წერილობითი კავშირიც ჰქონდა. ის ხშირად იტყოდა: „თუ ჩემში რამე კარგია, ეს იმიტომ, რომ მე ლატავრას სულიერი მოწაფე ვიყავი და მისი იდეები მკვებავდაო“.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეიტყო შეეძლო მშობლიურ რაიონში განაწილებით დაბრუნებულიყო.

მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მასთან კაბინეტში ლატავრა შევიდა. ისინი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, ნათია თვალეზგაფართოებული, ბედნიერი ადამიანის ღიმილით უსმენდა მას. იმ დღევანდელმა საუბარმა უნებურად ააღელვა ნათია. ის გრძნობდა, რომ ლატავრამ დღესაც და წინა დღეებშიც ბევრჯერ გადაუკრა სიტყვა, ბევრს ესაუბრება, მაგრამ იმ ბევრიდან უმეტესს ისე ეტყვის, რომ ნათიას მუდამ რჩება ამოსახსნელად ერთი ან ორი, ან სულაც რამდენიმე უცნობიანი განტოლება. ამავ დროს ისიც აშკარად ეტყობა, რომ ამას განზრახ აკეთებს ლატავრა და ასევე აშკარად აგრძნობინებს: ნუ გეშინია, ყველა საიდუმლო კარის გასაღებს მომავალი თანმიმდევრობით ჩამოგირიგებსო. ამიტომ დუმდა ნათიაც და უკვე არაფერს ეკითხებოდა უფროს მეგობარს.



ნათია ღია ფანჯარასთან იდგა და ჩაფიქრებული გასცქეროდა ცაზე აწეწილ ღრუბლებს, მერე უკმაყოფილოდ გააქნია თავი და ღრუბლებიდან ნაწვიმარ ქუჩებზე გადაიტანა მზერა: „მე ხუთი წელი, სტუდენტობის წლები, გავინაპირე მშობლიური რაიონის ცხოვრების მდინარიდან, — ფიქრობდა ნათია, — დროის ამ მონაკვეთში ისეა შეცვლილი რაიონის ცენტრის იერსახე, რომ ხუთი წლის წინანდელთან მისი შედარება შეუძლებელია. პატარა ქალაქია...

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და მდივანმა ქალიშვილმა შემოიხედა.

— რედაქტორი გიბარებს, ნათია.

ნათიას გული შეეკუმშა, ის მორიგე იყო და იფიქრა, ალბათ, რაღაც რიგზე არ არისო. ასეთი დასკვნით ნირშეცვლილი გამოცხადდა რედაქტორთან.

— როგორ მიდის საქმეები, ამხანაგო ლორია?

ხუმრობით ნათქვამ მიმართვაში უბრალოება და მეგობრული დამოკიდებულება იგრძნო ნათიამ, გამხნევდა.

— მივდივართ წინ.

— შეიძლება ჯერ კიდევ ცოტა ხანს გაგიჭირდეს, მაგრამ მალე ისე შეეჩვევი, რომ ეს პირველი სიძნელეები სასაცილო მოგონებად დაგრჩება. თუ რაიმე გაურკვეველი იქნეს, ნუ მოგერიდება ნურავისი. ლატავრა კი

ისეა აღფრთოვანებული, რომ ლამის სანამღვთის ჩამოვიდეს.

— რაზე?

— რომ შენი სახით ბრწყინვალე ჟურნალისტი გვყავს.

— რაც შეეხება ლატავრას, მეც მოხიბლული ვარ მისით და ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ მისი ემოციები ჩემს მიმართ მეტისმეტია. მე ჯერ რა გავაკეთე სამაგისო? — გულწრფელად იკითხა ნათიამ.

რედაქტორს გაეღიმა. მის სახეს, რომელსაც აშკარად აჩნდა უკან მოტოვებული ნახევარი საუკუნის ნაქარიშხლევი, საოცრად უხდებოდა კეთილი ღიმილი.

— ვერ შეგედავები, ალბათ, მომავალი გვიჩვენებს ყოველივეს. ახლა კი ერთ საკითხზე დაგიბარე. ხვალ წახვალ შენს სოფელ მურიცხაში. იქიდან კი ზესკვონას გორაზე. ხომ იცი, რა დიდი საქმე კეთდება იქ. ტყის გარკვეული ნაწილის გაჩეხვა-გაწმენდით კოლმეურნეობის სავარგულები ორმოცი ჰექტარით გაიზრდება. ეს კი პატარა საქმე როდია ისეთი მცირე მიწიანი კოლმეურნეობისათვის როგორც მურიცხას კოლმეურნეობაა. თავისთავად ცხადია, მთაში ეს სამუშაოები ძალიან შრომატევადია და ვაჟკაცურ შემართებასაც მოითხოვს. ჩემი აზრით, არ იქნება ურიგო მასალა ნარკვევისათვის. შენთან ლატავრაც წამოვა და ეს იქნება შენი პირველი გასვლა ხალხში, — მან კვლავ გაუღიმა ნათიას.



— მოვედით! — ისეთი ხმით თქვა მძლოლმა, მაშინვე შეატყობდით შვეული კლდის წელს ქამარივით შემოხვეულ ვიწრო გზაზე ამოსვლისას შიშისაგან სუნთქვა შეკრულმა ამ სიტყვით რომ ამოითქვა სული.

— ეგ რა კანკალი გაგდგომია, ბიჭო, ვაჟკაცი არა ხარ? — მხარზე ხელი დაჰკრა ლატავრამ ყმაწვილს და წინ გაშლილ ტაფობისკენ მიუთითა, — აბა გახედე, შენი ტოლები რასა შვრებიან.

დარცხვენილმა მძლოლმა „ვილისის“ კარი გაუღო მათ.

— ხედავ, რაიკომიდანაც ყოფილან. — გადაულაპარაკა ლატავრამ ნათიას და ქვევით მდგარი ღია ფერის „ვილისი“ უჩვენა.

მანქანა იქვე დატოვეს და ნელა გაუყვნენ ახალგაჭრილი გზის ატალახებულ კიდეს.

როგორ გადაება ერთმანეთს ეს წვიმიანი დღეები, აწი მაინც დადგებოდეს დარი. — ამ სიტყვებით მძლოლმა ხელი გაუწოდა ლატავრას და წყლის გუბეზე გადახტომაში მიეშველა. ნათიას კი ჭაბუკისათვის არ დაუცდია, ისე ქურციკივით გადაევლო გუბეს და თან უპასუხა: ,

— როცა ასე გააბამს წვიმას, მაშინ ბიძაჩემი იტყვის ხოლმე, მზეს სატრფო დაელუპა და სანამ გულს არ იჯერებს, ასე ტიროდეს იქნებაო.

— რას იზამ, ყველას თავისი წილი დარდი აქვს!.._თითქოს სხვათა შორის უპასუხა ვაჟმა და ჩუმად ამოიხვნეშა.

ამ დროს გამოჩნდა ის ტაფობიც, საიდანაც ტრაქტორების გუგუნის ისმოდა.

_ კარგი საქმე წამოიწყო რაიკომის მდივანმა. წარმოიდგინე ორმოცი ჰექტარი აქამდე აუთვისებელი მიწა რამდენად გაზრდის ჯერ სოფლის, ხოლო შემდეგ რაიონის ეკონომიკურ შემოსავალს.

— სწორია, მაგრამ იგივე კარგი საქმე შეიძლებოდა სხვაგვარად და უკეთესად გაკეთებულიყო! — თქვა ნათიამ.

— როგორ? — გაოცებით შეხედა ლატავრამ. ისინი შეჩეოდნენ.

— აი, გახედე რა დიდებული პეიზაჟია. დააკვირდი: მეტი წილი ხეებისა ფიჭვია, ისე კი რა გინდა აქ არ ნახო — ნაძვი, წაბლი, რცხილა, წიფელა... კიდევ ბევრი, ბევრი... ჟანგბადია. აქვე დილიდან საღამომდე ნებივრობს მზის ჩხორია. აი, რატომ არის მურიცხა რესპუბლიკური მნიშვნელობის ბავშვთა კურორტი. ვამბობ მურიცხა-მეთქი, რომელიც აქედან ხუთ კილომეტრზე ბარშია გაშლილი და ზესკვონას თუ მურიცხელას ხეობიდან ნაქროლი ჰაერითაა სახელგანთქმული. გარდა ამისა, აქვე ახლოს არის დიდი რაოდენობით კალციუმის შემცველი მინერალური წყალი, რომლითაც განზავებული აბაზანები სწორედ რომ უებარი წამალი იქნებოდა დახუთული ბავშვებისათვის. შენ თვითონ ხომ ხარ მოწმე, მურიცხაში ყოველ ზაფხულს ასობით ბავშვი ისვენებს პრიმიტიულ პირობებში, რადგან სოფლის ცენტრის ადგილმდებარეობა არ უწყობს ხელს დასასვენებელი სახლების თუ სანატორიუმების აშენებას. ამიტომ ქალაქებიდან თუ რაიონებიდან ჩამოსული ბაგა-ბალები კერძო სახლებში ეწყობიან, კარგად მოგეხსენებათ, რომ სოფლის კერძო სახლები ჯერ კიდევ არ არიან ისე კეთილმოწყობილნი, გასაჯანსაღებლად ჩამოსულ ბავშვებს ნორმალური პირობები დაუხვდეთ. ხომ შეიძლებოდა აქ, ამ წალკოტში გაშენებულიყო ის სახლები, რომელთა აშენების პრობლემა

წლების განმავლობაში ვერ გადაუწყვეტიათ. გარდა ამისა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა თქვეს ჩვენს მურიცხაში პარფიუმერიის ფაბრიკა უნდა აშენდესო, გეგმაში უკვე ზისო, ამას დღესაც ასე გაიძახიან და ყოველი მურიცხელი გულისფანცქალით ელის იმ დღეს, როცა მისი საძირკველი გაიჭრება და თუ ოდესმე უწერია იმ გეგმას განხორციელება, განა ამ ორმოც ჰექტარ მიწაზე ისიც არ მოთავსდებოდა? მითუმეტეს, თურმე იქაც სწორედ ეს კალციუმიანი მინერალური წყალი უნდა გამოიყენონ, მან ამოიხვნეშა. — მოხერხდებოდა, ყველაფერიც მოხერხდებოდა და მაშინ აქაც ძველებურად აჩქეფდებოდა სიცოცხლე!...

— როგორ თქვი? — ისევ გაიოცა ლატავრამ.

— დიახ, აქ ძველად სოფელი ყოფილა. აი, მიხედვით, — მან უკან მიახედა, — რამდენი ნასახლარია. მართალია, სახლების კვალი არ ჩანს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩვენი წინაპრები აქ ქვითა და კირით არ აშენებდნენ საცხოვრებლებს, არამედ ხისაგან. ახლაც არის მურიცხაში აქედან ჩატანილი ჯარგვალი თუ ოდა. სამაგიეროდ ნახე, როგორ ჩახვევია ბებერი თხმელის ტან-ტოტებს ადესა თუ ოჯალეში, რომ არაფერი ვთქვათ კაკლის ხეებზე, ვაზი ხომ უტყუარი საბუთია მიწის ძველი დიდებისა? ვიცი, გამიგებ, ლატავრა, და ამიტომ გეტყვი: აი, აქედან იწყება ჩემი რომანტიკაც. მე ბავშვობაში და ახლაც ძალიან მიყვარდა და მიყვარს ყაზბეგის მოთხრობები, ყაზბეგისეული გმირები... აი, აქ ამ ხეებში, ამ ტყეებში ცხოვრობდნენ ისინი ჩემთვის, რადგან მაშინ ჩემს წარმოსახვაში მთა მხოლოდ ასეთი მდიდარი საფარით არსებობდა და მეც მუდამ მათკენ მომიწევდა გული.

— როგორ? აქ ამოდით იმიტომ, რომ ცოცხლად წარმოგედგინა ის გარემო, სადაც შენი საყვარელი გმირები ცხოვრობდნენ?

— დიახ, და მეც მათთან ერთად ვცხოვრობდი, ვიბრძოდი... არაა ურიგო რომანტიკა, არა?

— დიდებულია, მაგრამ ამ სიშორეზე ან როგორ გიშვებდნენ მარტო, ან როგორ ამოდით? არა მგონია შენი რომანტიკისათვის ვინმეს ფეხი აეწყო.

— საქმეც მაგაშია. ჩემი სულიერი სამყარო ჩემი პირადი საიდუმლოება იყო, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ჩემს მეზობლად ბევრი აქედან ჩასული ცხოვრობდა. აქ კი ყოველი კაკლის ხეს თავისი სახელი ჰქვია და პატრონი ჰყავს. ისინი შემოდგომით ამოდნენ, ბერტყავენ მას და მერე მთელი წელი ამშვენებს სუფრას ნიგვზიანი ჩურჩხელები თუ ინდაურის ქათქათა

საცივი, ან მსუქანი ქათმის ჩახოხბილი. მეც მეზობლებს გამოვყვებოდი ხოლმე.

... დღეს, როცა აქაურობას ვუყურებ, გული მეკუმშება. შეიძლება ეს ვერავინ გამიგოს და ბავშვურ გატაცებად ჩამითვალონ. მაგრამ მე მიწაზე ვდგავარ და მის გულზე ყურდადებული მისივე ენით ვლაღადებ: აი, წარმოიდგინე, ლატავრა, წარმოიდგინე რა კარგი იქნება, ყოველივე იმას ხორცი შეესხას, სინამდვილედ იქცეს, რაც მე ვთქვი. მაშინ ხომ აქეთ დაუფიქრებლად გამოსწევენ ისინი, რომელთა მარღვებსაც ჯერ კიდევ შერჩენია აქაური სითბო, ისინი აიყოლიებენ ახალგაზრდებსაც, რომელნიც ქალაქში გასაქცევად მუდამ გზისაკენ იცქირებიან, ისინი აქ გააშენებენ ახალ ქალაქ და მაშინ ჩემი მურიცხა ბუნებისა და ადამიანის ერთიანი ძალით შექმნილი, განუმეორებლად უზადო, ცოცხალი ნიმუში იქნება თანამედროვე და მაინც თავისებური ნირით გამორჩეული ქართული ყოფისა.

საუბარში არც უგრძნიათ, ისე მიახლოვებოდნენ ტრაქტორებს. ერთ-ერთ გაჩერებულ ტრაქტორთან რამდენიმე კაცი იდგა. მათს შორის იყვნენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი სანდრო ქვარაია, მეორე მდივანი ემზარ ლანდია და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გურგენ თორდია. ეტყობოდა, ტრაქტორს რაღაცა გაუფუჭდა, ისე გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მაზუთში ამოსვრილ ახალგაზრდა კაცის საქმიანობას. ბოლოს კაცმა თავი ასწია, სახელოთი მოიწმინდა ოფლი და ხმამაღლა თქვა:

— მგონი გავაკეთე! — ამ სიტყვებთან ერთად მარდად მიუჯდა საჭეს და მალე გაისმა ამუშავებული ძრავის თუხთუხი.

ყველას კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

ამასობაში ლანდიამ შენიშნა მომავლები.

— აი, ჟურნალისტებიც ამთავითვე დაინტერესებულან ზესკვონას მიწების საკითხით.

— ჟურნალისტებს როდის სჩვევიათ ბრძოლის დროს სანგრებში ყოფნა?

— თავისებურად, ამაყად უპასუხა ლატავრამ.

ემზარიმ ვერაფერი თქვა.

ნათია და ემზარი მურიცხელები იყვნენ. ნათიაზე ბევრად უფროსი იყო ემზარი, მაგრამ ბევრჯერ ჰქონია შემთხვევა მასთან ისე ესაუბრა, როგორც თანატოლთან. ემზარი ნიჭიერი იყო და ნათიას სჯეროდა, მას დიდი

სიკეთის მოტანა შეეძლო ხალხისთვის, როგორც მეცნიერს. ამაზე მეტყველებდა მის მიერ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდობაში დაწერილი შრომები და ერთ-ერთი გამოგონება, რომელიც უკვე ფართოდ დაინერგა სოფლის მეურნეობაში. როცა გაიგო ემზარს რაიკომის მდივანად დანიშვნის ამბავი, გული დაწყდა, რადგან ისეთი პიროვნებისათვის, რომელსაც შეუძლია თავისი სიტყვა თქვას მეცნიერებაში, კერძოდ ტექნიკურ მეცნიერებაში, დამლუპველია (როგორც მეცნიერისათვის) თანამდებობრივი კარიერით გატაცება. „ეხ, ემზარ, ემზარ... მე შენ მებრალეები, რადგან, შენ უკვე შენ არ ხარ! შენ, რომელსაც შეგეძლო შუქურვარსკვლავად ანთებულისკენი მეცნიერების ცაზე, ახლა იმის შანსილა დაგრჩენია, რომ ისე ლანდივით გახვიდე ამა სოფლის სარბიელიდან, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი, რადგან შენ ბუნებით არ ხარ ისეთი ადამიანი, რომ ორივე მხარეს ტოლფასად გასწვდე. ან ერთს უღალატებ, ან მეორეს. ეს კი ვერაფერი გასაქანი იქნება ბუნებით მომადლებული ნიჭისათვის!“ — ამ ფიქრში იყო გართული ნათია, როცა ემზარს ხელს ართმევდა.

თქმით არაფერი უთქვამს.

— სწორად შეგნიშნათ, ამხანაგო ემზარ, ქალბატონმა ლატავრამ. — ხმამალა გადაულაპარაკა პირველმა მდივანმა მეორეს და თან ღიმილით ჩამოართვა ხელი ახალმოსულებს.

— ხომ არ შეშინდით იმ ქარაფებში? — თითქმის მზრუნველი კილოთი იკითხა მან.

— ამხანაგო სანდრო, ასეთ სანახებში ადამიანი განა მოიცლის სიკვდილზე ფიქრისათვის? — უპასუხა ლატავრამ.

— ყოჩაღ, თუ ასეა, მართლაც გულადები ბრძანებულხართ! — ამ სიტყვებზე ქვარაიამ ჯაგარა წარბები ისე აჯგიმა, რომ არწივისებური თვალების რალაცნაირმა ელვარებამ ნათიას უნებურად აფიქრებინა, ეს კაცი ყველაფერთან ერთად გაიძვერა იქნებო და კიდევ ერთხელ შეახსენა თავი იმ უსიამო განცდამ, რომელიც პირველად მაშინ იგრძნო ქვარაიას მიმართ, როცა ირინეს ცხედართან ნახა.

ზესკვონადან დაბრუნებული, ახალი განცდა-შთაბეჭდილებებით დაღლილი ნათია მალლობზე იჯდა და ჩაფიქრებული გასცქეროდა სოფელს გადასახედიდან — ასე ემახდნენ ალაგს, სადაც ვეებერთელა ცაცხვი იდგა და საიდანაც მთელი სოფელი ჩანდა.

ჩამავალი მზისთვის უზრუნველად მიეფიცებინა თავისი განიერი ბეჭები ეგრისის ქედს. საღამოს ნიავი ნავარდობდა და თან სიმწიფე შეპარული ბალ-ვენახებიდან თუ ყანიდან დამათრობელი ტკბილ-სურნელება მოჰქონდა. მდინარის ორივე ნაპირი უჩვეულო მდუმარებას მოეცვა, მაგრამ ეს მდუმარებაც თავისებურად მიმზიდველი იყო მწვანეში ჩაფლული სოფლის ფონზე, რომლის მუაგულშიც ასწლოვან ჭადარს ისე გაეშალა ტოტები, თითქოს სურს მთელი სოფელი ფრთებქვეშ შეისვას და ავი თვალისგან საიმედოდ დაიცვასო. ნათიას გული შეუქანდა. მას, ისე როგორც ბავშვობაში იცოდა ხოლმე, უეცრად მოუარა ხატვის ჟინმა, რომ ხალასი ფერებით გადაეტანა ტილოზე სიცოცხლისა და სიყვარულის ლექსად გადაშლილი ბუნების სიტურფე, რომელსაც ჩამავალი მზის სხივთა ათინათი ნათლის სვეტივით ადგა, მაგრამ რაკი არ შეეძლო ეს ჟინი დაეკმაყოფილებინა, ნაღვლიანად ჩაიჩურჩულა: გონიერ წინაპრებს რომ არ დაესწროთ, მე მაინც დაგარქმევდი შენ მურიცხას — ვარსკვლავს, განა არის ვარსკვლავებს შორის შენზე ტურფა და ლამაზი ვარსკვლავი? ნეტავ შევძლო, ჩემი ოცნების ნაზო აკვანო, ყველა ჩემს სურვილს ხორცი შევასხა, მზის გულზე გავიტანო შენი სილამაზე, ქვეყანას ვაჩვენო ის განძი, ის ენერგია, რასაც შენ უბეში ინახავ. — მან მზერა ააყოლა ხეობას, რომელსაც თავი თეთრ ფაფახიანი მყინვარისთვის მიეყრდნო, ბოლო კი მუქ-ლურჯად ბიბინებდა ორ მთას შუა — აქ, ამ ხეობაში, რამდენი სიმდიდრეა: შავი ბაზალტი, ხე-ტყე, თეთრი ქვა... აქ გამომწვარი კირი ხომ მთელ რაიონს აკმაყოფილებს და მეზობელ რაიონებშიც გააქვთ. ჩემს მურიცხას თავისი საქმის ერთგული, სოფლის გულშემატკივარი თავკაცი სჭირდება, დოროთე არაა ცუდი ადამიანი, მაგრამ, რა ქნას, დაბერდა უკვე. აკი გადის კიდევ პენსიაზე, არც კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე ჩანს ფხიანი, მაგრამ მისი მორჯულება არ იქნება ძნელი, თუ დოროთეს ღირსეული შემცვლელი ეყოლა. ღმერთო დიდებულო, რა საამო სამზერი იქნება ორი ენერგიული წინამძღოლის ერთიანი მზრუნველობით ამზიანებული სოფელი...

— ამ დროს ზურგს უკან ფეხის ხმა და არეული ლაპარაკი მოესმა, ეტყობოდა, მომავლები მთვრალეები იყვნენ.

— ... მე, ჩემო გუგუტა, ჩემი გაგება მაქვს ცხოვრებაში და ვერც ვერავინ მომჭამს ფეხებს, თუ ყოველი ძაღლისა და მამაძაღლის შეგონებას არ ვუგდე ყური... ხომ გითხარი, მე ჩემი გაგება მაქვს და ჩემს საქმეში ცხვირს არავის ჩავაყოფინებ.

— მეც მანდა ვარ, უჩარდია! მეც ვერ ვიტან მაგნაირ სიფათებს, სწორედ ამიტომ კარგად მოვუხაზე წელან ცანგოს გაბლენძილ სტუმარს, ეგრევე მოუხდება, მაგისი,..._ ისე უწმაწურად შეიგინა, რომ ნათიას სირცხვილის აღმურმა ლოყები აუწვა. ის არ მობრუნებულა მოსაუბრეებისაკენ, რომლებიც თანდათან უახლოვდებოდნენ, მაგრამ ხმით მაინც იცნო ისინი.

— ჩვენი მგოსანია! — უჩას ხმა იყო, მერე ხმადაბლა თქვა რაღაცა.

— ნუ გააფრინე ეხლა, ეგ დამპალი გოგრა ყოველთვის კრემლის საათი ნუ გგონია.

— ვა, რაფერ აფსიხდი, ბიჭო? თუ შენი ჩიტია, ალაღ იყოს, ოღონდ ეგრე იდიოტურად ნუ გააჩმახებ ჩემთან, ხომ იცი, უჩარდიასთან სხვანაირი ნომრები არ გადის... იცოდე, არაფერი შეგეშალოს!... — ბოლო სიტყვები მუქარასავით გაისმა. მერე ნათიამ იგოდნო, რომ ერთი, ალბათ უჩა, უკან გაბრუნდა, ხოლო მეორე ადგილზე დარჩა.

მას უსიამოვნო შეგრძნებამ ჟრუანტელად დაუარა ტანში და სწრაფად წამოდგა, როცა შუაგზაზე გაჩერებულ ჭაბუკს ჩაუარა, უხმოდ მიესალმა.

პასუხად ამოიხვნეშა ვაჟმა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, არც არაფერი უთქვამს.

„ეჰ, მართლაც რამდენი რამეა სოფელში სამკურნალო!“ — გაიფიქრა ნათიამ და უნებურად მოაგონდა თბილისიდან წამოსვლის წინა დღე:

ნათიასთან რამდენიმე მეგობარს მოეყარა თავი.

— ნათია, მართლა გადაწყვიტე წასვლა? — ჰკითხა ერთმა.

— კი, გადავწყვიტე.

— საბოლოოდ?

— საბოლოოდ. უკვე ხელთა მაქვს განაწილების ფურცელი. ლიტმუშაკად ვიწყებ მუშაობას რაიონული გაზეთის რედაქციაში.

ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა. ეტყობოდა ჭკუაში არ უჯდებოდა ნათიას გადაწყვეტილება.

— კი მაგრამ, ხალხი რა ღონეს არ მიმართავს თბილისში დასარჩენად, შენ კი თვითონ აცხადებ უარს? როგორ დავიჯერო გული მაინც არ გრჩებოდეს აქ?!

— როგორ? გული თან თუ არ მექნა, იქ რა უნდა გავაკეთო? სწორედ რომ ეს გულია იქ საჭირო, ხოლო რაც შეეხება აქაურობის სიყვარულს,

გულში ხატივით მექნება.

— გახსოვს, შენ რომ სთქვი?... მაშინ პირველ კურსზე ვიყავით,

— არ მახსოვს, რაზე მეუბნები!

— ერთხელ ბაზარში რომ ვიყავით... შენ გაოცებულმა მკითხე, ამ ხალხს ამდენი სანოვაგე რად უნდაო და ტაქსის რიგში ჩამდგარი ჩანთების ზედახორაზე მიმითითე, მაშინ მე გითხარი: როგორ თუ რად? საჭმელი ხომ უნდა ჭამონ-მეთქი.

— მახსოვს, რაც გიპასუხე: ნეტავ თბილისელი ვიყო და ჩაი, პური და თბილისის სიყვარული უნოყიერეს საკვებად შემერგებოდა-მეთქი.

— ახლა კი ხელალებით აცხადებ უარს სწორედ თბილისელობაზე.

— ეხ, გოგოებო, — თქვა შავგვრემანმა ქალიშვილმა, რომელსაც ელიკოს ეძახდნენ და რომელიც ყველაზე სერიოზული ჩანდა მათ შორის.

ქალიშვილები მოსხლეტით გაჩუმდნენ.

— ეგებ ჩვენ რომ ვამბობთ, ეგრეც არაა საქმე. ნათიას ყველა ვიცნობთ, ის მოუფიქრებლად არ დგამს ამ ნაბიჯს, თბილისი რომელ ქართველს არ უყვარს, მაგრამ თავისი მშობლიური კუთხე მაინც უფრო საყვარელია ყველასთვის.

— შეიძლება ასე იყოს, მაგრამ მე მაინც არ ვისურვებდი სოფელში დაბრუნებას, — უპასუხა ზომაზე მეტად გამხდარმა, — მიუხედავად იმისა, რომ იქიდან ლიმიტით ვარ წარმოგზავნილი და უკან უნდა დავბრუნდე, როგორც აგრონომი. ალბათ მე უფრო საჭირო ვარ სოფელში, ვიდრე ნათია — ჟურნალისტი.

— ცდები, ჩემო დაო, ჩვენ ყველანი ვჭირდებით სოფელს, მაგრამ ვჭირდებით, როგორც მისი სატკივართი დაინტერესებულნი! მისიჭრულ ობების მკურნალნი!..

— მერე შენ იცი, რამდენი რამეა სოფელში სამკურნალო? თანამედროვე კულტურისთვის იქ ჯერ კიდევ არაა კარები ფართოდ ღია, — იხტიბარს არ იტეხდა პირველი ქალიშვილი.

— მერედა ვინ უნდა გააღოს ეს კარები? თუ ყველა შენსავით იფიქრებს, საერთოდ ეღირსება მაგ კარების ანჯამებს ბოლომდი გაჭრიალება?

— მე სხვისი არ მითქვამს, ჩემსას გეუბნები.

— ჰოდა, ძალიანაც ცდები, ჩემო ცაცა!

— ჩემს სიმართლეში მაშინ დარწმუნდები, როცა ღრმად შესცურავ ცხოვრების მორევში, როცა გაიგებ, რომ ყოველთვის შენს თარგზე ვერ გამოჭრი, როცა იძულებული გახდები ანგარიში გაუწიო სხვათა სურვილებს და დაწერო არა ის, რასაც ფიქრობ, არამედ სრულიად საწინააღმდეგო.

— მე ამას არ გავაკეთებ. შენ ცდები, მე არა ვარ ისეთი, ასე ადვილად რომ შევიძლო ფერის ცვალება.

— შეიძლებ და ასე გააკეთებ სწორედ, რადგან ყველა ასე აკეთებს, არ გააკეთებ და...

— რა იქნება მაშინ?

— იძულებული გახდები გული აიყარო იქაურობაზე, რომ არ უყურო, არ უსმინო ინდაურებივით გაფხორილ სკამ-კაცუნებს და თავშესაფარი ეძიო ამ მილიონიან ქალაქში, სადაც არც არავინ მოგისაკლისებს და არც არავის გაეჩხირები თვალში, ოღონდ ხელიც უნდა ჩაიქნო შენში ჩაბუდებულ მებრძოლ სულზე და მხოლოდ დღევანდელი დღით უყურო ახალგაცნობილ ადამიანებს, რომელთაც შენთვის წარსული არ ექნებათ. სხვანაირად ვერ მიაღწევ სულის სიმშვიდეს. — დინჯად, მაგრამ გამარჯვებულის იერით დაასრულა ცაცამ.

— არა, ცაცა, შენ ცდები და მწარედაც ცდები, მე კი ვერასოდეს ვერ შევეგუები დუნე ცხოვრებას. შენ როგორ გგონია: ჩვენ _ მან დანარჩენებზეც ანიშნა — თუნდაც აქამდი, ხონჩით მოგვაბრძანა ვინმემ? ყველას გვაქვს გულში ჩვენ-ჩვენი წილი ცხოვრებისეული უსიამოვნებანი, მაგრამ მას როგორ უნდა დავაჯაბნინოთ თავი! პირიქით, ცხოვრებას კი არ უნდა განვუდგეთ, არამედ მის ბოხოქარ მორევში უნდა ვტრიალებდეთ. მე ასე მწამს, სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია. ამიტომ მივდივარ იქ, სადაც ასეთი ცნობრებაა თავისი სიკეთით, ბოროტებით, საოცრებებით... ვიცი, იქ თავდაპირველად გამიძნელდება, ალბათ, კიდევ ამითვალწუნებენ ზოგ-ზოგნი სიმართლის სიყვარულისთვის და ამით მრავალ უსიამოვნებას გადავეყრები, მაგრამ მჯერა, მაინც გავიმარჯვებ და ეს გამარჯვება სხვა არაფერია, თუ არა, უპირველეს ყოვლისა, შენისთანების, საკუთარ ბუდეზე გულაცრუებულთა გადარწმუნება, მათთვის თავიანთი ნამდვილი სახის ჩვენება...

— აუცილებელია, _ ჩაერია საუბარში ელიკო, რომელიც მეტწილად ჩაფიქრებული უსმენდა ქალიშვილებს, — ნამდვილად აუცილებელია შეცაცხანება, გამოღვიძება, თორემ რატომღაც მოვეშვით, ცხოვრების

მდინარეს მეტწილ იქეთ მივყვებით, საითაც თვითონ გაგვაცურებს და ისიც გვეზარება ხანდისხან აღმაც ავცუროთ, თუნდაც იმიტომ, რომ ვიგრძნოთ საკუთარი ძალა,

— რატომ გგონია ასე? ეგებ სულაც არ გვეზარება აღმა სვლა, მაგრამ თუ იცი, რომ ლანქერთან ჭიდილში ვერაფერს გახდები, მაშინ რაზე უნდა შეაღწეო თავი? არა სჯობია დინებას მიყვე? — მედგრად დაუხვდა ელიკოს თვალხატულა ქალიშვილი, რომელზეც ცაცას ნათქვამს თავისებურად ემოქმედა.

— არ სჯობია! — ელიკოს მაგივრად უპასუხა ნათიამ, რადგან თუ შეშინდი, ან გული აიცრუე და ხელი აიღე დაბრკოლების გადალახვაზე, მაშინ ცხოვრებაც უმალ დაგაყენებს სხვა გზაზე, იმ გზაზე კი ვერასოდეს იპოვი მას, რასაც ეძებდი, რადგან შენ აცდი შენეულ გზას, რადგან შენ უკვე შენ არა ხარ! _

— და კიდევ — ისევ ჩაერია საუბარში ელიკო. — დღეს უმრავლესობა მამის სქელი ჯიბიდან უყურებს სამყაროს, ან „კეთილი ბიძის“ ფართო ზურგს ამოფარებული ისე მედიდურად მიალაჯებს, რომ ვერც კი გრძნობს მისი დიდკაცური ნაბიჯები, ნებსით თუ უნებლიეთ, როგორ ანგრევს სხვათა ოცნების კოშკებს.

— და სწორედ იმ დანგრეული კოშკების პატრონებს უნდა მხარში ამოდგომა, — თქვა ნათიამ. — რადგან ბევრი მათგანი მთელ თავის სულისკვეთებას იმ ნანგრევში კარგავს. აი, თუნდაც როგორც ცაცა. — ცაცას უხერხულად ჩაექინდრა თავი, — ბევრი კი ცდილობს ხელახლა ააშენოს იგი... ოო... არა, არ შემიძლია მე ოთხ კედელში დავრჩე, მეცნიერება არაა ჩემი მოწოდება, მე წყალში უნდა ვიდგე, რომ ვიწამო მისი მაცოცხლებელი ენერგია, ვარდ-ეკალამ უნდა დამკაწროს, რომ შევიცნო ბუნების მშვენიერება, ხელებზე უნდა ამდიოდეს მიწის სურნელი, რომ შევიგრძნო პურის გემო და ბოლოს მე უნდა განვიცადო ყველა ის სულიერი ტკივილი, რომელიც აწვალვით ჩემს თანამოძმეებს. მაშინ იქნება ჩემი სიტყვა მართალი, მაშინ მიიღებს მას ხალხი, როგორც სისხლს სისხლთაგანს და ხორცს ხორცთაგანს...

— სადამო მშვიდობისა, ნათია! — ფიქრი გააწყვეტინა მეზობელმა, რომელიც სოფლის ფოსტალიონად მუშაობდა და ჟურნალ-გაზეთები მიაწოდა.



როცა ნათია შინ დაბრუნდა, უკვე საღამოს ბინდი იწვა ეზოში, ფიზიკურ დაღლას გრძნობდა, მაგრამ სულს მაინც ნავარდი სწყუროდა, თითქოს გაფრენა უნდოდა, რომ წუთით მაინც განშორებოდა მიწიერ განცდებს. ამ დროს საქანელას მოჰკრა თვალი.

— ჩემი ბავშვობის სახელით ჩამისაფრდი აქ? მოგიკვდეს ნათია, თუ გული დაგწყვიტო! — ამ სიტყვებთან ერთად თვალი მოავლო ეზოს და, რომ დარწმუნდა, არავინ იყო შინ, ისე შეახტა საქანელას, როგორც ბავშვობაში იცოდა ხოლმე. მას გასართობებს შორის გამორჩეულად უყვარდა საქანელა და ხშირადაც იტყოდა, მსიამოვნებს, როცა აღმა მივფრინავო. ერთხელ ბიძამისმა ჰკითხა, მაშინ რა აზრისა ხარ, როცა უკან ეშვებიო? ვფიქრობ, რომ მეორედ უფრო მაღლა ავფრინდე! — უპასუხა ნათიამ. _

ბავშვობას დაბრუნებულ ნათიას გულიდან დარდი გადაეყარა, ის სულ უფრო ძლიერად ქანაობდა და ცდილობდა მაღლა... მაღლა აფრენილიყო. ამ დროს რატომღაც გაახსენდა ერთი შემთხვევა: მისი გულისთვის შორეული ქალაქიდან ჩამოსულ ჭაბუკთან ერთად მიდიოდა სოფლის გზაზე.

— ... ხანდახან მგონია, რომ მთელი ქალაქი და არა მარტო ქალაქი, მთელი სამყარო ცარიელია და ამ სიცარიელეში, როგორც ვაკუუმში, ვიხრჩობი. — ამბობდა ვაჟი.

— ვითომ რატომ გემართება ასე?

— იმიტომ, რომ შენ არ გხედავ, შენგან შორსა ვარ.

— ამას მართალს ამბობ? — გადაიკისკისა ნათიამ — მებრალები, ღმერთმანი.

— ნათია, ნუ ხუმრობ.

— ვხუმრობ? — უცებ სერიოზული სახე მიიღო ქალიშვილმა. — არ ვიცი, როგორ გითხრა...

— თქვი, თამამად მითხარი, რასაც ფიქრობ.

— შენ უკვე გიცნობს საზოგადოება, ვინც კი ნახავს შენს ფერწერულ ტილოებს, ყველა აღიარებს, რომ დიდებული მომავლის მქონე მხატვარი ხარ, მე კი ერთი სოფლელი გოგონა ვარ, რა გხიბლავს ჩემში? _ ვაჟი არ მოელოდა ასეთ შეკითხვას და დაიბნა.

— შენში რა მხიბლავს?

— დიახ!

— შენ ყველაფრით კარგი ხარ, ნათია, მაგრამ ყველაზე უფრო იმით მზიბლავ, რომ ბუნების სუფთა ქმნილება ხარ, ფერუმარილისა და სართავ-საკაზმის გარეშე სრულქმნილ სათნოებად წარმოჩენილი. შენ ისინი არც ერთი არ გჭირდება, რადგან თითოეული მათგანი ბუნებრივი ნაკლის ხელოვნური შევსებაა... შენ ამბობ შენი სურათები ყველას მოსწონსო, უნდა გამოგიტყდე, რომ მჯერა. მჯერა, რადგან ყველა მათგანი ჩემი სულის ნაწილია, მიწიერ საწყისზე ბუნებრივი თესლითაა აღმოცენებული. არასოდეს არ მიხმარია ყალბი მარგალიტები, რადგან ხელოვნებაში ყველაზე მბრწყინავი ქვა თვით ჭეშმარიტებაა...

ნათიას მაშინაც სჯეროდა მისი სიტყვების სიმართლისა, მაგრამ ყველაზე უფრო ახლა სჯერა, როცა საკუთარი გამოცდილებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუ გასურს სწორი გზით იარო ცხოვრების ლაბირინთებში და ბოლოს დამსახურებულად ახვიდე დიდების კვარცხლბეკზე, მაშინ ზემოდან, მარტოოდენ ფერადი სათვალეებით კი არ უნდა დახედო იმ ლაბირინთებში ჩახლართულ გზას, არამედ მიწიერი მიზიდულობის ძალა უნდა იყოს ყველგან და ყოველთვის შენი მეგზური...

ამ დროს კუტი კარი გაჭრიალდა და ნათიამაც ფიქრი შეწყვიტა. კარებთან ქალი იდგა და შიშჩამდგარი თვალეებით შეჰყურებდა მას.

— ნუცა ბიცოლა, მოხვედი? — დაიძახა ნათიამ და სიჩქარე შეუნელეებლად გადმოხტა საქანელადან.

ქალმა შეჰკვივლა, მაგრამ სანამ გონს მოვიდოდა ნათია უკვე მასთან იყო.

— არაფერია, ბიცოლა, ბავშვობა გავიხსენე, — თან მიეალერსა გამზრდელს...

— ვინმეს რომ ენახე, შვილო... რა დროს შენი საქანელაა, ის კი არა...

— მაჭანკლები უკვე გარს გივლიან არა? — გადაიკისკისა ნათიამ.

— შენ იხუმრე, ყველაფერს თავისი დრო აქვს...

— არ ვიხუმრებ, ყველაფერს დაგიჯერებ, ოღონდ ეხლა ერთი რამე მაინტერესებს და მიპასუხე.

— თქვი, შვილო, რაშია საქმე?

— ბიცოლა, ჩვენი რაიკომის მდივანი როგორი კაცია, რას ამბობენ სოფელში?

— კარგიაო, მაგრამ...

—რა მაგრამ?

— ის ცოლიანია.

— მაგაზე კი არ გეკითხები. ისე, ხალხს თუ უყვარს. აი მაგალითად, ტიტულო ბიძია რას იტყვის, ის არ შეცდება ადამიანის შეცნობაში,

— აბა რა გითხრა, რაც ის კინო ნახა „რაიკომის მდივანი“. სულ ამას გაიძახის: რა კარგად უთხრა მაგ მევენახე გლეხმა თორელსაო.

— რა უთხრაო?

— ჩვენს თავმჯდომარეს ისე აქვს ყველაფერი მოწყობილი, უცხო თვალს მოეწონოსო.

— ასე რატომ ამბობს ვითომ?

— ასე სჭირსო ჩვენს რაიკომის მდივანსაცო.

ნათია ჩააფიქრა ბიცოლას ნათქვამმა. მას გაახსენდა ლატავრა. დააეჭვა მისმა სიტყვაძუნწობამაც ამ ძველის ნგრევისა და ახლის შენების ორგანიზატორზე. „ნურასოდეს ნუ დაეყრდნობი სხვისი თვალით ნახულს და გონებით განსჯილს, მით უფრო შენ ორივე გერჩის. გახსოვდეს ისიც, რომ ერთსა და იმავე ფაქტს სხვადასხვა ადამიანი მუდამ სხვადასხვანაირად აღიქვამს!“ — უპასუხა ლატავრამ, როცა ნათია რაიკომის მდივანზე შეეკითხა.

— ბიძაშენს რომ ჰკითხო, რაიონის ხელმძღვანელებს შორის ჭეშმარიტი კომუნისტი მხოლოდ გურგენ თორდიაა, აღმასკომის თავმჯდომარე, — თითქოს ინფორმაციის სრულყოფა მოინდომაო, პაუზის შემდეგ დაუმატა ნუცამ.

— რატომღაც მეც ასე მგონია, — უფრო თავისთავს უთხრა ნათიამ.

ნუცას მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ ნათიას გონებაში საბოლოოდ დაასრულა ქვარაიას პორტრეტი.

„ასეც ვიცოდი, — ფიქრობდა ნათია, — ამ კაცში თითქმის ყველაფერი მოჩვენებითი და ყალბია. აი, თუნდაც ფიზიკური იერი: ერთი შეხედვით მომხიბლავი მამაკაცია. მაღალი, მხარბეჭიანი, შავგვრემანი. ოდნავ შეფიფქული გრუზა თმა შავ თვალ-წარბთან ერთად სიმპათიას აღძრავს მნახველში, მაგრამ იგივე შავი თვალ-წარბი სახეზე დაფენილი ღიმილის ფონზე დაკვირვებული გარეშე თვალისთვის აშკარად საცნაურად გამოსცემს მბურძგლავ სიცივეს, უკვე მეორედ ვნახე და ორივეჯერ

ერთნაირი შეგრძნება მქონდა: თითქოს გველი ჩამისრიალდა უბეში და მიუხედავად იმისა, რომ გველისთვის არასოდეს მიხლია ხელი, ცხადად ვგრძნობდი მის ცივსა და სლიპინა სხეულს, რომელიც არათუ ჟრუანტელს მგვრიდა, სისხლსაც მიჩერებდა, ასე მეგონა, მეც ვცივდებოდი“.

—ნათია, წერილი ყოფილა შენს სახელზე. — შეაწყვეტინა ფიქრი ბიცოლამ და კონვერტი მიაწოდა

— სად იყო? — უნებურად იკითხა.

— გაზეთებში.

— მოსკოვიდან? ნეტა ვინაა ირაკლი ხვითარია? — მხრები აიჩეჩა ნათიამ და თავის ოთახს მიაშურა. ოთახში უკვე ღამის ბინდი იდგა, სინათლე ჩართო და კონვერტი გახსნა.

„ნათია, ალბათ გაგაოცებს ამ წერილის მიღება, თუმცა ჩვენს დროში რა არის საოცარი. მე დარწმუნებული ვარ, შენ არ გახსოვარ, არც ფიქრობს ჩემზე, მე კი ამ ნახევარი წლის განმავლობაში, ცაზე სავსე მთვარე გამოჩნდება თუ არა, სიხარულით ვესალმები მას, როგორც შენს ხატებას და ფიქრით ვესაუბრები, ვინ იცის რაზე არა. აი ისე, როგორც გულითაღმა მეგობრებმა იციან. მე მჯერა, შენამდე აღწევს ჩემი სულის ღაღადი, ჩემი გულისხმა, თუნდაც იმიტომ, რომ ვიცი, შენც ისე ეტიტინები მთვარის გოგონას.

ამას წინათ ერთ მეგობარს ვეუბნები: „აბა დააკვირდი, მთვარეზე რა არის დახატული!“

მან ერთხანს უყურა მას და მერე მითხრა: „ფიროსმანის მეეზოვე“.

„ნუ ხუმრობ, დააკვირდი!“ — გავუმეორე მე.

„ბიჭო, ხომ არ აურიე, რა უნდა იყოს მთვარეზე დახატული. უბრალო ლაქებია“,

„იქ ქალიშვილის სურათია! — ვუთხარი მე და ავუხსენი, როგორ დააკვირვებოდა დისკოს. მაგრამ ვერაფერი დავანახე. ბოლოს, ეტყობა, მართლა ეჭვი შეეპარა ჩემს სრულ ჭკუაზე ყოფნაში და მირჩია ქალაქგარეთ სუფთა ჰაერზე გაგვესეირნა. მე გული დამწყდა, მაგრამ მაინც არ გამიმტყუნებია იგი. ეგებ მართლაც არაფერი იყოს მთვარეზე მისი მსგავსი და მე მეჩვენება იმიტომ, რომ შენს ხატებად დამისახავს. შენ კი — იმიტომ, რომ სამშობლოსათვის თავდადებული ქალიშვილების უკვდავება გინდა ირწმუნო.

თუნდაც ასე იყოს, თუნდაც მხოლოდ ჩვენთვის არსებობდეს მთვარის გოგონა, სხვამ არავინ ირწმუნოს. ღმერთმანი, მაინც ღირს მისი აღმოჩენა. ალბათ წვალობ და ვერ მიხსენებ: _ მე მარტო ვიყავი კუპეში, როცა შენ და შენი მეგობარი ქალი შემოხვედით. მე შავი სათვალე მეკეთა, რადგან იმ დროს ახალი ნაოპერაციევი ვიყავი და დროებით აკრძალული მქონდა მკვეთრი სინათლე. თქვენ შემოხვედით თუ არა, შეგატყვეთ, არ გესიამოვნათ უცხო მამაკაცის დახვედრა. მაშინვე გადავწყვიტე თავისუფალი მგზავრობის სიამოვნება მომენიჭებინა თქვენთვის — გადავსულიყავი სხვა კუპეში, მაგრამ არ ავჩქარებულვარ, ჯერ ერთი, საათის მიხედვით ადრე იყო და მეორე, ვგრძნობდი, შენთან სიახლოვე უჩვეულო სითბოთი მავსებდა.

მე კედელს ვიყავი მიყრდნობილი და რადგან სათვალეც მუქი მეკეთა, შეიძლება ფიქრობდით ვთვლემდი ან სულაც მეძინა.

— „როცა მატარებლით ვმგზავრობ, არ შეიძლება არ გამახსენდეს ერთი შემთხვევა“, — თქვი შენ და მეგობარს მოუყევი მთვარის გოგონას შესახებ.

... როცა შეგატყვეთ, დასვენებას აპირებდით, მე წამოვდექი და გითხარით, რომ მყუდროებას არ დაგირღვევდით, ამხანაგთან გადავიდოდი. თქვენ უხერხულად იგრძენით თავი, რადგან მიხვდით, ვტყუოდი და არავინ მყავდა იქ ამხანაგი.

— ბრძანდებოდეთ, რას გვიშლით? — თქვი შენ.

ახლა სამი რამ მახსოვს მუდამ: პირველი, — შენი თვალები, როცა მეგობარს უყვებოდი მთვარის გოგონაზე და ჩემსკენაც, ალბათ სხვათაშორის, რომ გამოიხედავდი ხოლმე. ისე მომეჩვენა, თითქოს სადღაც ადრეც მენახა ისეთი დიდრონი, ნაღვლიანი, სველი, ბავშვურად უმანკო თვალები და უცებ გამახსენდა: ბავშვობისას სოფელში ვიყავი ბებიასთან. ბებიას ჰყავდა საოცრად ლამაზი ხბო, რომელსაც დედა დალუპვოდა და ხელოვნურად ზრდიდა, მე ძალიან მიყვარდა ობოლი ბოჩოლა და მუდამ ვეფერებოდი. ერთხელ ისე შემომხედა, რომ ვერ მოვითმინე და ის ნაღვლიანი თვალები გაშმაგებით დავუკოცნე... მაპატიეთ გულახდილობა და ამ შედარების მერე, თქვენ გულითაც რომ გეთხოვათ, მაინც არ შემეძლო იქ დარჩენა. მეორე: შენი ხმა, მიუხედავად იმისა, რომ გულწრფელი არ იყო, მასში მაინც აშკარად ჩანდა პატრონის სათუთი სული. მესამე: დილით მატარებლიდან ჩამოსვლისას ხელი რომ მოგაწოდეთ, მაშინდელი სითბო და ისევ მეტყველი თვალები, რომლითაც შემომხედე მადლობის სათქმელად.

— ალბათ გაინტერესებს, საიდან დავადგინე შენი ვინაობა. სრულიად უბრალოდ, თქვენი საუბრიდან შევიტყვე, რომ რაიონული გაზეთის რედაქციაში იწყებდი მუშაობას; რაიონსაც ასახელებდით, თანამგზავრი ქალი ხშირად მოგმართავდა სახელით. დანარჩენი ცნობების დაზუსტება არ გამჭირვებია. საცაა ოცდახუთისა გავხდები. ეს ასაკი მამაკაცისათვის საკმაო ასაკია, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ ენახოს, განეცადოს და კიდევ იმისათვის, რომ ანალიზი გაუკეთოს გულის ფიქრს და მტკიცე, შეუვალი იყოს მის მიერ ხმამაღლა თქმული ყოველი სიტყვა, აზრი.

მაპატიე, შენობით რომ მოგმართავ, მაგრამ იმდენად ახლო გგრძნობ, რომ თქვენობით მომართვა ზედმეტი ოფიციალურობა გამომივიდოდა. ალბათ წერილის სტილიც არ მოგეწონება ჟურნალისტს, მაგრამ უნდა მაპატიო, წერილი არასოდეს არ დამიწერია. აზრის წერილობით გამოთქმა არ მეხერხება.

მე მალე ჩამოვალ. მელოდე! ირაკლი ხვითარია.“

წერილმა ნათიას მაშინვე გაახსენა მატარებელში დამგზავრებული ჭაბუკი და მისდა გასაკვირად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ელოდა ამ წერილს და გამართლებულმა მოლოდინმა გული სიხარულით აუტოკა. წერილი მეორედ, მესამედ წაიკითხა, შემდეგ კი საკუთარი თავის ამგვარი ამჩატებით გაოცებულმა ჩუმად ჩაილაპარაკა: შენ მართლაც უცნაური ხარ, ნათია, თორემ წერილით მოტანილი სიყვარულის ვირუსი ყოველგვარი სიმპტომების გარეშე ასე უეცრად და აშკარად შეგყრიდა ამ საოცარ სენს? ვითომ არა გჯერა, რომ ეს ასეა და შენ უკვე შეყვარებული ხარ? მაშ, ეგ რაღაა, ასე გამალებით რომ გიცემს გული და ჟრუანტელი საამო ტკივილად გივლის?...

დაბნეული ნათია ფანჯრის ჩარჩოს მიეყრდნო და ჩაფიქრებული მზერა მიაპყრო ვარსკვლავებიან ცას. შეკრთა: სავსე მთვარე დანათოდა სოფელს. არა, მთვარე კი არ ანათებდა, მთვარის გოგონას ღიმილი იფრქვეოდა ზეციდან. ნათია წამიერად დაუბრუნდა იმ შემთხვევას, რომელმაც „მთვარის გოგონა“ აპოვნინა:

„სოხუმ-თბილისის მატარებელი აგვიანებდა, მგზავრები ბაქანზე გამოფენილიყვნენ.

ადრიანი გაზაფხულის სუსხიანი ქარი ჭრიალებდა, მოლოდინის წუთები კრიალოსანივით ნება-ნება იმარცვლებოდნენ.

უცებ ნათიას ყურადღება მიიპყრო მოხუცებულმა ქალმა, რომელიც ისე

გაფითრებული ჩანდა, თითქოს პარაფინისაგან ყოფილიყო ჩამოსხმული. ის რაღაცას ეუბნებოდა თანამგზავრს და თვალებს კი ნათიას არ აშორებდა. ეს მზერა ისე ტრაგიკული იყო, რომ ნათია შეკრთა. იგრძნო რაღაც უნდა მომხდარიყო და უნებურმა შინაგანმა ღელვამ მოიცვა.

ქალი უეცრად შეირხა, თვალებში რაღაცნაირი შუქი ჩაენთო და ნათიასაკენ წამოვიდა ისეთი ფრთხილი ნაბიჯით, თითქოს ეშინია, არ გამექცესო.

მოხუცი ნათიასაგან ერთ ნაბიჯზე გაჩერდა. ის ისევ ისეთივე მზერით შეჰყურებდა.

— ბებია, რამე ხომ არ გაწუხებთ? — ვერ მოითმინა ნათიამ.

ხმის გაგონებაზე მოხუცი ქალი უეცრად გაირინდა, სადღაც შორს, ღამის წყვდიადში გადაიტანა მზერა და თითქოს იქეთ ესაუბრება ვიღაცასო, თითქმის ჩურჩულით თქვა? .

— ვინა ხარ, შვილო? — და უეცრად ისე შეხედა ქალიშვილს, თითქოს პასუხზე იყო დამოკიდებული მისი შემდგომი სიცოცხლე.

ნათიამ უთხრა ვინაობა.

მოხუცს ხელი ჩამოუვარდა, ღრმად ამოიოხრა და უპეებიდან დაგორებული კურცხლები სახის ღრმა ნაოჭებზე გადაემსხვრა.

— შვილო, ომში დაღუპულ თავის ქალიშვილს მიგამსგავსა, საოცრად გავხარ. — უთხრა გახევებულ ნათიას ქალის თანამგზავრმა.

ამასობაში მატარებელიც ჩამოდგა და სანამ ნათია გონს მოვიდოდა, აზავთებული ბაქნის რია-რიაში მოხუცი და მისი თანამგზავრიც დაკარგა.

... ნათია სარკმლის მინას შუბლით მიყრდნობოდა და იმ უბედურ დედაზე ფიქრობდა, რომელიც ყველგან და ყველაში თავის ოცი წლის ქალიშვილს ეძებდა, თან ნაღვლიანად შეჰყურებდა მთვარეს, რომელიც ვარსკვლავების მაყრიონითურთ კისრისტეხით მოსდევდა ღამის უსასრულობაში ისარივით გაჭრილ მატარებელს.

ნათია უეცრად შეკრთა, მან აშკარად დალანდა მთვარეზე ღიმილი, რომელმაც ერთბაშად ისე გაანათა სამყარო, რომ თვით მთვარე და ვარსკვლავებიც წუთიერად ერთფეროვან მთლიანობაში მოექცნენ, მაგრამ მალე გამოიკვეთა იმ ერთფეროვნებიდან მთვარის დისკო, სადაც თეთრწინსაფრიანი ქალიშვილი იდგა თეთრი სუფრა გადაფარებულ მაგიდასთან, რომლის ფიგურა მთლიანად ფარავდა მთვარის დისკოს

მარჯვენა, ქვედა მხარეს. ნათიამ სარკმელი ჩასწია, რომ უფრო ნათლად დაენახა მთვარის გოგონა, ღია სარკმლიდან კი ბორბლების მომეტებული რახრახი შემოიჭრა, მაგრამ ნათიას ის ხმაური ქვეყნად ყველაზე უკეთეს მუსიკად მოესმა, რომლისთვისაც მთვარის გოგონას საუცხოოდ შეეწყო თავისი წკრიალა ხმა.

მე არ მოვმკვდარვარ, იწამეთ ყველამ,
მე ასე მერგო გარდაცვალება:
ხან წვიმის წვეთად ვბრუნდები თქვენთან,
ხან მთებს ვეხვევი ჩაბალახებად —
ღრუბლად და თოვლად გარდასახული!
ხან ენძელების ლამაზ ღილებად
ვებნევი მკერდზე მშობლიურ მიწას,
ხან მზის ჩხორიას ჩავეხლართები,
ხანაც მთვარეზე დავიდებ ბინას —
მთვარის გოგონად გარდასახული!...

- არ ჩამოხვალ, ნანაგე? ვახშამი გაცივდა, — ნუცას ხმა იყო.
- ახლავე, ბიცოლა — გასძახა ნათიამ და სწრაფად გავიდა ოთახიდან.



- შენ როგორ ფიქრობ, ვინ მოაწყო რედაქციაში ნათია?
- ვინ მოაწყო?
- ვინ და ემზარიმ, გუშინ კი რაიკომის ხალხთან ერთად ზესკვონაში ყოფილა. აი, ნახე ეხლა ის ნუცაიაც, რომ გაიქაჩება.
- ნათია ხუთი წელი ჩემი მოსწავლე იყო...
- მერე?
- ის ნიჭიერია და არა მგონია პროტექცია დასჭირვებოდა.
- შენი მამიდობა არავის სჭირდება, შე უბედურო, ისედაც იოლად

გადიან. ჰმ, ნიჭიერი!.. თუ რამე იცის, ისიც შენი წყალობაა, მაგრამ ვის ახსოვს კიტა მასწავლებელი? თუმცა... შენ თვითონ არ აფასებ შენს თავს და სხვა რაზე გაირჯება? ნიჭიერი! — სახე ისე დამანჭა, თითქოს უსიამოვნო სუნი სცემოდეს. ერთხანს იყუჩა და მერე სეტყვასავით მიაყარა ქმარს — არა... არა! მეტის მოთმენა არ შემიძლია, შენ კაცი ხარ თუ მუდო. წვინტილიან ბავშვებთან რომ მთელი დღე შეგიძლია ილაქლაქო, ერთი ორი სიტყვა შენთვისაც სთქვი იქ, სადაც საჭიროა, სანამდის გინდა იმ შენს დათვლილ გროშებს მიაჩერდე. დაგიღია პირი და შეჰყურებ შენი მეზობლები შიოს მარანივით როგორ შენდებიან...

— ქალო, გაჩერდები თუ არა! — იყვირა უცებ კაცმა, რომელიც აქამდე უდრტვინველად უძლებდა თავს დამტყდარ მეხთა ტეხას.

— შენ გაგაჩერა მამაზეციერმა... აი ვნახავ ბავშვი რომ დაამთავრებს საშუალოს, მაშინ რას იზამ, ხომ არ გგონია, ჯემალიას დავაძახებინებ მისთვის ჩაის საკრეფად გამოდიო და იქ ფეფოიას გომბიოებს ამოვუყენებ გვერდში. ვირივით შრომა თქვენს გვარს კი მოუხდებოდა, მაგრამ ჩემს შვილს არა!

— ქალო, შენ შეგიძლია თუ არა წესიერად ილაპარაკო?

— რომ არ მაცლი!?

— მაინც რას მირჩევ, რა გზას დავადგე, რომ შვილი მეჩაიედ არ დაგვრჩეს, რამენაირად დიპლომი გავუხერხოთ?

— შენ ერთი ეს მითხარი, — მან დოინჯი შემოირტყა და გამომწვევად შეხედა ქმარს. — რაიონში რამდენი ვინმე იქნება გავლენიანი, რომელიც შენი ნამოწაფარია?

— დავუშვათ... საკმაოდ, მერე? _

— მერე ის, რომ შენ მათში არ გაგიჭირდება საერთო ენის გამონახვა, აი, რა მოხდება თუნდაც ემზარისთან მიხვიდე? აბა რაზე აკვდები იმ ოხრებს, თუ მერე სადმე არ გამოგადგებიან? ჰო, იმას ვამბობდი... მიდი და უთხარი.

— რა ვუთხრა, მასწავლებლობა არ მინდა, სადმე უფრო სარფიან სამუშაოზე მომაწყვე-მეთქი?

— ეგრე პირდაპირ ნუ ეტყვი. ჯერ მოყევი, რომ ძალიან გიყვარს შენი პროფესია, მაგრამ ბოლო დროს თავს ვერ გრძნობ კარგად — განსაკუთრებით ნერვების გადაღლა მოიმიზეზე და აგრძნობინე, რომ ნაკლებ სანერვიულო სამსახურს ეძებ, ვიდრე სკოლაში მუშაობაა. მერე იქ

იქნება მომენტი და ისიც შეაპარე, რომ დოროთე მალე პენსიაზე გადის. ის მიგიხვდება. ისე ქენი, რომ არ იფიქროს ცარიელ მაღლობაზე დატოვებ.

— ვინ დოროთე, ქალო?

— ვინ და უფლისწული, ვინ იქნება, ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე დოროთეზე გეუბნები.

— ისე ხანდახან ქალის ჭკუაც არაა ურიგო, ხო იცი ეგ აზრი, არ ხუმრობს,

— უფრო თავისთავს უთხრა კიტამ. — მაგრამ ემზარი ახლა თანამდებობის კაცია და ისე ვერ მიუდგები, შენ რომ გგონია.

— ნუ იცი ასე ხოლმე! — ნერვიულად გააქნია თავი ტასიამ. — გადაწურავ ყოველგვარ იმედს! — ნახე, სინჯე მაინც.... ამბობენ, რაიკომის

პირველ მდივანთანაც არააო ძნელი საქმის დაჭერა... მაგრამ რად გინდა!

— მან ხელი ჩაიქნია, — შენს სკოლის კედელს ქვის ტილივით ხან მიტყეპებული და რა მოგაცილებს იქიდან.

— კარგი რა, ტასიკო, ვიფიქროთ კიდევ, შენ ხომ არ გგონია, რომ მე არ ვცდილობ თავი დავაღწიო იმ ჯოჯოხეთს? |

— რას ცდილობ? რამდენი წელია მასწავლებელი ხარ და ერთ ადგილზე იტკეპნები. შენ რომ ასეთი უნდილი არ იყო, ამდენი ხანი

დირექტორობისათვის მაინც უნდა გაგეკრა ხელი! ჰმ, ცდილობს!...

ძალიან კი ცდილობ, შენმა მზემ! — მიახალა გაკაპასებულმა ქალმა და ცბიერად ამოისლუკუნა.



„თუ გინდა რაიონში სანიმუშო წესრიგი გქონდეს, მილიციასა და პროკურატურასთან სიახლოვეს ყოველთვის არიდე თავი!“ — ეს შეგონება ახსოვდა, ახსოვდა კი არა, ტვინს უღრღნიდა სანდრო ქვარაიას რაიკომის მდივნად დანიშვნის პირველი დღიდანვე, რადგან ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა, როცა რაიონი ჩააზარა, ერთ-ერთ დარიგებად ესეც დაუტოვა.

მაშინ არც ქვარაიას ეპარებოდა ეჭვი, რომ აგრე გააკეთებდა, ყველგან და ყველაფერში წესრიგს დაამყარებდა. ის, როგორც რაიკომის მდივანი, და მეათე ხუთწლელი ტყუპებივით ერთად მოევილინენ ამ მთის რაიონს. მან მაშინვე შეატყო, რომ აქაური ხალხი შრომისმოყვარე, გულდია,

მიმნდობი იყო და აშკარად ჩანდა, სწორედ ნდობა უნდა მოეპოვებინა პირველად. ამისათვის კი საჭირო იყო მძლავრი ეფექტი. ახალმა ხელმძღვანელმა გამოცდილი მეურნის თვალთახედვით შეამოწმა რაიონის მთელი ეკონომიკური შესაძლებლობანი, მისი ბუნებრივი რესურსები და როდი შემკრთალა. პირიქით, კმაყოფილებით ჩაიღიმა კიდევ, მაგრამ შინაგანი ხმა მაინც გამომწვევად ეკითხებოდა, თან თითქოს აფრთხილებდა კიდევ: „როგორ ფიქრობ, სანდრო ქვარაია, შენ ჯეელობაში ტეხურის პირას ბიჭუკელების დაუბანელ სიფათებს რომ თავგამოდებით უტყაპუნებდი და ტოლებში თავყოჩობას არავის უთმობდი, ეგრე ხომ არ გგონია ეგ პარტიული მუშაობაც. თუმცა რა, სინჯე მაინც, ვინიცობაა... ოღონდ ხომ გაგიგია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და დაიმახსოვრე მაგი შენც“.

პასუხად ამოიხვნეშებდა ქვარაია და თავის მხრივ თხოვდა იმ იდუმალ ხმას: „რაკი ასე გულკეთილი ხარ, მადლი ჰქენ და ბარემ ისიც მითხარი, როგორ დავიწყო?“

„იფიქრე და თვითონ მიხვდები!“ — პასუხობდა ხმა.

იფიქრა სანდრო ქვარაიამ, ბევრი იფიქრა და მართლაც გამოჩნდა დასახული მიზნის მისაღწევად ახალი გზა.

მიზანი დიდი იყო: კარიერის ამ საფეხურით ისეთი მწვერვალისათვის უნდა მიეღწია ქვარაიას, რომ ისედაც გაცელებული ახლობელ-ნაცნობები უფრო გაეოცებინა, ან რომელი მათგანი იფიქრებდა, რომ ის თავნება, ჩხუბისთავი შავტუხა ბიჭი, რომელსაც წიგნი თვალის დასანახად ეჯავრებოდა, ბოლოს ასეთ სიმაღლეს მიაღწევდა. იმხანად, როცა ის მეზობელ რაიონში რაიკომის მდივნად დაინიშნა, მის მშობლიურ სოფელში ხშირად გაიგონებდით ამგვარ ლაპარაკს:

— რაც მართალია, მართალია, შრომისმოყვარე კი იყო, მამა ომში დაეღუპა და დედას რომ წაშველებოდა, ადრე ჩაება შრომის ფერხულში. მისი, ჯერ კიდევ ბავშვის, გატანილი სვრელი ვაჟკაცს შეშურდებოდა, ოჯახსაც ბევრად არ ეტყობოდა უკაცობა, ისე ეხერხებოდა სამეურნეო ხელსაქმე, მაგრამ ოჯახქორი წიგნი რომ არ უყვარდა, მისთვის განკუთვნილ დროს ცხვირ-პირის მტვრევაში რომ ატარებდა, როგორ გახდა ასეთი დიდი კაცი? სწორედ რომ მიკვირს შენ გენაცვალე“.

„მამამისი კაი კაცი იყო, ჰოდა, კარგ ადამიანს ამხანაგ-მეგობრებიც კარგი ჰყავს ხოლმე და...“

„ერთხელ მამის ამხანაგი, იმჟამად გავლენიანი პირი, თურმე დაინტერესებულა მეგობრის ქვრივ-ობოლთა ბედით. კეთილ კაცს მოეწონა ჯმუხა ბიჭი, ხშირ წარბებ ქვეშ მუდამ გამჭოლად მზირალი თვალებიდან კი ამოიკითხა მისი შეუპოვარი ხასიათი.“ ეს თავს არსად დაიჩაგრავს, თუ დაჭირდა, მუშტებითაც გაიტანს ლელოს!“ — უთქვამს მაშინ იმ კაცს და იქვე გადაუწყვეტია მაღლი ექნა და ხელი წაემველებინა მისთვის და... მალე სანდრო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. კარგადაც აულო ცხოვრებას ალღო — წინასწარ გაისიგრძეგანებდა თურმე იმის მომავალს და მოსალოდნელ ადგილს საზოგადოებაში, ვისთანაც დაახლოებას გადაწყვეტდა. ასე აბამდა ქსელს ნაცნობებში, რომელნიც შემდეგში მეგობრები და ახლობლებიც კი ხდებოდნენ. ღმერთმა გაუმარჯოს, ჭკვიანი კაცი გამოდგა და ჭკუითაც მოიხმარს ამ წუთისოფელს....

სანდრომ იცოდა ყოველივე ეს და, წარმოიდგინეთ, არ სწყინდა. თუმცა რა უნდა სწყენოდა? პირიქით, ცდილობდა უფრო თვალშეუდგამ სიმაღლემდე ასულიყო და ამით ნიშნი მიეგო ალაღმართალი ხალხისთვის.

აი, სწორედ ამისათვის იყო საჭირო ახალი გზა, მაგრამ იმასაც კარგად ხედავდა სანდრო ქვარაია, რომ ამ გზაზე სიარული არც ისე ადვილი იქნებოდა.

ტყუილად როდი უყვარდა სანდროს ცირკი. სეზონის დროს არასოდეს არ წამოვიდოდა თბილისიდან ისე, რომ არ დასწრებოდა მას. განსაკუთრებით უყვარდა ის ნომრები, რომლებსაც ცხოველები, კერძოდ კი დათვები, ასრულებდნენ, ისინი ემორჩილებიან მწვრთნელის ყოველ სურვილს, რადგან იციან, მერე შაქრით ჩაუტკბარუნებენ პირს. ამ დროს სანდრო მუდამ პარალელს ავლებდა მათსა და ადამიანებს შორის. თუ დათვებში, ტყის ამ თავისებურად უწყინარ მობინადრეებში, არსებობს ასეთი ინსტიქტი, მაშინ რა საკვირველია რომ ადამიანებში, ცოცხალ უჯრედთა შორის ყველაზე ცივილიზებულ უჯრედებში, უფრო განვითარებული და გამოკვეთილი იყოს იგივე ინსტიქტი? არც უკვირდა ეს ქვარაიას და ამას ისე უყურებდა, როგორც ბუნებრივ კანონზომიერებას, თუმცა ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ თვით ადამიანებში ყველა ერთნაირად არაა ამ ინსტიქტის მიმართ ემოციური, ერთნი თუ მას ემორჩილებიან, მეორენი, პირიქით, თვით იმონებენ მას და... აი სწორედ ამ კა-- ტეგორიათა სწორი დაჯგუფება იყო ახლა მთავარი. სანდროს

პირველი კატეგორიის ხალხი სჭირდებოდა, ის ხალხი, რომელთაც შეუძლიათ საჭირო სიტუაციაში უარყონ საკუთარი აზრი და სხვისას, თუნდაც არარაობას, დაუკრან თავი. მჭევრმეტყველება და ერუდიცია შეუქონ იმ ორატორს, რომელმაც სხვისი ნაწერი ვერ წაიკითხა ტრიბუნაზე. გარდა ამისა ქვარაიას სადღაც ამოეკითხა, „მლიქვნელობა ცნობილი პიროვნების წინაშე მონური ქედმოხრის შედეგია. _ მლიქვნელის მოწოდებაა გიყუროს, ილაპარაკოს და აკეთოს ყველაფერი შენს საამებლად“._ ამოეკითხა და რატომღაც სიტყვა-სიტყვით დამახსოვრებოდა, ახლა კი თავის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ ურყევ დებულებად შეეტანა. სწორედ ამიტომაც, კიტა მურიცხას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა.

— დიახ, მჯერა, ყველაფერს გააკეთებენ ასეთები ჩემს საამებლად და მეც რა მენადვლება. სანამ მჭირდება, ისე მოვაჩვენებ თავს, თითქოს მჯერა მათი ერთგულებისა და ვენდობი კიდევ, თუმცა... დღეიდან ისინი უფრო სანდონი იქნებიან ჩემთვის, ვიდრე... — ასე ფიქრობდა ერთ დღეს კაბინეტში მჯდარი სანდრო. მან სუფთა ქაღალდი აიღო, რამდენიმე ინიციალი და იეროგლიფის მსგავსი საიდუმლო ნიშნები გამოიყვანა. ერთხანს თვალგაშტერებული დაჰყურებდა მათ. ქვარაია თითოეული მათგანის უკან ადამიანს უყურებდა. დიახ, თითოეული ნიშნის უკან იდგა ადამიანი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და არა ცირკის დათვების მსგავსი ინსტიქტის მქონენი, ამან კი ძალუმად დაალონა რაიკომის მდივანი, რადგან იცოდა, მათზე ზემოქმედება ძნელი, შეუძლებელიც იყო. ესენი იმ მეორე კატეგორიის ადამიანები იყვნენ, რომელნიც თავიანთი მტკიცე ნაბიჯებით მიუყვებოდნენ ცხოვრების გზას, არც გზის ქარაფ-ვიწროები აშინებდათ და არც ყავარჯნები სჭირდებოდათ წონასწორობის დასაცავად. ხედავდა ამას ქვარაია და სწორედ ამიტომ აჯაგრა წარბები, რომელნიც ერთიორად უფრო ამუქებდნენ მის ისედაც კუნაპეტ თვალებს.

— „ჩემთან გაჯიბრება არც ერთს არ დაგიჯდება იაფი. გიჯობთ, ამყვეთ, უფრო სწორად, დამყვეთ, თორემ!... — კბილები გაახრჭიალა და საიდუმლო ნიშნებს გარდიგარდმო გადაუსვა შავი ხაზი.



ნათია აღტაცებული შეჰყურებდა ბიცოლას, რომელიც ისე ოსტატურად აიქნევდა ხოლმე გობს, რომ ზედ ზღვის ტალღასავით ყელყელობდა და დგაფუნობდა სიმიინდი. უფრო ის უკვირდა, რომ ერთი მარცვალის არ უვარდებოდა ძირს.

— ... ნანაგე, უწინ თუ გივლია, მაშინ ბავშვი იყავი, ახლა...

— კარგი რა, ბიცოლა, არც ახლა ვარ ბებერი, — ღიმილით უპასუხა ნათიამ.

— მაგაზე კი არ გეუბნები. — ქალი შეყოვნდა.

— ვიცი რასაც მეუბნები, მაგრამ მე თუ უნივერსიტეტი დავამთავრე, ამით ჩემთვის არავის წაურთმევია თავისუფალი მოქმედების უფლება, მით უმეტეს, თუ ამ მოქმედებით ზიანს არ ვაყენებ არც საკუთარ თავს და არც საზოგადოებას.

— მართალი ხარ, შვილო, მაგრამ ღმერთის წყალობით არ გვიჭირს ისე, რომ შენ აიკიდო საფქვაკი, საცაა მოვა ჯემალი და წაიღებს, ახლა მაინც რიგი იქნება იქ.

— სწორედ იმიტომ მინდა ახლა და, თუ ჩემი ბიცოლა ხარ, ნუ დამიშლი!

— ქალიშვილის თხოვნა იმდენად გულწრფელი და უცნაური იყო, რომ ნუცას არ უცდია წინააღმდეგობის გაწევა.

— კარგი, თუ ეგრე გინდა, წადი... მაშინ ესეც საკმარისია, მეტს არ დავამატებ — მან გობი იქვე მიაყუდა.

ნათიამ პატარა ტომარას თავი მოუკრა.

— გიგას დავუძახოთ მაინც, ურიკათი წაგაღებინებს. — თქვა ნუცამ და მეზობლის ბიჭს დაუძახა.

ბიჭმა მაშინვე მოირბინა. — გიგა, შენს გაზრდას, ნათიას წისქვილში საფქვაკი წააღები

— მე თვითონ წავიღებ. — მკვირცხლად უპასუხა ბიჭმა.

— არა, ჩემო გიგა, ორივემ წავიღოთ, ერთმანეთს შევეშველოთ.

ბიჭი დათანხმდა, მაგრამ მთელი გზა მარტომ ატარა, ნათიასათვის არ დაუნებებია, ქალიშვილი ჩაფიქრებული მიჰყვებოდა ბიჭს გვერდით.

უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც ნათია სოფელში დაბრუნდა, იქიდან დადიოდა სამსახურშიც. ის გულის თრთოლვით აღიქვამდა მურიცხას

ყოველდღიური ცხოვრების ყოველ წვრილმანს. აინტერესბდა თითოეული მცხოვრების გულისთქმა, მიზანი, შეხედულება... მისთვის საკუთარი სახელი ჰქონდა თუნდაც ღობის პირას ყველასგან შეუმჩნევლად მიგდებულ კენჭსაც კი, რადგან, როგორც თვითონ იტყოდა, იმ კენჭსაც თავისი წილი ადგილი ჰქონდა მურიცხას მთლიანობაში. ნათიას კარგად ახსოვდა ის დღე, როცა პირველად მოიყვანეს ამ სოფელში. მაშინ ის ხუთი წლისა იყო, ნუცა ბიცოლამ და ტიტკო ბიძიამ დედამისის დასაფლავების დღესვე წამოიყვანეს ობოლი გოგონა. ტიტკოს დანარჩენი რვა და-ძმისაგან გამორჩეულად უყვარდა თავისი ტყუპისცალი და, ამიტომ მისი სიკვდილის შემდეგ არავის დაანება ობოლი, ბიცოლამაც ღვიძლი შვილივით ჩაიკრა გულში და ახლა იმათგან ვერც არჩევს, ნათიაც კმაყოფილია გამზრდელეებით, ასევე თვით სოფლით. საითაც არ უნდა წაიყვანოს ბედის გზამ და სადაც არ უნდა დაუდოს ბინა, ნათიას განა დაავიწყდება მურიცხა? მის ფრთებქვეშ შეყუჟული თავისი ბავშვობა? ო, რა ბედნიერი იყო, როცა გაიგონებდა სოფლის ქალიშვილების ხმაწკრიალა სიმღერას, მაშინვე დასტაცებდა ხელს თავის პაწია კალანჩხას და შუკაში გავარდებოდა, რომ მასაც ფეხი აეწყო მეჩაიე ქალიშვილებისათვის. უკვე ფაცხაფუცხით გამორბოდნენ მისი ტოლები... ო, რა ლამაზი იყო ყველაფერი — წვიმიანი დღეებიც კი, როცა ისე ამოიწუწუბოდნენ, რომ მშრალი არაფერი მიჰყვებოდათ შინ. მიატყაპუნებდნენ პაწია ფეხებს ატალახებულ შუკაში და მღეროდნენ ყველაფერზე, რაც კი ლამაზია ქვეყნად.

ნათიას უყვარდა სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად ტყეში ველურ თხილზე, წაბლზე, ზღმარტლზე წასვლა, ღელე სქურიაში ღორჯოებსა და კიბორჩხალებსაც იჭერდა მათთან ერთად, ხანდიხან თვით მურიცხელაშიც ეძებდნენ ქვირითს, რომელსაც ქვებქვეშ ბლომად ყრიდა მთიდან ჩამოსული კალმახი თუ წვერა, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც ის ადგილები იტაცებდა, სადაც უფროსები იყრიდნენ თავს. თუ გაიგებდა მეზობლებში რომელიმეს ნადი აქვსო, მაშინვე ეწვეოდა თვითონაც, რადგანაც თავისთავად ნადი და ყოველივე ნადური ჩვეულება საინტერესოა, მით უმეტეს იმისათვის, ვისაც აინტერესებს ბუნებრივი, ხალასი მახვილსიტყვაობის თუ ძველი ამბების მოსმენა, ვინც მას ისე იღებს, როგორც მონატრებულ სულიერ საკვებს. ერთ-ერთი მსგავსი თავშეყრის ადგილია წისქვილიც, სადაც კაცი, სურვილიც რომ არ ჰქონდეს, მაინც აჰყვება სარეკელას რაკუნს და ამ თავისებური მუსიკის თანმხლებით იტყვის მართალს ან ტყუილს, მსმენელისათვის კი ორივე

საინტერესოა, რადგან ერთიც და მეორეც ერთნაირად აკეთებს მთავარ საქმეს — მოსაბეზრებელს არ ხდის ჯერის მოლოდინში ტაატიოთ მიმავალ წუთებს თუ საათებს.

წისქვილი კვირაში ორ დღეს მუშაობდა, ოთხშაბათს და კვირას. იმ დღეს კვირა იყო.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს! — ერთხმად შესძახეს დამხვდურებმა ნათიას გამოჩენისას.

— თქვენ გამარჯვება არ მოგკლებოდეთ, დოლაბს — სიმინდი! — უპასუხა მათ ნათიამ და ხელის ჩამოსართმევად ჩამოუარა.

— აი, მესმის სალამი! — ხმამაღლა თქვა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელიც ნათიას კბილა იქნებოდა, მან ადგილი დაუთმო ქალიშვილს, თვითონ ფქვილიან ტომარაზე ჩამოჯდა.

— გმადლობ, მურმან. — უპასუხა ნათიამ.

— კარგ დროს მოვიდა ნათია, ძოკია ბაბუა. აბა, დაიწყე როგორ იხსენით შენ და მახაზიმ მეამბოხე. — თხოვა ძოკიას მურმანიმ.

ძოკიამ ჩიბუხი გაფერთხა, გახუნებული პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო და ნაღვლიანი ხმით დაიწყო:

— მაშინ მახაზი ოცი წლის თუ იქნებოდა, მეც ეგრე ვიქნებოდი. ის მეტისმეტად გულადი ვაჟკაცი გახლდათ, მთელი მურიცხელას ხეობაში თუ თვით მურიცხაში არავინ იყო მისთვის ტოლის დამდები. ჩხუბი გინდოდა, ლხინი თუ ტაშ-ფანდურა, მართლაც რომ მისი მოგონილი იყო. ეეჰ! — მან ჩიბუხი ისევ ამოიღო, დატენა. — ერთ დღეს, უფრო სწორად, შეღამებულზე, ვხედავ მოდის მახაზი, მაშინ მე მურიცხელას ხეობაში, კერძოდ, ლეროგეს უბანში ვცხოვრობდი, მოდის და თან უშველებელ გოდორს მოათრევს. მაშინვე მივხვდი ამ დევგმირსაც უჭირდა იმის ტარება, ისე დამაბული მოაბიჯებდა, მე შევეგებე.

— ძოკია, უნდა მიშველო, ეს გოდორი თოფის წამლითაა სავსე და ისეთ ადგილზე შემანახინე, მეხორციელი არ გაეკაროს.

— ამდენი თოფის წამალი რა ამბავია! კაცო, ჯარის შეგროვებასაც ხომ არ აპირებ?

— ჯარზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ ბარში ყველა იძახის წელს, დიდთოვლობა იქნებაო და ხომ იცი მგლები და დათვები შეგვაწუხებენ. მერე ჩემს ოჯახობას მოუბრუნდა. — ცაბუ, გვითხარი სად შევინახოთ ისე,

რომ ბავშვებმა არ მიაკვლიონ?

— მარანში ჯობია, ოღონდ კარების ურდულით დაკეტვა არ დაგავიწყდეთ, — უპასუხა ცაბუმი.

— ძოკია ბიჭო, ჩქარა დაასაქმე ცაბუ, თორემ ფეხზე ძლივს ვდგავარ, — მიჩურჩულა მახაზიმ.

— ქალო, მიხედე შენს საქმეს, ხომ იცი მახაზის შენებური ელარჯი როგორ უყვარს. — დავუყვირე უცებ ქალს და ისიც გაოცებული წატუსტუსდა შინისაკენ.

— მახაზ, არ იტყვი რაშია საქმე?

— გოდორში კაცი მყავს.

— კაცი?

— ჰო, კაცი, მას ეძებენ. ამაღამვე უნდა გადავიყვანოთ სვანეთში.

— სვანეთში? მერე იქ რა უნდა ქნას?

— სვანეთში ამხანაგები ჰყავს, თან მწყემსურად უნდა გადავაცვათ, რომ ყურადღება არ მიაქციონ. ერთი ხანია მურიცხაში ეწევა მუშაობას, მაგრამ შეამჩნიეს და უკვე სამჯერ ესროლეს, მოკლავენ, თუ არ განვარიდეთ აქაურობას.

— შენ მურიცხადან სულ გოდორით მოგყავს?

— მაშ?

მარანშიც შევედით, მახაზი ჩაცუცქდა, გოდორი მიწაზე დადგა, სამხრეებისგან გაითავისუფლა თავი და მერე გვერდზე მსუბუქად მიარტყა ხელი.

— ამოდი, ძმაო!

ამასობაში მეც ჭრაქი მოვძებნე, ავანთე და რომ მოვბრუნდი, მახაზისთან ერთად უცნობი ახალგაზრდაც ღიმილით შემომყურებდა.

— გამარჯობა! — მითხრა მან.

მე მაშინვე ვერ მოვახერხე პასუხი, რადგან უმაღლესი წარმომიდგა თვალწინ, თუ რა საშინელება იქნებოდა ასეთ მშვენიერ ჭაბუკს ტყვია რომ მოხვედროდა და შემაჟრჟოლა. ეტყობა, ის დააეჭვა ჩემგან სალმის დაგვიანებამ და სახიდან ღიმილი ჩამოერეცხა.

— მახაზიმ თქვა, სანდო კაცთან მიგიყვანო...

მე იმწამსვე მოვედი გონს. მახაზი იცინოდა.

— შეგიძლია ისე ენდო მახაზის არჩევანს, როგორც საკუთარ თავს, ჩვენ ამაღამვე გადაგიყვანთ სამშვიდობოს! — ვუთხარი მე.

— გაიყვანეთ? — წასძლია სულმა მურმანის.

— რა თქმა უნდა. მეორე დღეს უკვე სამშვიდობოს იყო.

ამ დროს კარებში შუახნის კაცი გამოჩნდა. ის უხასიათოდ მიესალმა დამხვდურთ, მერე საფეკვავი თაროზე ჩამოდო და იქვე მიგდებულ ჯორკოზე ჩამოჯდა.

— ბეგო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, შენი „პარახოდი“ ხომ არ ჩაძირულა — ახლა მას მიუბრუნდა მურმანი.

ბეგომ ნაღვლიანად მოხედა ბიჭს, „ნეტავი შენო“ ჩაილაპარაკა და „პრიმა“ ამოიღო. ბეგოს გულჯავრიანობას მიუჩვეველმა მეზობლებმა ყურები ცქვიტეს, გაფაციცებული შესცქეროდნენ მას.

— ერთი მითხარით, ვინმესთვის ოდესმე მიწყენინებია რამე? — თქვა უცებ ბეგომ და საბრალოდ მოავლო თვალი იქ მყოფთ.

— რას ამბობ, ბეგო? — ყველას მაგივრად გაეპასუხა ძოკია.

— არა, მართლა გეკითხებით!

— რომელი შემწუხებელი შენა ხარ, კაცო, ქურდობას იკადრებ თუ ჩხუბს, მეველედ დაგნიშნეთ და რომელიმე მეზობლის ძროხა თუ შეიპარა სადმე, პატრონს ეწყინებაო და ისე არ გამოუშვებ, კარგად არ დაანაყრო. — თქვა კარებთან მჯდარმა ჩაფსკვნილმა, საშუალოზე დაბალმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ასეთი გარეგნობის გამო მეტსახელად ტკიბას ეძახდნენ. ყველას გაეცინა. ბეგომ კი შიშით მიმოიხედა.

— შე კაცო, მე, მეველემ, ის თუ მოვახერხე, რომ მეზობლის ძროხა ყანის ნაპირ-ნაპირ ვაბალახო, შენ ამ საიდუმლოს შენახვა არ უნდა მოახერხო? ეგებ შენც ტასიას შტატში ჩაეწერე, ა?

— ბეგო რომ არ იყო შენ, გაგცემდი მაგის პასუხს!

— ბეგო ვარ, საბჭოს თავმჯდომარე ხომ არა, რას მეტყობდი ვითომ?

— იცი რას?

— ჰო, რას? — თითქოს გამოაჯავრა კიდეც ბეგომ.

— მიდი, ტკიბა, შენებურად გაჰკარ კვესი, თორემ ხომ ხედავ ბეგო როგორ დანოტივებულა! — წააქეზა კაცი მურმანმა.

— სხვა დროს იყოს, — თქვა ტკიბამ და ისე საბრალოდ შეხედა ბეგოს,

რომ აშკარად ეტყობოდა, ვერ გაიმეტა მისთვის ჩვეული ქილიკისთვის ისედაც გუნებაწამხდარი კაცი.

— მე ვიცი, ბეგოს რა ცეცხლი უწვავს გულს, — თქვა გიგამ, რომელიც აქამდე უსიტყვოდ უსმენდა უფროსებს.

— რა, გიგა? რა? — მოუთმენლად ჰკითხა მურმანიმ.

— ვინ არ იცის ბეგოს საყვარელი სიმღერა „ოფუ, ოფუ“, — დაიწყო გიგამ

— ჰოდა, ამას წინათ შუალამისას ტასია გაუღვიძებია ამ სიმღერას. ხომ იცით, ის უფრო აზიზი გახდა მას შემდეგ, რაც კიტა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს.

— მერე? !

— რა მერე, მეორე დღეს გზაზე გადაუდგა თურმე და შავი დღე აყარა, შე ასეთო, შე ისეთოო.

— რა უთხრა მაინც?

— შენ, მუდამ გაღეშილი, ალბათ ვერც არჩევ დღე როდისაა და ღამე როდის. შუალამისას ლიპარიძის ვირივით რომ აყროყინდები, ჩვენ დასვენება გვინდაო. არ გაბედო მეორედ ეს ქუჩა მაგრე ხმაურით გაიაროო.

ისევ იფეთქა სიცილმა.

— რა იყო ქალო, ვმღერი, ხომ არ ვიგინები? _ რბილად შეუბრუნა სიტყვა ბეგომ, მაგრამ ტასიას მაინც ვერ აუჩვილა გული და მაგანაც სამუდამო „ლიშენია“ მისცა.

— რა ვარ ეხლა მე? — ნაღვლიანად მიმართა ბეგომ მათ. — ნაომარი კაცი ღიღინ-ღიღინით მივათრევდი ჩემს დღეებს, ჩემი სიმღერა ჩემთვის ყველაფერი იყო.

ამ დროს წისქვილში ტანადი ჭაბუკი შემოვიდა.

— როგორაა საქმე, ზურაბ? რა სთქვა ექიმმა? — სულის მოთქმა არ აცალეს, ისე დააყარეს კითხვები.

— ექიმმა საავადმყოფოში გადაყვანა ისურვა, მაგრამ უარზეა, ის კი არა, ექიმის მოყვანაც არ უნდოდა, მადლიზა თუ ვკვდები, ხელს რად მიშლითო! — თქვა ზურაბმა.

— მაგისმა საცოდაობამ არ გაახაროს მისი გამმწარებელი! — ჩაილაპარაკა მოკიამ და თან ბრაზით დაუმატა: ამასაც დაუჩემებია სამართალი უნდა

ვიპოვო. მაგისტანა ქვრივ-ობრისთვის დღეს სადაა სამართალი?!..

— მაროზე ამბობთ, მოკია ბაბუა? _ ჰკითხა შემკრთალმა ნათიამ.

— ჰო, შვილო, ირინეს სიკვდილის შემდეგ საამქვეყნო პირი არა აქვს მაგ უბედურს. სულ ავადაა, როცა ოდნავ მომჯობინდება, მაშინვე რაიონულ ცენტრში გარბის, ხან რაიკომშია, ხან პროკურატურაში, ხან მილიციაში, მაგრამ რად გინდა...

— არაფერი არ გამოუვა. — გულდაწყვეტით თქვა ტკიბამ.

— რა გამოუვა, ბიჭო, ამბობენ, ქვარაიას არ უნდა სიმართლე გაირკვესო.

— გაეპასუხა ტკიბას მურმანი.

— რატომ, კაცო! — გაიკვირვა ბეგომ.

— რა ვიცი რატომ. ალბათ, რაღაცაში ეშლება ხელი — უპასუხა მურმანმა და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

ნათია უკვე არ უსმენდა მათ. ის სერიოზულად დააფიქრა ქვარაიაზე დამატებით მიღებულმა ინფორმაციამ. „ამბობენ ქვარაიას არ უნდა სიმართლე გაირკვესო!“ — ყურებში უწიოდა მურმანის ნათქვამი. — ან რა არის აქ დაუჯერებელი. მეც ასე არ ვიგუბანე? კაცი თუ მარტო კარიერისთვის ზის სკამზე, ის ხომ ყველაფერს იღონებს დათქმული სიმაღლის ასაღებად. მკვლელობა... რა თქმა. უნდა, ხელს არ აძლევდეს იქნება ქვარაიას. ისე, მეც არა ვარ მართალი. რამდენი ხანია იმ უბედურ ქალთან არ ვყოფილვარ. ან როგორ მთხოვა ხშირად მოდიო, როცა შენ გხედავ, მგონია, ირინეც სადღაც აქაო. მე რაკი მისთვის საწუგემოს ჯერ-ჯერობით ვერაფერს მივაკვლიე, ვერც მივდივარ. მას კი ალბათ ჰგონია, რომ დავივიწყე...

— გიგა, შენ დარჩი რა! მე მარო დეიდას სანახავად წავალ. გადაულაპარაკა ნათიამ გიგას.

— კარგი. — მკვირცხლად უპასუხა ბიჭმა.

ნათია დაემშვიდობა მათ.



დილის ნიავმა ღია ფანჯარაზე ფარდა ააშრიალა და ამბორივით მსუბუქი ფრთებით მინდვრის საამო სურნელი მოაფრქვია ოთახში.

ქვარაიას თავქვეშ ამოეწყო ხელები და ჩაფიქრებული აჰყურებდა ჭერს. კვირა დღე იყო.

— კი მაგრამ, ხომ არ გგონია, მერე აქ ძეგლს დაგიდგამენ? ვერ გამიგია თავს რად აკლავ აქაურობას, ან ეგებ აქ აპირებ სამუდამოდ დარჩენას? — მორიდებით შენიშნა ცოლმა, რომელიც იქვე სკამზე ჩამომჯდარიყო და ქსოვის ახალ ვარიანტზე წვალობდა.

— ჰმ, მართალია, რომ იტყვიან ქალს გრძელი თმა და მოკლე ჭკუაო. თუმცა ახლა თმაც დაგიმოკლდათ,

ირას გული დასწყდა ამგვარ პასუხზე, მაგრამ რადგან იცოდა ქმრის ხასიათი, წყენა არ შეიმჩნია. ცოლის უსიტყვო მორჩილებას მიჩვეულმა სანდრომაც იგრძნო, უადგილოდ ატკინა ქალს გული, რომელსაც ის შენიშვნა მხოლოდ და მხოლოდ მისადმი სიყვარულმა ათქმევინა. ის ხომ წუხელ ათასი მოსალოდნელ ფათერაკზე ფიქრით გულგახეთქილი ელოდა დაგვიანებულ მეუღლეს და რადგან ყოველ მოკვდავში არსებობს გულჩვილობის მეტ-ნაკლებად გრძნობადი სიმი, ქვარაიაშიც ათრთოლდა იგი და დაყვავებით მიმართა ირას:

— თუ ვაკლავ თავს, მხოლოდ ჩემი მომავლისათვის, ჩემს მერე ქვა უთოვია აქ. ხომ გახსოვს, რომ ჩამოვედით, რას ჰგავდა აქაურობა, ახლა კი რა შედარებაა, მართალია, ბევრი ენერჯის ხარჯვა მიხდება, მაგრამ ძალა თუ არ დაატანე, ისე დოლაბი არასოდეს არ დატრიალდება და თუ დატრიალდა... უქმად არ იტრიალებს, ხომ გესმის, რასაც გეუბნები?

— მესმის. — ჩვეული მორიდებით უპასუხა ქალმა და სიყვარულით გაუღიმა.

— მე ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ზემოდან შემამჩნიონ. მეც ჩემი გზა მაქვს და ამ გზაზე ჯერჯერობით ყოჩაღად მივაბიჯებ! — აქ ჩაფიქრდა.

ამ დროს კვლავ აშრილდა ფარდა და ამჟამად ნიაგმა საამო სურნელთან ერთად ეზოში გასული მეზობლის პატარების გალობასავით ტკბილი ხმები შემოიტანა.

ირამ დანაშაულზე წასწრებულებით გახედა მეუღლეს, რომელმაც თავის მხრივ იმავ დროს მიაბრუნა თავი ცოლისკენ,

„კარიერის რაც გინდა მაღალ საფეხურზე შევდგე, რაც გინდ დიდი კაცი გავხდე, მაინც არარაობანი ვართ უმათოდ“, — ამოიკითხა ირამ სანდროს თვალებში. მისი სევდიანი მზერით გულაჩუყებულმა თავი ანება

ხელსაქმეს და მეუღლის სასთუმალზე დაემხო,

— სანდრო, მე მტანჯავს ის ჩრდილი, რომელიც ჩემი მიზეზით ჩაწოლილა შენს სულში. კიდევ ერთხელ ვცდი იმ საშინელ პროცედურებს, ამით მკურნალობის კურსიც დამთავრდება და მერეც თუ არ იქნა საშველი, როგორც შენ გსურდეს, ისე ქენი.

რაიონში ჭორაობდნენ სანდროს თბილისში უკანონო შვილი ჰყავს, მაგრამ ჯერჯერობით არ უმხელსო ცოლს. იმ ჭორს ირას ყურამდეც მიედწია და შეშინებულს ახლა უფრო მწვავედ ენატრებოდა დედობა, ვიდრე ოდესმე — ისინი ათ წელზე მეტი იყო, მეუღლენი იყვნენ. ახლა უფრო უყვარდა ქმარი, ერთი რამე კი თვითონაც უკვირდა: რამდენადაც განიცდიდა საკუთარ უშვილობას, იმდენად უყვარდა სხვისი ბავშვები. ასეთი პარადოქსით გაწამებულ ქალში თანდათან ღრმად იდგამდა ფესვს რწმენა იმისა, რომ რაღაცის გამო დასაჯა ბუნებამ, თორემ ბოლო წლებში არცერთი განთქმული კურორტი თუ შესაბამისი სამკურნალო დაწესებულება არ დაუტოვებია. ვინც მასთან მკურნალობდა, თითქმის ყველას აუხდა ოცნება, მას კი არა და არა — არ დაადგა საშველი!

— შენი ჭირიმე, ყოველთვის ეცადე, საქმე ისე მოაგვარო, მაწყევარი არ გაიჩინო, — ეხვეწებოდა იგი ქმარს.

— რაც შენ ღვთისმშობლისთვის სანთლები დაგინთია, ვიღაცის წყევლა რაღას დაგაკლებს, მაგისი რად გეშინია? ადამიანის კეთილდღეობის საწინდარი მხოლოდ მისი გამჭრიახობა, მარჯვენა და თანდაყოლილი ქუდბედიანობაა, დანარჩენი ყოველივე ბნელი გონების ნაცოდვილარია, ასე რომ მაგ საქმეში ღმერთისა და ეშმაკის ხელებს ნუ ეძებ! — უთხრა ერთხელ ცოლს სანდრომ.

— თუ ასეა, რად შეგაკრთო ახალი წლის ღამეს ოფიცერ კირცხალიას სტუმრობამ? — მაშინ როგორღაც შებედა გულზვიად ქმარს ირამ და ქუხილის მოლოდინში გაიტრუნა, მაგრამ მისდა გასაკვირად სანდრომ რბილად უპასუხა:

— გაგონილი მქონდა, კირცხალიების ფეხი მეკვლედ მტერს ერგოსო, შენც ახალი დაბრუნებული იყავი მოსკოვიდან და იმედის თვალით შევყურებდი მომავალ წელს. მხოლოდ მამობის დიდმა სურვილმა მაქცია იმ წუთს ცრუმორწმუნედ.

პასუხი ისეთი კატეგორიული იყო, რომ ირა გაჩუმდა, მაგრამ გულში მაინც არ შერყევია რწმენა იმისა, რომ არსებობდა სიკეთე და ბოროტება

თავ-თავისი მისაგებლებით და ამით შეშფოთებული კვლავაც ევედრებოდა ღვთისმშობელს, კვლავაც ანთებდა სანთლებს... მაშინაც მეუღლის ბალიშზე დაფრქვეული ცრემლები წმინდა შესაწირავივით უამებდა სულს.



— ამხანაგო მდივანო, მე ადგილობრივი გაზეთის თანამშრომელი ვარ, ჟურნალისტი ნათია ლორია.

— გიცნობთ, შესანიშნავი კალამი გაქვთ, მაგრამ უფრო ლამაზი თვალები!...

ნათია დაიბნა, ხომ არ მომესმაო და გაოცებით შეხედა ქვარაიას, ის კი ღიმილად ქცეული იჯდა და ვნებიან თვალებით შეჰყურებდა ქალიშვილს. „პირველი ნახვისთანავე ხომ ვთქვი, ეს კაცი ყველაფერთან ერთად გაიძვერაც იქნება-მეთქი“ — გაიფიქრა ნათიამ და იმავ წუთს ცხადად იგრძნო, უბეში როგორ ჩაუსრიალდა სლიპინა გველი. გააჟრჟოლა.

— მე პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ვეახელი, როგორც რიგითი მთხოვნელი...

ქალიშვილის ხმის ტონმა და საავდროდ შეყრილმა წარბებმა, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა ქვარაია.

— მზად ვარ გისმინოთ და მოგემსახუროთ.

— მე გეახელით ერთი მკვლელობის საკითხზე! _

— მკვლელობის საკითხზე? — ქვარაიას გულწრფელი გაოცება გამოეხატა სახეზე და ერთგვარი დაინტერესებით ჩაეკითხა ნათიას. — მკვლელობის საქმეზე? კიდევ მოხდა რამე?

— კიდევ? თქვენ რომელ მკვლელობას გულისხმობთ ადრინდელში? !

ქვარაიამ იგრძნო, ლორია მისთვის საკეთილო განზრახვით არ იყო მოსული. ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა,

— რაიონში ბოლო წლებში მკვლელობას არ ჰქონია ადგილი.

— თქვენი სიტყვების სიმართლე თქვენს სინდისზე იყოს, მაგრამ გჯეროდეთ, რომ გგონიათ ისე მსუბუქი სატარებელი არ გექნებათ

ცოდვებით დამძიმებული სინდისი. — პირველი მდივნის მიერ მოულოდნელად გამჟღავნებულმა სულბილწობამ ზიზღით აავსო ქალიშვილის არსება და უნებურად გაათამამა კიდეც.

— თქვენ, ამხანაგო მოქალაქევ, ხომ არ გავიწყდებათ, სად იმყოფებით?

— ერთი წუთითაც არა! მე მსურდა თქვენთან ისე მესაუბრა, როგორც იმ ადამიანთან, რომელსაც არა მარტო მორალური მოვალეობა აკისრებს დაჩაგრულს ამოუდგეს გვერდში, არამედ თანამდებობაც ავალდებულებს ამას. თქვენ ხომ მოკლულის დედას მიეცით პირობა, ყველაფერს იღონებდით სიმართლის დასადგენად, მოგახსენებთ ირინე ჩიტაიას მკვლელობაზე.

— ეგ საქმე ხომ დაიხურა, როგორც უბედური შემთხვევა! — არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა ქვარაიამ. _

— დიახ, დაიხურა. როგორც უბედური შემთხვევა მაშინ, როცა მრავალი სამხილი არსებობდა იმისა, რომ გოგონა მოკლული იყო.

— რას გულისხმობთ?!

— თუნდაც იმას, რომ საცალფეხო ხიდიდან, საიდანაც იგი გამოძიების თანახმად უნდა გადავარდნილიყო, იმ ადგილამდე, სადაც ვიპოვეთ, მთელ სოფელს და ფოთიდან მოყვანილ მყვინთავებს მდინარის ფსკერზე ერთი კენჭიც არ დაუტოვებიათ თვალშეუვლები. ისეთი მორევები და ღრმულები, მკვდრის ხუთი დღით „შეფარება“ რომ შესძლებოდათ, ამ ადგილებში არ არის. ე. ი მკვდარი იმ ღამით, უფრო ზუსტად, მკვლელობის მეხუთე ღამეს არის მდინარეში ჩაგდებული, ამას ადასტურებს ისიც, რომ ირინეს ფეხსაცმელში ჩვეულებრივი მიწა ჰქონდა, მდინარის ფსკერზე კი მიწა, მოგეხსენებათ, არ არის და ბოლოს აი, კიდეც ერთი სამხილი, — მან ცისფერყდიანი საერთო რვეული დაუდო წინ „რვეულს ყდაზე ეწერა. „ირინე ჩიტაიას დღიური“ — გადაშალეთ ბოლო გვერდი.

ქვარაიამ არცთუ დიდი ხალისით გადაშალა რვეული. „ 4 აგვისტო“, ასე იყო დათარიღებული ბოლო ნაწერი გვერდი — „ოთარის რაღაც ცვლილებას ვატყობ. თითქოსდა ისე არ ვუყვარვარ უკვე, როგორც ადრე. ვგრძნობ, რომ უკვე თავს იკავებს შეხვედრაზე... მეშინია... არ უნდა მივნდობოდი, ეგებ მეჩვენება და ასე სულაც არაა. მას ისევე ვუყვარვარ, როგორც ადრე, ხვალ აუცილებლად უნდა ვნახო... უნდა ვნახო, მე ხომ ოთარი ძალიან, ძალიან მიყვარს, რომ მეშინია კიდეც ამ სიყვარულის“...

— დააკვირდით, ეს თავი დაწერილია ოთხ აგვისტოს. მეორე დღეს ირინე სახლში არ დაბრუნებულა. ხუთი დღის შემდეგ კი ნახეს იქ, სადაც, როგორც გითხარით, არ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუკი მართლა წყალში დაიხრჩო. მოგახსენებთ კიდევ ერთ ვარაუდს. სოფელმა მაშინვე ოთარიზე აიღო ეჭვი, ეტყობა მათ ბოლოდროინდელ ურთიერთობაზე იცოდნენ კიდევ. მითქმა-მოთქმამ, რა თქმა უნდა, მიყურადებულ ოთარის სმენამდეც მიაღწია, ... წინასწარი განზრახვით მოკლული, მერე მიწაში დამარხული ირინე ამოთხარა და წყალში ჩააგდო... ასე იმიტომ მოიფიქრა, ეტყობა დარწმუნებული იყო თქვენ დიდ დაინტერესებას არ გამოიჩენდით სიმართლის გამოსაკვლევად.

— ამით რისი თქმა გასურთ?! — გაღიზიანებული კილოთი იკითხა ქვარაიამ.

— მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ირინე არ დამხრჩვალა, იგი მოკლეს, მაგრამ სანამ ამ დღიურს აღმოვაჩინდი, მაინც არ მქონდა იმდენი სამხილი. როგორც დღეს თქვენ, ისე მოგახსენე გამომძიებელსაც ყოველივე. მაგრამ მას არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია. თითქოს მისი გამოგონილი ვერსია უფრო ახლოს იყოს სიმართლესთან, ვიდრე ის ფაქტები, რასაც მე ვუმტკიცებ. ის მეუბნება, რომ სამსახურიდან დაღლილი ბრუნდებოდა ირინე, მოკლე გზით წავიდა და საცალფეხო ხიდზე გადასვლისას დაღლილს თავბრუ დაახვია მორევმა, ისიც გადავარდა, დაცემისას თავი დაარტყა ქვას და გული შეუღონდა. შეიძლება სხვის ბედზე ასე ულოგიკოდ მსჯელობა? ჯერ ერთი, ხიდის ქვეშ მორევი არ არის, მეორე, რომც ყოფილიყო, ირინე არ დაიხრჩობოდა, ის ისე გრძნობდა წყალში თავს, როგორც თევზი. ანდა მორევში როგორ უნდა დაარტყას კაცმა ქვას თავი? ეტყობა გამომძიებელმა გაიგო, რომ ირინე დაღლილი კი არა, მძინარეც რომ ჩავარდნილიყო თუნდაც უდიდეს მორევში, არ დაიბნეოდა და არ დაიხრჩობოდა, ისე კარგად ცურავდა, ამიტომ, მოიგონა ქვაზე საფეთქლის დარტყმის ვერსია, თუმცა საფეთქელზე მართლაც ეტყობოდა დაბეჭილობა და სწორედ ეგ იყო გამოსაკვლევი, წყალში ჩავარდნამდე დაემართა იგი თუ წყალში ჩავარდნის მერე, მაგრამ ეს არ აინტერესებს გამომძიებელს, რადგან, ეტყობა, ისიც თქვენს თარგზე ჭრის და კერავს. თქვენ კი ყოველივე კარგად გქონდათ მოფიქრებული იმთავითვე, როცა ჭირისუფლებთან სამძიმარზე მოხვედით.

— აქ მე რა შუაში ვარ? — სახე მოექუფრა ქვარაიას.

— თქვენს გეგმებს ჩაფუშავს გაუხსნელი საქმე, მით უმეტეს გახსნილი, თუკი მასში ისეთი დანაშაულია, როგორცაა მკვლელობა. თქვენ ხომ ყველაფერს ისე აგვარებთ და ისე აჩვენებთ სხვას, როგორც იდეალურს, ზედმიწევნით აღსრულებულს, აკი დიდი რიხით თქვით საუბრის დასაწყისში ბოლო წლებში რაიონში მკვლელობას ადგილი არ ჰქონიაო. ასეთი ცოდვიანი საფეხურები მაღალ გადასახედამდე ვერ აგიყვანთ, ამხანაგო მდივანო!

ნათიას ბოლო სიტყვებმა საოცარი ცვლილება მოახდინა ქვარაიაში. ნაცვლად იმისა, რომ გაებრაზებინა თავხედურად ნათქვამ სიმართლეს, იგი დაყვავების პოზიციაზე გადავიდა.

— თქვენ, როგორც საერთოდ ჟურნალისტები, ძალზე ემოციური ბრძანებულხართ. თქვენნაირი შემოქმედებითი ნიჭის პატრონისათვის არც ასეთი ცოცხალი ვერსიების წარმოდგენაა ძნელი, მაგრამ, ამხანაგო ლორია, ეგებ უკეთესია, ცოტა დამშვიდდეთ და ისე შეხედოთ საქმეს. მართალია თქვენ თქვენი მეზობელი და მეგობარი გტკივათ, მაგრამ ადამიანური ტკივილი არც ჩვენთვისაა უცხო. გარდა ამისა, ამ დღიურით და თქვენი ვერსიით ხომ გარდაცვლილის სახელს ჩირქს სცხებთ? !

— იცით რა, მას ძალიან, ძალიან უყვარდა ოთარი... ამ სიყვარულისათვის დასაჯეს ასე სასტიკად. სიყვარული კი სირცხვილი როდია! _

— კი მაგრამ, ხომ ჩანს, რომ შორს წასულ ფორმას აქვს ადგილი.

— და როგორ არ გრცხვენიათ თქვენ ამას რომ ამბობთ? ნუთუ მართლა არც სიკეთე გწამთ? არც სიყვარული? არც დედაშვილობა? არც მოვალეობა? თქვენ ხომ თქვენი საქციელით მკვლელს იფარავთ?!..

— მე არაფრის მეშინია. — ჯიქურ შეაწყვეტინა ქალიშვილს სიტყვა, — მე ვიცი, რასაც ვაკეთებ, თუ გინდათ მიჩივლეთ, მთელმა სოფელმა მიჩივლეთ....

ნათია წამიერად დაიბნა. ქვარაია შეშლილს ჰგავდა, მაგრამ ქალიშვილს მაინც არ დაუყრია ფარ-ხმალი.

— და გგონითა არ გიჩივლებთ? მაგრამ ხომ ვიცი, ვერაფერს გავხდებით, რადგან იმას დაამტკიცებინებთ მოწვეულ კომისიას, რასაც თქვენ ამტკიცებთ. ვიცი, საუბედუროდ ვიცი, რომ ჯერჯერობით ყოვლისშემძლე ხართ, რომ არავისი და არაფრის გეშინიათ, რადგან საიმედო კალთა გიფარავთ, ამით თქვენც ხომ ტრაბახობთ, მაგრამ ერთი მწამს, ყველას გვწამს, რომ დადგება თქვენისთანების განკითხვის დღე!

— ძალიან გწამს?

ნათიას თითქოს არ შეუმჩნევია ქვარაიას კითხვაში გარეული ირონია, ისე სერიოზულად უპასუხა:

— მწამს, იმიტომ რომ თქვენ იმ დონემდე მიიყვანეთ ქვეყანა, რომ ან ის უნდა დაიღუპოს, ან თქვენ. დაიღუპებით თქვენ, რადგან ქვეყნად უფრო მეტი კეთილი ადამიანია და ის გადაარჩენს მას! _

— თანახმა ვარ დავიღუპო, ოღონდ არა სხვა ცოდვებისთვის, არამედ თქვენი ლამაზი თვალებისთვის.

— აი, თქვენი მორალი, აი, თქვენი სახე, როგორც პარტიული მუშაკის, თქვენ ასე თავხედი და თავდაჯერებული ხართ ყოველთვის და მე როგორც ჟურნალისტი, ვალდებულად ვთვლი თავს, ვიძიო შური თქვენზე ყველა იმ შეურაცხყოფილის სახელით, ვინც ამ სკამზე მჯდომს შეურაცხიყვიათ ისე, როგორც მე ამ წუთებში, მე ვიძიებ შურს ყველა იმათთვის, რომელთა სუფთა სახელი და სპექტაკი გული თქვენი ბინძური ხელებით და ტალახიანი ფეხებით გათელეთ, ვიძიებ შურს ირინესათვის!

— ქვარაია თვალებგაშტერებელი, უსიტყვოდ შეჰყურებდა გაცეცხლებულ ქალიშვილს, რომელმაც შეისვენა, მერე კი ჩუმად, თითქოს თავისთვის დაუმატა — ... მე დავწერ წიგნს და ეს იქნება ჩემი შურისძიება, ოღონდ თქვენი განკითხვის დღის შემდეგ გამოვაქვეყნებ, რადგან, ვიცი, მანამდე ხელს შემიშლით, თქვენ ხომ ჯერჯერობით ყველგან მიგიწვდებათ ხელი, მერე კი ... თუმცა, მართალია, ვერაფერს გიშველით, მაგრამ თქვენს უკან მომავალს ხომ დააფიქრებს?...

ქვარაიას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ნათიამ ისე სწრაფად აიღო „დღიური“ და გავიდა კაბინეტიდან, რომ სანდრო ერთხანს კიდევ იჯდა პოზაშეუცვლელად და ფიქრობდა: „თანამდებობა მაინც ჰქონდეს ისეთი, რომ სკამის დაკარგვის შიშმა მოტეხოს! ლიტმუშაკს, ისიც ნიჭიერ ჟურნალისტს, რა შარი გინდა მოსდო, რომ სამსახურიდან მოხსნით გაამწარო? მოიცა... ამავე მიზნით დღესვე რომ დავაწინაურო! — აქ წამიერად ჩაესახა იმედი, მაგრამ მაშინვე ისევ მოექუფრა სახე, — განა მისი მოქმედებიდან არ ჩანს, რომ თანამდებობა არ აინტერესებს?! — ამოიხვნეშა და მაგიდის კიდეზე მდგარი საფერფლე თავისკენ მისწია.



გვიანი შემოდგომისათვის უჩვეულო თბილი საღამო იყო, ნათიამ წიგნი დახურა და ერთხანს ღია ფანჯრიდან გაჰყურებდა მთვარის ნათელცურვილ თალხში გახვეულ სოფელს, მისი გონება მტკივნეულად დაემუხტა ქვარაიასთან შეხვედრის ეპიზოდს. ხომ არ ჯობდა, უნივერსიტეტში დავრჩენილიყავი? – ეკითხებოდა ქალიშვილი თავისთავს — და საერთოდ ვარ აქ საჭირო? უფრო სწორად, შევძლებ რამეში გამოვადგე სოფელს?

ამ დროს გარედან ლაპარაკის ხმა მოესმა. „მოვიდნენ“ — გაიფიქრა და კარის გასაღებად წავიდა.

— მუზეები ხომ არ დაგიფრთხეთ, მგოსანო? — ოთახში შესვლის უმაღლესი შეეკითხა ცქრილა ქალიშვილი და გადაეხვია ნათიას. ნათიამაც თავის მხრივ ჩაკოცნა სიყრმის მეგობარი. თან უპასუხა:

— შენი მკვახე ენა კიდევ არ დამწიფებულა, მაია?

— დამწიფდა, როგორ არ დამწიფდა, მაგრამ ყურძენი ხომ არაა დამაქრულიყო, გემოთი და ფორმითაც წიწაკაა, თანაც მეგრული. — ჩაუნისკარტა მაიას მურმანმა.

— მურმან, მურმან შენსა მზესა,

ეგ სიტყვები რა რიგია?!

შენ სიმართლე ბადაგივით

ტკბილი, განა გაგიგია? — სწრაფად უპასუხა მაიამ.

— გესმის? — უჩურჩულა მურმანმა გვერდით მდგარ ბიჭს.

— რომ არ მესმოდეს, შვებულებაში მყავს ყურები თუ?... ბიჭი ხარ და გაეცი პასუხი!

მურმანმა ხელი ჩაიქნია და სკამზე ჩამოჯდა. სხვებიც დასხდნენ.

— რატომ ძველებურად, თქვენებურად ხშირად არ გამოივლით, ხოლმე?

— მიმართა მათ ნათიამ.

— არ გამოდის, — სხვების მაგივრად ნაღვლიანად უპასუხა ტანმაღალმა ქალიშვილმა, რომელსაც მეგობრები ფუფას ეძახდნენ.

— რატომ, ფუფა?

— აბა რა ვიცი მე. არ გამოდის და., — ახლაც ძლივს მოგვიყარა ეთერიმ თავი, — თქვა ფუფამ და მხრების აწურვით გაშალა ხელები.

— გითხრა, რატომ არ გამოდის? — წამოხტა მაია — გითხრათ?

— თქვი, თქვი! — ერთხმად უპასუხეს. — იმიტომ, რომ ის საყდარი დაინგრა, სადაც ჩვენი საერთო ხატი ესვენა. მართალია, ჯერ კიდევ ბჟუტავს იმ ხატის წინ ჩვენს მიერ ბავშვობაში დანთებული სანთელი, მაგრამ ბჟუტავს მხოლოდ, არ კამკამებს და სულ იმაზე ვფიქრობ მე, ნუთუ ეს ცხოვრებისეული კანონზომიერებაა? ნუთუ ესაა ის მარადიული სიყვარული და მეგობრობა, ერთმანეთს რომ ვეფიცებოდით?

ყველა მიუხვდა მაიას ნათქვამს და ერთხანს პასუხი არავის არ გაუცია.

— ჩემო მაია, არც ის საყდარი დანგრეულა, რომელსაც ჩვენი მეგობრობის ნავთსაყუდელი ჰქვია, — უპასუხა მაიას ნათიამ. — და არც ის სანთლები ჩამქრალან, რომელნიც ერთმანეთისადმი სიყვარულით მფეთქავი ჩვენივე გულებია. თანდათან შორეულ სავანედ იქცევა ის ტკბილი, ბავშვობის დროინდელი ნავთსაყუდელი, რადგან დავშორიშორდით, ძველებურად არ შეგვიძლია ერთმანეთის ყოველდღიური ჭირ-ლხინი გავიზიაროთ, რადგან ზოგი სად ვართ, ზოგი სად. ხოლო რაც უფრო მეტი მანძილით დაშორდები სინათლის წყაროს, გეჩვენება, რომ იგი ბჟუტავს, ჭიატებს, და საცაა ჩაქრება. შეიძლება წლებიც გავიდეს ისე, რომ ხმაც ვერ მივაწვდინოთ ერთმანეთს. რაღაცა შემთხვევა თუ შეგვეყრის, მაგრამ იმ შეყრამაც, თუნდაც შემთხვევითმა, არ შეიძლება ჩვენეულ საყდარში არ დაგვაბრუნოს, მუხლი არ მოგვადრეკინოს იმავე ხატის წინ, რომლის წინაშეც ყმაწვილობის წლებში მარადიული მეგობრობის სანთლები დაგვინთია და მაშინვე მივხვდებით, რომ მათი ბჟუტვა შორეული ხილვა იყო მხოლოდ, თორემ ისინი ისევ ძველებურად ბრიალებენ. მე სწორედ ასე განვიცდი ამ წუთს... თითქოს გუშინ იყო, რომ ყველანი ერთად ერთივით ვასრულებდით საყვარელი მასწავლებლის თხოვნას: ჩუმიად ვყოფილიყავით გაკვეთილზე და დირექციას არ გაეგო, რომ იგი ცდებოდა. ბუზლუნა მასწავლებლის გაკვეთილიდან კი უჩინარვით ვიძურწებოდით და მთელი გაკვეთილი დავხეტილობდით მურიცხელას ხეობაში, ვტკბებოდით საუცხოო ბუნებით, ერთმანეთისადმი უბრყვილო მეგობრობით. ასე რომ, მე არასოდეს არ შემაშინებს სანთლის ბჟუტვა, რადგან ვიცი, მას ჩაქრობა არ უწერია. მე ასე მჯერა!

— ნათია, მართლაც რომ საოცარი ხარ. — თვალეებში ცრემლი უბრწყინავდა მაიას. — მე ახლა, ამ წუთს ჩემი თავი ისევ ის ახტაჯანა გოგონა მგონია, რომელიც არასასურველი გაკვეთილის ხარჯზე კლდეზე მიცოცავს, რომ იქ ეულად ამოსული ყვავილი მოწყვიტოს და ჩამოუტანოს

მეგობრებს, რომელნიც შეშინებულნი აჰყურებენ თითქმის ჰაერში გამოკიდულ თხა გოგოს.. შენ მართალი ხარ, ნათია, საყდარი თურმე არ დანგრეულა...

— იგი არც შეიძლება დაინგრეს! — დინჯად თქვა ჩაფიქრებულმა მურმანმა.

— მაგრამ მაშინ თუ ცისფერი ოცნების გუმბათი ეხურა, ახლა არ კმარა იგი, ახლა სულ სხვაგვარ ფიქრს, ოცნებას და, რაც მთავარია, საქმეს მოითხოვს ჩვენგან მამული, ხალხი. ჩვენ, ვინც ისევ მურიცხაში ვართ, კვლავ უნდა შევერთდეთ საერთო საქმისათვის, მერე სხვებიც მოვლენ, სხვებიც აგვყვებიან.

— სწორია, მაგრამ როგორ მოვიქცეთ? რა შეგვიძლია? — ნათიას სიტყვა ჩამოართვა ფუფამ.

— რა შეგვიძლია? როგორ თუ რა შეგვიძლია, უფრო სწორი იქნება, თუ ვიკითხავთ რა არ შეგვიძლია ჩვენ? მე გიპასუხებდით: ჩვენ ყველაფერს შევძლებთ, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ თანამედროვეობას ფეხი ავუწყოთ, სოფელი შევინარჩუნოთ, კერები გავამრავლოთ. მერწმუნეთ, მურიცხა გამორჩეულია თავისი სიტურფით, უსაზღვროდ კეთილი ადამიანებით, ნუ დაგაფრთხობთ ზოგიერთი გზასაცდენილი, პირიქით, უნდა ვეცადოთ ისინიც გვერდში. ამოვიყენოთ, საქვეყნო საქმის, ხალხის საკეთილდღეოდ ავუბგეროთ გული. მე მათზე განსაკუთრებით ვფიქრობ და რომ იცოდეთ, არ არიან ცუდი ბიჭები. მათი შემობრუნება არ იქნება ძნელი, ჩვენ ეს შეგვიძლია, ჩვენ, მურიცხელი ახალგაზრდები, ხომ ბევრნი ვართ?

— საქმე ისაა, სადა ვართ.

— დიახ, საქმეც ესაა, მაგრამ აი დავდგათ თაფლით სავსე ჯამი ისეთ ადგილზე, სადაც ფუტკრის ჭაჭანება არაა, რა მოხდება? — ფუტკრები, რაც გინდა შორს იყონ, იყნოსავენ თაფლს და დაეხვევიან. — ჩვენც ეგრე ვქნათ, ვუჩვენოთ მაგალითი სხვებს და ისინიც აგვყვებიან, ოღონდ მთავარია გული გულობდეს.

— პირველი მე მოვალ. ან რა მინდა სეტყვიანის მეცხოველეობის კომპლექსში, თუ აქ მექნება სამუშაო? — თქვა ფუფამ.

— სწორია, გარდა ამისა რა სახის სპეციალისტი გინდა არა გვყავდეს, აი, თუნდაც ეთერიდან დავიწყოთ: მექანიზატორი ქალიშვილი, რაიონული საბჭოს დეპუტატი. მას შეუძლია ისე წარმართოს თავისი საქმიანობა

სხვებიც აიყოლიოს, მიიზიდოს. მხატვრული თვითშემოქმედება თუ გვინდა, აგერაა მურმანი და მისი „ჩელა“... ისე გასწიონ კულტურის უღელი, რომ ბევრ სხვა პროფესიონალთა გაცემისგან თვალები გადმოაყრევინონ, ინჟინერი დაგვჭირდება და აგერაა ზურაბი... ერთი სიტყვით, საკმარისია ჯიბეში ხელი ჩავიყოთ და რომელი რანგის მოწმობაც დაგვჭირდება იმას მოვიძიებთ!..

— მაგრამ ეს, საუბედუროდ, საქმეს არ შველის.

— როგორ თუ არ შველის?

— ესენი გუშინაც აქ იყვნენ და დღესაც აქ არიან, მაგრამ მურიცხა რაც იყო გუშინ, ისაა დღესაც და არა მგონია საკეთილოდ რამე შეცვალოს ხვალინდელმა დღემ.

— შეცვლის, თუ ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ იმას, რაც გვეკუთვნის. თუ მტკიცედ დავდგებით იქ, სადაც საჭირონი ვართ და, რაც მთავარია, თუ შევძლებთ ყველას ვაპოვნინოთ თავიანთი თავი!



ვერ იქნა და ვერ მოერია თავს ნათია, რა საქმეზეც არ უნდა ეფიქრა, რა დიდი საზრუნავითაც არ უნდა ყოფილიყო დაკავებული, მაინც არ შორდებოდა შეურაცხყოფის მტკივნეული განცდა, რომელიც ქვარაიას კაბინეტში განიცადა. ბოლოს გადაწყვიტა, ბიძაშვილს სწვეოდა, ეგებ ბავშვებთან გადავყოლო ცოტა ხანს გული, თან ერთი ხანია მათთან არ ვყოფილვარ და ნანოც გაბრაზებული იქნებაო.

— ცუდად ხომ არა ხარ, ნანო? — შესვლის უმაღლეს ჰკითხა ბიძაშვილს ნათიამ.

— არა, ნათია, ცოტათი დავილაღე.

— შენ ავადა ხარ, ნანო, ან რაღაც ამბავია შენს თავს, რა ფერი გაქვს? ახლავე დავურეკავ ლევანს!

— მოიცა, გეტყვი ყოველივეს, — მან საწერი მაგიდის უჯრიდან გახსნილი კონვერტი ამოიღო.

— ეგ რა არის?

— წაიკითხე.

„ამხანაგო ლევან, ყოველგვარ მიკიბულ-მოკიბულის გარეშე პირდაპირ გეუბნები, რომ მეტის მოთმენა არ შეიძლება, მურიცხაში უსაქმური ახალგაზრდები მომრავლდნენ. რატომ? გეკითხები რატომ, არ მიდიან ჯარში კოტე ჩიჩუა, გუგუტა ციმინტია, თორნიკე ცქიტიშვილი. სოფელი შეაწუხა მათმა თავგასულობამ. კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ნუ უსმენ ცოლოურებს, შენ მათი რჩევით აკეთებ ამგვარ საქმეს, იცოდე მერე ვერაფერს გიშველიან ისინი, როცა საქმე ჩაგივარდება და გკითხავენ საიდან გაქვს მანქანა... თუმცა, ჯერ კიდევ დრო გაქვს და შეგიძლია საქმე გამოასწორო — წაიყვანე ისინი ჯარში. განა ყველასთან შეიძლება საქმის დაჭერა? საერთოდ კი ამგვარ საქმეში სჯობია კიტასთან დაიჭირო ურთიერთობა. ის ისე მოაგვარებს საქმეს, რომ შენ ყოველთვის შეგეძლება თავი იმართლო, (თუ კი მოხდება რამე). მერწმუნე, ამას იმიტომ გწერ რომ, როგორც გითხარი, კარგი ბიჭი ხარ, მიყვარხარ და მენანები, რომ საქმე გაგიფუჭდეს. მე ბევრი ვიფიქრე ამაზე და მერე გადავწყვიტე ამგვარად მომეცა შენთვის სიგნალი. შენი ცოლოურები იმდენად გულუბრყვილონი არიან, რომ არა ჰგონიათ, ვინმე ცუდად შეაბრუნებს მათს კეთილ სამსახურს. მე კი მესმის, რასაც ამბობენ სოფელში.

დამიჯერე კარგი მინდა შენთვის“.

— მართლაც ვინმემ რომ უჩივლოს ლევანს, მანქანა საიდან, რა სახსრებით შეიძინეთო, დაუჯერებენ მართალს? — შეშფოთებით ჰკითხა ნანომ ნათიას — შენ ხომ იცი მთელი ოჯახი და კაპიკ-კაპიკ ვაგროვებდით იმ ნახმარი მანქანის საყიდელ ფულს.

— მაინც ვის უნდა დაეწერა ეს? — ნანოს არც უსმენდა მასზე არანაკლებ აფორიაქებული ნათია. — ვის დასჭირდა და რისთვის? სახელს კი აწერს, მაგრამ ვითომ ესაა ავტორი? — ამ სიტყვებით ნანოს დაუბრუნა წერილი.

ერთხანს ჩუმად, თავიანთ ფიქრებში გართულნი ისხდნენ ორივე.

— ვფიქრობ, ეს კიტას ნამოქმედარია, — თქვა ბოლოს ნათიამ. — რატომღაც მეც ეგრე ვიფიქრე, მაგრამ რა იცი, ეგებ...

— არავითარი ეგებ! ეს კიტას ფანდია და, რომ იცოდე, არაა კარგის ნიშანი,.. კიტა ქვარაიას ჯაშუშია.

— რა ვქნა, ვაჩვენო ლევანს?

— აუცილებლად.



„ ნანო, თითქოს არც მიგვიღია ეს წერილი, ნუ იფიქრებ ამაზე.“
ეუბნებოდა მერე ლევანი ნანოს, — მთავარია, ჩვენს მხარეზე იყოს
სიმართლე. ვიყოთ სამართლიანი. ამ „ნაშრომის“ ავტორი რომ ფიქრობს,
ისე როდი ვუყურებ მე ცხოვრებას, ჯერ არ მომხდარა ვინმესთვის რაიმე
შელავათი, თუნდაც უმნიშვნელო, დამეკლოს. შეიძლება ზოგიერთნი
ნაწყენი იყონ, მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ
ისინი, მიუხედავად მრავალგზის ახსნა-განმარტებისა, ვერ თუ არ
წვდებიან კანონიერი შელავათების არსში. ესეც ბუნებრივია. როცა დიდ
საქმეს ჩაუდგები სათავეში, არ შეიძლება ყველამ ერთნაირი საზომით
გაზომოს შენი საქმიანობა, მაგრამ მე მჯერა, ამ რაიონში უმრავლესობას
სწორად ესმის ჩემი და ვიცი, როცა აქედან წავალ, მომიგონებენ როგორც
კარგ ადამიანს და კიდევ ერთი დაიხსომე, ნანო, მე ოფიცერი ვარ და ჩემი
უპირველესი მიზანია ერთგულად ვემსახურო ჩემს საქმეს. საერთოდ კი
სიცოცხლის გზა ისე გავლიო, რომ მერე საქმენი ჩემნი ჩემს შვილებს არ
დააყვედრონ. ასე რომ, შეგიძლია დამშვიდდე! — ღიმილით დაასრულა
ლევანმა და ახალ გაზეთებს მიუბრუნდა.

ლევანმა გაზეთები ზერელედ გადაათვალიერა. ცოლს რომ აჩვენებდა,
ისე გულგრილად კი არ შეხვედრია იმ წერილს. მან მაშინვე იაზრა, ვინც
დაწერდა ამას. „არ შეგაწუხებდი, ლევან, მაგრამ ამათ კანონიერი
შელავათები ეკუთვნით, ხომ იცი მშობლების სულსწრაფობის ამბავი და
გული გააწყალეს, მიმეგზავნეთ კომისართანო, დროულად იცოდეს ჩვენი
ამბავიო“, — უთხრა ერთ დღეს კიტამ ლევანს და დაკეცილი ფურცელი
გადასცა, სადაც ორი ახალგაზრდის სახელი, გვარი და მამის სახელი
ეწერა, იქვე მიწერილი დაბადების წლის მიხედვით უკვე მე-19 წელში
იყვნენ ისინი.

— რა შელავათები გააჩნიათ?

— ერთი ავადმყოფია, მეორეს ინვალიდი დედა ჰყავს თავის კმაყოფაზე.
მე მგონი...

— არა, ჩემო კიტა, ზეპირად არ შეიძლება დასკვნა გამოვიტანოთ.
ავადმყოფობას საექიმო კომისია დაადგენს, მთელი რიგი ბეჭედდასმული
ქალაქ-ცნობებით, აქტებით. ასევე შევისწავლით ოჯახურ
მდგომარეობას და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ შენც და მშობლებიც.
რაც კანონით ეკუთვნით, ის არავის დააკლდება.

ერთიც შეისწავლეს, მეორეც და...კანონის ძალით ორივე წავიდა ჯარში. ლევანმა მაშინაც შეატყო, კიტა უკმაყოფილო რომ დარჩა საქმის ამგვარი წარმართვით, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

მურიცხაში მართლაც მრავლად იყვნენ უსაქმურები, ყალთაბანდები, თითქმის ყოველდღიურად გამართული მუშტი-კრივის გამო მურიცხას რაიონის მასშტაბით „ჯუნგლებს“ ეძახდნენ, მაგრამ წერილში საყურადღებო ის იყო, რომ ავტორი ყურადღებას მხოლოდ ჯარმოუხდელელებზე ამახვილებდა, თუმცა ლევანმა ისიც კარგად იცოდა, რომ ამ სამეულიდან მხოლოდ გუგუტა იყო იმათ სიაში, რომელთა მოღვაწეობამაც „ჯუნგლების“ სახელი მოუპოვა მშვენიერ მურიცხას. კოტესა და თორნიკეს აწეული ხმაც კი არ სმენია ვინმეს, მაგრამ ლევანს აშკარად ესმოდა ხაზგასმული კითხვა: „რომელი კანონით გათვალისწინებული შეღავათები ეკუთვნოდა მათ!“ და იმასაც კი ხედავდა, რა ნიშნის მოგებით იცინოდა კიტა.

პასუხად ლევანსაც ჩაეცინა, მას ზუსტად ახსოვდა სამივეს შეღავათი: ერთის პირად საქმეში ასე ჩაწერა საექიმო კომისიამ: „მშვიდობიანობის დროს უვარგისი“. მეორე სულ ჩამოწერა, ხოლო მესამეს ოჯახური მდგომარეობით ეკუთვნოდა შეღავათი.



ნათია საწერ მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა. უცებ ეზოში ძაღლი აყეფდა.

— რამ გადაგრია, შე მართლა ძაღლო შენა, მოყვარე და მტერი ერთმანეთისაგან არ უნდა გაარჩიო? — დაუცაცხანა ძაღლს მოსულმა. ეტყობოდა, ქვაც მიაყოლა, რადგან ის უკვე ეზოს ბოლოში წკავწკავებდა.

— პეპსიკოლასთან ვიყავი. ის ბოლო რეისს მოჰყვება ხოლმე, მაგრამ დღეს შაბათია, ხომ იცი მძლოლებს „ხალტურა“ ურჩევნიათ რეისებს და დააგვიანდა. ახლა ძლივს მოაღწია. დილითაც უთენია გარბის, ვერ მივუსწრებდი! — თითქოს ანგარიშს აბარებსო ისე სხაპასხუპით მიაყარა ნათიას ოთახში შესულმა ეთერიმ და მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

— რა გითხრა მერე?

— გაუხარდა, ნეტავ რაიმე სამომავლო გაკეთებოდეს, თორემ განზე როგორ გავდგებო. სიტყვას კი არა, სისხლსაც გავიღებ ამგვარი საქმისთვისო.

— ყოჩაღი გოგოა.

— აი, ნახავ ისე არაკრაკდება, რომ მთელ აუდიტორიას აღუძრავს საკუთარი აზრის გამოთქმის სურვილს. ისე განცდით და გულში ჩამწვდომად იცის საუბარი, მითუმეტეს ამგვარ საკითხებზე, რომელნიც ჩვენ გვაქვს გათვალისწინებული.

— პეპსიკოლა რატომ შეარქვეს, მას ხომ გულნაზი ქვია? — იკითხა უცებ ნათიამ.

— არც ვიცი, პირველად ვინ დაუძახა პეპსიკოლა, მაგრამ ახლა ასე ეძახის ყველა. მე მგონი იმიტომ, რომ პეპსიკოლას ბოთლივით პატარა და კოხტაა.

— სხვათა შორის ისეთივე კოხტა ნახელავი გამოსდის, როგორც თვითონაა. სილამაზის სალონში მუდამ მის კარებთანაა რიგი... — აქ ნათია ჩაფიქრდა. ის ერთხანს ისე თვალგაშტერებული დაჰყურებდა მაგიდაზე გაშლილ წიგნს, თითქოს, იქიდან უნდა ამოიკითხოს დაწყებული საუბრის გაგრძელებაო.

— ეთერ! — ნათიამ მხრებზე მოხვია ხელი ქალიშვილს, მის თვალებსა და ხმაში მოზღვავებული სიხარული ბობოქრობდა. — თუ ჩვენ მივალწიეთ წარმატებას, თუ ჩვენს მიერ წამოჭრილი პრობლემებიდან ძირითადი მაინც გადაიჭრა, მაშინ გათვალისწინებულზე მეტსაც გავაკეთებთ საერთო კულტურის ამაღლებისათვის, აი, მაგალითად, თუ კულტურის სახლი გვექნება, იქ საზოგადოებრივ საწყისებზე გავხსნით საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა წრეს. მერე მის ბაზაზე, თვით სალონსაც, მე ახლაც თვალნათლივ ვხედავ რა წესრიგს დაამყარებს იქ პეპსიკოლა, როგორ დაამშვენებს მურიცხელ ქალებსა და ქალიშვილებს მისეული ლამაზი ვარცხნილობა, სახის კანის მოვლის სხვადასხვა წესები. ეთერ, მურიცხას აუცილებლად უნდა ექნეს სილამაზის პატარა სალონი, სამკერვალო. ეს ზაფხულობით მრავალრიცხოვან დამსვენებელთა კარგად მომსახურების თვალსაზრისითაცაა საჭირო, მითუმეტეს ჩამოსულთა შორის უმრავლესობა მანდილოსანია, ხომ იცი კურორტზე ჩამოყვობენ, ვანილი ბავშვების მეთვალყურეობას მამაკაცები იშვიათად კისრულობენ.

— გარდა ამისა, ახალგაზრდებსაც დავასაქმებთ, ყველას გაქცევაზე რომ

უჭირავთ თვალი. მართლაც რომ შესანიშნავი იდეაა.

— ახლა რომ გვყავდეს ჩვენი ირინე... თურმე უცხოური უნდა ყოფილიყო ტანსაცმელი ან ირინეს შეკერილი, რომ რაიონის „გამოსულ ქალებს“ თავიანთ საკადრისად ჩაეთვალათ. მართლა ასე იყო? _ კითხა ნათიამ.

— ასე იყო. ირინეს ოქროს ხელი ჰქონდა. ნათია, ასე შეიძლება მკვლელობის მიფუჩეჩება?

— მკვლელობის? შენ დარწმუნებული ხარ, რომ ირინე მოკლეს?

— ვის ეპარება ეჭვი?

— კი მაგრამ ყველა ვერსია ხომ ჩაიშალა, ოთარი ერთი ხანი ტყუილად აყურყუტეს საკანში. მართლაც საქმე გადაწყვეტილი იყო, საცა იყო ქორწილი უნდა გადაეხადათ და რატომ უნდა მოეკლა? ყველა დაიჭირეს, თუ ვინმეს ოდესმე ქათინაური წამოსცდენია ირინეს მიმართ — მისგან განაწყენებული კი არავინ აღმოჩნდა. ის მსუბუქი ყოფაქცევის თანამშრომელი ქალიც დიდხანს აწვალეს იმ მიზეზით, რომ ვიღაცისთვის ნდომებია ირინეს გაცნობა, მაგრამ ვის რა დაუმტკიცეს? ირინეს მართლა ვინ გაიმეტებდა მოსაკლავად? მე მგონია, იგი ავტობუსიდან ბათას კართან ჩამოვიდა, რომ მოკლე გზით წამოსულიყო სახლში. მეც ისე დავდიოდი ადრე. იმ დღესაც იქ ჩამოვედი ავტობუსიდან. ირინეს მერე კი არ შემეძლია იმ გზით ვიარო. შეიძლება ბონდის ხიდის რწევამ დალლილს თავბრუ დაახვია და გულშეღონებული გადავარდა ხიდიდან. წყალში ირინე არ დაიხრჩობოდა, მაგრამ თავი დაარტყა ალბათ. აკი ეტყობოდა კიდევ საფეთქელთან დაბეჭილობა. იქვე ახლოს ხომ მორევიცაა და ალბათ ღრმად შეითრია ქვაბულში, ამიტომ ვერ ნახეს დიდხანს.

— ასე რომ ყოფილიყო, ხომ იწვიმებდა გვამის წყლიდან ამოღების შემდეგ? ვის სმენია აქამდე, რომ მურიცხელაში კაცი დამხრჩვალიყოს და მდინარე წვიმას არ განებანოს?! — ამ სიტყვებთან ერთად საყვედურით და თან ერთგვარი გაოცებით შეხედა ეთერიმ ნათიას. — გარდა ამისა პირველმა შენ არ თქვი ირინე მოკლულიაო?!

— დიახ, მე ვთქვი და მჯერა კიდევ!

— გჯერა კიდევ? — უფრო დაიბნა ეთერი. — თუ გჯერა, ახლა უცნაურ რალაცას რაზე მიყვებოდით?

— მე როგორც მოგიყევი, იმ შინაარსითაა საქმე ფიქსირებული გამოძიების საბუთებში და დახურულია, როგორც უბედური შემთხვევა.

— შენ რა იცი?

— ვიცი. ირინეს საქმე ჩემთვის არ დახურულა. მე ჟურნალისტი ვარ და მაქვს უფლება ჩემებურად ვიფიქრო მასზე, სიყრმის მეგობარზე. ირინე ჩიტაია ჩემი პირველი ჭრილობაა.

— დედამისი კი სამართალს ელოდება, — თითქოს თავის თავს უთნოა ეთერიმ.

— ეგრე ელოდებოდეს იქნება, სანამ ქვარაია ზის რაიკომის პირველი მდივნის სკამზე.

— ქვარაია? ქვარაია რა შუაშია?

— სწორედ ქვარაიას სურვილით დაიბადა ზემოთ ჩამოყალიბებული ვერსია. მას ასე სურს, რადგან ყოველი დანაშაული, მითუმეტეს მკვლელობა, მის მიზნებს ხელს შეუშლის და ვინ გაბედავს მის სურვილს წინ აღუდგეს? ან სადაა ახლა ისეთი გამომძიებელი, რომელიც საკუთარ მომავალს სასწორზე შეაგდებს სოფლელი ობოლი გოგოს გულისთვის, უბრალოდ, სიმართლისთვის?!

— რა ეშველება ასე წამხდარ ქვეყანას, ნათია? რა რწმენით და როგორ უნდა იცხოვრო ადამიანმა. მე წუხელ მთელი ღამე არ მიძინია. სულ გუშინდელ ამბავზე ვფიქრობდი.

— რა მოხდა ასეთი?

— შენ რა, არ იცი?

— არა!

— ჯემალი მოხსნეს.

— ჯემალი? ეგ როგორ, შინ არაფერი უთქვამს! — თქვა შეცბუნებულმა ნათიამ და ჩაფიქრდა: ჯემალის შრომის მოყვარეობა არ გამოპარვია კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი რიგითი წევრიდან ბრიგადირად დააწინაურა, თანაც უთხრა, ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადას გაბარებ და სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს შენი ვაჟკაცობაო. მართლაც ერთი თვის თავზე ჯემალის ბრიგადა, რომელიც კოლმეურნეობის თერთმეტი ბრიგადიდან შრომითი მიღწევების საფუძველზე მეთერთმეტე ადგილზე იდგა, პირველს დაესაკუთრა. ამასთან ერთად მან ბრიგადის წევრთა ერთსულოვანი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა, რაც თავის მხრივ საერთო გამარჯვების

საწინდარია.

— რა თქვეს, რის საფუძველზე მოიხსნა ბრიგადირი?

— მიზეზად უღირსი საქციელი დაასახელეს.

— უღირსი საქციელი? — ისედაც შეცბუნებული ნათია უფრო დაიბნა, — ჯემალი და უღირსი საქციელი?!

— გიკვიოს ხომ? უფრო საკვირველი თვით პროცესია; პარტიის წევრი სამუშაოდან განთავისუფლებულია ისე, რომ მისი საკითხი არც პარტორგანიზაციას განუხილავს, არც გამგეობას და, რა თქმა უნდა, არც პროფკავშირს. უფრო მეტიც, ამის თაობაზე გუშინდლამდე არაფერი სცოდნიათ, არც განთავისუფლების ოქმზე მოუწერიათ ხელი პარტორგანიზაციის მდივანს, პროფკავშირის თავმჯდომარეს და კოლმეურნეობის იურისტკონსულს...

— თუ ასეა, არც ის ოქმი იქნება ძალაში და ბრძანებაც ვერ დაიწერება.

— მიუხედავად ამისა, ბრძანება დაიწერა, რადგან უნდა დაწერილიყო.

— რას ამბობ?

— დიახ, უნდა დაწერილიყო... ეს ასე იყო წინასწარ მოფიქრებული.

— ეთერ, გამარკვიე, რაშია საქმე?_

— მე ჩვენს ვარაუდს გეტყვი, მაგრამ დარწმუნებული ვარ მის სისწორეში.

— რას ვარაუდობთ? — ამ საქმეში კიტას ხელი ურევია!

— რატომ ფიქრობთ ასე?

— მაიას უნახავს მისი ძმის განცხადება — ბრიგადირობას ითხოვსო.

შინამრეწველებს ხომ იცი როგორ შეაკვეცეს ფრთები. ისინი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში უნდა გაერთიანდნენ და ეს კი არ აძლევს ხელს ზოგიერთს, თავისუფლად პარპაშს მიჩვეულთ და ურჩევნიათ სულაც უარი თქვან ხელობაზე და სხვა რამეს, ოღონდ სარფიანს, მოჰკიდონ ხელი. ეტყობა, ძმებმა ბრიგადირობა მიიჩნიეს ასეთად, კერძოდ, მეოთხე ბრიგადას კი იმიტომ დაადგეს თვალი, რომ ტერიტორიულად ახლოა და კოლმეურნეობაში მოწინავეცაა, არ გაუჭირდება აწყობილი საქმის გაძღოლა, მით უმეტეს ოდესღაც ბრიგადირიც ყოფილა და მაინც როგორ ფიქრობ, ნათია, ყოველივე ეს რისთვის სჭირდება კიტას?

ნათიას პასუხი არ გაუცია.

— კიტას უნდა ჯერ ძმა დააყენოს მოფარებულში, ხოლო შემდეგ სხვებს დაერიოს. შინამრეწველები ხომ მრავლად არიან სოფელში. ვერავინ წამოსძახებს ჯერ შენს ძმას მიხედო. თავით მუშაობს კიტა.

— ისე ამბობენ, თითქოს კიტა იყოს ამ სოფლის ბატონ-პატრონი.

— გამოდის ასეა, კონდრატე დაიბეჩავა. — მიკვირს, თვითონ ჯემალი რატომ დუმს?

— მე ველაპარაკე გუშინ ჯემალის, ვუთხარი კოლმეურნეობის იურისტკონსულის, პროფკავშირის თავმჯდომარის და პარტორგანიზაციის მდივნის აზრი: თვით ეძებოს სიმართლის გზა და ჩვენ გვერდით ამოვუდგებითო, მაგრამ ჯემალიმ ცივი უარით თავაზიანად გამომისტუმრა, უთავო გენერლის ადიუტანტობას ბრიყვი ჯარისკაცი თუ ისურვებსო.

ნათიას გაეცინა. — სწორად უთქვამს, მაგრამ უსაქმოდ ხომ არ დარჩება?

— მეც ეს ვუთხარი, მაგრამ მთავარია კაცს გარჯა არ ეზარებოდეს, სამუშაოს კი მუდამ იშოვისო... ისე არ იმჩნევს, თორემ ძალიან გულდაწყვეტილია, შეიძლება გულგატეხილიც.

— ეთერ, ხომ ხედავ რა შემართული, პირდაპირი, მამხილებელი, უნდა იქნეს თქვენი კრება. როგორც წელან გითხარი, ხალხის საკეთილდღეოდ რაც გინდ დიდი ღონისძიებანი ჩატარდეს ზევით, აქ მასებისათვის მაინც მიუწვდომელს გახდინა კიტასნაირნი, თუმცა... ამაში ისინი კი არ არიან დამნაშავენი, არამედ თვით ხალხი, რომელსაც დავიწყებია, ან რომელიც განზრახ ივიწყებს თავის უპირველეს მოვალეობას და თავისთვის ფიქრობს: „მე რატომ, სხვამ თქვას, სხვამ გააკეთოსო“. ეს სხვა კი სხვა არავინ იქნება, თუ არა ჩვენ — ახალგაზრდები.

— გასაგებია, ნათია, ვეცდებით ყოველივე ისე მოგვარდეს, როგორც საჭიროა, მანამ კიდევ გნახავ, ახლა კი წავედი.

— გაგაცილებ.

— მერე ისევ უკან უნდა გამოგაცილო და სჯობია მარტო გავიქცე. ნახე რა თუთარჩელაა, რისი უნდა შემემინდეს? — ღიმილით უთხრა ეთერიმ და დაემშვიდობა.

ნათიას გაახსენდა ბავშვობაში როგორ ემინოდა ეთერის ღამისა, არც ახლა ჩანდა ამ მხრივ გულადი და უეცრად თვითონ დაეუფლა შიში, ვაი თუ შეშინდესო, ფანჯრიდან გახედა მთვარით განათებულ გზას. რა ჩქარა წასულაო გაიფიქრა და კიბე ჩამოირბინა.

ეთერიმ გადასახედთან ბილიკისკენ გადაუხვია, „სქურთას ღელეზე გავალ და მალეც შინ ვიქნებიო“, — გაიფიქრა და ღამეული შიშდაუფლებული გული ცოტათი დაიმშვიდა. ის იყო ბოგირზე ფეხი შედგა, რომ ზურგს უკან ლაწანი მოესმა.

— ვაიმე! — შეჰყვირა ქალიშვილმა და შიშისაგან ისე დაიბნა, გაქცევაც ვერ მოახერხა.

— ნუ გეშინია, ეთერ, მე ვარ._

ხმის გაგონებაზე ეთერი დამშვიდდა.

— ეგებ კარგად გამარკვიო, ან წასვლა რა იყო, ან ეგ უკან დაბრუნება რაღაა? — ცივად მიმართა მან ჭაბუკს.

— იცი რა, მე ბევრი ვიფიქრე და დასკვნა ერთია: უშენოდ არ შემიძლია.

— კიდევ იფიქრე, ეგებ შეძლო.

— ეთერ, გამიგე!

— გაგიგე და იმიტომ გეუბნები! — ამ სიტყვებთან ეთერიმ ნაბიჯი გადადგა. ბოგირი იმდენად ვიწრო იყო, რომ გადარბენისა შეეშინდა და ნელა მიდიოდა.

— ეთერ! — დაუძახა უცებ ჭაბუკმა, რომელიც წუთიერად დააბნია ქალიშვილის უკმეხმა პასუხმა და რამდენიმე ნახტომით მასთან გაჩნდა.

— ეთერ, მისმინე.

— რა გინდა, ზურაბ? შენ იცი და თვით სიყვარულის ღმერთიც მოწმეა, რომ მიყვარდი, მთელი არსებით მიყვარდი...

— წარსულის ენით ნუ მელაპარაკები, ეთერ, მე მინდა ახლაც და მუდამაც გიყვარდე.

— აა, აგრე გინდა? ესე იგი, მე მიყვარდე გინდა? კარგია, ჩემმა მზემ! — ქალიშვილი იცინოდა.

— ეთერ, იცოდე შენ მე დამლუპავ.

— ო, რა მაგრად ხარ საკუთარ თავზე შეყვარებული, — თქვა ქალიშვილმა და უეცრად კითხვით მიმართა: მაინც რა გავაკეთო, რომ „გადაგარჩინო“?

— დაივიწყე ან მაპატიე, რაც მოხდა.

— მე უკვე ყველაფერი დავივიწყე, გესმის? სულ ყველაფერი დავივიწყე, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მჯეროდა მაინც მოხვიდოდი, მოხვიდოდი... გვიან და მიკვირს შენ რატომ დაგავიწყდა, რომ

დაგვიანებული მგზავრისთვის მატარებელი უკან არ ბრუნდება. — თქვა ეთერიმ და წასვლა დააპირა. _

— ეთერ, ნუთუ არ შეიძლება პატიება?

— არა!

ზურაბმა ქვედა ბაგეს კბილები დააჭირა, თვალები დახუჭა და ბოგირის სახელურს ორივე ხელით დაეყრდნო. ეთერის კი ახლოს, თითქოს საკუთარ სულში, ესმოდა ჭაბუკის სუნთქვა, თვალნათლივ ხედავდა, როგორ ბობოქრობდა მის ძარღვებში ამბოხებული სისხლი და ადრე თუ ოცნებაშიც აშინებდა ზურაბთან ასეთი სიახლოვე, რადგან ეგონა მისი მხურვალეობა ჰაერდაკრულ მუმისასავით ფერფლად აქცევდა, ახლა მხოლოდ ჟრუანტელის მომგვრელ სიცივეს გრძნობდა და სურდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა გაქცეულიყო, მაგრამ ფეხს მაინც ითრევდა.

სიჩუმე ეთერიმ დაარღვია.

— ზურაბ, ჩვენ უკვე ბავშვები არა ვართ, რომ სიყვარულობანას თამაში გავაგრძელოთ. დროა ტოლი მოძებნო. მეც ვინმე შესაფერისი მომნახავს. განა ყველა ოჯახში ერთნაირად ფიქრობენ ხელმოკლე ოჯახის უბრალო ქალიშვილზე? განა ყველა ზიზღით უყურებს მაზუთში „ჩამოსვრილ“ გოგონებს?...

— ეთერ, მე სიყვარულობანა არ მითამაშნია, მე შენ წმინდა სიყვარულით მიყვარხარ და არ მაინტერესებს, ვინ ვის როგორ აფასებს.

— შენ ასე გგონია, ზურაბ, დიახ, გგონია მხოლოდ. ის სიყვარული კი, რომელიც ოჯახს უნდა დაედოს საფუძვლად, სულ სხვაგვარია, მაგით არ ვაჭრობენ!

ეთერიმ ბოლო სიტყვები ხაზგასმით წარმოთქვა და ისე სწრაფად გადაირბინა ვიწრო ბოგირი, თითქოს შემოდგომის ფოთოლი გაეტაცებინოს ქარს.

ზურაბს ხმა არ ამოუღია, არც განძრეულა, ის თვალებგამტერებული გაჰყურებდა აღმართს, რომელზეც მოკირწყლული გზა ისე ჩანდა, თითქოს მხატვარს მუქ ფერებს შუა თეთრ საღებავიანი ფუნჯი დაუსვამსო.

აღმართზე ეთერი ადიოდა.

ჭაბუკი შექანდა. მის თვალწინ მბრწყინავი რგოლები აირივნენ, ყურებში რაღაც ისე აგუგუნდა, თითქოს იქვე ახლოს დემონი ხარხარებსო. მაგრამ

ეს იყო ერთი წუთით, მერე ისევ მიწყნარდა ყოველივე და გონების ეკრანზე წუხანდელი სიზმარი აირეკლა: თეთრკაბიანი ეთერი ღრუბლებზე მიაბიჯებდა, მის ნატერფალებზე ქათქათა ვარდები იშლებოდნენ, ხელში თეთრი ლანგარი ეჭირა, ზურაბი ლანგარს დააკვირდა... პაწია მფეთქავი გული დაინახა, გული, რომელიც წითელ ყაყაჩოებს შორის იყო და ქალიშვილს სადღაც ფრთხილად მიჰქონდა. ზურაბი მიხვდა... ის ეთერის გული იყო.

— ეთერ! - შესძახა ზურაბმა, მაგრამ მაშინვე თავბრუ დაეხვა და ძლივს გადავიდა ბოგირზე.

იქვე ჩამოჯდა.

კვლავ ახარხარდა დემონი. .

— ახია ჩემზე, არ მაპატიებს! — ჩაილაპარაკა და ხელებში ჩარგო თავი.

— ზურაბ! — ნათქვამთან ერთად მხარზე მსუბუქი ხელის დადება იგრძნო, სწრაფად აიხედა და გოცებით შესძახა:

— ნათია, შენა?

— მე ვარ, ზურაბ, წამო, წავიდეთ.

ზურაბი წამოდგა. ისინი ბოგირისკენ შებრუნდნენ და ისე გადაიარეს, თხმელიანშიც ისე შევიდნენ, რომ ხმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის.

— ზურაბ! — ნათიამ დაარღვია სიჩუმე, — ეთერი ჩემთან იყო. ვიფიქრე ე, მარტოს არ შეეშინდეს-მეთქი და უკვე წამოსულს გამოვუდექი უკან. გადასახედიდან კი მთვარის შუქზე ვნახე, ბოგირთან როგორ შეხვდით ერთმანეთს, იმასაც მივხვდი, რომ ამ შეხვედრას სიკეთე არც ერთისთვის არ მოუტანია, რაშია საქმე?

ზურაბი დუმდა.

— შენ იცი, თქვენი სიყვარულის ერთადერთი მოწმე ვიყავი, აბა გაიხსენე, რამდენჯერ გამომიჯავრებინარ თბილისში, როცა დაღონებულს დაგინახავდი, უდაბნოში ხომ არ ხარ, ბიჭო, გულიდან დარდი რომ ვერ გადაიყარო-მეთქი. ერთხელ ასე მიპასუხე: ლალიძის წყალი სასიამოვნოა, მაგრამ წყაროს წყალივით მაინც ვერ კლავს წყურვილსო.

მე მიხაროდა შენი ასეთი პასუხი, რადგან ამაღლებულ გრძნობაზე დიადი და მშვენიერი არაფერი არაა ქვეყნად, ახლა კი გოცებული ვარ.

— ეთერიმ ვერ გამიგო, ის ამაყია!

— ეთერიმ ვერ გაგიგო? ეთერი ამაყია? — მხრები აიჩეჩა ნათიამ. — არ

მესმის.

— დიახ, ასეა, აბა ისეთი არაფერი მომხდარა ჩვენს შორის, რომ პატიება შეუძლებელი იყოს. ის მე მიყვარს... მე ბევრი ვიფიქრე, გამიგეთ, ბევრი ვიფიქრე...

— რაზე იფიქრე, ზურაბ?_ ნათიამ მოულოდნელად შეაწყვეტინა ჭაბუკს.

— სარფიანი თუ იქნებოდა ეგ სიყვარული იმაზე? ან როდის მიხვდი, რომ დაფიქრება იყო საჭირო?

ზურაბი დაიბნა.

— მე არ დავიჯერე, შენი წასვლის მიზეზი რომ მითხრა მაიამ. ეთერისთვის კი არაფერი მიკითხავს. მსურდა შენგან გამეგო სიმართლე, ვერაფრით ვერ შევძელი შევგუებოდი იმ აზრს, რომ შეიძლებოდა იმ ოცნების კომკისათვის, რომელსაც შენ აგებდი, თვითონვე დაგენგრია საძირკველი. თქვენი ურთიერთსიყვარული იმდენად წმინდა და მტკიცე მეგონა, რომ თვითონაც თვალნათლივ ვხედავდი მყუდრო ოჯახს, სადაც თვალეზმხარა გოგო-ბიჭების ტიკტიკი ბედნიერების ულამაზეს ჰანგებად იღვრებოდა და ავსებდა ჯერ თქვენს ტკბილ ბუდეს, იქედან კი მთელ სამყაროს ეფინებოდა, ხოლო როცა ოცნება სინამდვილეს დაუახლოვდა, როცა ერთი პატარა ნახტომილა იყო საჭირო ბედნიერების საუფლოში მოსახვედრად, შენ თურმე განზე გახტი და ახლა მეც აშკარად ვხედავ, რომ იმ მცდარი მანევრით სწორ გზას აცდი და უფსკრულისკენ მიექანები. გეტყობა, უკვე შენც გრძნობ ამას და გსურს თავი გადაირჩინო. მართალს ვამბობ თუ არა, ზურაბ?

ზურაბმა კვლავ არ უპასუხა.

— შენ, მშობლების მიერ ეკონომიურად უზრუნველყოფილს, ცხოვრებაზე ზერელე წარმოდგენა გქონია. მართალია, ოცნებობდი სიყვარულით ნაგები ოჯახი გქონოდა, გჯეროდა, შენც შეიფერებდი ამას, მაგრამ არასოდეს არ დაფიქრებულხარ იმაზე, რომ დამოუკიდებელი ოჯახის პატრონს თუ რა უღელი დაგედგმებოდა, ხოლო როცა დაფიქრდი... დაფრთხი. მანამ შენ ხომ არც გაინტერესებდა, საიდან მოდიოდა ის ფულები, რომელიც, თუ ხელს ჩაიყოფდი, ყველა ჯიბიდან ამოგყვებოდა. შენ სასტუმროს „ლუქსი“ ნომერივით კეთილმოწყობილი ცხოვრება წარმოგედგინა მხოლოდ და მე თვითონ ნათლად მაქვს წარმოდგენილი შენი გაოცება, დაბნევა მაშინ, როცა იგი ვარდისფერი სამოსის გარეშე, პირდაპირი, შიშველი სახით გიჩვენეს.

ინსტიტუტის დამთავრებასთან ერთად შენს ოჯახში იშვა ახალი პრობლემა: როგორც ერთადერთი ვაჟიშვილს, დროულად უნდა შეგექმნა ოჯახი, მაგრამ როცა განაცხადე საცოლედ უკვე მყავს ამორჩეული ეთერ ლოლუაო, საოჯახო კონსილიუმმა ერთხმად შეიცხადა და გადაჭრით გითხრეს მოგკვეთავდნენ ოჯახიდან, თუ ამ ნაბიჯს გადადგამდი, რადგან დედაშენს რძლად წარმოდგენილი ჰყავდა მხოლოდ და მხოლოდ გავლენიანი ოჯახის შვილი და, რა თქმა უნდა, ისიც ექიმი.

— ნათია, ეგ ყველაფერი მოგონილია.

— არა, ზურაბ, ეგ სიმართლეა, მათქმევინე ბოლომდე! შენ თავიდან ყურადღება არ მიაქციე მშობლების პროტესტს, მაგრამ თანდათან მოტყდი. დედაშენიც ფარული შეტევის პოზიციაზე გადავიდა, მან ვითომ სხვათა შორის, დაიწყო მეზობლებში საუბარი შენს მომავალზე, სარძლოზე, რომელსაც ყოველნაირად ეთერის საპირისპირო ფორმაში ხატავდა. ცისფერთვალეა და ქერა არ მინდა, აუცილებლად, შავთვალეა და ემხიანი უნდა იყოს, რომ ნაჯვარიც საუცხოო გამოვიდესო. არ მალავდა, რომ პროფესიით ექიმი უნდა ყოფილიყო, თანაც ტერიტორიულად შორიდან. „ჩემი შვილი ცოლოურისას რომ მივა, ოთხფეხი თუ არა, ქათამი მაინც მუდამ უნდა დაუკლანო“. ამით განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს ეთერისა და თქვენი ოჯახების ტერიტორიულ სიახლოვეს.

ეს ყველაფერი ესმოდა, მაგრამ არ ჯეროდა ეთერის, თანდათან შენც რომ შეიცვალე, ძველებური სითბო და პეწი რომ დააკლდა თქვენს ურთიერთობას, ამას ყველაზე უკეთ ვინ იგრძნობდა, თუ არა ეთერი? მალე რუსეთში წახვედი, ვითომ სწავლის გასაგრძელებლად, მართლა ამ მიზნით წახვედი?

ზურაბი კვლავ დუმდა.

— შენ გეკითხები, ზურაბ!

— არ ვიცი.

— იცი! შენ იცი, მაგრამ არ ამბობ, არ შეგიძლია, რომ თქვა. სამაგიეროდ მე ვიტყვი: შენ არ გეყო ნებისყოფა, შენ სულიერად უმწიფარი გამოდექი, შენი ვაჟკაცობა გაზულუქებული დედას ბიჭის მამლაცინობა გამოდგა და მოსალოდნელი ქარიშხლის შორეულმა ექომაც კი საპნის ბუშტივით იავარგყო, მაშინ როცა ყველას ეგონა შენ ნიავექარი კი არა, თვით ქარბორბალაც ვერ გიზამდა ძვრას. სხვანაირს არც ეთერი შეგიყვარებდა.

შენ იმისი ნებისყოფაც არ აღმოგაჩნდა, რომ დაგვევიწყებინა ეთერი. ვერ შეძელი, თუმცა ძალიან გინდოდა და ამიტომ მობრუნდი უკან.

— ნათია, ნუ მტანჯავ, შენ მაინც ჩაიხედე ჩემს გულში.

— რომელ გულში, ბიჭო, წმინდა სიყვარულისთვის ჩარჩის სასწორი რომ ჩაგიდგამს, იმ გულში? !

— თუნდაც აგრე იყოს, რაკი ყველა ასე ამტკიცებთ, მაგრამ ნუთუ არ ხედავთ პინა საით გადაიხარა? ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს? — ზურაბს ისე შეცვლოდა ხმა, ისე მუდართით ამბობდა, რომ ნათიას შეებრაღა; — ნათია, მხოლოდ შენ შეგიძლია დამეხმარო იმ გაწყვეტილი ჯაჭვის გამრთელებაში, რომელიც ჩემი და ეთერის გულებს აერთებდა.

— როგორ?

— მე ვიცი, შენ ამ წუთებშიც გესმის ჩემი, ამიტომაც შეგიძლია აპატიებინო ეთერის...

— დავუშვად გაპატია. შენ მზად ხარ, უფრო სწორად, დარწმუნებული ხარ გაუძლებ იმ სიმძიმეს, რა ძალითაც დაგაწვება ახალი, ხელმოკლე ოჯახი, თუ მართლა მოგკვეთავენ შენები? შენ ხომ ამით შეგაშინეს, დაგაფრთხეს, ზურაბ?

— შევძლებ! მე დავამტკიცებ, რომ ქარბორბალაც ვერ მიზამს ძვრას!

— მაშინ შენ მტკიცედ უნდა იდგე მიწაზე, როგორც ფესვმაგარი ბერძენი,

— დავდგები! |

— ზურაბ! — შესძახა აღტაცებულმა ნათიამ და სიყრმის მეგობარს კისერზე ჩამოეკიდა, რომ მისი თვალებიდან უშუალოდ ამოეკითხა ამ პასუხის სიმტკიცე.

ჭაბუკი გულლიად იღიმებოდა.

— ზურაბ, მე ამ წუთიდან ისევ მჯერა შენი, მაგრამ ეთერის ჯერ არაფერს გავუმხელ.

— რატომ? !

— სჯობს საქმით დაამტკიცო ნათქვამი და რაკი საშუამავლოდ გაიხადე საქმე, შენივე მოქმედებით აღდგენილ რწმენაზე უკეთეს შუამავალს ვერ იპოვი. მე დარწმუნებული ვარ, ეთერი ყველაფერს გაპატიებს.

— მაშ, ისევ...

— რა თქმა უნდა, უყვარხარ, მაგრამ... ამაყია! დიახ, ამაყია! - ღიმილით

დაასრულა ნათიამ და კიდევ დაემშვიდობა ჭაბუკს.



— მე ისე ბევრს ვფიქრობ ამ საკითხზე, იმდენ ვერსიას წარმოვიდგენ ხოლმე, ზოგიერთს ისე დამაჯერებლადაც, რომ ხანდახან მეშლება კიდევ, რომელია ვერსია და რომელი სინამდვილე. ზოგჯერ მგონია, რომ ოთარი არაა დამნაშავე, ოთარი ვერ მოკლავდა ირინეს!...

— შენ მართალი ხარ, ნათია, ოთარი არაა მკვლელი!

— რა სთქვი, თამაზ?

— ოთარი არაა მკვლელი!

— შენ ასე გჯერა?

— მჯერა.

— და ისიც გჯერა, რომ ირინე არავის მოუკლავს? რომ ირინე წყალში დაიხრჩო?

— არა, ეგ არა მჯერა! გესმის? არა მჯერა, მაგრამ ვერც ვერაფერს ვაკეთებ სიმართლის დასადგენად.

— შენ, რაიონის მილიციის უფროსი, თამაზ ჯაიანი ამბობ ამას? შენ მე სხვანაირს გიცნობდი!

— საუბედუროდ ისეთივე ვარ, როგორსაც მიცნობდი.

— რატომ საუბედუროდ?

— განა უბედურება არაა, კაცი რაიონის მილიციის უფროსად ითვლებოდე, დარწმუნებული იყო, რომ უბედური შემთხვევა, რომლის მსხვერპლიც შენი თანაკლასელია, სულაც არაა შემთხვევა, იგი განზრახ მკვლელობაა და შენ სიმართლის თქმის უფლება არ გქონდეს?!

— თამაზ! — სასოწარკვეთილმა ნათიამ უილაჯოდ შეხედა ამხანგს და ველარა თქვა.

— შენ, ამხანაგო ლორია, როგორც ჟურნალისტი, ამავე დროს იგივე მსხვერპლის თანაკლასელი, ფიქრის გარდა საქმით, ოფიციალური საქმით რას აკეთებ?

ნათიამ იგრძნო, როგორ აეწვა ლაწვები, როგორ დაცეცხლა სხვისი ენით ნათქვამმა სიმართლემ, მაგრამ სანამ უპასუხებდა, ისევ თამაზიმ განაგრძო:

— ვიდრე ქვარაია რაიკომის პირველი მდივანია, ჩემო ნათია, შენებურად ვერც შენ გამოიყენებ შენს კალამს და ვერც მე ჩემს უფლებებს. მე ამ საკითხზე არაერთგზის ვყოფილვარ რაიკომის მდივანთან და პროკურორთან. პროკურორი მაინც რომ თანამიგრძნობდეს, რა მიჭირს, მაშინ უფრო გაადვილდებოდა საქმე, მაგრამ დაჩი გელოზია ხომ სანდრო ქვარაიას თავით აზროვნებს. იცნობ გელოზიას პიროვნებას?

— სამწუხაროდ, კი! — ასე რომ, ძალზე რთულია მდგომარეობა. — გამოსავალი არ არსებობს? _

— ქვარაიას ზევით ძალზე დიდი მფარველი ჰყავს და სწორედ ესაა მისი საქმიანობის თუ შეხედულების განმპირობებელი. მან იმასაც კი მიაღწია, რომ ერთი ორდენილა აკლია სოციალისტური შრომის გმირობისთვის. ახლა იმ ორდენისთვის იბრძვის და ასე მოულოდნელად გამომტყვერალი მკვლელობა მის მიზნებს წყალს შეუყენებს. ხომ გამიგე?!

— ეგ ყველაფერი ვიცი და მაინც რას ფიქრობ, რა ვქნათ?

— მე ერთი რამ მჯერა... — შეყოვნდა.

— რა? — სულმა წასძლია ნათიას.

— მალე მომიხდება რაიონიდან წასვლა.

— თამაზ!

— ასეა... აბა გაიხსენე, როგორ უნდოდა სასკოლო გუნდის ხელმძღვანელს შენ სოლო სიმღერა გემღერა, მაგრამ ვერაფრით ვერ შეძლო შენი ხმა სამაგისოდ დაეხვეწა.

— მე სიმღერის ბუნებრივი ნიჭი არ მქონდა, — წამიერად გაახალისა ნათია ბავშვობის მოგონებამ.

— ჰოდა, არც მე მაქვს მლიქვნელობის ბუნებრივი ნიჭი. ბევრს ეცადა, მაგრამ ქვარაიამ ჩემგან ვერ გამოძერწა მლიქვნელი.

თამაზიმ ნაღვლიანად გაუღიმა ნათიას, მხარზე ხელი დაადო და დინჯად უთხრა: — როცა თავს ზევით ძალა არ არის, მაშინ „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს!“



ნათია პასუხისმგებელი მორიგე იყო. მან საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ორი ფურცელი უკმაყოფილოდ გადადო გვერდზე და ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— ალო, სერაპიონ, ერთი წუთით ჩამოდი საკორექტოროში.

ყურმილი დადო და ისევ აიღო ფურცლები. „სერაპიონთან რა მინდა, — ფიქრობდა ქალიშვილი, — ის ქლესა იმას აკეთებს, რაც ზემოთ მდგომთა მიზნებს მოერგება. ის კარგად იცნობს ბიძინას მერყევ ხასიათსაც და საერთოდ იცის, როდის რა თქვას და როგორ, რომ მისი ერთგულებით მუდამ ნასიამოვნები იყვნენ სასურველი პირები...“ — ამ დროს სერაპიონიც შემოვიდა.

— სერაპიონ, მგონი რეიდის მასალებს სიზუსტე აკლია! — პირდაპირ უთხრა მან სერაპიონს და ქაღალდებზე მიუთითა.

— ცდები, ნათია, ზედმიწევნით შემოწმებულია სამსახურში დროულად გამოუცხადებლობის მიზეზები და აქ აღვნიშნეთ მხოლოდ არასაპატიონი, — უპასუხა სერაპიონმა. —

— სერაპიონ! — მკვახედ მიმართა ნათიამ და ჯიქურ შეხედა.

სერაპიონს ზამთარ-ზაფხულ ბოლოკვიტით წითელი ცხვირის ნესტოები აუთრთოლდა.

— შენი ხნის კაცს, სერაპიონ, ნუთუ არ გრცხვენია, ასე ზერელედ რომ ეკიდები საქმეს? რატომ გავიწყდება, რომ პატარა დაუდევრობით შეიძლება ადამიანს გამოუსწორებელი სულიერი ტრავმა მიაყენო?! — ნათიამ თვალი თვალში გაუყარა სერაპიონს, მაგრამ ის ისე ცივად შეჰყურებდა, რომ არავითარი რეაგირება არ მიუცია შეკითხვისათვის, — რატომ შეიტანეთ სიაში ტყუპების დედა, ბავშვები ჯერ წლისანი არ არიან და ამდენად მას უფლება აქვს ერთი საათით გვიან გამოცხადდეს და ერთი საათით ადრე წავიდეს სამსახურიდან, ესეც რომ არ იყოს, — სერაპიონმა ყურები ცქვიტა, რაც ნათიას არ გამოჰარვია — ქალი რაიონის მილიციის უფროსის მეუღლეა და ათი წუთით სამსახურში დაგვიანებისათვის გაზეთში უნდა გამოვჭიმოთ?

— თქვენი პირველი დებულება შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ მეორეთი ვერ გაამართლებთ მას! — თავშეკავებული საზეიმო ხმით უპასუხა სერაპიონმა და ეხლა თვითონ გაუყარა თვალი თვალში. —

კანონი ყველასთვის ერთია და არავის არა აქვს მისი დამახინჯების უფლება. ჩვენში დიდი ხანია პრივილეგიები მოისპო

— შენ ხარ იმაში დარწმუნებული, რასაც ამბობ და ატარებ მაგ აზრს ცხოვრებაში?

— დიახაც ვარ და ვატარებ კიდეც.

— მაშინ ქვარაიას მეუღლეს საავადმყოფოს აფთიაქში მუშაობს. ის იყო დროზე მისული?

— აფთიაქი არ შეგვიმოწმებია ჩვენ.

— როგორ თუ არ შეგვიმოწმებიათ. საავადმყოფოს აფთიაქის თანამშრომელი იმავე შტატში ხომ ირიცხება, რომელშიც ეს ჩვილბავშვიანი ექიმი?

სერაპიონი დაიბნა, ნათიამ კი პასუხის მოფიქრებაც არ აცალა,

— იმახი, პრივილეგიები ჩვენში დიდი ხანია მოისპო და ამ აზრის მტკიცე დამცველად რომ მოგაქვს თავი, რატომ გაუშვი ხელიდან ეს მშვენიერი ფაქტი? ან თუნდაც ადრინდელი ფაქტი?

— რა ფაქტი? — ყური ისევ ცქვიტა სერაპიონმა.

— არ გახსოვს, ამ ათიოდე დღის წინ რომ მიყვებოდი და მიმტკიცებდი კიდეც, ვისაც აქვს მაგას გააქვსო, კაცს ან ძალა უნდა გქონდეს, ან ფულიო, რომ შენს გემოზე გაატარო შენი დღენი, თორემ ეგ ცხოვრება ფეხქვეშ ჩელტივით დაგიგებსო. „რატომ, რა მონდა ასეთი“? — გკითხე მაშინ მე. „ხომ იცი რაიკომის პირველი მდივანი სად ცხოვრობს?“ — კითხვაზე კითხვით მიპასუხე შენ. მე ვიცოდი და დაგეთანხმე. ამის შემდეგ კი მოყევი, რომ იმ ეზოში, სადაც მდივანი ცხოვრობდა, ოთხოთახიანი სათავსო იდგა, რადგან თვით სახლიც ოთხბინიანი იყო. მოძველებული სათავსო არ მოეწონა ქვარაიას და ააღებინა, სამაგიეროდ ახალი საძირკველი გაჭრეს. ყველას ეგონა იქაც ჰქონდათ ძველი წილი და მადლიერების თვალთ უყურებდნენ მშენებლობას, მაგრამ მალე დაეჭვდნენ, რადგან კედლები საძირკველს აცდა თუ არა, მაშინვე შეეტყო, რომ მას ერთი კარი ექნებოდა. ოთხი ოჯახი კი ერთი კარით, ისიც დამხმარე სათავსოში, აბა როგორ ისარგებლებდა. მალე თვით კომუნალურმა განყოფილებამ ახადა ფარდა ჭემმარიტებას — ეგ მხოლოდ მდივნისთვის შენდება და, საერთოდ, აკრძალულია ეზოში სხვა რაიმე დამატებითი შენობის, თუნდაც გარაჟის, ჩადგმაო, „მითხარი, ეგ სადაური კანონია, რომ კეთილმოწყობილ ოთხ ოთახში ორი სული ცხოვრობდეს,

მამაკაპური მარანიც აიშენოს და გვერდით ორ ოთახში ექვსი ბავშვი ძლივს სუნთქავდეს. დამატებითი სათავსოს გამოყენების საშუალებაც არ მისცეს, როცა არის ამის შესაძლებლობა? — მკითხე მაშინ შენ. „რას იზამ, იმაზე უარესიც ხდება“, — გიპასუხე მე. „აგერ გეტყვი მაგ უარესსაც, — საავადმყოფო ახლახან ისე შემოაკავეს, რომ ეზოში შესასვლელი და გასასვლელი ერთი კარი ყოფილიყო, სამაგიეროდ იმ კარებმა მდივნის მეუღლეს რამდენიმე ათეული მეტრით დაუგრძელა გზა აფთიაქამდე, მაგრამ გამოსავალიც გამოინახა: საგანგებოდ გაკეთდა კუტიკარი, რომელსაც ბოქლომი დაადეს. გასაღები კი ირას ჩააბარეს. მაგანაც, როგორც რაიონის თავკაცის მეუღლემ, შეიფერა ეს პატივი და როცა სხვებს დისციპლინის განმტკიცებისაკენ მიუთითებდნენ, მაშინ სწორედ ის, ვისაც ევალეობდა პირველ რიგში თვით ყოფილიყო სამაგალითო, საწინააღმდეგო როლში გამოდიოდა... ვითომ უნებურად? — არა მგონია. ეგ მხოლოდ სხვისი გაბრიყვებაა და განა შეიძლება? მოსათმენია ეს?“ — გაბრაზებულმა მკითხე მაშინ. ახლა კი მე გეკითხები:

— მაინც რამდენი ხანია ჩვენში პრივილეგიები მოისპო?

სერაპიონს ცხვირის სიწითლე მთელ სახეზე მოედო. პასუხი არ გაუცია.

— სიმართლე თუ გინდა, იმ დღიდან ყოველდღე ველოდი კაოგად დაწერილ ფელეტონს, რადგან ასეთ საინტერესო ფაქტს ნამდვილი ჟურნალისტი უყურადღებოდ არ დატოვებს.

— გეტყობა, ძალიან მოგწონებია, ისე გაგიზიჰპირებია და მიკვირს შენ თვითონ რატომ არ გამოიყენე?

— როგორ თუ მე, მასალას შენ მიაკვლიე, ნათქვამს არ დავუჯერე და თვითონ შევამოწმეო და ამის შემდეგ მე რა უფლება მქონდა? შენ კი მართლაც რომ კარგი ფაქტი უგულვებელყავი, — თქვა ნათიამ და სერაპიონს შეხედა, რომლის გაცეხებული თვალებიც აშკარად ამბობდნენ: „ხომ არ აურია ამ უბედურმაო“.

ნათიას გაეცინა და უკვე რბილად უთხრა: — ეგრე ნუ მიყურებ, სერაპიონ, მე სრულ ჭკუაზე ვარ და ამ ჭკუით ერთი არაკი უნდა გითხრა: ერთხელ ლომმა, ნადირთ მეფემ, ცოლის შერთვა გადაწყვიტა და მალე საცოლევ დანიშნა. მთელი ტყის ბინადარნი იმხანად სადედოფლოს თვალტანადობით და გონებით იყვნენ აღტაცებულნი, მართლაც რომ სადედოფლოაო — გაიძახოდნენ ისინი. გავიდა ხანი, ლომმა გუნება იცვალა და უარი განაცხადა არჩევანზე. იმავე წუთს ტყემ ფირფიტა გადააბრუნა და... მზეთუნახავიც „მახინჯად“ იქცა.

— ნათია, შენ შენებურად მართალი ხარ და მე ვერ გამიგებ, რადგან მუხლზე დაჩოქილს არ აგიწევია ტვირთი. ჩემს ჯიბეს კი ოთხი სული შეჰყურებს. იცი ეგ რას ნიშნავს? — თქვა სერაპიონმა და სანამ ნათია პასუხს გასცემდა თვითონ უპასუხა — არ იცი ეს შენ!

მან წასვლა დააპირა.

— მოიცა, სერაპიონ, მე საწყენად არაფერს გეუბნები, ერთი რამე კი უნდა გთხოვო: არ დაკარგო ის მონაცემები, რადგან იმ არაკისა არ იყოს, მაგისი დროც დადგება და მას ისე ვერავინ გამოიყენებს, როგორც შენ! — სერაპიონი უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

— დიახ. ის დროც დაუდგება! — ჩაილაპარაკა ნათიამ. — თუმცა დღეს ტყუილუბრალოდ დავუფრთხე ანგელოზები სერაპიონს.

სერაპიონისთანებმა კი არა, ლამის ვეფხვებმა დაიწყონ ფინიასავით წკაწკაწკავი, რადგან ვინც ვეფხვურად დაიღრიალა, ბოლოს ექვიც კი შეეპარა საკუთარ ვეფხვობაში. ახლა კი, აშკარაა, თამაზის რიგია.

— ეხ, ბიძინა, შენც არა ხარ მართალი გაზეთი თუნდაც რაიონული, ასე უნდა ემსახურებოდეს სიმართლეს? ეგაა შენი ადამიანური ვალი? თუმცა... რა ქნას? ქვარაიასთან მორქენალს ვის შერჩენია რქები და, ბუნებრივია, ეშინია ბიძინასაც.

ნათიას მოზღვავებულმა ბრაზმა გულზე მოუჭირა და სულის მოსათქმელად სუფთა ჰაერზე გავიდა.



— კედელს ნახშირი. კედელს ნახშირი. — შესძახა ნანომ და მოეხვია ოთახში ჩუმად შემოპარულ ნათიას. — გოგო, რა არის, რომ მთელი კვირეებით არ გაგახსენდები ხოლმე, დედა მაინც არ გეკითხება ჩვენს ამბავს, ან თუ გკითხავს, როგორ ატყუებ ნეტავ?

— კარგი რა, ნანო, ისე ამბობ, მართლა მიბრაზდებოდე. ბიცოლამ იცის ჩემი ამბავი და ტყუილი არ მჭირდება.

— მართლაო? არ გჯერა, რომ გიბრაზდები თუ?!

— არ მჯერა, აბა შემომხედე. ნანომ შუბლი შეიკრა, მაგრამ ნათელმა თვალებმა მაინც გასცეს.

— ხომ გითხარი, შენ ვერ შეძლებ გამიბრაზდე-მეთქი! — ტაში შემოჰკრა ნათიამ და ლოყაზე აკოცა.

მერე აკვანში მძინარე გოგონას გაეთამაშა. ამ დროს ბიჭებიც შემოცვივდნენ.

— აბა პირველი ვინ მოვა ჩემთან? — დაუძახა მათ ნათიამ და ხელგაშლილი ჩაცუცქდა.

უფროსმა დაასწრო და გულში ჩაეკრა ქალიშვილს, გულდაწყვეტილი უმცროსი ბიჭუნა კი ზღუპუნით აეკრა კედელს.

— უტა, ახლა ჩვენ გავიქცეთ ლაშასთან. — ნათიამ ხელი ჩაჰკიდა ბიჭუნას და პატარასკენ გაიქცნენ. ლაშა მაშინვე ჩაეხუტა ნათიას.

— ლა მომიტანე?? — ატიტინდა ის.

— ფოჩებიანი კამფეტები.

— ალ მინდა.

— მაშ რა გინდა?

— უტა, ლა გვინდა? - დაეკითხა უფროს ძმას.

— რევოლვერი, ქამრიანი რევოლვერი.

— ოო, მგონი მოგიტანეთ. — თქვა ნათიამ და ხელჩანთა გახსნა. — აი, აგერ ყოფილა, მაგრამ ჯერ მაკოცეთ.

ბავშვებმა ერთხელ კიდევ გადაკოცნეს ნათია და მერე საჩუქრებითურთ გაცვივდნენ გარეთ.

— ნათია, ნუ გააფუჭე ეგ ბავშვები. ან ესე რომ გიყვარს პატარები, რას უცდი, რას არჩევ ამდენს? ვილაცას ცხენი ხელში შეაბერდა და მაინც კვიცს ეძახდაო...

— ფედოსი ბებია მემუქრება, დიდ ორშაბათს მლაშე კვერები უნდა გაჭამო და ისეთი მზეჭაბუკი დაგასიზმრო, რომ მეორე დღეს რკინის ქალამნებით და რკინის ჯოხით ხელში გაუდგე გზას მის სამებნელადო.

— შენ სულ ხუმრობ, ნათია და ის კი გავიწყდება, რომ ყვავილი მაშინაა მიმზიდველი, მაშინ ეტანებიან, როცა ახალი გაშლილია და სურნელს აკმევს, მერე კი ისე ჩაუვლიან, არც კი შეამჩნევენ.

— ოჰ, რა ენამწარე ხარ, ჩემო ნანო, — უპასუხა ნათიამ, რომელიც უკვე

სარკეში იმზირებოდა, — ჩემს ორეულს რომ ვათვალიერებ, ასე მგონია ჯერ კიდევ კოკორი ვარ, არა თუ გაშლილი ყვავილი და მაცალე, ცოტა მეც დავტკბე მზის ალერსით.

— ალუ ხარ, შენმა მზემ! — ვითომ ბრაზით, მაგრამ სიყვარულით უთხრა ნანომ და ახლა სარკეში შეათვალიერა ქალიშვილი. თითქოს სარკეში უკეთ ჩანდა, ერთხანს დაკვირვებით ათვალიერებდა: მაღალი, ასხლეტილი ტანი, გულწარმტაცად მოღერებული ყელი, სახის ჯანსაღი ფერი, დიდრონი, შავი თვალები, მაღალი შუბლი და გვერდზე გადავარცხნილი გაშლილი თმა მართლაც რომ სასიამოვნო, შეგრძნებას იწვევდა მნახველში და ნანომ გულწრფელად აღიარა: — ჩვენში დარჩეს და ჯერ კიდევ არაა გვიანი!

— გიშველა ღმერთმა! ახლა ვფიქრობდი, აქედან რომ გავალ, თავს რომ ვუშველო, ვინც პირველი შემხვდება, იმას ავეკიდები მეთქი. კიდევ კარგი, შარში არ გავეხვიე! — დაღლილი ადამიანის კილოთი თქვა ნათიამ.

— უი, შენ კი გაქრი, შენებური რომ არ ჩაუერთო, არ იქნება._ იცინოდა ნანო.

— ნანო, მე მესმის შენი, ვიცი, ბიცოლაც ძალიან განიცდის ჩემს „სიბერეს“, მაგრამ რა ვქნა... უსიყვარულოდ გათხოვება არ მწამს. — უკვე სერიოზულად თქვა ნათიამ.

— მერედა ვინ გეუბნება, უსიყვარულოდ გათხოვდიო? — მაშ რა ვქნა?

— ადექი და შეიყვარე ვინმე. განა არ ვიცი, რამდენი ვიემე... — თვალი ჩაუკრა. — მაგრამ ჩემი გამოცდილებიდან გეტყვი და გახსოვდეს შენც: ხელი მას მიეცი მხოლოდ, ვინც შეძლებს გული წაგართვას. ბედნიერი იქნები მაშინ!

— ხოო, მაშ დაველოდები ამგვარ მზექაბუკს! — თავისებურად გადაიკისკისა ნათიამ და ნანო გულში ჩაიკრა. — დაველოდები, მგონი არც ისე შორსაა. — თქვა ნათიამ და ამოიხვნეშა.

ნანო შეკრთა.

— ნათია, რატომღაც მგონია, რომ შენ თავს ძალას ატან, თორემ ხუმრობის ხასიათზე სულაც არა ხარ, თითქოს რაღაც საიდუმლოც გაქვს.

— შეიძლება? — გაისმა ამ დროს ქალიშვილის ხმა, რომელიც ღია კარებში უკვე შემოსულიყო.

— მოდი, ფუფა! — გასძახა ნანომ.

ფუფა მიესალმა დამხვდურთ. ნათია გადაკოცნა, რა ახალ მთვარესავით გამოჩნდები ხოლმეო უთხრა და მის გვერდით ჩამოჯდა, თან ღრმად ამოიხვნეშა. სეტყვიანის მეცხოველეობის კომპლექსი, სადაც ფუფა მუშაობდა, რაიონულ ცენტრთან ახლოს იყო და ქალიშვილი ხშირად დადიოდა ნანოსთან.

— ფუფა, ძალიან დაღლილხარ, გეტყობა.

— მაშ ვის შეუძლია ამდენ საქმეს და განცდებს გაუძლოს?

— რა განცდები გაგჩენია ასეთი?! წელან ნათიას რომ ვეუბნებოდი, იმისი არ იყოს, გათხოვდი შენც და მოგეშვება გულზე.

— გავთხოვდე კი არა ერთბაშად ხელის გულზე არ დამისვას ვინმემ.

— მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტია, გოგო! ეგებ დაგისვან ხელის გულზე, რა იცი? !

— მაგას ბედი უნდა, ჩემო ნანო, ოჯახისთვის თავდადებულ ახალგაზრდებს სადღა იპოვი დღეს. ათასში ერთი გამოერევა და ისიც რაღა მე შემხვდება?

— შეგხვდება, რატომაც არ შეგხვდება?

— რომ არ შემხვდეს? — ვალს მოიხდი მაინც.

— რომელ ვალს, ვისი რა მმართველს?

— ქვეყნის ვალს, ფუფა, შვილს გაუზრდი სამშობლოს.

ფუფა უცებ გაფითრდა, თითქოს ცრემლიც მოადგა თვალებზე. მერე საოცრად შეცვლილი ხმით მიმართა ნანოს.

— შენ როგორ ფიქრობ, მე არ ვოცნებობ, გგონია, მომავალზე? ბავშვებზე? მაგრამ ისეთ რამეებს რომ ვხედავ და მესმის, გული მიცივდება ხოლმე.

— რა ოხრობა გესმის ასეთი? — შეწუხდა ნანო.

ფუფამ ამოიხვნეშა.

— აი, თუნდაც აკვანში რომ წევს, იმ პატარას რამდენი რამე დასჭირდება მანამ, სანამ დამოუკიდებელ ადგილს დაიჭერს საზოგადოებაში.

მშობლები ჯერ კიდევ საბავშვო ბაღიდან იჭერენ თადარიგს, რომ მათ შვილს არ მოაკლდეს ყურადღება. განა ისინი ისეთ რამეს ითხოვენ იმ „თადარიგით“, რაც მათ კანონით არ ეკუთვნით? რა თქმა უნდა, არა! მათ ის ეკუთვნით, მაგრამ... და ასე გრძელდება ბოლომდე. თუ ხელის წამკვრელი არ ეყოლება, ისე იშვიათად თუ ეწევა ვინმე იმ მაღალ

მწვერვალს, რომლისკენაც ყველა ისწრაფვის და სადაც ერთეულები ხვდებიან, ხშირად დაუმსახურებლადაც ხვდებიან. მე საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლე მაინც ხომ ვიყავი სკოლაში, მაგრამ ძლივს მივალწიე იმას, რომ ვეტფერშალი გავმხდარიყავი, ხოლო ვინც ჩემგან იწერდა საშინაო დავალებას, მან უმაღლესიც დაამთავრა და მშვენიერ კაბინეტშიც ზის. ღმერთმა მუდამ მოუმართოს ხელი. მე მისი არ მშურს, მაგრამ რწმენას ხომ მიკარგავს მაინც. შენ შვილიო, რომ მეუბნები, ისიც ჩემსავით რომ დამრჩეს, მერე საფლავშიც ხომ დავკარგავ მოსვენებას?!

— ჩემო ფუფა, შენ ისე მიდგომიხარ მომავლის საკითხებს, რომ, გეტყობა, შინაბერას ხვედრი არ აცდებია. ეს კი არ ვარგა. დღეს მაინც რა გაიგე ისეთი, რომ აგრე დაგამჟავა?

— მე რომ ვმუშაობ, იმ მეცხოველეობის ფერმაში ამას წინათ კომკავშირული საგზურებით მოვიდნენ ახალგაზრდები. მათ შორის იყვნენ გოგო და ბიჭი, რომელთაც მაშინვე შევატყვეთ, რომ ერთმანეთი უყვარდათ.

გუშინ ჩვენს ფერმაში რაიკომის პირველი მდივანი მოვიდა. ყველაფერი შეამოწმა და ეტყობოდა არ იყო უკმაყოფილო, მაგრამ უეცრად თვალი შეასწრო იმ შეყვარებულ გოგონას და თავისთან იხმო. გოგონა მაშინვე მივიდა.

— შენ აქ მუშაობ? — მკვახედ მიმართა ქვარაიამ ქალიშვილს.

— დიახ.

— მერე აქ თეატრია, თუ მეცხოველეობის ფერმა?

— ფერმა, ბატონო. — მორიდებით უპასუხა ქალიშვილმა.

— მერე შენ აქ რას აკეთებ?

გოგონა დაიბნა.

— შენ გეკითხები! — უყვირა მან.

— ვმუშაობ, ბატონო.

— მუშაობს, დამიხედეთ ფერმის მუშას! — უცნაურ კილოზე თქვა რაიკომის მდივანმა, მერე კი ბრაზით მიახალა: ზედვე გეტყობა, რისი გამკეთებელიც ხარ. ალბათ, გგონია, ლიმიტს ჩაიგდებ ხელში და იმიტომ აფარებ აქ თავს. ვნახოთ! — ბრაზით თქვა მან და ფერმაც დატოვა,

ჩვენ მივხვდით, რაშიც იყო საქმე: გოგონა მეტისმეტად კოპწიად

გამოიყურებოდა მეცხოველეობის ფერმის ფონზე. ქვარაია, ალბათ, ვერასოდეს ვერ მიხვდება, რომ შეყვარებულ ქალიშვილს შეუძლია შრომაში მოწინავე იყოს და თანამედროვე ქალიშვილის იერიც შეინარჩუნოს.

გოგონა შინ რომ მისულა, დედისთვის უთქვამს, რაღაც თავი მტკივა და წავიძინებო, სადამოს რომ მოუკითხავს დედას, ვერ. უნახავს, უფიქრია, ამხანაგთან თუ გადავიდაო, მაგრამ ამ დროს მაგიდაზე წერილი შეუნიშნავს: „მე სხვანაირად არ შემძლია იმის შემდეგ, რაც მოხდა, მაპატიეთ, დედა შემინდე“.

ქალის კვილს მთელი სოფელი შეუყრია, სად არ უძებნიათ გოგონა, მაგრამ არც მკვდარი, არც ცოცხალი ჩანდა. ბოლოს ტყეში გადააწყდნენ თურმე, ხის ძირას მჯდარა და ტიროდა... იქვე თოკიც ედოო.

— ეტყობა, თავის ჩამოსახრჩობად წასულა იქ, მაგრამ სიცოცხლის წყურვილს მაინც დაუძლევია, — თქვა ნანომ და ღაპალუპით ჩამომდინარე ცრემლი შეიმშრალა.

ნათია ჩაფიქრებული იჯდა. მას სახე ისე გაქვავებოდა, რომ ვერ მიხვდებოდი, აქ გაგონილზე ფიქრობდა თუ სხვა რამეს გაეტაცა მისი გონება.

— ვითომ რაიონის განათლების სისტემაში ყველაფერი ისე იყოს მოგვარებული, როგორც წესი, ვითომ ლიმიტები მხოლოდ დამსახურებისამებრ ნაწილდებოდეს! — განაგრძო დაწყებული საუბარი ფუფამ, — განსაკუთრებით ერთი რამ მიკვირს, ხალხი რატომ ჰგონიათ ეგრე ყრუ და ბრმა? განათლების განყოფილების ყოფილი გამგე შოთა ფირცხალია გაათავისუფლეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმისთვის ემოვათ ადგილი, ვინც ახლა ზის იქ. ამბობენ ქვარაიას მამიდაშვილიაო.

— ფირცხალია სიმწიფის ყალბი ატესტატის გაცემის საფუძველზე გაათავისუფლეს — თქვა ნათიამ.

— კი, ბატონო, გეთანხმები. გადაკეთებული ნიშნებით სიმწიფის ატესტატის გაცემა უბრალო საქმე როდია, მაგრამ ეს გააკეთა სკოლის დირექტორმა და არა განათლების განყოფილების გამგემ.

— ბრალდება ზემო საფეხურებზეც ნაწილდება ხოლმე.

— ისე არ გამიგოთ, თითქოს ვიცავდე ფირცხალიას, არც კი ვიცნობ. მე სულ სხვა რამე მაფიქრებს: ორი წელი თუ იქნება, რაც განათლების განყოფილების ახალი გამგე დაინიშნა, ხოლო ამ სამი თვის წინათ კვლავ

გამოვლინდა მსგავსი დანაშაული, თავისი მნიშვნელობით არა ნაკლებ სიმძიმის, ვიდრე პირველი — დედამთილმა უჩივლა რძალს, საშუალო სკოლაც კი არ დაუმთავრებია ხეირიანად, ატესტატი ჩვენ ვუყიდეთო, დედამთილის ჩვენება ძიებით დადასტურდა, მაგრამ ამჯერად მართლმსაჯულებას განათლების განყოფილების შენობაში მსჯავრმდებლის პოზიციიდან არც შეუხედავს. რატომ?

ნათია დუმდა.

— მე როგორც გითხარით, — განაგრძო ისევ ფუფამ. — არც ერთს ვიცნობ და არც მეორეს. არც ერთის ჯავრი მჭირს და არც მეორის, მე მხოლოდ ფაქტებზე ვსაუბრობ და ახლა მიპასუხეთ, განა რწმენას არ შეგიცვლის ასეთი რამეები?

— ცუდია, ძალიან ცუდი! — თქვა ნანომ.

— ყოველივე ეს საზოგადოებრივ აზრში უკუჩვენებას იწვევს, გადააგვარებს მას, — ჩაილაპარაკა ნათიამ და ისე შეხედა ფუფას, როგორც მისი ვარაუდის მაგალითს. ქალიშვილი ხედავდა, რომ მასში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა მის ნაცნობში, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარად დამყაყებულ ატმოსფეროს აზროვნების მთავარი ნერვი მოედუნებინა, ჩაეკლა შემოქმედებითი უნარი და ცხოვრებისადმი დამოკიდებულების თავისებური შეხედულება ჩამოეყალიბებინა. საუბედუროდ, ამ შეხედულებათა უმრავლესობა სულიერი დაცემისაკენ, მისი თანმხლები სხვა მავნე ჩვევებისკენ უბიძგებს ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ნათია აშკარად ხედავდა, საჭირო იყო მათი დარწმუნება არჩეული პოზიციის გაუმართლებლობაში, გრძნობდა იმასაც, რომ ადვილი იქნებოდა ამ საქმეში გამარჯვების მიღწევა, თუ დროულად გადადგამდა ნაბიჯს. დიახ, დროულად... სანამ საბოლოოდ გადაგვარებული პიროვნება ჩამოყალიბდებოდა დაბნეული თუ ხელჩაქნეული ახალგაზრდისაგან.

ნათიას გუნება გაუფუჭდა და ერთგვარი სიმკაცრით მიმართა ფუფას:

— ფუფა, შენ გაქვს ფაქტის აღქმისა და განსჯის უნარი. მე მჯერა, შენ ისიც კი იცი, რა უნდა გააკეთო, მაგრამ ხელი გაქვს ჩაქნეული, გაორებული ხარ. ასე კი არ შეიძლება. დადგება სიმართლის აყვავების ხანაც, ამისთვის დღესაც დიდი ბრძოლაა გაჩაღებული, მაგრამ მე, შენ, მას ჯერ კიდევ კარგად არ გვაქვს ჩვენი ადამიანურა ვალი შეგნებული. ამდენად მკაცრად ვერ ვუყენებთ მომთხოვნელობას უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს და მერე ერთმანეთს. დროა შევიგნოთ ეს ყველამ და ნუ

მოვერიდებით პირში თქმას. ნუ დავუცდით სხვას. ვილაცას კი არ ევალება ყოველივე ეს, არამედ ჩვენვე ვართ ის „ვილაცა“. მე არ მომწონს დღეს აქ შენს მიერ ჩამოყალიბებული ფორმულები. ისე არ გამიგო, თითქოს ვამბობდე, რაც თქვი, ტყუილია — მეთქი. არა, შენ სიმართლე ილაპარაკე, მაგრამ საკუთარი პოზიციით კი ტყუიხარ. მგლის შიშით ცხვარი მართლაც ვის გაუწყვეტია. ეს ცხოვრება ბრძოლაა და სწორედ ამითაა საინტერესო. შენ რამდენი უთანასწორო ისტორიული ბრძოლები იცი სკოლის წიგნებიდან, თუნდაც საქართველოს მაგალითზე. სიმართლესა და ნებისყოფას მუდამ გაუმარჯვნია.

ფუფა აიწურა.

— თითქოს მართალს ამბობ, ნათია.

— მართალს ვამბობ, ფუფა, მართალს. ამ მზისფერ დღევანდელობაში ლაქები რომ ჩანს, ეს ჩემი, შენი და მისი გულგრილობის, მოშვებულობის შედეგია და ჩვენვე უნდა მოვაშოროთ მას იგი. და ბოლოს, ყველა ის ტკივილი, რაზეც შენ აქ ისაუბრე, მარტო შენი ტკივილი როდია, იგი სხვასაც სტკივა, მაგას დამალვა კი არ სჭირდება, არამედ ხმამაღლა უნდა თქვა, რომ სხვაც გამოაღვიძო, ამის საუკეთესო შემთხვევა მოგეცემა ხვალ მურიცხელი ახალგაზრდების კრებაზე.

ფუფამ ორივე ხელი მუხლებზე დაადო ნათიას და ახლა თავის მხრივ ჩახედა თვალებში მას. ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მღელვარება ყელში გორგალივით გაჩხეროდა და დანამული თვალებითდა ეუბნებოდა სათქმელს: დავესწრები, მერე რა არის, რომ სეტყვიანში ვმუშაობ. მეც ხომ მურიცხელი ვარ. მისი სატკივარი მტკივა და მეც სხვაზე უკეთ ყოველთვის ის გამიგებს.

მურიცხელი ახალგაზრდების კრების მეორე დღეს ცოფს ყრიდა ქვარაია.

— მერე რა პასუხი გასცეს თვით თავმჯდომარეებმა, რაკი პირდაპირ მიუტანიათ იერიში? – ეკითხებოდა სანდრო ლენტორ ჯოლოგუას, რომელიც ტიპიური მლიქვნელის იერით შეჰყურებდა რაიკომის მდივანს.

— მხოლოდ კიტამ სცადა თავის მართლება და ახალგაზრდების დამოშმინება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ახლა ნანობს, ისეთი დღე აყარეს.

ქვარაიამ კბილები გაახრჭიალა, ამ დროს ლენტორისთვის რომ შეეხედა, მის თვალებში აუცილებლად ამოიკითხავდა: „ცოდვა პირველ მთქმელს

მოეკითხოს, ბატონო, თუ ტყუილია და... რომ ამბობენ, დიდძალი ქრთამის მერე გაუშვა კონდრატე კოლმეურნეობის თავმჯდომარედო, მაშინ უნდა გეფიქრათ ის თავტკბილი ძღვენი ძირში რა გემოსი იქნებოდა“...

— თავისუფალი ხარ! — მიმართა უცებ ქვარაიამ და ისიც სასწრაფოდ გაიძურწა კაბინეტიდან.

„მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!“ — ჩაისისინა ღენტორის გასვლის შემდეგ რაიკომის მდივანმა. მერე მაგიდის კალენდარში რაღაც ჩაინიშნა და ფიქრს მიეცა: უნდა ვიღონო რამე, კოლმეურნეობის საერთო კრებაზეც აშკარად გამოსულან კონდრატეს წინააღმდეგ... არა. მისი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დარჩენა შეუძლებელია! საბჭოს თავმჯდომარე კი უფრო გაიძვერა და თავს გაიტანს. მაგისი გამოყენება შეიძლება. თუმცა რა... როგორც ჩანს, სერიოზულად ეკიდებიან საქმეს მურიცხელი ახალგაზრდები და ადვილი შესაძლებელია იგივე პრეტენზიებით გამოცხადდნენ აქ რაიონულ კონფერენციაზე, არა, ... დაყოვნება არ შეიძლება, აუცილებლად უნდა იქნეს ზომები მიღებული, თუნდაც დასაშოშმინებლად. სიმართლედ უნდა ითქვას, ყველაზე მეტ განცხადებას სამუშაოზე მოწყობის შესახებ სწორედ მურიცხადან ვიღებთ, აი, გუშინწინ ჭაბუკი რომ იყო, მშენებელი ინჟინერია, სამუშაოს ითხოვს... დაყოვნება არ შეიძლება გადაწყვიტა საბოლოოდ ქვარაიამ და ღილაკს დააჭირა თითი.

— სასწრაფოდ მიხმეთ ბიუროს წევრები! — უბრძანა პირად მდივანს.



— თავნახადში ჟვერი არ გაგეპაროს! — გასძახა მამამ ჯემალის, რომელიც არყის სახდელს ქვავს დასტრიალებდა.

— უკვე ისე არ ჰყვება ცეცხლს! — უპასუხა ვაჟმა. — გამოუცვალე ბოცა. პირველნახადი კი აქ მოიტანე.

— გაანელეთ მაინც, დაგწავთ, თქვე უბედურებო, — ამ სიტყვებით ნუცამ შინაურულად და უხვად დატვირთულ სუფრაზე ჭიქები დააწყო.

— წყლით დამხრჩვალნი თევზი ვის უნახავს, ჩემო დაია, — გაეპასუხა მას ბეგო და ჯემალის მიერ მოტანილი ბოთლი შეანჯღრია, — ნახეთ, ნახეთ,

რა ჯაჭვი აქვს, ცეცხლია, ცეცხლი! — ამ სიტყვებით ჭიქები შეავსო.

— ... კაცის გაფუჭება მაინც ცუდია, რომ გავიგე, მოხსნესო, გული დამწყდა მაინც. — ეტყობოდა, დაწყებულ საუბარს აგრძელებდა ბეგო, მას თვალის გუგები აუპარპალდა. — ეს მაშინ ემართებოდა, როცა რაიმე ეწყინებოდა ან გაუხარდებოდა. ამჯერად ნაწყენი იყო.

— გაგვაფუჭებდნენ მე ან შენ რომ ვყოფილიყავით, ჩემო ბეგო, ის კი როდი მოხსნეს, არამედ ვითომ საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს. იცი თუ არა ეგ რას ნიშნავს? — ჰკითხა ტკიბამ და თვითონვე უპასუხა, — იმას ნიშნავს, რომ შეუძლიათ ხვალ უფრო დააწინაურონ.

ბეგომ გაკვირვებით შეხედა.

— ერთი ამას დამიხედეთ, რა სთქვა: მე რომ თავმჯდომარე ვყოფილიყავი... შენ ისე თუ გასუნებინებენ, ბიჭო, იმ სკამისთვის. — გაუქილიკა ნათქვამი ტკიბას ბეგოს გვერდით მჯდარმა ბიჭმა, რომელსაც სუსტი აღნაგობის გამო მეტსახელად ცანგოს ეძახდნენ.

— ცანგო, გეტყობა ჯეროვან შეფასებას ვერ აძლევ ტკიბას შესაძლებლობას. შენ როგორ ფიქრობ, ერთი სოფლის მოვლაა უფრო ძნელი თუ ოთხი ცოლისა — თავისებურად გამოეყომაგა ტკიბას მურმანი, რომელსაც ბუხარში ნაკვერცხლებისთვის მიეფიცებინა შამფურზე აცმული, პილპილმოყრილი მწვადი და აშიშხინებდა.

ამ რეპლიკაზე გულიანმა სიცილმა იფეთქა.

— ეჰ, ჩემო მურმან, მართლაც რომ უძვლოა ენა და საითაც გასურს იქით მოიქნევ, თორემ ჩემს სახელს აგრე მასხრად უნდა ახსენებდე შენ? კაცი, რომელიც საცაა ოცდაათის გახდები და ჯერ ერთის შერთვაც ვერ მოგიხერხებია? რას უცდი თუ იცი? ჩემი ბავშვები ჩემს გვარს ატარებენ და არა შენსას. — ამ სიტყვებით ტკიბამ კოტიტა ხელი პირწმინდად გაპარსულ საულვაშეზე მოისვა და ეშმაკურად აციმციმებული, მაგრამ მაინც უსაზღვროდ კეთილი თვალეები ნუცას მიერ შემოტანილ ხონჩას მიაპყრო.

ხონჩაზე ტკბილსურნელოვან ჯურჯანს ოხშივარი ასდიოდა.

— რას იზამ, ტკიბა, ბუნებამ ყველა ერთნაირად როდი დაგვაჯილდოვა ათლეტური გარეგნობით. შენი ტანადობა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში შეაქო ილია ჭავჭავაძემ, როცა ლუარსაბ თათქარიძეს ახასიათებდა გარეგნული ნიშნებით და იქიდან მოყოლებული ქალების

„სათაყვანო კერპი“ გამხდარხარ. მე კი ერთმა ქალიშვილმა მითხრა: მწითური მარტო რომ იყო, არა უშავს, მაგრამ ინდაურის კვერცხივით დაწინწკლულ სახეს ვერ ვიტანო. სხვებიც ეტყობა იმავე აზრისანი არიან. შინაბერებს მე თვითონ ვერ ვიტან, ქმარგაყრილი კი ვინც ვნახე, ყველა შენისთანების გაშვებულია და თავმოყვარეობას მთლად ხომ არ დაგვარგავ ერთი ცოლის გულისთვის?

სიცილი თავშეუკავებელ ხარხარში გადაიზარდა.

ტკიბა თითქოს ვერ მიხვდა მურმანის ნათქვამს, ისე მშვიდად შეექცეოდა ღომსა და ჯურჯანს და მანამ არ გაუღია ხმა, სანამ ყველა ჭამით არ გაერთო. მაშინ კი ჩაახველა, ხელსახოცით მოიწმინდა ტუჩები და თქვა: — ოჯახის შექმნა მართლა ადვილი ხომ არ გგონიათ თქვენ? — მან მზერა რიგრიგობით მიაპყრო მურმანს და ცანგოს, — ის, ბაბაიებო, იგივე კურტანია, საკუთარ ზურგზე შენივე ნებით შედგმული. ზოგი კარგად გრძნობს თავს ამ კურტნის ქვეშ, ზოგი კი ვერ უძლებს, ვერ იტანს.

— რაზეა თუ იცი დამოკიდებული ეს სხვადასხვაობა? — ჰკითხა ცანგომ.

— რაკი ვთქვი კურტანია-მეთქი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შედარებით მიხვდე საქმის შინაარსს. შენ რა, მამაშენი თავისი დღედამოსწრება ჩალვადარი იყო და არ უნდა იცოდე, ცხენს მორგებული კურტანი თუ არ ადგას, ზურგს რომ დაუშავებს?! ეს ასეა, ჩემო ძმაო, ადამიანი უფრო ვერ იტანს დაშავებულ ზურგს.

— ხედავთ, ტკიბას ცოლების გამოცვლით რა ფილოსოფიური გამოცდილება მიუღია! — თქვა ოჯახის უფროსმა ტიტკომ და ჭიქა ასწია.

— მაშ, ამით გაუმარჯოს კარგად მორგებულ კურტნებს და ბედნიერი ბავშვების უდარდელ ღიმილს. რადგან მხოლოდ იმ ოჯახში შეიძლება შეხვდე ამგვარ ღიმილს, სადაც ტკიბას თქმისა არ იყოს, კურტანი ზურგს არ აწყლულებს. ყოჩაღ, ტკიბა, შენ მართალი კაცი ხარ! ყველა იმ ქალს გაუმარჯოს, რომელიც სიცოცხლესთან ერთად სიკეთის მშობელად მოევიწიება ხოლმე ოჯახს. შენს კარგ მეუღლეს გაუმარჯოს, ტკიბა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ასე მოგათვინიერა, რომ საბოლოოდ დაგაბა კერასთან, მის სიყვარულს გაზიარა. ყველა კარგ ქალს, ოჯახისა და ქვეყნის ბურჯს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ სადღეგრძელოს და ის-ის იყო ერთსულოვნად მიიღეს კიდევ, რომ კარი მოხუცეულმა, მაგრამ ჯერ კიდევ ყოჩაღად მყოფმა კაცმა შემოაღო,

— ძოკიას გაუმარჯოს! — ერთხმად შესძახეს დამხვდურებმა და ახალმოსულს სასწრაფოდ მოუნახეს ადგილი მაგიდასთან.

— აქეთ, ძოკია ბატონო, ამ ბავშვებთან ახლოს დაჯექი. ძველი, გამოცდილი კაცი ხარ, ესენი კი, ხომ იცი, ჯერ კიდევ მწყრალად არიან ჭკუასთან. — უთხრა ტკიბამ ახალმოსულს და მურმანის გვერდით დაუდგა სკამი._

— არა, ბაბა, ცოცხალი არსება ძველი არაფერი ვარგა, გარდა ინდაურისა.

— მაგრეც ნუ იტყვი, ძოკია ბაბუა, სახნისი ისე არასოდეს გაცვდება, მისგან სადგისი არ გამოდნეს.

— იმედიც კარგია, ბაბაგე, მარა.. _ ამოიოხრა ძოკიამ და შემოთავაზებულ სკამზე ჩამოჯდა.

ძოკია თავისი ხასიათით ორლესულსა ჰგავდა, საითაც დასჭირდებოდა, იქით სჭრიდა, მაგრამ ბოროტი გული არ ჰქონდა და მისთვის, როგორც პურ-მარილისა და სტუმრის მოყვარულისთვის სხვისი კარებიც მუდამ ღია იყო.

ძოკიას შემოსწრებულისა დააღევიანეს.

— კარგები ხართ, შვილებო, მაგრამ ერთი რამ მაინც არ მომწონს თქვენგან! — თქვა ძოკიამ და ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— კარგი რა, ყოველთვის ჩვენს წუნს ნუ ეძებ, ბაბუაჩემო! თხოვნის კილოზე უთხრა ცანგომ ძოკიას. ის მისი უმცროსი შვილიშვილი იყო.

— მე უბრალოდ მაინტერესებს, რაში დებთ ბრალს სხვას, კრებაზე რომ გითქვამთ, პირობები არა გვაქვს ოჯახი შევექმნათო. გამაგებინეთ ერთი, რა პირობები გინდოდათ? თქვენ იცით თუ არა, ძველად ცოლი ნათხოვარი შარვლით რომ მოჰყავდათ?!...

— და თან პატრონი მოსძახოდა, ფრთხილად იყავი, ღმერთი არ გაგიწყრეს და არ წამიბილწოო! — ჩაურთო მურმანმა, რომელმაც ის-ის იყო სურნელოვანი მწვადიანი შამფურები დააწყო სუფრაზე.

— იხუმრეთ, თუ სახუმროდ გაქვთ საქმე. თქვენ რა გეშველებათ, თორემ მე უკვე გავლიე ჩემი დღენი...

— ამათ რა უჭირთ, ძოკია ჩემო? ამათ მომავალი წინა აქვთ. ჩვენ ვიკითხოთ! ჩვენ, რომლებმაც აღმართი უკვე ავიარეთ და დაღმართისაკენ გვიქნია პირი. გარდა ამისა, ესენი კი არა, თვით დრო ითხოვს ცხოვრების ახალ ყაიდას და არავის არა აქვს კანონის დამახინჯების, საკუთარი

სურვილისამებრ მისი შეცვლის უფლება, მე თუ მკითხავ, კონდრატესთვის კიტაც უნდა მიეყოლებინათ, რადგან ის რომ არა, კონდრატეს შეიძლებოდა მოეხატა თავი საქმისათვის. შენ კი, ხანდისხან, რატომღაც გეშლება რომელ წისქვილში მიუშვა წყალი — ცოტა არ იყოს ნაწყენი კილოთი უპასუხა ტიტკოს უფროსმა ძმამ ტაიამ, რომელიც ჯალაბით ჯუმში ცხოვრობდა, მაგრამ კვირაში ორ-სამჯერ მაინც შემოივლიდა მშობლიურ მურცხაში. ის და შოკია თითქმის ტოლები იყვნენ და მთელი სოფელი ისე იყო მიჩვეული მათ ურთიერთ ქილიკს, რომ მათგან მშვიდი და სერიოზული საუბარი ვერც წარმოედგინათ.

— რა იყო, შე კაცო, ორივე ქარბორიას წაუღია, მე იმათ კი არ ვიცავ, უბრალოდ ვამბობ, ესენი რატომ ყოფენ სხვის საქმეში ცხვირს-მეთქი.

— რას ამბობ, ბაბუაჩემო, რატომ სხვის საქმეში? ჩვენ ჩვენი საქმისა ვიკითხეთ და არა სხვისი. სხვა რომ არა იყოს რა, ტელევიზორს ხომ მაინც უყურებ, რა ამბები ხდება. ჩვენ კი სარდაფში მიგდებული ჩაწოლილი საქონელივით უყურადღებოდ როდემდი, უნდა ვიყოთ? ვასლები...

— უყურადღებოდ კი არა, ახლა ერთბაშად არ აგიშენონ ქარ

— სხვისი აშენებული ჩვენ არ გვინდა, ჩვენ თვითონ ავაშენებთ, ოღონდ მოგვცენ ამის საშუალება, ამოგვიდგნენ მხარში.

ამ დროს ნათიამ შემოაღო კარები.

— თქვენს კამპანიას გაუმარჯოს, მეზობლებო! — ჩვეული სალისით მიესალმა სუფრასთან მსხდომთ,

სალამი დაუბრუნეს.

— რაიმე ახალი ხომ არ გაგიგია რა ჩვენი საქმისა? — სულმა წასძლია ცანგოს.

— შენ და შენი საქმეც გადაშენდით მიწის პირიდან. გამომიჩნდა საქმოსანი!_ ბრაზით თქვა ძო კიამ და თვალი გადაუბრიალა შვილიშვილს.

— რატომ ბრაზობთ, ძოკია ბაბუა, სწორედ რომ მახარობელი ვარ. — თქვა ნათიამ, ხელზე წყალი გადაივლო და თვითონაც სუფრას მიუჯდა, სადაც ბიცოლას უკვე დაეწყო მისთვის თეფში და თბილად შენახული ღომი, — დიას, მახარობელი ვარ... ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება....

— მართლა?! — სუფრასთან მსხდომნი გაფაციცებით შეაცქეროდნენ ქალიშვილს.

- მართლა, აბა ხომ არ მოგატყუებთ?
- მაინც რა გადაწყვიტეს?
- პირველ რიგში დაიწყება თანამედროვე ტიპის კულტურის სახლის მშენებლობა, აშენდება ერთი თორმეტბინიანი სახლიც.
- ეგ მაინც რაღად გინდათ? — გაიოცა ძოკიამ.
- ჩვენი სოფელი ხომ მცირემიწიანია, ძოკია ბაბუა და სამოსახლო მიწების მხრივ, შეიძლება ითქვას, კრიზისიც გვექნება, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდები მიიღებენ კეთილმოწყობილ ბინებს.
- მერე იმ ოთხ კედელში რაღა უნდა ქნათ.
- ძირითადი სწორედ ეგ პრობლემაა და ისიც გადაიჭრება, ფართო სამანქანო გზა უნდა იქნეს გაყვანილი მურიცხელას ხეობაში, ჯერჯერობით გაუჩამდი, შემდეგ კი ჩეგვალამდეც. შეიქმნება ხეტყის დამამზადებელი ბრიგადები, რომელთაც განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობები ექნებათ. გაფართოვდება კირის საწვ ავი ქარხანა. ამუშავდება საცალო ქვის გამომჭრელი და მოსაპირკეთებელი ფილების საამქრო და, რაც მთავარია, დროულად უნდა ჩადგეს ხალხის სამსახურში შავი ბაზალტის კარიერიც, რომელიც, როგორც იცით, შურბუმუსთან ახლოსაა აღმოჩენილი, უნდა განახლდეს სამკურნალო წყლის ჩამოსხმაც, შეიქმნება ახალგაზრდული ბრიგადა ზესკვონას მიწებისათვის და ა. შ.
- ესეც გვეყოფა, სიკოჩი! — ლოცვასავით ჩაიჩურჩულა სახეგაბადრულმა ბეგომ და თვალთა გუგები აუპარპალდა.
- მათი პირობა ყინულზე იწერება ხოლმე, მაგრამ ნაწილიც რომ შესრულდეს, ისიც კარგია! — თქვა ცანგომ.
- ამით გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდებს, მურიცხას ხვალინდელ დღეს! — თქვა ტიტკომ და ჭიქა ძოკიასას მიუჭახუნა.
- ამინ! უნდობლად ჩაილაპარაკა ძოკიამ და გადაჰკრა. გვიანი საღამო იყო, როცა „ოლური კულა“ შეავსეს.



- მთელი დღე გირეკავდი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვხვდი თქვენთან.

რაშია საქმე, არც ერთი ნომერი რომ არ პასუხობს?_ ჰკითხა ლევანს კაბინეტში შესულმა ნათიამ და ხელი ჩამოართვა.

— ვერ დაგვიკავშირდებოდი. სატელეფონო გაყვანილობას მთლიანად ახლით გვიცვლიან.

— ბიძინას უნდა იმ კვირის ერთ-ერთ ნომერში შენი წერილი დაგეგმოს და ჯერ კიდევ გუშინწინ დამავალა მეთხოვა შენთვის.

— რა შინაარსით უნდა?

— გაწვევასთან დაკავშირებით. თან შენებურად, ლამაზად, უნდა ჩაურთო წვევამდელთა გაცილების ახალ ტრადიციებზე.

— არის, ამხანაგო ლორია, დავალება მიღებულია! — ღიმილით უპასუხა ლევანმა.

— ლევან, როგორ მიდის ჩემოდნის საქმე? — ისე იკითხა ნათიამ, რომ აშკარა იყო, ეს უფრო აინტერესებდა აქ მოსულს, ვიდრე საგაზეთო წერილი.

— არ დაუმტკიცდა. ქალმა სიმართლე აღიარა.

— რაში ყოფილა საქმე?

— ზაური თბილისიდან ავტობუსს გამოყოლია. ავტობუსში კი ის ქალი დამგზავრებია. ზაური თურმე მანამდისაც იცნობდა მას, ოღონდ შორიდან და იცოდა რომ მსუბუქი ყოფაქცევის იყო. უფიქრია მაინც არაფერი საქმე მაქვსო და მისდა საუბედუროდ მასლაათი გაუბამს მასთან. როცა აბაშის სადგურს დაუახლოვდნენ უკვე იმდენად შეთამამებული ყოფილა ზაური, რომ უთქვამს, მანქანა აქ, ძმასთან მყავს დატოვებული, მაინც ერთი გზა გვაქვს და ბარემ ჩამოდი, ერთად წავიდეთო. ქალს არც უარი უთქვამს და არც თანხმობა გამოუცხადებია, მაგრამ თურმე ისე აჟუჟუნებდა თვალებს, რომ თანხმობად ჩაუთვლია და ჩასვლისას ყურადღების ნიშნად მისი ჩემოდანიც ჩაუტანია, მაგრამ ქალი არ ჩაჰყოლია. როგორც თვითონ აღიარა, კი დაუპირებია, მაგრამ კარგადაც არ ვიცნობდი და ღამეც რომ იყო, ვერ გავბედეო, მაშინვე ვერ შეუნიშნავს, რომ ზაურიმ მისი ჩემოდანიც ჩაიტანა, ამას გვიან მიმხვდარა. ზაური კი ფეხით გამოკიდებია ერთი ხანი ავტობუსს, მაგრამ აბა რას დაეწეოდა, ძმისას მისულს, იქ სტუმრები დახვედრია და, თავისთავად ცხადია, მაშინვე ვერ წამოვიდა. გვიან ღამით მაინც წამოსულა. გული მიგრძნობდა ის ქალი ხიფათში გამხვევდაო და უკვე ღამის სამ საათზე მისულა მის სახლში (ის ქალი სოფლიდანაა), მაგრამ შინ არ დახვედრია, ჯერ არ

მოსულაო, ჩემოდანი კი იქვე დაუტოვებია. მე მაშინვე შევატყვე, მის თავს რაღაც ამბავი იყო, როცა დილით სამსახურში მოვიდა. მთელი ღამის უძინარს კაცის ფერი არ ედო. რომ ვკითხე მიზეზი, რაღაც ცუდად ვარ, მგონი, სიცხეც მაქვსო და მეც შინ დავითხოვე.

არ გასულა ერთი საათი და მილიციიდან დამირეკეს, ოფიცერი კირცხალია სად არისო. ცუდად იყო და შინ გავუშვი-მეთქი.

„მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული!“ — გაისმა ყურმილში.

— რაში ედება ბრალი? — ვკითხე გაოცებულმა.

— ჩემოდნის მოპარვაში.

წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა. თურმე ის ქალი იმ ღამეს აქვე, ძმისას დარჩენილა. მეორე დღეს დილაუთენია მილიციაში განუცხადებია ავტობუსში ჩემოდანი დავკარგე და დანამდვილებით ვიცი, ოფიცერმა კირცხალიამ მომპარაო. _

აი, ასე აღძრა სისხლის სამართლის საქმე ვაი-მიჯნურის მიმართ.

— კი მაგრამ სამოქალაქო პროკურატურას აქვს უფლება განიხილოს სამხედრო პირის დანაშაულის საქმე?

— საქმეც მაგაშია. ეს კანონი, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენებოდა ადგილობრივ პროკურატურას და საქმეც იმით შეწყვიტა, რომ მაშინვე შეადგინა ოპერატიული ძიების, დაკითხვის ოქმი და საწრაფოდ აცნობა პარტიის რაიკომის პირველ მდივანს, როგორც სენსაციური ამბავი.

— ლევან, მჯერა არამკითხედ არ ჩამთვლი და კადნიერებად არ მიიღებ ჩემს მიერ გამოთქმულ ზოგიერთ აზრს: მე არ მომწონს ქვარაიას ამგვარი დაინტერესება ამ ამბით. რაკი არ დამტკიცდა ბრალდება და საქმე შეწყვეტილი იქნა, მაშინ რა საჭირო იყო გუშინ ისეთი ფართო აუდიტორიის წინაშე, როგორც პლენუმია, მისი დასახელება, არ მომეწონა ქვარაიას პასუხები შენს სამართლიან მოთხოვნებზე. მე დარწმუნებული ვარ ზაური აქ ანკესზე წამოცმული ლიფსიტაა სხვა, უფრო დიდი თევზის მოსატყუებლად, ხაფანგში გასაბმელად... ლევან, ფრთხილად!

— ლევანმა გაოცებით შეხედა ქალიშვილს. მისმა სიტყვებმა იარაზე მოყრილი მარილივით აუწვა გულის არე და თუ აქამდე ექვით ფიქრობდა ქვარაიას ფარულ, ვერაგულ ზრახვაზე, უკვე აშკარა იყო, რადგან ეს სხვასაც შეემჩნია.

მას თვალწინ დაუდგა წინა დღის პლენუმზე ქვარაიას ველური ელვარებით აკვესებული თვალები და ასევე გულგოროზი სიტყვები.

სამამულო ომის მონაწილეები, ინვალიდები ითხოვდნენ პარტიისა და მთავრობის მიერ მათს სასარგებლოდ დამტკიცებული შეღავათების რაიონშიც განხორციელებას. ლევანმა ეს მოთხოვნა პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ერთ-ერთ ხაზგასმულ საკითხად წამოაყენა. „ყოველდღიურად მიეცეს რძე ომის ინვალიდებს შესაძლებლობის ფარგლებში. ნუ დაგვავიწყდება, რომ მათს ოჯახებსაც ისეთივე მოთხოვნები აქვს ყოველდღიურ აუცილებელ თუ ფუფუნების საგნებზე, როგორც ნებისმიერ სხვებს, რომელნიც გარკვეული უპირატესობით სარგებლობენ დეფიციტური საქონლის განაწილების ახლად დამკვიდრებულ წესში. გარდა ამისა, სასურველია და არა თუ სასურველი, აუცილებელიც, გაიხსნას სექცია „ომის ინვალიდებისათვის“...

ლევანის სიტყვებმა, რომლებმაც აუდიტორიის მოწონება გამოიწვია. სულ სხვანაირად იმოქმედა ქვარაიაზე. ის ფიცხლად და ამრეხით გაეპასუხა ლევანს: „თქვენ სხვისადმი მითითებებს და ჭკუის სწავლებას გიჯობთ საკუთარ საქმეს მიხედოთ. ხუთკაციანი წარმოებისთვის ვერ მოგივლიათ; ერთ-ერთი თქვენი ოფიცერი, სახელდობრ კირცხალია, ჩემოდანს იპარავს ავტობუსში, ახლა კი გამომდგარხართ და ჩვენ გვირჩევთ რა როგორ უნდა გავაკეთოთ. — ქვარაიამ, დარწმუნებულმა იმაში, რომ მიზანშეწონილი პასუხი გასცა არამკითხეს, კმაყოფილებით გადახედა გასუსულ აუდიტორიას, სადაც ბევრს არც გაკვირვებია მისი ამგვარი გამოხტომა. ვინაიდან ბევრჯერ ყოფილან ისინი მსგავსის მოწმენი მავანისა და მავანის მიმართ, რადგან რაიკომის მდივანს ძალიან სუსტად ჰქონდა განვითარებული ადამიანებისადმი ადამიანური მიდგომის, მათს სულში წვდომის უნარი.

ლევანს ქვარაიასთან მსგავსი ურთიერთობის მეორე, უფრო ადრინდელი მაგალითი გაახსენდა: ბიუროზე იხილავდნენ ერთ-ერთი სოფლის საბჭოს თავჯდომარის საქმეს, დასაწყისიდანვე ეტყობოდა, ის კაცი უკვე გაეწირათ და რაც იმ დროს ხდებოდა იქ, მხოლოდ ფორმალობა იყო. ბიუროს წევრებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს, თვით თავმჯდომარეც ალაპარაკეს თავის ავ-კარგზე, მერე უეცრად ლევანს მიუბრუნდა ქვარაია:

— მოვუსმინოთ, რაიონის სამხედრო კომისარი რას გვეტყვის მის შესახებ, ესენი ხომ სამსახურებრივად გარკვეულ კავშირში არიან.

— მე ამხანაგს, როგორც პიროვნებას, ვახასიათებ დადებითად, რადგან

რამდენადაც ახლო ურთიერთობა მქონია მასთან, სხვაგვარი დასკვნის გამოტანა არ შემიძლია. რაც შეეხება სამსახურებრივ დახასიათებას, ვერც ამ მხრივ ვიტყვი მასზე ძვირს, იმიტომ, რომ სხვა სოფლებთან შედარებით მის სოფელში მუდამ ნაკლებია თავისამრიდებლები, დროულად ხდება წვევამდელებისათვის უწყების ჩაბარება და გასაწვევ პუნქტში მათი გამოცხადება.

— ამხანაგო ხოფერია, თქვენ ზედმეტად ჰუმანისტი ბრძანდებით და მე შემიძლია ბიუროს წინაშე თამამად გითხრათ, რომ შემთხვევით ხართ თანამდებობის სკამზე მოხვედრილი! — თავშეუკავებელი ზიზღით მიახალა ქვარაიამ ლევანს..

— თქვენ რაღაც გეშლებათ, ამხანაგო, კარგად ჩაიხედეთ საკუთარ სარკეში და ადვილად მიხვდებით, ვინ რამდენად შესაფერია იმ სკამის, რომელზეც ზის. მე დაე ვიყო ჰუმანისტი, თუ თქვენ სრულყოფილად გესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა, მიპასუხეთ, თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით! — მშვიდად უპასუხა ლევანმა.

„ეგ, რა ქენი ლევან? ჯერ არ მომხდარა ვინმეს მისთვის, შენ რომ გაუბედე, იმდენი ეთქვას“ — ჩუმად ეუბნებოდნენ ლევანს ბიუროს დამთავრების შემდეგ.

სიმართლის თქმას რომ ვერ უბედავენ, იმიტომაცაა თავსაც გაუვიდა, — მკვახედ უპასუხა მათ ლევანმა.

ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ თვით ქვარაიამ ასეთი საუბარი გაუბა ლევანს: ,

— ბიჭო, მეც ვგრძნობ რომ ადელვებისას ცოტა მეტს ვიტყვი ხოლმე, მაგრამ შენ მაინც არ უნდა გეკადრებინა ჩემთვის ის, რაც სთქვი ბიუროს წინაშე.

— მე დარწმუნებული ვარ, თქვენი საზიანო არაფერი ჩაიწერებოდა ბიუროს ოქმში. მაგრამ დროა იფიქროთ, რომ სხვასაც გააჩნია თავმოყვარეობა და ნერვული სისტემა!

ამ უხეში დიალოგის შემდეგ თითქოს ჩვეულებრივი დამოკიდებულება დამყარდა მათ შორის, მაგრამ ლევანი გრძნობდა, ეს მხოლოდ ფანდი იყო ქვარაიას მხრივ — მან კატის მსგავსად კლანჭები დამალა, რომ მოადუნოს მისი ყურადღება და სწორედ მაშინ ჩასცხოს, როცა არ ელის... ამის მაგალითი იყო თუნდაც ის პლენუმი, მაგრამ ლევანი გრძნობდა, რომ ამითაც არ დამთავრებულა ყველაფერი.

- მაშ, ასე ლევან, ჩემგან ჭკუა არ გესწავლება, მაგრამ...
- კარგი, ნათი, ნუ იფიქრებ ამაზე. თითქოს არაფერი მომხდარა. თითქოს არაფერი იცი.



დეკემბრის მზის სხივები საამო სითბოს აფრქვევდნენ კაბინეტში. ნათია სქელტანიან წიგნს ფურცლავდა. დროდადრო ყურადღებას შეაჩერებდა რომელიმე გვერდზე, მერე ისევ ფურცლავდა... ეტყობოდა, რაღაცას ეძებდა. ამ დროს კაბინეტში ლატავრა შემოვიდა.

— კარგი წიგნი ჭკვიან ადამიანებთან საუბარს ჰგავსო! — ღიმილით უთხრა ლატავრამ. _

— მე მაინც ჭკვიან ადამიანებთან საუბარს ვამჯობინებ, — წიგნი დახურა და განზე გადადო.

— კონსტანტინე გამსახურდიაა? _

— დიახ, დანამდვილებით ვიცი, რომ მასთან წავიკითხე მმართველი ორგანოების დამახასიათებელი თვისებები, რომელიც ისტორიულად აქვს დასაბუთებული და... რომელიც ზედმიწევნით ესადაგებოდა ჩვენი რაიონის დღევანდელ ხელმძღვანელობას, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, სად უწერია.

— მერე ამდენ წვალებას არ გირჩევნია თვითონ დაწერო? მისებურად თუ ვერ იტყვი, შენებურად ხომ იტყვი მაინც?

ნათია შეკრთა, მან დიდრონი თვალები გულუბრყვილოდ შეანათა ლატავრას.

— ნათია, მეც შენთან ვარ, ბასრი კალამი, სიმართლის მთქმელი კალამი სჭირდება დღევანდელობას. შენ შეგიძლია ეს! მაგრამ დაიმახსოვრე ჩემი და მჯერა გამარჯვებასაც მიაღწევ: ნურასოდეს ნუ დაკარგავ რწმენას, მხოლოდ ეს შეგინარჩუნებს ბრძოლის უნარს!

— ეგ რას ნიშნავს, ისე მეუბნები თითქოს ანდერძს მიტოვებდე. ლატავრას გაეცინა.

— კარგად თქვი შენ. დიახ, ანდერძს გიტოვებ!

— ლატავრა! — შიშით შეხედა ნათიამ.

— ანდერძს მარტო სიკვდილის წინ ხომ არ წერენ, რამ შეგაშინა? მე უბრალოდ დავიღალე.

— როგორ თუ დაიღალე. შემოქმედი განა შეიძლება დაიღალოს?

— თურმე შეიძლება და რაც უფრო დროულად მიხვდება ამას, მით უკეთესია საქმისთვის. რადგან მინავლებული ნაღვერდალი გასაჭედ ფოლადს ისე ვერ დაარბილებს, რომ ადვილად დამყოლი გახდეს და, მაშასადამე, ვერც ოსტატი შექმნის მისგან რაიმე ხეირიანს.

— ამით რისი თქმა გინდა, ლატავრა?

— შერყეული ჯანმრთელობა თავისას შვრება... პენსიაზე გავალ და მერე სადმე ნახევარ შტატზე, ან სხვა უფრო მშვიდ სამუშაოს ვიშოვი. დამიჯერე, დავიღალე, ძალიან დავიღალე.

ნათიას ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ის და ლატავრა ყინულის ლოდზე იდგნენ, ლოდი ჭრიალით გაიბზარა. ბზარი ნაპრაღად იქცა და... უეცრად ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ნათიას შეეშინდა.

— ლატავრა! — უჩვეულოდ შემკრთალი ხმით შესძახა მან, — ლატავრა, ნუ იზამ ამას. შენ თავს იტყუებ, მეც მატყუებ. შენ ხომ ჯერ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეგიძლია? ეს ნაბიჯი ღალატი იქნება....

— დაწყნარდი, ჩემო გოგონა, ვიცოდი შენ ასე შეხვდებოდი ჩემს გადაწყვეტილებას. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ყველაზე უკეთ შენ გამიგებ. — მან შუბლზე აკოცა ნათიას და უსიტყვოდ გავიდა კაბინეტიდან.

ნათია კი ერთხანს გაოგნებული იჯდა. — მე ვიცი, ლატავრა არ ამბობს მართალს. — ფიქრობდა ნათია. მართალია, ავარიის შემდეგ შერყევია ჯანმრთელობა, მაგრამ არც ისე, რომ ხელი ააღებინოს მისთვის საყვარელ საქმეზე, არც შემოქმედებითი წვა განელებია. მან მხოლოდ გარემოებას გაუწია ანგარიში — ის თავისი მეზობელი, სიმართლის მთქმელი კალმით ზიანს მოუტანდა კარიერის გარკვეულ საფეხურზე ასულ ახლობელ ადამიანებს... რას იზამ, ყველა მოკვდავისათვის არის დამახასიათებელი ადამიანური სისუსტე.

იგივე სენი სჭირს ბიძინასაც. ისიც იმას აკეთებს ხანდახან, რაც სინამდვილეში არც სურს. შესანიშნავი ადამიანია, მაგრამ პრინციპულობა ღალატობს. ნათიას გაახსენდა ერთი მაგალითი: მას დაავალეს ნარკვევი დაეწერა მოწინავე ადამიანზე, ნათიამაც გიორგი სართიაზე შეაჩერა არჩევანი. ნარკვევი კარგი გამოუვიდა. ლატავრამ და ბიძინამ ერთხმად

მოიწონეს. ბიძინამ თქვა, ნამდვილად ნიჭიერი ჟურნალისტის დაწერილიაო. მაგრამ... ნარკვევი მაინც არ დაბეჭდილა გაზეთში.

ნათია მალე მიხვდა ამის მიზეზს.

გიორგი სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან ვითომ პარტიის დავალებით, სინამდვილეში კი თავიდან მოშორების მიზნით, გადაყვანილ იქნა სოფელ სეტყვიანის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორად, რომელიც თავისი მდგომარეობით დაშლის პირამდი იყო მისული. არავის არ ეგონა, მითუმეტეს კი ქვარაიას, რომ იმ მეურნეობის კვლავ ფეხზე დაყენება, უფრო მეტიც, მოწინავეთა რიგებში ჩაყენება თუ იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ შრომისმოყვარეობა კაცს რას არ შეაძლებინებს და დღეს სეტყვიანის მეცხოველეობის კომპლექსური მეუნეობა ყველაზე მოწინავე უბანია რაიონის ეკონომიკური განვითარების სფეროში. მიუხედავად ამისა, ყველაზე ნაკლებს ლაპარაკობენ ქვარაიას დასწრებით გიორგის მიღწევებზე, რადგან იციან ქვარაიას გიორგი, ისე როგორც ბევრი სხვა, დამოუკიდებელი ხასიათის ადამიანი, არ უყვარს, ამაში განსაკუთრებით მაშინ დარწმუნდა ყველა, როცა ქვარაიამ დაუფიქრებლად დარეკა ცენტრალურ კომიტეტში: ბიუროს წევრმა, გიორგი სართიამ მანქანით კაცი გაიტანაო. სწორედ რომ მართებდა, ამ შემთხვევაში მაინც დაფიქრება ქვარაიას, ის მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ არ უნდა აჩქარებულყო, როცა ბურუსი გაიფანტა და გამოირკვა სიმართლე: კაცი სულ სხვას გაეტანა, მაგრამ ქვარაია იმდენად გაფაციცებული უთვალთვალებდა გიორგის, ეძებდა საშარო შემთხვევას, რომ უეცარი სიხარულით თავბრუდახვეულს არ უცდია საქმის არსში ზუსტად გარკვეულიყო, თითქოს დაგვიანებული ცნობისთვის უსაყვედურებდნენ.

„ახლა კი, ეტყობა, ლევანის ჯერია! – ამის გაფიქრებაზე ნათიას გააჟრჟოლა, რადგან ბიძინა წინასწარ ისე გრძნობს ხოლმე ამგვარ მოსალოდნელობას, როგორც რევმატიზმით დაავადებული ამინდის შეცვლას. ის უმიზეზოდ არ მეტყოდა დღეს ლევანის წერილზე ჯერჯერობით თავი შევიკავოთო. აკი იმ დღეს დიდის ამბით დამავალა მაგ საკითხის მოგვარება? სამაგიეროდ ახლა სხვა დავალება მაქვს — მას ირონიულად ჩაეცინა, — სასწრაფოდ უნდა დავწერო ნარკვევი სოფელ ჯუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე, ჯიმშერ შამუგიაზე, როგორც სკკპ ყრილობის დელეგატზე! — ნათიამ უეცრად მუშტი დაარტყა მაგიდას და ბრაზით მიახალა უხილავ მოწინააღმდეგეს: მე არ დავწერ მაგ

ნარკვევს, მან რა გააკეთა ისეთი, რითი დაიმსახურა ამგვარი აღიარება? მე არ მოვატყუებ ხალხს. ხალხს, რომელიც სინამდვილეში არ ტყუვდება, ყოველ შემთხვევაში, ისე ადვილად არ ტყუვდება, როგორც ეს სანდრო ქვარაიას წარმოუდგენია. სულ სხვა აზრისანი არიან ჯუმში მათი თავმჯდომარის ყრილობის დელეგატად არჩევაზე!

ჯუმი ოდითგანვე იყო სახელგანთქმული შრომისმოყვარე ადამიანებით, კოლმეურნეობაც მუდამ ძლიერი და საჩვენებელი იყო. მოსახლეობა მდიდარი და კმაყოფილი. ამის საფუძველი კი ის გახლდათ, რომ კოლმეურნეობის ადრინდელი თავკაცი, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტ ხანს ედგა წინამძღოლად თანასოფლელებს, მშრომელი კაცი და მშრომელის მოყვარე იყო. მასაც ერთგულებითა და სიყვარულით პასუხობდნენ. მაგრამ .. ერთ დღეს ეს თავკაცი სხვაგან გადაიყვანეს, ვითომ ჩამორჩენილ უბანზე, როგორც საქმის მცოდნე სპეციალისტი და ენერგიული ხელმძღვანელი. მის წლებით ნაამაგარ სოფელში კი ქვარაიამ ახალი თავმჯდომარე დანიშნა, ჯიმშერ შამუგიამ და რაიკომის მდივანმა სულ სხვა კუთხით აუღეს ალღო ერთმანეთის გულის მურაზს და სწორედ ის იქნა არჩეული საკავშირო ყრილობის დელეგატად, როგორც მოწინავე თავმჯდომარე...

ნათია ორიოდ საათის დაბრუნებული იყო ჯუმიდან, როცა ზემოთ აღწერილი დიალოგი გაიმართა მასა და ლატავრას შორის, მას უკვე შემუშავებული ჰქონდა საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე, ის ხედავდა შამუგიას ამგვარ აღიარებაში ქვარაიას გარკვეულიწვლილი რომ მიუძღოდა, რასაც, თავისთავად ცხადია, გარკვეული მიზეზებიც ექნებოდა. დიახ, არ დავწერ! არ დავწერ იმიტომ, რომ რაც არ მჯერა, იმას არ ვირწმუნებ, რაც მე მჯერა, ის სხვებს არ აძლევს ხელს!

ამ დროს გაახსენდა ცაცას სიტყვები, ჯერ კიდევ რაიონში წამოსვლამდე რომ უთხრა: „... ყოველთვის შენს თარგზე ვერ გამოჭრი, იძულებული გახდები ანგარიში გაუწიო სხვათა სურვილებს და წერო არა ის, რასაც ფიქრობ, არამედ სრულიად საწინააღმდეგო.“ — ნათია დაზაფრა ამ მოგონებამ, მაგრამ მაშინვე მოეგო გონს — ზარის რეკვასავით ჩაესმა ცაცას სიტყვებზე მისეული პასუხი: „მე ასე არ გავაკეთებ, შენ ცდები! მე არა ვარ იმ ნაჭრისა, რომ ასე ადვილად შევძლო გარდასახვა!“ და ახლა უფრო ირწმუნა ნათიამ ამ სიტყვების ჭეშმარიტება.

ნათიას კვლავ დაეუფლა ისეთივე განცდა, როგორიც იგრძნო რამდენიმე წუთის წინ ლატავრასთან საუბრისას. ოღონდ ახლა ეგონა, თითქოს

ფეხშიშველი იდგა ყინულის ლოდზე, რომელსაც დინება ყინულისავე უსასრულობაში მიაქანებდა.

ლატავრას წასვლის შემდეგ ნათიასთვის დაცარიელდა რედაქცია. როცა ძალიან გაუჭირდებოდა, მაშინვე ლატავრას მიაშურებდა. უსიტყვოდ რომ დამჯდარიყო მის გვერდით, ისიც ამშვიდებდა. თუმცა ლატავრას არასოდეს არ რჩებოდა შეუმჩნეველი ნათიას სულის ტკივილი. საკმარისი იყო წამით ჩაეხედა მისთვის თვალებში, რომ უკვე იცოდა, რა სახის მალამო დაედო ნაჭრილობევზე. თანაც ისე ტაქტიანად და უშუალოდ აკეთებდა ამას, რომ ნათიას არასოდეს უჭირდა გულის გახსნა. პირიქით, ხანდახან დაექვდებოდა ხოლმე, ჩემამდე სხვამ ხომ არ უთხრა ჩემი სატკივარიო.

ახლა კი სრულიად მარტო დარჩენილს ერთბაშად გაეხსნა ყველა ჭრილობა, რომელიც ადრე ლატავრას მოეშუმებინა, ხოლო ზედ დამატებულმა ახალმა განცდებმა ისე მოთენთა და დაღალა, რომ ძალზე უმწეოდ, უსუსურად იგრძნო თავი.

„ღმერთმანი, მართალი მითხრა გუშინ ტიტკო ბიძიამ: ყველა კეთილი საქმე კარგია, შვილო, მაგრამ ქალიშვილისთვის ყველაზე მთავარი მაინც ოჯახის შექმნა და კარგი შვილების აღზრდაა!“ — ფიქრობდა შინ მყოფი და თავის ოთახში განმარტოებული ნათია.

ტიტკო ძალზე მეგობრულად იყო ნათიასთან, მაგრამ ამგვარ საკითხებზე სერიოზულად და გადაჭრით ადრე არასოდეს უთქვამს. მიხვდა რომ ამაში ნანოს და ნუცა ბიცოლას ხელიც ერია. „ეგებ მართალია, ეგებ ჯობია უარი ვთქვა ჩემს გეგმებზე, მითუმეტეს რომ ვხედავ არათუ ძნელი, შეუძლებელიც კია ზოგიერთი მათგანის განხორციელება. ვის გინდა შესჩივლო, ვის გინდა დახმარება და მხარში ამოდგომა სთხოვო. ყველაფერზე გურგენ თორდიას ხომ არ შეაწუნებ, გარდა ამისა, ბევრი საკითხის გადაჭრა მის შესაძლებლობას აღემატება. სხვები კი რობოტებად ქცეულან და მხოლოდ იმას აკეთებენ, რასაც ქვარაია მოისურვებს, ვერ წარმოუდგენიათ მასთან შეუთანხმებლად თუნდაც უბრალო საკითხის გადაწყვეტა. ყველგან საგანგებო ჯებირებია გავლებული და იმ ჯებირში უნდა ჩაატო შენი მეოცნებე და მეზრძოლი სული. ამავე დროს არ უნდა გაბედო ჯებირების არათუ გარღვევა, იქიდან გადახედვაც კი. ვინც ასე არ მოიქცევა, თვითონ ტოვებს რაიონს, ან ძალით ატოვებინებენ... და მე მაინც არ დავიჯერებ, რომ ამგვარ თავგასულობას როცა იქნება ბოლო არ მოეღება. მერე რა არის, რომ ლატავრა წავიდა. მერე რა არის, რომ

იძულებულია თამაზიც წავიდეს, შეიძლება სხვა ბევრი წავიდეს, მაგრამ ჩემი გოგო-ბიჭები ხომ მეყოლებიან გვერდით, მარტო მაინც არ დავრჩები. ჩემი ესმით მათ, ამიტომ ამყვინენ, ყველაზე თავზეხელაღებული უჩა და გუგუტაც კი მოვათვინიერე. დაწყნარდა სოფელი, არ ისმის მათი აყალმაყალი. ან სადღა სცალიათ. ისინი უკვე დიდ საქმეებს შესჭიდებიან. აქ ნათიას გაახსენდა სოფლის ახალგაზრდების კრებაზე ერთ-ერთი გამომსვლელის სიტყვები: „ბედნიერია ის სოფელი, რომელსაც ამდენი ახალგაზრდა ჰყავს, მაგრამ, საუბედუროდ, მე ვიცი დღეს მათი უმრავლესობა მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად მოვიდა, თორემ არც აინტერესებს, რასაც აქ იტყვიან, რადგან დარწმუნებულია, დღევანდელი პირობაც, ისევე როგორც ბევრი წინანდელი, ოქმში დარჩება, ბევრი მათგანი აქ ზის და იმ გზაზე ფიქრობს, რომელი გზითაც ხვალ მურიცხადან გავა და... მერე როგორც სტუმარი, ისე თუ ესტუმრება. არც გაემტყუნებათ. ჩვენ ხომ სკოლის მოსწავლეები არა ვართ? ჩვენ უკვე დამოუკიდებელი ადამიანები ვართ, ზოგიერთს ოჯახიც კი გვყავს სარჩენი და მარტოდენ დაპირებები თუ იმედი არას გვარგია. დროა, პრაქტიკული თვალთ გადავხედოთ სინამდვილეს. ჩვენ არსებობა გვინდა და ნუ გვაიძულებთ დავადგეთ იმ გზას, რომელიც მიუღებელია. მოგვეცით სამუშაო, დაგვასაქმეთ და მაშინ ჩვენზე საქმენი იტყვიან ჩვენზე. მაშინ არც მაიას გაუჭირდება კონკრეტული მაგალითების დასახელება და არც სოფლის კომკავშირელების მიერ მიღწეულ არარსებულ წარმატებებზე საუბარი გააწითლებს საანგარიშო კრებებზე“.

— მართლაც არსად შეურცხვენიათ თავი. ერთნი მთაში არიან, იქ სამანქანო გზა გაჰყავთ, ხე-ტყეს ამზადებენ. მეორენი აქ ზურაბს ამოსდგომიან გვერდში და სოფლის გაშენება-დამშვენებისთვის მიუყვიათ ხელი.

ბიურომ მიიღო თუ არა გადაწყვეტილება ანგარიში გაეწია მურიცხელი ახალგაზრდების მოთხოვნებისათვის, ისინი ერთგვარი იმედითა და ხალისით გაერთიანდნენ. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის უშუალო თანადგომით კი შესაძლებელი გახდა ადრე გაზაფხულზევე გაიჭრას კულტურის სახლის საძირკველი. მთელი ზაფხული თავდაუზოგავად იმუშავეს და საცაა დაამთავრებენ კიდევ.

„და მაინც რატომ ივიწყებ, ნათია, რომ შენ ქალად ხარ გაჩენილი, რომ შენ სხვა უფრო დიდი მისია გაკისრია... შვილები.... შვილები, ნათია!...“ — არა, ეს ხმა რაიმე იდუმალი და გარეშე არ იყო. იგი შიგნიდან, საკუთარი

არსებიდან, გულის წიაღიდან მოესმა ნათიას. მოესმა და შესძრა, აათრთოლა. განა ნათიამ არ იცის ეს? განა ნათია არ ოცნებობს შვილებზე? არა ერთზე და ორზე... ოცნებობს ბევრზე და კარგზე. მაგრამ... ჯერ იყო და ვერავინ ვერ შესძლო იგი მოეხიბლა და ძილი დაეფრთხო. ნათიას ბავშვობიდანვე ჰქონდა ჩაგონებული, რომ მაშინ იქნებოდა შეყვარებული, როცა ვინმეს მიზეზით შფოთიანი ძილი ან სულაც უძილობა დაეწყებოდა. ახლა... ახლა კი მოგეცა ლხენა, უკვე რახანია მშვიდად არ უძინია, მაგრამ საქმე ისაა, რომ მდგომარეობაში კარგად მაინც ვერ გარკვეულა. უკვე მერამდენე წერილი მიიღო ირაკლისაგან, არც თვითონ უგვიანებს პასუხებს. თუმცა ერთი-ორჯერ კი იფიქრა თავი შეეკავებინა. ვერ შეძლო. ხანდახან იმასაც კი ფიქრობდა, რა დროს წერილებით სიყვარულიაო. ასე ბავშვებს შეშვენით, მე უკვე ოცდაოთხი წლისა ვარ, ირაკლი წერს, ოცდაშვიდისა ვარო. გარდა ამისა, პირველი წერილიდან უკვე საცაა წელიწადი გახდება და მან ერთხელაც ვერ მოახერხა მოსკოვიდან ჩამოსვლა... ასეთის გაფიქრებაზე ნათიას ბრაზი მოერეოდა და საკუთარ თავს შეუცაცხანებდა: „შენც კარგი ვინმე ხარ, ვიღაც დოცლაპიას რომ ასულელებინებ თავს“! და უეცრად მოუნდებოდა ყველა წერილი დაეწვა. საამისოდ გამოიტანდა კიდეც მათ, მაგრამ მაშინვე დაეუფლებოდა მათი კიდეც ერთხელ წაკითხვის საოცარი სურვილი. წაიკითხავდა და... ისევ შეინახავდა. არა. ირაკლი ისაა, ვისაც ჩემი სული ეძებს. მე ვინმე თუ გამიგებს, მხოლოდ ირაკლი! — იტყოდა და მზად იყო, თუ ის ვერ ახერხებდა ჩამოსვლას, თვითონ ჩასულიყო მასთან. ენახა, მოფერებოდა, გაემხნევებინა ობოლი, ავადმყოფი (მას ხომ თვალის ოპერაცია აქვს გაკეთებული), მარტო სტიპენდიისა და შორეული ნათესავის მიერ სამადლოდ გამოგზავნილი მცირე თანხის შემყურე და ალბათ ნახევრად მშიერი ბიჭი. მაგრამ, მიუხედავად იმისა რომ ძალზე უნდოდა ასე მოქცეულიყო, მაინც არ აძლევდა თავს უფლებას. ერთხელ ფულის გაგზავნაც მოინდომა, მაგრამ ესეც უარყო — რაც არ უნდა უჭირდეს, მაინც შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს. წერილების მიხედვით ირაკლის მოსკოვში მოუხდია ჯარი. მერე იქვე დარჩენილა სამუშაოდ, ლიმიტი მიუღია და სამედიცინო ინსტიტუტშიც ჩარიცხულა. ამჟამად ბოლო კურსზეა და კარგადაც სწავლობს.

კარგად რომ სწავლობს და ნიჭიერია, რომ საღი შეხედულება აქვს ცხოვრებაზე, ეს მისი წერილებიდანაც ჩანს, მაგრამ ხომ შეიძლება წერილები სხვისი დახმარებით იყოს შედგენილი?! განა პირადად ოდესმე უსაუბრია მასთან? — აქ შეკრთებოდა ნათია, მაგრამ მალევე მოეგებოდა

გონს: არა! ირაკლი არ შეიძლება იყოს თაღლითი. აქამდე როდის ყოფილა, რომ ნათიას ზუსტად არ შეუფასებია პიროვნების სულიერი სამყარო, თუნდაც ერთხელ, შემთხვევით ჩაეხედოს მისთვის თვალეზში? მატარებელში შეხვედრისას კი, მიუხედავად შავი სათვალისა, მაინც შეძლო დაეჭირა ირაკლის თვალეზის თბილი შუქი. განა მაშინვე, პირველი ნახვისთანავე არ იგრძნო სულის საოცარი აღტკინება? განა ნათია არ იყო ის, გული რომ დასწყვიტა ირაკლის წინადადებამ, სხვა კუპეში გადავალ მეგობართანო? რატომ ფიქრობდა მთელი ის ღამე და კიდევ რამდენიმე დღე, იმ შავსათვალთან საოცარ ბიჭზე? მერე, მართალია, სხვა საზრუნავმა გადაავიწყა თითქოს, მაგრამ პირველმა წერილმა ხომ ააფორიაქა, ხომ მაშინვე დაუმტკიცა, რომ ირაკლი იყო ის, ვისი შეყვარებაც მას შეეძლო, ვინც უკვე უყვარდა კიდევ...

„მე კი ახლა... ახლა მიჭირს ძალიან და მინდა აქ იყოს, ჩემთან იყოს იგი, რომ უფრო ძლიერად ვიგრძნო თავი, რომ მარტო არ ვიყო და უსუსურად არ ვჩანდე ამდენი ბოროტების წინაშე!“ — ჩაიჩურჩულა ნათიამ და მაგიდაზე გაშლილ წერილებს მკლავები შემოაჭდო, ერთად მოაქუჩა და თითქოს ევერებაო, ლოყით შეეხო მათ, თვალეზი დახუჭა და... მწარედ ატირდა.



ჯერ კიდევ ძილღვიძილში იყო ჯუმი, როცა ჰაერში რამდენიმეჯერ გასროლის ხმა გაისმა.

სოფელი ერთბაშად ახმაურდა. აყეფდნენ ძაღლები, აჭრიალდნენ ანჯამები, ნამძინარევი ქალ-კაცი შუკვებში გამოეფინა.

— რა ამბავია, ვინ ისვრის თუ იცი? — გასძახა აივანზე გადმომდგარმა ტაიამ მეზობელს.

— მგონი ხიტის სახლიდანაა, ყველა იქით გარბის, მობრუნებული ჯერ არავინ ჩანს, — უპასუხა მოხუცს მეზობელმა და თითქმის სირბილით განაგრძო გზა.

— ხიტის ვინ ოხერი უნდა დასცემოდა? რა მზეთუნახავები მაგას ჰყავდა ან ძვირფასეულობა ეგულეობდა მასთან? — ჩაილაპარაკა ტაიამ და თვითონაც მიაყურადა ხმაურს, რომელიც სოფლის ბოლოდან ისმოდა. იქ ტყისპირას, თითქოს სოფელს გაბუტვიაო, მარტო ხიტი ლომჯარია

ესახლა, — ნამდვილად იქიდანაა, საოცარია ღმერთმანი, — ჩაილაპარაკა ისევ ბერიკაცმა და ისიც სხვებს გამოუდგა.

სოფლის ბოლოს გასულ ტაიას იქ უკვე მთელი სოფელი დახვდა.

— ტაიამ გაცემით გადახედა გაქვავებულ თანასოფლელებს, რომელნიც თვალგაშტერებულნი მისჩერებოდნენ ხიტის ჯარგვალს. მან დააპირა ვინმესთვის ეკითხა, რაში იყო საქმე, მაგრამ სათქმელი სიტყვა მოულოდნელობისგან ხორცშივე უკუეჭვა და ერთხანს ეგრე პირღია შეჰყურებდა მილიციელებს, რომელნიც თავიანთ მხრივ ჯარგვლის კარს მისჩერებოდნენ. მალე კარიც გაიღო და ორი ხელაწეული ბიჭი გამოჩნდა, მათ უკან ხიტი და მისი ჯალაბიც მოყვებოდა, ბოლოს კი სამი მილიციელიც გამოვიდა. — ტაიას ყმუილის მსგავსი ხმა აღმოხდა მოუკუნავი პირიდან.

— სირცხვილი თქვენ! რა ვუთხრა თქვენს ვაჟკაცობას, როცა ეს დამთხვეული ერთ წელზე მეტია თვალებს გიხვევთ და თავის ჯარგვალში იფარებს საკავშიროდ ძებნილ ბანდიტებს! - მიმართა ხალხს ერთმა მილიციელმა და რევოლვერის ტუჩით დახურული მანქანისკენ უბიძგა ხიტის, რომელიც სველ ყვინჩილასავით მობუზული იდგა მასავით უსახურ ცოლ-შვილს შორის.

დაპატიმრებულთა წაყვანის შემდეგ კვლავ გაიცა ბრძანება სალხის მიმართ, ღობეს არ გადმოსცილებოდნენ და ისინიც სკასავით აზუზუნებულნი ღობის გადაღმიდან ადევნებდნენ თვალს მილიციის მუშაკთა საიდუმლო ფუსფუსს.

ხიტის სახლ-კარი შემოდგომის პირზე უფრო საცოდავად გამოიყურებოდა, ვიდრე სხვა დროს, როცა ბუნება მწვანედ ღაღანებს, ახლა თითქოს ჭლექიანი ავადმყოფი მიფიცხებოდა მზის რბილ სხივებს. ჯარგვლიდან გამოვიდა მაიორი, რომელმაც ორ რიგით მილიციელს რაღაც დავალება მისცა.

„მილიციის ახალი უფროსია!“ — გადაულაპარაკეს ერთმანეთს და მაიორზე ანიშნეს. მაიორი ისევ ჯარგვალში შებრუნდა. —

— იქით სად გაუშვა ისინი? - იკითხა ერთმა და ეზოს გადაღმა, ტყისკენ მიმავალ ბიჭებზე მიუთითა.

— ნუ ხარ შვიდთვიანი, მოუცადე და გაიგებ! — უპასუხა სულწასულს მეზობელმა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია ტყისკენ მიმავალთათვის.

შუკაში გრიალით და მტვრის კორიანტელით შემოვარდა „ვილისი“, საიდანაც რამდენიმე კაცი და რაიონული გაზეთის ფოტოკორესპონდენტი გადმოვიდნენ. ისინიც ჯარგვალში შევიდნენ.

— შემოდით, ნახეთ! — როგორც იქნა დართეს ხალხს ჯარგვალში შესვლის უფლება,

რა თქმა უნდა, ჯარგვალში ყველა ერთად ვერ შევიდოდა, მაგრამ ვინც შევიდა იმათ გაოცებას, საზღვარი არ ჰქონდა. ერთთვალთან ჯარგვალს უკან მოშენებული ჰქონდა პატარა ოთახი, რომელიც განსხვავებით წინა თვალისგან, სიგარეტ კოსმოსის“ კოლოფის ნაჭრებისგან საგულდაგულოდ იყო „გმპალიერებული“, რაც მაშინვე მიგითითებდათ ამის გამკეთებლის უსაქმურობაზე. უფანჯრო მიწურში კედლების მუქ ფონზე ჟრუანტელის მომგვრელად დაელო პირი ორმოს. მილიციელმა ჯიბის ფანარი ჩაანათა ვრცელ ორმოში, სადაც იდგა თეთრი ვოლგა „გაზ 24“. სწორედ ის. რომელიც რამდენიმე თვის წინ დაიკარგა მურიცხაში. მაგრამ ამით როდი ამოწურულა ხიტის ჯარგვლისეული სიურპრიზი: ორმოს ერთ კუთხეში გვირაბი ჩანდა, დიახ, წელში მოხრილი კაცის სიმაღლე გვირაბი.

— ნადირალები, გაიძვერები. ხედავთ სათადარიგო გზაც კი ჰქონიათ — თქვა ფანრიანმა მილიციელმა, რომელიც ახლა ორმოში იყო და ფანარს გვირაბში ანათებდა.

— გვირაბს გასასვლელი აქვს ტყეში, მივაკვლიეთ უკვე... — მოახსენეს მილიციის უფროსს, რომელიც ჩაფიქრებული უყურებდა ორმოდან გვირაბის შესასვლელს.

— რაიკომის მდივანი მოდის! — შეაღწია მიწურში რაიონის თავკაცის მოსვლის ცნობამ.

— გაბრძანდით გარეთ! — ბრძანა მილიციის უფროსმა და ჯარგვალშიც მაშინვე დაიცალა.

ქვარაიამ გოროზად გადახედა თავშეყრილ ხალხს და ბრაზით გადაულაპარაკა ჯიმშერ შამუგიას, რომელიც გვერდით მიყვებოდა:

— იცოდე, ყოველივე ეს ძვირად დაგიჯდება, ეს გვინდოდა ანლა ჩვენ?!

შამუგიას პასუხი არ გაუცია. მოსულებს მილიციის უფროსი გამოეგება.

— რაშია საქმე, ამხანაგო აბრაღავა— მკვახედ მიმართა ქვარაიამ მილიციის ახალ უფროსს.

— ბუნაგი გაჩხრეკილია. ბევრი ფასიანი ნივთიც იქნა ნაპოვნი, მათ შორის ის ვოლგაც, რომელიც ამას წინათ სოფელ მურიცხაში დაიკარგა... — ქვარაიას არ დაუცდია მილიციის უფროსის მოხსენებისათვის, ის აჩქარებული ნაბიჯით შევიდა ჯარგვალში.

— აი, გჯეროდეთ, ამ ამბავს ისეთი აურზაური მოჰყვება და იმდენი ვინმე წაიტეხავს ან წაატეხინებენ ფეხს, რომ მათთან შედარებით ჩვენი დღევანდელი გაოცება მონაგონი იქნება. — თქვა ტაიამ.

— კაი, კაცო, ენამ არ გიყივლოს! — უდანაშაულოს ვინ რას ერჩის და დამნაშავეს კი ფეხიც წაუტეხია და კისერიცზედ მიუყოლებია! — უპასუხა ტაიას ახალგაზრდა ბიჭმა და ღობეს გადაახტა.

ვისაც საშური საქმე ჰქონდა, თანდათან დატოვეს ხიტის ეზო, ხოლო დანარჩენები ღობის ძირას ჩამოსხდნენ და გულისყურით უსმენდნენ იმათ, რომელთაც წილად რგებოდათ უკვე ეხილათ ეს ახალი საოცრება,

— წარმოიდგინეთ, რამდენი ხანი უნდა ეთხარათ იმ ნაძირლებს ამხელა გვირაბი, ან იქიდან ამოღებული მიწა ასე პირწმინდად სადღა გააუჩინარეს? ან როგორ მოხდა, რომ არც ერთს არაფერი შეგვიმჩნევია? — თქვა ბოლოს ერთმა.

— არც გვირაბის გაყვანაა საკვირველი და არც მიწის გაუჩინარება. მაგრამ ის მანქანა იქ როგორ ჩაიყვანეს, ეს მართლა ვერ წარმომიდგენია! — უპასუხა მეორემ.

არავინ შეპასუხებია.



თამაზ ჯაიანის მაგიერ ქვარაიამ სერგო აბრალავა ჩამოიყვანა თბილისიდან. აბრალავას არ გასჭირვებია ალლო აელო ქვარაიას ხასიათისათვის. სერგო, თამაზისგან განსხვავებით, ერთხელაც არ ცდილა საკუთარი აზრის გატანას, პირიქით, მუდამ ცდილობდა საქმე ისე მოგვარებულიყო, როგორც ქვარაია ისურვებდა — რა თქმა უნდა, დიდმნიშვნელოვან საქმეებზეა საუბარი. მილიციის უფროსის მუშაობის ამგვარ მეთოდს ის მოჰყვა, რომ ქვარაიასთან შეთანხმებული ურთიერთობის ქარგაზე მალე გაინასკვა დანაშაულებრივი ნასკვი, პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და... სულ რაღაც ხუთიოდ თვეში

ქვარაია და აბრაღავა ისე გაიხლართნენ იმ ნასკვებში, ძალიანაც რომ ცდილიყვნენ, საკუთარ კისრებზე თავიანთივე ნებით დადგმული უღლის აპეურებისგან მაინც ვერ დაიხსნიდნენ თავს. სხვა გზა არ იყო, სულ ასე „შეხმატკბილებულთ“ უნდა გაევილოთ სამსახურებრივი ლაბირინთები. ამიტომ იყო, რომ ჯუშში ცისკრისეულმა გასროლამ ფერი უცვალა ქვარაიას. მას ახლა ყოველი ნასკვი ყულფად ეჩვენებოდა და აშკარად ესმოდა მათი მუქარაც: თუ ამ დანაშაულში პასუხისმგებლობას მილიციას დააკისრებენ, მაშინ არც შენი ყელ-კისერი გადაურჩება ჩვენებურ ამბორსო, მართალია, საქმე ძალზე სერიოზულია, ანგარების მიზნით მოტაცებული ბავშვი შენს რაიონში აღმოჩნდა გახიზნული. ახლა კი, საკავშიროდ ძებნილი ბანდიტების, ბავშვის გამტაცებლების, თვეობით ნაცხოვრები ბუნაგიც აქვე იქნა მიკვლეული, ისიც სხვა რაიონის მილიციის მიერ და უეჭველია გკითხავენ; სად იყო რაიონის მილიცია, სად იყო რაიონის ხელმძღვანელობა, სოფლის აქტივი? დიახ, გკითხავენ და რას უპასუხებ შენ, სანდრო ქვარაია?! და, საერთოდ ეს გინდოდა ახლა?! თითქოს მიუახლოვდი მიზანს, საცა იყო ცენტრალურ კომიტეტში სასურველ სკამზე დაჯდებოდი... ეშველება ვითომ ამ საქმეს?! — ბევრი იტანჯა, ბევრი იფიქრა ქვარაიამ, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მიაკვლია იმ გზას, რომელიც მშრალად გამოიყვანდა ავად მოვარდნილი ნიაღვრიდან.

მაშინაც იმაზე ფიქრობდა, როცა კაბინეტის კარი გაიღო.

— შეიძლება? – იკითხა ღენტორ ჯოლოგუამ და უფერული თვალები უცნაურად აახამხამა.

— შემოდი! – მკვახედ ესროლა ქვარაიამ. — რა ქენი, ახალი ხომ არა გაიგე რა?

— ბევრი არაფერი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ თვით ლომჯარიას პასიურ მდგომარეობას.

— რას გულისხმობ?

— ორი წელი ისეა გასული, რომ მას კოლმეურნეობაში ერთი კაცდღევ არა აქვს გამომუშავებული.

— მთელს ოჯახს?

— ზაფხულში, ჩაის სეზონის პერიოდში, ქალს ყოველთვიურად ერიცხება კარგა გვარიანად მოზრდილი თანხა. ეტყობა ბავშვების ნამუშევარსაც მის სახელზე წერდნენ. ალბათ პენსიისთვის, რაც, ჩემი აზრით, კოლმეურნეობის გამგეობისათვის არაა კარგი ფაქტი...

— ბავშვები რა ხნისანი არიან? — ისეთი ტონით ჰკითხა ქვარაიამ, რომ ჯოლოგუა მაშინვე მიხვდა დაუკრეფავისკენ გადაუცდა ფეხი და მოსხეპვით გაკმინდა ხმა.

— არ გესმის? შენ გეკითხები!

— ბავშვები არც ეთქმით. უფროსი ბიჭი ცხრამეტი წლისაა, გოგო კი მეათე კლასშია.

— როგორ, ცხრამეტი წლის ბიჭიცა ჰყავს?

— დიახ, ბატონო.

— მერედა, სად არის ახლა?

— მშობლებთან ერთად დაკავებულია.

— ესე იგი ცხრამეტი წლის ჭაბუკი შინ ზის და ბანდიტებს ართობს, ან სულაც ხელს უმართავს, „ოპერაციებშიც“ ლეზულობს მონაწილეობას, თითქოს თავისთავს ესაუბრებოდა ქვარაია, მერე უეცრად ლენტორს მიუბრუნდა:

— შენ რას იტყვი, ლენტორ, ცხრამეტი წლის ჭაბუკი სად უნდა იყოს?

— როგორ გითხრათ, — ლენტორი დაიბნა. — ეს ის ასაკია, როცა ჯარში უნდა იმყოფებოდეს...

მაგრამ ქვარაია ლენტორის პასუხით არ დაინტერესებულა, არც კი გაუგონია, ის უკვე საკუთარ ფიქრებში მიიკვლევდა გზას და მდგომარეობა, რომელიც წუთის წინ გამოუვალად ეჩვენებოდა, უკვე მის სასარგებლოდ შემობრუნებულად ჩათვალა. ამ განცდამ კი იმდენად გაახარა, თავმოყვარეობა რომ არა, ალბათ ჩაკოცნიდა კიდეც ჯოლოგუას ასეთი აუცილებელი და დროული ცნობისათვის.

„მაშ ასე, უკვე აღებულია ციხე-სიმაგრის ერთი გოდოლი! — ფიქრობდა ის, — მართლაც კარგი რამეა. შეიძლება საქმის სიმძიმე კომისარიატს მოახვიო თავზე და ამ ხაზით წაიყვანო რეაგირების მთელი მსვლელობა წვრილმანი დამატებებით“.

ლენტორი არაფრისმთქმელად დაწყეტილი თვალებით შეჰყურებდა ქვარაიას, ის ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო რა ჯიშის მარცვალი გადააგდო ქვარაიასეულ ხნულში და საერთოდ თუ იხარებდა ის მარცვალი, ნაყოფს თუ დაისხამდა და, რაც მთავარია, ჯოლოგუას თუ ექნებოდა სარგებელი იმ ნაყოფში. ხოლო როცა სარგებელზე ფიქრობდა, მუდამ ქვარაიას მხრივ ნდობის გაღრმავება-განმტკიცება ჰქონდა

მხედველობაში. ახლა კი უჩვეულოდ დაბნეული ჩანდა.

— ლენტორ! — მიმართა უეცრად ქვარაიამ, — შენ გამოცდილი კაცი ხარ და კარგად მოგეხსენება, რა დიდი ჩრდილია ჩვენი რაიონისათვის ეს ამბავი, ამიტომ ჩვენ, ყველას, რომელთაც მშრომელი ადამიანის საკეთილდღეოდ გვიცემს გული, რომელთაც მათი გულისხმა დაგვისახავს მუშაობის მასტიმულირებელ ძალად და რომელთაც საერთო საქმე არ გაგვიყვია პირადულისგან, ვალდებულნი ვართ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მივაკვლიოთ დანაშაულის ძირს და დავსაჯოთ ყველა. დიას, ყველა, ვინც არ უნდა იქნეს ის, ვისაც, თუნდაც სულ მცირეოდენი, წვლილი ექნება ამ საქმეში... წარმოიდგინე შენ, იმდენად გათამამდნენ ნაძირალები, რომ გამოძალვის მიზნით მოტაცებული ბავშვის აქ შეფარება არ იკმარეს და თურმე თვითონაც ათი თვე აქვე ნებივრობდნენ, ამას ისინი ისე ვერ გააკეთებდნენ, რომ ადგილზე ძლიერი მეკავშირე, მფარველი არ ჰყოლოდათ. შენ როგორ ფიქრობ, უქმად იჯდა სახლში ცხრამეტი წლის ჭაბუკი და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა, თუ როგორ ამპალიერებდნენ ბანდიტები მის ხულას „კოსმოსის“ ნაჭრებით?!

ჯოლოგუამ ვერაფერი უპასუხა.

— შენ გეკითხები. განა გაუჭირდებოდათ ნაძირალებს იმ ოჯახში თავის შენახვა, სადაც ამხელა მუტრუკი ჰყავდათ მფარველ ანგელოზად?

— ამაზე არ მიფიქრია, ბატონო, — უპასუხა შეცბუნებულმა ჯოლოგუამ,

— რომელიც უკვე ხედავდა, საით მიერეკებოდა ქვარაია ქარავანს, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არ უჯერებდა თვალებს.

— არ გიფიქრია?! ჰმ... არ უფიქრია! განა კიდევ დარჩა რამე საფიქრალი? განა ახლა მაინც არაა ყველაფერი ნათელი?!

— ახლა კი, ბატონო! — ჯოლოგუამ ამ სიტყვებით პირდაპირ შეხედა რაიკომის მდივანს, რომელსაც არ გამოპარვია მლიქვნელი ქვეშევრდომის თვალეში გაელვებული ნაპერწკალი, რაც მათი პატრონის ერთგვარ გონებამახვილობაზეც მიუთითებდა.

— ლენტო, შენ გავალებ ეს საქმე უფრო ღრმად შეისწავლო, თვით უმნიშვნელო წვრილმანიც არ გამოგრჩეს, რადგან, ხომ იცი, ხანდახან წვრილმანია ციხის გასაღები და ამას ყველაფერს გააკეთებ შენი მშობლიური რაიონის ავტორიტეტისათვის!

— ვიცი, ბატონო, ვიცი. მაგი მიკარგავს მეც მოსვენებას. ან რატომ უნდა

შეარცხვინონ ჩვენი რაიონი ვილაც მოთრეული ნაძირალების გულისთვის? — გულში კი ფიქრობდა: „შენ რაიონის ავტორიტეტი ფეხებზე გკიდია, შიშით უკვე ნახევრად გამძვრალი ტყავი რომ არ გეწვოდეს“.

— ისიც ხომ იცი... სანდრო ქვარაიამ არ იცის ერთგულების დავიწყება! — ნახევრად მოჭუტულ თვალებში ეშმაკური ღიმილი გაუკრთა.

— რას ბრძანებთ, ბატონო, როცა ასე ბეწვზე კიდია მთელი რაიონის სახელი, მაშინ მე, მისმა მკვიდრმა, ორიოდ ნაბიჯით ზედმეტი რომ გადავდგა სიმართლის საძებნელად ეს რა სათქმელია. ეგ ისედაც მოქალაქეობრივი ვალაია ჩემი. — გულში კი თქვა: „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს“.

— მაშ, შენ იცი ახლა თავისუფალი ხარ. ლენტორის გასვლის შემდეგ პირდაპირი კავშირით იხმო თავისთან სერგო აბრალავა და რაიონის პროკურორი დაჩი გელოზია.

„ეს მართლაც რომ კარგი რამეა, — ფიქრობდა მილიციის უფროსისა და პროკურორის მომლოდინე რაიკომის მდივანი, — სხვა ვერაფერი გვიხსნიდა ჩვენ. მაგრამ... ნაადრევი ხომ არაა ჩემი დასკვნა? ეგებ არც უწევდა ჯარში ყოფნა იმ ბიჭს, ეგებ ლენტორს შეეშალა ან... რა ქრთამზე გინდა ილაპარაკო, როცა ლომჯარიები წარმოუდგენლად ლატაკები არიან? თუმცა, — აქ ისე მიაყურადა სივრცეს, თითქოს რამე იდუმალი ხმა კარნახობდა და უეცრად წამოიძახა: არის, ასე სჯობია! უნდა მოხერხდეს პატიმრის გადაბირება, თითქოს მან გაიღო ქრთამი, რადგან ბიჭი მათ სჭირდებოდათ. მერე სხვაც მოგვარდება და ამას ყველაფერს გააკეთებს დაჩი. სერგო განზე უნდა გადგეს, გაითიშოს საქმიდან. ყოველ შემთხვევაში აშკარად არ იმოქმედოს, რომ ლევანი არ დაფრთხეს. პირიქით, სერგომ ლევანისადმი დამოკიდებულების უცვლელიობით, რასაც ადვილად მოახერხებს, უნდა მოადუნოს მისი ყურადღება. ამავე დროს არც სერგომ და არც დაჩიმ არ უნდა იგრძნონ, რომ მე მეშინია. პირიქით, თვითონ უნდა შევაშინო, რომ უფრო თავგამოდებით იმოქმედონ, არ გადასძლიონ ლევანისადმი მეგობრულმა ურთიერთობამ, რამდენადაც ვიცი, არც დაჩია სერგოზე ნაკლებ ახლოს მასთან, — ამის გაფიქრებამ ქვარაია დაალონა, — ვაითუ ვერ გაიმეტონ. მაშინ... მაშინ ხომ ძვირად დამიჯდება? მათ რა იციან (არც უნდა იცოდნენ, როგორ მეჩქარება, რა მიზნები მაქვს... ოო, არა! არა! არავის და არაფერს დავერიდები, ყველას და ყველაფერს მოვსპობ, ვინც და რაც ჩემეულ

გზაზე ხელისშემშლელად გადამიდგება, ეს საქმე კი ისეთი ლახვარი იქნება ჩემთვის, რომ რამდენიმე წლით უკან დამწევს. მე კი მეჩქარება, მეჩქარება...

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და ამჯერად აბრალავა და გელოზია შემოვიდნენ.

— ქვარაიამ საუბრის ისეთივე სტილით და შინაარსით გააცნო მათ თავისი ახალი აზრი, როგორც ლენტორს და მათაც ისევე გაუგეს, როგორც ლენტორმა,

— დაჩი! — მიმართა ქვარაიამ პროკურორს, — ვიცი, შენი ალღოსი და ინტუიციის პატრონს არ გაგიჭირდება საქმეს ისეთი მსვლელობა მისცე, როგორც მდგომარეობას უხდება, სხვაგვარად არ გამოვა. განა გვაპატიებენ, ასეთ სენსაციურ შემთხვევას რეაგირების, სათანადო და მკაცრი ღონისძიების გარეშე თუ დავტოვებთ? მერე კი... საქმე საქმეზე რომ მიდგეს, კარგად მოგეხსენებათ, მარტო ამ საკითხით არ დაკმაყოფილდებიან და სხვა დაკეტილ კიდობანშიც ჩაიხედავენ, მაშინ კი, არა მგონია, მილიციის უფროსს და პროკურორს მაღლობის ნიშნად თავზე გადაუსვან ხელი. მართალია, არც მე მეტყვიან მაღლობას, მაგრამ ამას ჩემთვის იმდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. შენთვის კი, დაჩი, მართლაც რომ ცუდი იქნება. ახლაგაზრდა კაცი ხარ და... ლაქა ხელს შეგიშლის მუდამ. ხოლო თუ მილიციის ორმოცდაათი წლის მაიორს ჩამოაქვეითებენ, არა მგონია, მერე მოუწიოს ფეხზე დადგომა. ასე რომ ეს არის ერთადერთი უვნებელი გზა და ამ გზის გაკაფვაც შენ მოგიწევს, დაჩი. შენ კი, — ახლა აბრალავას მოუბრუნდა ქვარაია — ლევანისთან ურთიერთობა არ შეცვალო, ძველებურად, მეგობრულად იყავი მასთან. საქმეში არსად არ გამოჩნდები. ასე სჯობია!

— ამხანაგო სანდრო, შესანიშნავი და საფუძვლიანი აზრია და რაც ჩემზეა დამოკიდებული, მას, მერწმუნეთ, ზედმიწევნით შევასრულებ! — თქვა გელოზიამ.

აბრალავას კი იმ წუთში საკუთარი თავი, თანამდებობა, სანდრო ქვარაია და დაჩი გელოზია ერთნაირად ეზიზღებოდა.

— ეგ ხომ უსინდისობაა? — მერამდენედ ეკითხებოდა საკუთარ თავს ქვარაიასთან საუბრის შემდეგ თავის კაბინეტში დაბრუნებული სერგო აბრალავა. ის მილიციაში მუშაობის მრავალი წლის მანძილზე ალბათ პირველად გრძნობდა ასე მწვავედ სინიდისის ქენჯნას: — მე რამდენჯერ მივანიშნე ამაზე ლევანს, მაგრამ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ბურანშია

და ისე გაიტანს, ჰგონია, ლელოს, როგორც წიგნებში წერია. ეხ, ეს ახალგაზრდობა... — სერგო გულწრფელად განიცდიდა ლევანის ამბავს. წარმოშობით მეზობელი ქალაქიდან იყვნენ. სერგოს ბავშვობისეულ სახლში ღრმად მოხუცი დედა ჰყავდა, ასევე ლევანს და ორივენი, ლევანი და სერგო, ხშირად აკითხავდნენ მშობლებს. სერგოს გუშინდელ დღესავით ახსოვდა ლევანის ბავშვობა... მის უსაზღვროდ კეთილ ხასიათს ზედმიწევნით იცნობდა და ალბათ ამიტომ იყო, რომ ასე ახლოს მიჰქონდა გულთან საკუთარი მდგომარეობა: უნდა მოეტყუებინა, ელალატა ლევანისათვის და, ვინ იცის, ამ დალატით გამოუსწორებელი დანაშაულიც კი ჩაედინა. ხომ ხდება, რომ კოჭის უბრალო გადაბრუნება ხშირად უფრო სავალალო შედეგს გამოიღებს ხოლმე, ვიდრე გულის ინფარქტი. სხვა რომ არა იყოს რა, თვითონ ლევანი ხომ მიხვდება ოდესმე ყველაფერს?...

ამ დროს ტელეფონის ზარმა გაიწვრიალა.

— გისმენთ.

— სერგო ისაკიჩ, დედასთან მივდივარ, თუ აპირებ წამოსვლას, გამოგივლი.

სერგო დაიბნა. ხმა ვერ ამოიღო, ყურმილში ლევანის თბილი, მეგობრული ხმა ისმოდა.

— ალო, სერგო!

— ალო! ალო!

— ჰო, ... ლევან, დღეს რაღაც გადაუდებელი საქმე მაქვს, ვერ წამოვალ.

სერგომ ყურმილი მაშინვე დადო. ერთხანს ტელეფონისთვის ხელი არ გაუშვია, თითქოს ეშინოდა, ვაითუ ხელი გავუშვა და ისევ დარეკოსო.

„უკვე დაიწყო!“ — ამოიხვნეშა მან და თავი სინანულით გააქნია. მას კვლავ შემოესია უსიამოვნო ფიქრები: აბრაღავას საკუთარი თუ სხვისი სურვილით ბევრჯერ აურიდებია თვალი სიმართლის ძიებაში დაშვებული „შეცდომისათვის“, ისიც კი უნახავს საკუთარი თვალით, თუ როგორ თავაწეული გადიოდა მილიციის ეზოდან მსჯავრდადებული დამნაშავე. მაგრამ... ის ისე აძლევდა ხელს ვიღაცას... რას იზამ „ხელი ხელს ბანს და ორივე კი პირსო“. ასე რომ არ იყოს, ახლაც არაფრით არ წავიდოდა ასეთ უსიტყვო დათმობაზე ლევანის წინააღმდეგ. ლევანი, უფრო სწორად, წვევამდელი ლომჯარია, მეორე ხარისხოვანი წევრები არიან იმ დანაშაულში, ან შეიძლება სულაც არა აქვთ რაიმე კავშირი

მასთან. ამიტომ თავდაპირველად საქმე უნდა აღიმდრას არა სამხედრო კომისარიატის მიმართ, არამედ იმ სოფლის მესვეურთა და მილიციის წინააღმდეგ, — აქ ცოტა შეაქრჟოლა ქვარაიას ნაწინასწარმეტყველევმა, — გადასახლებით არავის არ გადაასახლებდნენ, სამაგიეროდ ყველაფერი კანონიერი იქნებოდა და სულიერი სასჯელი მაინც ამცდებოდა, მაგრამ სანდრო სოფელში ვერავის ვერ დასჯის, რადგან მის მიერ აღზევებული, კარს მომდგარი სკკპ ყრილობის დელეგატის, ჯიმშერ შამუგიასათვის პასუხისმგებლობის ასაცდენად ყველაფერს თვითონ იღონებს, მაშინ თავისთავად ხელშეუხებელი დარჩება სოფლის საბჭოს თავმჯდომარეც, ვერც რაიმე მილიციას კრავს ხელს, რადგან ჩვენსკენ სამაგისოდ მომავალი გზა მან საკუთარი ხელით მოიჭრა. მაშ, რაღა ქნას? ამ დროს დაინახა წვრილი ბილიკი, რომელმაც ლევანამდე მიიყვანა. ვიცი, ახლა ორი კურდღლის ერთად დაჭერას ფიქრობს ქვარაია. ცდილობს მთელი პასუხისმგებლობა სამხედრო კომისარიატს მოახვიოს თავზე და ისე მოაჩვენოს სხვებს, თითქოს კომისარიატის თანამშრომლების მიერ საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება იყოს საფუძველი ბანდიტების მიერ ჩადენილი ამ რაიონთან დაკავშირებული ყველა დანაშაულისა. მართალია ბევრი ვერაფერი შვილი იქნება ამგვარი ღონისძიება საქმისადმი სამართლიანი მიდგომის საბუთად, მაგრამ სანდროს, ეტყობა, ესეც მოფიქრებული აქვს და სჯერა, მოახერხებს სასურველი დასკვნით დაიხუროს საქმე. შემდეგ კი... ამ „დანაშაულის“ საფუძველზე მოიშოროს ლევანი. მას დიდი ხანია მიზანში ჰყავს იგი ამოღებული, მაგრამ აქამდე ვერსაიდან მიუდგა. ახლა... ახლა კი ვნახოთ რა იქნება, — მან სიგარეტს მოუკიდა და აფორიაქებული სულის დასამშვიდებლად, მიუხედავად ცივი ამინდისა, ფანჯარაც კი გამოაღო. სერგოს თვალწინ დაუდგა ლევანისთან ადრინდელი საუბარი:

— ლევან, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, შენთვის ბევრი რამ წარმოუდგენელია, მაგრამ მე ჩემი გამოცდილებიდან გეუბნები, რომ ცხოვრება ვეებერთელა სცენაა, სადაც ყველას აქვს საკუთარი როლი.

— და ვინც მსახიობური გარდასახვის დიდი ნიჭით იქნება დაჯილდოებული, მხოლოდ ის შესძლებს სრულ კმაყოფილებაში გალიოს წუთისოფელი. „უნიჭო მსახიობები“ კი მუდმივი წვალებისა და საარსებო ლუკმა-პურის სამათხოვროდ არიან განწირულნი!

— ლევან, მე ის მიკვირს, რომ ყველაფერი იცი და მაინც უმეცარივით იქცევი. — სერგოს ხმაში კეთილმოსურნე დამრიგებლის გულისტკივილი

ამკარად იგრძნობოდა — და მაინც ყველაზე უფრო მაინტერესებს, როგორ ფიქრობ, როგორ მიაღწიე შენ, ობოლმა ბიჭმა, ასე ახალგაზრდულ ასაკში ასეთ თანამდებობას? განა შენზე მეტი გამოცდილების ოფიცრები არ იყვნენ?

— შენ რა, ეჭვი გეპარება იმაში, რომ არც ფულიანი ვიყავი და არც სამაგისო პატრონი მყავდა? — გულუბრყვილოდ გაიკვირვა ლევანმა

— არა გრცხვენია? მე ამ კუთხით არ გეკითხები, მაგრამ რაკი ვერ გამიგე, პირდაპირ გეტყვი: შენ, მართალია, არც დიდი პატრონი გვყავდა, არც ფული, მე ისიც ვიცი, რომ შემთხვევით მოხვდი ამ სისტემაში, მაგრამ ნიჭიერი, ენერგიული და, რაც მთავარია, გონიერი ახალგაზრდა იყავი. ეს კი დიდებული მონაცემი იყო იმისათვის, რომ ცხოვრების დიდ სცენაზე შენს როლს მიაგნებდი.

ლევანმა ამოიხვნეშა და დაღლილი კაცის ხმით უპასუხა:

— მე ყოველ გაწვევაზე საკმაო რაოდენობით მიგროვდება ისეთი კატეგორია წვევამდელებისა, რომელთაც ადამიანური გაგებით უნდა გავუწიო შელავათი, რადგან მათთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს თუნდაც ნახევარი წლით გადავადებას. ზოგს რა უჭირს, ზოგს რა. მერე შემოწმებისას თვითონ უნდა დავიცვა ისინი, რომ დეზერტირებად არ ჩათვალონ, მაგრამ მე არ მიძნელებდა მათი დაცვა და ეს იმიტომ, რომ მართალი ვარ როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება. ხოლო როცა ყალბი საბუთებით ნაშეღავათევი წვევამდელის პირად საქმეს ამოწმებენ, მაშინ ურთიერთგაგებისათვის სხვა ენას ვხმარობ და შესანიშნავად ვასრულებ ჩვეულებრივი მექრთამის როლს. ალბათ ესაა შენს მიერ ნახსენები ცხოვრების სცენა, რაც გულს მირევს. ზოგჯერ ისე მეზიზღება ჩემი თავი და ირგვლივ ყველაფერი, რომ მზად ვარ დავკრა ფეხი და გავიქცე, მაგრამ სად? მითხარი, სერგო, სად გავიქცე?!

— რას ამბობ, ლევან, სად უნდა გაიქცე? — დაუფარავი გაოცებით უპასუხა სერგომ.

— მაშ რა ვქნა? არ შემიძლია ასე. მე შვილები მყავს, ოჯახი მაქვს. მიწა მაინც რომ მქონდეს, ფიზიკურ შრომას არ დავიზარებდი, ამით ოჯახისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს გავიჩენდი. ჩემი ხელფასი კი, მიუხედავად იმისა, რომ რაიონში ყველაზე დიდი ხელფასი მე მაქვს, თვიდან თვემდე ძლივს გვყოფნის, რადგან ბაზარში საშინელი სიძვირეა, გარდა ამისა, მეც ვურევივარ კაცებში და ქუდი მხურავს, ნათესავებსა და მეგობრებსაც ვერ გამოვწყდები ახალგაზრდა კაცი! მადლობა ღმერთს,

ცოლი მაინც რომ შემახვედრა ისეთი, რომელმაც წუწუნი არ იცის და ჯერდება იმას, რაც გვაქვს, მაგრამ მე თვითონ მეწვის გული, როცა ის იაფფასიან ნაჭრებს იყიდის საკაბედ. ხოლო თუ საკუთარი გემოვნებისა და სტილის მიხედვით ისე შეკერავს, რომ პრესტიჟული ფირმის ნაწარმისგან ვერ არჩევენ, ეს უკვე მედლის მეორე მხარეა. მენ კი მეუბნები, რომ ქვარაიასაც მიხედუო. ვიცი, რასაც ნიშნავს ეს მიხედვა. ვიცი, შენც კეთილი გულით მეუბნები ამას, რადგან იცი, მე ჩემი უპატრონობა, როცა იქნება, წამატებინებს ფებს და გებრალეები, მაგრამ მითხარი, სერგო, მითხარი რა ვქნა? თუ მე ქვარაიას შენს მიერ მინიშნებული რაოდენობის თანხას მივართმევ ყოველ გაწვევაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოო გადაგვარების გზას უნდა დავადგე, ჩემს პიროვნებაში ადამიანური გაგების და თანაგრძნობის უნარი უნდა ამოვძირკვო, რომ ყველასგან ავიღო ფული და ამით ფულიანი კაცი გავხდე. შემდეგ კი ალბათ უფრო იოლად წავა ცხოვრება წინ! სერგო, დამიჯერე არ შემეძლია მე ეს! ან მითხარი, გულახდილად მითხარი, განა შენთვის ადვილია იმის გაკეთება რასაც შენ სკამის შესანარჩუნებლად აკეთებ?...

სერგოსთვის არ იყო ადვილი, რასაც აკეთებდა...

დაჩი გელოზიამ დავალების შესრულება იმით დაიწყო, რომ პირველ რიგში ჯუმის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე იხმო.

— ჯიმშერ, ეგ ამბავი შენთვის სწორედ რომ აღმართში დაწეული ქვაა და თუ შენებურად არ ივარგე, არა მგონია მსუბუქი დარტყმა მიიღო.

— მართალი ბრძანდებით, ამხანაგო დაჩი, მაგრამ რა უნდა ვქნა? როგორ უნდა ვუშველო წახდენილ საქმეს? — თქვა შამუგამ. მას აშკარად ეტყობოდა სულიერი ფორიაქი.

— ბედი მაინც გქონია, რაკი რაიკომის მდივანი გწყალობს, — მან ეშმაკურად გაუღიმა.

შამუგია შინაგანად დაიძაბა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს ისე შეხედა პროკურორს, რომელმაც მცირე პაუზის შემდეგ ისევ განაგრძო:

— მე უკვე მოვიფიქრე ის გზა, რომელიც შენს სასარგებლოდ შემოაბრუნებს უკუღმა დატრიალებულ ბორბალს.

— როგორ?

— შენ უნდა იშოვო სოფელში ისეთი სანდო კაცი, რომელიც იტყვის, რომ ლომჯარიას ვაჟმა, რომელიც ჯარში გაუწვევიათ, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით დაბრუნებულა ნავთლუდის გამანაწილებელი პუნქტიდან,

თითქოს ქრთამის საშუალებით მოახერხა ეს. ჩვენ დავადგინეთ, წვევამდელთა იმ ჯგუფს, რომელშიც ლომჯარიაც ირიცხებოდა, პრაპორშჩიკი წუწუნავა მიჰყვებოდა გამცილებლად და სწორედ მას უნდა დაუმტკიცოს შენს მიერ არჩეულმა კაცმა ქრთამის მიცემა.

— კი მაგრამ ისეთი ვინ უნდა ვიშოვო, რომ ამგვარ რისკზე წავიდეს? ეს ხომ საციხო საქმეა?

— იშოვი... იშოვი, თუ მოინდომებ, მართალია რისკი დიდია, მაგრამ შენც ისეთი რამე უნდა დაუპირისპირო, რომ გადასძლიოს.

— მოიცა, — თქვა უცებ შამუგიამ და ჩაფიქრდა, მერე კი თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა. — ამ საქმეში მე მგონი ყველაზე უკეთ გამომადგება სოფლის საბჭოს მდივანი ხორხაძე. ის ჩემი ნათესავია, არა მგონია ვერ გადმოვიბირო.

— აკი ვერავის ვიშოვიო? — ნიშნის მოგებით უთხრა გელოზიამ.

— მაგრამ გარდა ნათესაური ურთიერთობისა სხვა რალაციტაც უნდა ვაიძულო, რომ ამგვარ საჩოთირო საქმეში ბოლომდე მიერთ გულოს.

დაჩი გელოზია ისეთი სიმშვიდით შეჰყურებდა შამუგიას, თითქოს ეუბნებოდა: მე უკვე მოვიხადე ჩემი კეთილშობილური ვალი, რადგან წყალწაღებულისთვის თოკის გადაგდება თავისთავად დიდი კეთილშობილებაა. აწი შენზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებ იმ თოკს და როგორ გახვალ ნაპირზე...

— ესეც მოვიფიქრე! — წამოიძახა უეცრად შამუგიამ. — ხორხაძეს ვეტყვი, რომ თუ ამ საქმეში იკისრებს დახმარებას და ბოლომდე დარჩება სიტყვის კაცად, მაშინ საბჭოს თავმჯდომარეობაზე გავაკვრევიანებ ხელს, ვეტყვი, რომ ამ აზრს რაიკომშიც ეთანხმებიან.

— უთხარი, როგორც გსურს, ისე მოიქეცი! — ღიმილით უპასუხა გელოზიამ და გასამხნეველად მხარზე დაჰკრა ხელი ახალგაზრდა თავმჯდომარეს: შენ ისეთი კვაჭი ხარ, ყველაფერს მიაღწევ, რასაც მოინდომებ.

— მაგრამ რა ქრთამზე გინდა ილაპარაკო, როცა ლომჯარიები ისე დატაკები არიან? — კვლავ დაეუფლა უიმედობა შამუგიას.

— ეგ არაფერია, მაგ საქმეში მე დაგეხმარები.

— როგორ? _ გაოცებით იკითხა თავმჯდომარემ.

— მე მოვახერხებ პატიმარმა კიწუაშვილმა თქვას, თითქოს, ფული მან მისცა წვევამდელის მამას, რადგან ბიჭი მათ სჭირდებოდათ. მამასაც ასე ვათქმევინებთ.

— შესანიშნავია! — საზეიმოდ განაცხადა შამუგიამ.

იმ დღიდან მესამე თუ მეოთხე დღეს პარტიის რაიკომში ბიუროს სხდომა მიმდინარეობდა, დღის წესრიგში იდგა სოფელ ჯუმში გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტი.

სანამ ბიურო დაიწყებოდა, პროკურორის კაბინეტში კიდევ ერთხელ გაიარა რეპეტიცია ჯუმის სასოფლო-საბჭოს მდივანმა რაიონის პროკურორ გელოზიასა და ჯუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შამუგიას თანდასწრებით.

— ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ხიტი ლომჯარია და მითხრა, რამეფრად უნდა მიშველო, შვილი ჯარიდან უნდა დამატოვებინო. მე თავიდან უარი ვუთხარი, მაგრამ იმდენი მეხვეწა, იტირა კიდევ და ფული ძალით შემომაჩეჩა, შენ ყველას იცნობ კომისარიატში და ამ ფულით მოახერხებ საქმის ჩაწყობასო. მე შემებრაღა აცრემლებული კაცი და მეორე დღესვე მივაკითხე სამხედრო კომისარიატს. იქ პრაპორჩი წუწუნავას გავანდე, რაშიც იყო საქმე და ფული დავუტოვე. წუწუნავამ მართლაც მოახერხა ნავთლულის გამანაწილებელი პუნქტიდან გამოებრუნებინა წვევამდელი ლომჯარია.

— კარგია! — ერთხმად დაუმოწმა ორივემ.

— იცოდე ბიუროს ლევანიც ესწრებოდეს იქნება და არ დაიბნე, არ შეგეშინდეს! — საბოლოოდ დაარიგა შამუგიამ ხორხამე.

— ხომ გეუბნებით, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც საჭიროა-მეთქი?_ ცოტა წყენით უპასუხა მან, რადგან იგრძნო, ეჭვი ეპარებოდათ მის სიმტკიცეში. თუმცა... ძალე გამართლდა მათი ეჭვი.

ბიურო მკაცრად მიმდინარეობდა. მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო კომუნისტური პარტიის რიგებიდან გაირიცხა და სამსახურიდან მოიხსნა უბნის ინსპექტორი. ასევე მოხსნეს იმ ბრიგადის ბრიგადირი, რომელშიც ხიტი ლომჯარია ირიცხებოდა. როცა ჯერი მიდგა ლომჯარიას ვაჟზე, მაშინ რაიკომის მდივანმა სამხედრო კომისარს მიმართა: — ამხანაგო ხოფერია, საქმის მესწავლისას აღმოჩნდა, რომ ლომჯარიას ვაჟი, რომელიც ამ დროს სამხედრო სამსახურს უნდა იხდიდეს, სინამდვილეში ბანდიტებს უწყობს ხელს თავიანთ ავ

განზრახვათა განხორციელებაში. რატომ?

— ლომჯარია ჩვენს მიერ გაწვეული იქნა ოთხ დეკემბერს. ამ ჯგუფს აცილებდა წუწუნავა. ჯგუფში ირიცხებოდა თერთმეტი წვევამდელი, თერთმეტივე ჩაბარებულია ნავთლუღის გამანაწილებელ პუნქტში. მე მაქვს დამოწმებული სახელობითი სია, დანამდვილებით ვიცი. ის ბოლო გაწვევა იყო.

— მაგრამ ლომჯარია სინამდვილეში რომ არ წასულა ჯარში?

— ეტყობა რაღაცა იქ, გამანაწილებელ პუნქტში მოხდა. თუმცა საკვირველი კია.

— ჰოდა, ამ საკვირველ საქმეს თქვენ გაარკვევთ. დღესვე წახვალთ თბილისში. მაგრამ... ამით როდი მთავრდება ეს საკითხი — ჯუმის სასოფლო საბჭოს მდივანი ხორხაძე სულ სხვაგვარად გვიხატავს წვევამდელი ლომჯარიას მიერ სავალდებულო სამსახურისათვის თავის არიდების მიზეზს.

ლევანმა გაკვირვებით შეხედა ჯერ ქვარაიას, მერე ხორხაძეს.

— ხორხაძე, მოახსენე ბიუროს, რა ურთიერთობაში იყავი შენ ლომჯარიას ოჯახთან?

ხორხაძე გაფითრებული ჩანდა. მას იატაკისთვის არ მოუცილებია თვალი, ისე დაიწყო:

— მე ლომჯარიას ოჯახში მივიტანე ჯარში გაწვევის უწყება, რომელიც პირადად მას ჩავაბარე — სხვებისგან შეუმჩნევლად შეავლეს ერთმანეთს გაოცებული მზერა ქვარაიამ, გელოზიამ და შამუგიამ. აბრაღავა ბიუროს არ ესწრებოდა, — მაგრამ იქ არავითარი კვალი არ შემიმჩნევია ბანდიტების ყოფნისა. რადგან იმ პერიოდში სამხედრო მაგიდის უფროსი საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა და მე ვასრულებდი მის მოვალეობას, გაწვევის დღესაც სხვა ორ თანასოფლელთან ერთად წვევამდელი ლომჯარიაც თვითონ ჩავაბარე რაიონის გამწვევ პუნქტს. რამდენიმე დღის შემდეგ კი გავიგე, რომ ლომჯარია თბილისიდან გამოაბრუნესო. ეს არის და ეს, მე მეტი არაფერი ვიცი.

— ამხანაგო ხორხაძე, ილაპარაკეთ რა ურთიერთობა გქონდათ წუწუნავასთან? — ქვარაიას ხმაში ხორხაძისთვის გასაგები მუქარა ისმოდა, მაგრამ ხორხაძემ ისე შეხედა, რომ მიახვედრა „მადლობელი იყავით, სიმართლეს რომ არ ვაღიარებ!“ — თქმით კი ასე თქვა:

— სამსახურებრივი მოვალეობის საფუძველზე ხშირად გვიხდებოდა

ერთმანეთთან შეხვედრა, მეტი არაფერი.

საქმე იმაში იყო, რომ ლევანის მშვიდმა თვალებმა, რომლითაც მან ხორხაძეს შეხედა ბიუროს დაწყების წინ დერეფანში შეხვედრისას და გულთბილმა მოკითხვამ, როგორც საერთოდ ჩვეოდა ლევანს ადამიანების მიმართ, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ბუნებით კეთილ კაცს არ მისცა უფლება ბოროტების გზას დასდგომოდა.

— აშკარა იყო ხორხაძისათვის ძალდატანება, საქმის გამწვავება არ ივარგებდა და ეს საკითხი ღიად დატოვებს, ბიუროს დადგენილებაში კი ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამიერიდან უკომპრომისო ბრძოლა ცხადდებოდა რაიონში ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომ ფაქტის საპასუხოდ, სიმართლის დასადგენად, დამნაშავეთათვის დამსახურებული სასჯელის მისაგებად ყველაფერს გააკეთებდა პარტიის რაიონული კომიტეტი პარტიულ აქტივთან ერთად. მეორე დღისთვის იქნა დანიშნული სოფლის ყრილობა.



ყრილობაზე თავი მოეყარათ სოფლის მშრომელებს.

— ... ამხანაგებო, თქვენი მყუდრო და ამავე დროს საქმიანი ცხოვრების რიტმის დარღვევაში უპირველეს ყოვლისა ბრალი გედებათ ისევ თქვენ, რადგან თვეების განმავლობაში ხდებოდა ეს გაუგონარი ამბავი — ყაჩაღები უშფოთველად და მშვიდად ცხოვრობდნენ ჯუმის მიწაზე. ეს არ უნდა გამოგპარვოდათ თქვენ. მართალია, ზოგიერთის მიმართ უკვე გამოტანილია დამსახურებული სასჯელი, მაგრამ ის საპასუხო ღონისძიების ერთი მხარეა. მიმდინარეობს ძიება რაიონის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელთა ბნელ საქმიანობაზე. დიახ, ამხანაგებო, ლომჯარიას ვაჟიშვილი, რომელიც დღეს სამხედრო სამსახურში უნდა იმყოფებოდეს, აქ დაპარპაშებს თავისუფლად და საკუთარ ჭერქვეშ იფარავს ავაზაკებს, ხელს უწყობს მათ ავკაცურ საქმიანობაში. ის რომ არ ყოლოდათ, აქ იმ ნაძირალებს შეიძლება ასე არ გაეხანგრძლივებინათ ვიზიტი. აი, ხომ ხედავთ, ... სადღაც ვიღაცის მიერ კანონის დარღვევა სულ სხვა, ცალკეულ უბნებზე იბამს ხოლმე კუდს და ასე იქმნება

დანაშაულებრივი ჯაჭვი. ასე რომ საქმე ძალზე სერიოზულ მიდგომას საჭიროებს, ზერელობა ყოველად დაუშვებელია. სარეველას წვერი და ტოტები კი არ უნდა დავაჭრათ, არამედ ფესვებიანად უნდა ამოვძირკვოთ. მე რაიონის ხელმძღვანელობის სახელით პირობას ვაძლევ სოფლის ყრილობას, რომ სწორედ ასე მივუდგებით ყოველ დანაშაულს, ყოველ დამნაშავეს, რომ ამიერიდან არ ექნეს ადგილი მსგავს შემთხვევებს! — ასე დაასრულა ქვარაიამ დასკვნითი სიტყვა იმდღევანდელ ყრილობაზე.

ხალხი ერთხანს გაუნძრევლად, ხმაგაკმენდილი დარჩა. ისინი ერთბაშად ვერ ჩაწვდნენ რაიკომის მდივნის სიტყვების აზრს, მაგრამ თანდათან გაღვივდა სადღაც ჩავარდნილი ორჭოფობის ნაპერწკალი და მალე ფუტკარივით აზუზუნდა ხალხი, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას და ბოლოს ისე დაიშალნენ, რომ გარკვეული აზრი არც ერთს არ გაჰყოლია სოფლის ყრილობიდან. ერთი კი იყო: ყველა გრძნობდა, რომ ყრილობა საჭირო დონეზე არ ჩატარებულა, არ თქმულა ის, რაც უნდა თქმულიყო, ყურადღება გადატანილი იქნა მეორე ხარისხოვან მოვლენებზე, რაც, რა თქმა უნდა, უმიზეზოდ არ მოხდებოდა და სწორედ ამ მიზეზს ეძებდა ყველა, ხოლო ამ ძიებაში ათასი ვერსია იზადებოდა.

ქვარაიას პიროვნებაში თუკი რამე კიდევ ექვევებოდა ნათიას, სოფლის ყრილობაზე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იგი პირწავარდნილი ბიუროკრატია, რომ მისთვის არაფერი არსებობს ქვეყანაზე, გარდა საკუთარი ქვენა ზრახვებისა, რომ ქვარაია ის კაცია, ვინც ძმასაც კი გასწირავს კარიერისათვის. განა ამიტომ არ შეაყარა თვალში ნაცარი ყველას და ჩაფარცხა ირინეს მკვლელობის საქმე? განა ამისთვის არ ავიწროებს საღად მოაზროვნე ჭკვიან ადამიანებს? ამისთვის არ აწინაურებს ბრიყვებსა და მლიქვნელებს, რომ ერთხმად და წინააღმდეგობის გარეშე იქნეს მიღებული და აღსრულებული ყოველი მისი აზრი, სურვილი? განა ამისთვის არ მოიწვია გუმინ სოფლის ყრილობაც? განა ის სოფლის ყრილობა იყო? ვის გამოათქმევინა აზრი? მხოლოდ საკუთარი შეხედულება მოახვია ყველას თავს და თავისებურად უბრძანა: ეს ასეა და გჯერათ თუ არ გჯერათ, მაინც დაიჯერეთ, რადგან მე ასე მსურს.... და ეს იმას ნიშნავდა, რომ მალე ლევანიც წავა რაიონიდან...

— შეიძლება? — მოესმა ფანჯარასთან მდგარ, ფიქრით გატაცებულ ნათიას და სწრაფად შებრუნდა კარისკენ. უეცრად გახევდა — კართან ოთარი იდგა, ერთხანს უსიტყვოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ნათიას

ირინეს დასაფლავების მერე არ ენახა ოთარი, იგი გარეგნულად ისე შეცვლილიყო, რომ სიბრალულით აუტოკდა გული და უნებურად დამთბარი ხმით მიმართა:

— გამარჯობა, ოთარ!

— გამარჯობა.

დაჯდომა შესთავაზა. ოთარი დაჯდა. ისევ ჩამოწვა სიჩუმე.

— რამდენი ხანია არ მინახიხარ, ძალზე შეცვლილხარ, ავად ხომ არ იყავი?

— ნუ მაწვალე, ნათია! პირდაპირ მითხარი, რასაც ფიქრობ ჩემზე, რომ მეც პასუხი გამიადვილდეს, რომ თამამად ვიყო. ნუ მიყურებთ ეჭვის თვალთ, მე არა ვარ მკვლელი! — დამიჯერე, ნათია, მე არა ვარ მკვლელი!

— ნათიას გული შეეკუმშა, მის წინაშე იყო მორალურად და ფიზიკურად განადგურებული ყმაწვილი კაცი. მკვირცხლი, მუდამ ხალისიანი და სასიამოვნო გარეგნობის ოთარისგან ავადმყოფური იერის, შესაბრალისად დანადვლიანებული აჩრდილილა დარჩენილიყო.

— მაგრამ ვიღაცამ ხომ მოკლა ირინე და სანამ მისი მკვლელი არ აღმოჩნდება, შენ ვერ დაამტკიცებ შენს სიმართლეს, შენ მართალი ხარ, ყველა ეჭვის თვალთ გიყურებს.

— შენც?

— ყველაზე მეტს მე ვიძახოდი — ოთარის მოკლულია-მეთქი.

— ვიცი.

— იცი? მერე?

— მიხაროდა, რადგან ეს იყო ჩემი ერთადერთი იმედი და ამიტომაც მოვედი დღეს შენთან.

— ვერ გაგიგე, ოთარ! — გაოცება ვერ დამალა ნათიამ.

— მართალია, საშინელება იყო ჩემზე ეჭვის მოტანა, მაგრამ ამაზე უფრო საშინელი ის იყო, თუ ირინეს ყოველგვარი ძიების გარე მე ჩათვლიდნენ უბედური შემთხვევის მსხვერპლად. მაშინ ხომ სიმართლე ვერასოდეს გაირკვეოდა, მკვლელი დაუსჯელი დარჩებოდა, ხოლო თუ მე ვიქნებოდი ეჭვმიტანილი, მართლმსაჯულება ისე ჰაიჰარად ვერ დამსჯიდა, ამიტომ იყო ჩემთვის ერთადერთი იმედი შენი ეჭვები. მეგონა, თამაზისთან ერთად ყველაფერს იღონებდი.

- რატომ ადრე არ მოხვედი ჩემთან? რატომ იყავი აქამდე ჩუმად?
- მაშინ რომ მოვსულიყავი, დამიჯერებდი? უბრალოდ, მენდობოდი?
- ახლა რატომ მოხვედი?

— ახლა უკვე დახურულია საქმე. უკვე არავინ არ ეძებს ირინეს მკვლელს და შენც არა გაქვს უფლება, არ დამიჯერო, არ მენდო.

— ოთარ, მე განუწყვეტელმა ფიქრმა დიდი ხანია მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შენ ვერ მოკლავდი ირინეს. თამაზი კი არასოდეს არ იზიარებდა იმ აზრს. შენ იცი თუ არა, რომ ირინეს მკვლელობის საქმე იყო ძირითადი მიზეზი თამაზის რაიონიდან წასვლისა?

- მივხვდი... მაგრამ ამით ყველაფერი დამთავრდა?
- ჯერჯერობით კი.
- როგორ გავიგო?

ყოველთვის ასე ხომ არ იქნება. შეიცვლება ხელმძღვანელობა და, ხომ იცი, ახალი ტაქტიკიანად ეხება ხოლმე ძველის ბნელ საქმეებს, საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად. იმედი მაქვს, მათი ამ თვისებით ვისარგებლებ და შევძლებ ძიების ხელახლა აღძვრას. მანამ კი ვცდილობ, თვითონ მივიდე ჭეშმარიტებამდე და ხელთ მქონდეს უტყუარი საბუთები. მე ბევრი რამ მაეჭვებს, მაინტერესებს. დიდი ხანია შენი ნახვაც მინდა.

— რატომ?

— თუნდაც იმიტომ, რომ მეკითხა ხუთ აგვისტოს თუ შეგხვდა ირინე, ეს ხომ ის დღეა.

— დიახ, ის დღეა! იმ დღეს დილიდან გვიან ღამემდე ჩემთან იყო ირინე. ნათიას ფერი ეცვალა.

— ყველაფერი გასაგები რომ იყოს და შენც გაგიადვილდეს ჩემს გულში ჩახედვა, დაწვრილებით მოგიყვები: მე და ირინეს ერთმანეთი გვიყვარდა. ეს ყველამ იცოდა. ერთხელ დედაჩემს წამოსცდა, ისეთი რა გაგიჭირდა, რომ იმ უთვისტომო და გაუნათლებელ გოგოზე დაიღამეო. მე საოცრად მატკინა გული ნათქვამმა და ნაცვლად იმისა, რომ დედის სურვილისამებრ გული ამცრუებოდა ირინეზე, პირიქით, მაშინვე გადავწყვიტე სწორედ ის „უთვისტომო და გაუნათლებელი“ გოგო ყოფილიყო ჩემი ცხოვრების თანამგზავრი. შენ კარგად იცი, ირინე სკოლაში როგორი წარჩინებული მოსწავლე იყო, მაგრამ თუ უმაღლესი

განათლება ვერ მიიღო, ეს განა მისი ბრალია? ობოლმა და უთვისტომომ, როგორც დედაჩემმა უწოდა, იქამდი გაჭიმა ფეხი, სანამდის საბანი გადასწვდებოდა. მიიღო სპეციალობა და არა მგონია ბევრი უმაღლესდამთავრებული დაეფასებინოთ ისე, როგორც მის უნარსა და ნიჭს აფასებდნენ. თუმცა ისიც კი იცი, დიპლომიანი ხშირ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს უმაღლესი განათლების მქონეს.

მე ჩემს თავს მტკიცე პირობა მივეცი, რომ ყველაფერი გამეკეთებინა ირინეს ბედნიერებისათვის. შემევესო მისთვის ცხოვრების გაუტანლობით ნაკლები გული. ამ მიზნით მოვახერხე სოხუმში მეყიდა კოტეჯი ლამაზი ეზოთი. მსურდა თავიდანვე დამოუკიდებლად გვეცხოვრა, რომ არავის დაეყვედრებინა ირინესთვის მისი ობლობა, რომ არასოდეს სტკენოდა გული. მინდოდა მოულოდნელად გამეხარებინა და არ ვუმხელდი ამ ჩანაფიქრს. იმ ავბედითი დღის წინა დღეებში ეზო-კარის გაფორმების საქმეს მოვუნდი და გაბრაზებული დამხვდა. მაგრამ მას ისე ძლიერად ვუყვარდი, რომ ეს გაბრაზება ვერ გამოამჟღავნა. ვუთხარი, სამსახურიდან მთელი დღით განთავისუფლება ეთხოვა. რატომო, მკითხა. სოხუმში მეგობარმა დამპატიჟა და მინდა შენც წაგიყვანო-მეთქი. ბავშვივით გაუხარდა.

სოხუმში მეგობრის სახლის მაგივრად კოტეჯი რომ ვაჩვენე და ვუთხარი, ეგ შენი და ჩემია, აქ შენი გემოვნებით ავაშენებ ახალ სახლს და იქნები იმ სახლის პატარა დიასახლისი-მეთქი, ჯერ გაოცებით შემომხედა, მერე მიხვდა, რაც ვუთხარი, ყელზე ჩამომეკიდა, მკოცნიდა და თან ტიროდა... საოცრად ბედნიერი იყო. ჩვენ შვილს ველოდით და ალბათ ამიტომ უფრო ახარებდა ჩემი ამგვარი თადარიგი. გვიან დავბრუნდით მურიცხაში, ლამის თერთმეტი საათი, სრულდებოდა. ირინე მშვიდად იყო, რადგან დედამისმა იცოდა, რომ იმ ღამეს ნათესავთან დარჩებოდა და არ მოელოდა. გვიან რომ მივალ, ექსკურსიაზე ვიყავით და აქეთ გამოვიარეთო, ვეტყვიო, მოიფიქრა. არ დამიჯერა და მანქანიდან შესახვევთან ჩამოვიდა. არ მინდა, ვინმემ მნახოს, ასე გვიან შენ რომ მომიყვანეო. ცოტა რომ გამოვიარე, უნებურად ყურადღება მივაქციე შემხვედრ მანქანას, რომელსაც მარცხენა სინათლე არ ჰქონდა. რატომღაც გულში გამკრა და მომინდა, უკან გავბრუნებულიყავი, მითუმეტეს სათვალთვალო სარკიდან დავინახე, რომ მანქანამ ირინეს შესახვევში შეუხვია. უკვე ხიდს მიახლოებულმა ვერ მოვითმინე და უკან გავბრუნდი. ეს უკვე ორი-სამი წუთის შუალედი. ამ ხნის განმავლობაში ირინე უკვე სახლში იქნებოდა. მითუმეტეს ღამე იყო და ჩქარა ივლიდა. იგი ვერც

გზაზე ვნახე და მივხვდი, არც სახლში იქნებოდა, რადგან სინათლე არსად არ ენთო. არც მანქანის ხმა ისმოდა ახლომახლო და არც მისი შუქი ილანდებოდა სადმე. ავმა წინათგრძნობამ გული გამიჩერა. აბა რა უნდა მექნა და მთელი ღამე ვიბორიალე, მაგრამ ვერაფერი შევნიშნე. დილით უთენია გავედი მურიცხას ცენტრში, დათქმული გვქონდა იქ შევხვედროდით ერთმანეთს და ერთად წავსულიყავით რაიონში. ცხრა საათამდე ფეხი არ მომიცვლია, მაგრამ არ გამოჩენილა. სამსახურში თვითონ არ მივსულვარ, დავრეკე და მიპასუხეს, ჯერ არ მოსულაო. დანარჩენი შენც იცი.

— თუ გახსოვს, როდის დაიწყეს ძებნა?

— იმ დღეს ნათესავისთვის არ დაუბარებია, რომ ღამე არ მოვიდოდა. მეორე დღესაც რომ არ გამოჩნდა, ნათესავმა თვითონ მიაკითხა ირინეს დედას...

— ესე იგი სწორად ამბობენ, რომ მეხუთე დღეს ნახეს.

— ხუთ აგვისტოსაც თუ ჩავთვლით, მეხუთე დღე იყო.

ოთარის გამხდარი და აღზნებული სახე სიმწრის ოფლს დაენამა. იგი ერთიანად კანკალებდა.

— კარგი, ოთარ, დაწყნარდი. განა ასე შეიძლება? არ შეგშვენის ეს შენ! ნუ გეშინია, სიმართლეს მივაგნებთ. — თვითონ არანაკლებ აღშფოთებული ნათია ცდილობდა ვაჟი გაემხნევებინა. ცივი წყალი დაუსხა. ოთარიმ მოსვა და ფანჯარასთან მივიდა. ხმას არ იღებდა.

— ვინმეზე გაქვს ეჭვი? — ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა ნათიამ

— მომეჩვენა, რომ მანქანა თეთრი ფერის, ყოველ შემთხვევაში, ღია ფერისა იყო. ამავე დროს ვერ დავიჯერებ, რომ მძღოლი ირინესთვის უცნობი ყოფილიყო, მაშინ ირინე არ ჩაჯდებოდა, ერთი სიტყვით, მენდო. მე კი დამოწმებული ქალაქი _ მაშინვე ჯიბეში ჩავიდე და ამის შემდეგ ყველგან 10 წვევამდელი და მათი სამხედრო ბილეთები წარვადგინე. ასე რომ იქ ლომჯარია არსად არ გატარებულა და არც სათვალავში დააკლდებოდათ.

— თაღლითო, არამზადავ, იცი, ამით რა გააკეთე?

— ახლა ვიცი.

— შენ ახლაც არ იცი, რა გააკეთე. კაცი, რომელიც გენდო, როგორც ადამიანს, არ დაინდე და სასწორზე შეაგდე მისი სამსახურში დარჩენის

საკითხი, რისთვის ქენი ეს?!... პირნათლად რომ შეგესრულებინა შენი მოვალეობა, მაშინ ხომ არ მოხდებოდა ასე?!... ან რა საჭირო იყო ამდენი დავიდარაბა. წვევამდელის გაქცევის დროს ხომ იცოდი, რომ უნდა შეგეტყობინებინა, როგორც გამანაწილებელი, ისე გამწვევი პუნქტისათვის. მერე მაინც რატომ არ მომახსენე, რაც მოხდა?

— მაპატიეთ, ამხანაგო კომისარო. რაკი მშვიდობიანად ჩაიარა ყოველივემ, თვითონაც დავმშვიდდი და ლომჯარია სულაც გადამავიწყდა...

— არამზადა!

ამ დროს კაბინეტში ნატო შემოვიდა.

— ლევან ივანიჩი, მგონი, სამხედრო პროკურატურიდან არიან.

— პროკურატურიდან? — ფერი ეცვალა ოლეგის.

— დიახ, პროკურატურიდან. ახლა მიბრძანდი და როცა საჭირო იქნება, დაგიძახებენ!. — უპასუხა ლევანმა და თვითონ სტუმრებს გაეგება.

— წუწუნავა დააპატიმრეს! — მოახსენეს ქვარაიას.

„საქმე ისაა, რა კუთხით წარმოებს დაკითხვა! აქაურ ჩვენებებს გაყვებიან თუ... თუმცა მთავარია საქმე აღიდრას და სერიოზული მსჯელობის საკითხი გახდეს. მე ესეც შემიძლია ვაკმარო რეაგირებისათვის“. — გაიფიქრა ქვარაიამ და მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ყველაფერი ოფიციალურადაც ეუწყებოდა, მაინც წასძლია სულმა და წუწუნავას მამას დაურეკა.

— ლადო, მე სანდრო გაწუხებთ.

— გისმენთ, ბატონო სანდრო.

— რაღაც საქმეზე აუცილებლად გვჭირდები, გელოდები კაბინეტში.

ლადო ნაომარი კაცი იყო, თუმცა მის წარსულზე ათასნაირ ჭორებს ყვებოდნენ რაიონში, მაგრამ სანდრო არცერთით არ დაინტერესებულა, ან რა საჭირო იყო მოემდურებინა, პირიქით, მაგისტანა კაცებს უფრო გამოიყენებდა, რადგან ლადოს ერთ-ერთი თვისება იყო აღზევებული პირისადმი ერთგულება და პატივისცემა მანამ, სანამ მას მისთვის საინტერესო პოსტი ეკავა. მეზობელი და მოკეთე რას მიქვია, სისხლხორცს არ დაინდობდა. უყოყმანოდ გასწირავდა, თუ მისი დაბეზლება ლადოსთვის სარფიანი იქნებოდა, სანდრომ ისიც იცოდა, რომ თუ მას თანამდებობრივ პარმალზე უცაბედად ფეხი გადაუბრუნდებოდა, ლადო

სარმას შეაგებებდა, რომ ძირს დაენარცხებინა და ფეხისათვის ზედ კისერიც მიეყოლებინა. მაგრამ, კაცია და ბუნება, ის მაინც ესწრაფვოდა ლადოსთან ახლო ურთიერთობას. სანამ აქ ვარ და მაგრად ვარ, მანამ ხომ ჩემია და ვერც მერე დამაჭრის ხახვს ყურებზეო.

მალე ლადოც მოვიდა. მის შემფოთებულ სახეზე სანდრომ მაშინვე შეამჩნია მზრუნველი მამის სულის ფორიაქი და გულში ჩაიციხა, სიტყვით კი უთანაგრძნო.

— რაშია საქმე, რა ბრალდების საფუძველზე აიყვანეს პატიმრობაში? — ჰკითხა მან ლადოს.

— წვევამდელი ლომჯარია იმ ჯგუფში ყოფილა, რომელიც მას გაუცილებია თბილისში, იქ კი ლომჯარიას რაღაცნაირად მოუხერხებია გაქცევა. ამას არაფერი მოჰყვებოდა, მაშინვე რომ გაემხილა. — ბოლო წინადადება თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

— რა უნდა გაემხილა?

— იქ თუ არ იტყოდა, აქ კომისრისათვის მაინც მაშინვე უნდა მოეხსენებინა, რომ წვევამდელი გაექცა. მან კი, პირიქით, იქ ვიღაც დოყლაპიას მიერ დამოწმებული სია ჩამოიტანა თურმე და ჩააბარა კომისარს.

— ვინც დაუმოწმა, ისიც დაღუპულია.

— მე რას მიშველის? ან საერთოდ ეშველება ამ საქმეს? — ისე სასოწარკვეთილი ტონით წარმოსთქვა ლადომ, რომ ქვარაიას ადგილზე ბევრ სხვას გულიც აუჩვილდებოდა, მაგრამ ქვარაია ისეთი ნაზი როდი იყო, ამ უბრალო, მშობლიური გულისტკივილისათვის გულწრფელად ეთანაგრძნო.

„გაეზი მახეში, ბებერო მელა? მოიცა, ჯერ შენივე ხელებით უნდა დაგადგმევინო სხვა ახალი ხაფანგები“, — ფიქრობდა ქვარაია, თან სამოქმედო გეგმას აწყობდა.

— თუ კაცი მოინდომებს, ყველა საქმეს ეშველება. მითუმეტეს ამას. — თქვა ბოლოს ქვარაიამ.

— ნუთუ...

— დიახ, არსებობს გზა. შენ განცხადებას დაწერ რესპუბლიკის კომისრის სახელზე, თითქოს მაიორი ხოფერია თქვენსა მოვიდა და მამა-შვილს გთხოვთ: „ნუ გამწირავთ, ნუ ინდომებთ ჩემს განადგურებას, თუ ითქვა,

რომ ოლეგიმ ეს ფაქტი მე მაშინვე მომახსენა, მაშინ სამსახურებრივი გულგრილობისათვის გამაფუჭებენ. ოლეგი კი თუ თავის თავზე აიღებს ყოველივეს, ამით არაფერს დაკარგავს. მითუმეტეს მეც ყოველნაირად ვეცდები საქმე არ გამწვავდეს“. — დაამთავრა სანდრომ და აღმაცერად გადახედა ლადოს.

— დიდებულია. იდეალურია! — ისე იყო აღტაცებული ლადო, რომ ვერ ახერხებდა მადლიერების გამოხატვას.

— თუ ასეა, საქმეს დაყოვნება ავნებს.

— დღესვე წავალ და თვითონ ჩემი ხელით მივართმევ.

— რა თქმა უნდა, ასე სჯობია. მაგრამ კიდევ არის ერთი დაბრკოლება.

— რა? — ფერი ეცვალა ლადოს.

— ჯუმის სასოფლო საბჭოს მდივანმა აღიარა, რომ ოლეგის ქრთამი მისცა ლომჯარიას გასაქცევად.

— ეს როგორ? ეს ტყუილია!

— როგორც გითხარი, საბჭოს მდივანი ასე ამტკიცებს. გარდა ამისა ბრალდებულმა კიწუაშვილმა დაკითხვაზე თქვა თურმე, რომ, თვითონ გაიღო საჭირო თანხა, რადგან ბიჭი მათ სჭირდებოდათ, აქ საბჭოს მდივანი შუამავალია შენს შვილსა და ლომჯარიას ოჯახს შორის,

ლადომ ისე შეხედა სანდროს, რომ ამ უკანასკნელს გულზე უპწკინა — „ამ გაიძვერამ სიმართლის სუნი ხომ არ იკრაო“, მაგრამ მალევე დაამშვიდა მამის სულს ხელმეორედ დაუფლებულმა უიმედობის ძრწოლამ.

— თუ ეს ასეა, დავლუპულვარ და ეგაა. — ჩაილულლულა ლადომ.

— არა, რატომ? დაპირისპირება ასე მალე არ იქნება. ჯერ სამხედრო პროკურატურა თავის მხრივ გამოიძიებს საქმის მსვლელობას. მანამ შენც მოახერხე, შვილი გააფრთხილო.

ქვარაიამ იცოდა ეს მაინც ასე მოხდებოდა და ახლა იმიტომ უთხრა, რომ ლადოს მისადმი ზრუნვაში ჩამოერთმია და რამეში არ დაეჭვებულყო.

ლადოს წასვლის შემდეგ ქვარაია ფიქრს მიეცა:

„ოცნებაში კარგად გვარდება საქმე, მაგრამ სინამდვილეში ასე იქნება ვითომ? ლევან ხოფერია ხომ ის კაცი არაა, ერთ ლოყაზე გაართყა და მეორე მოგიშვიროს. თუმცა რა... მაგაზე ნაკლები არც სხვები იყვნენ და არც ცოტა ტლინკები უყრიათ, მაგრამ რა წაიღეს ვითომ! — აქ ჩაიღიმა და

ისე მოავლო თვალი კაბინეტს, თითქოს მისი დაუმარცხებელი ტიტანური ძალა სურდა ეგრძნო იმ ოთხ კედელსაც, რომელნიც უტყვი მოწმენი იყვნენ, თუ როგორ გადაწყდა აქ მილიციის ყოფილი უფროსის, განათლების განყოფილების ყოფილი გამგის, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის და სხვა მრავალი, შედარებით „წვრილფეხა ურჩთა“ ბედი. მაგათ ადგილზე ახლა ისეთნი სხედან, რომელნიც რაც არ უნდა მოხდეს, გულითაც რომ არ უნდოდეთ, მაინც ჩემს წისქვილზე მიუშვებენ წყალს! — აქ ისევ ჩაეცინა. მაგრამ ამ დროს შინაგანმა ხმამ ჩასძახა, სხვები კარგი, მაგრამ ლევანთან მაინც რა გინდა? ბოლოს და ბოლოს რას უპირებ მას? რა დაგიშავა?

„რა დამიშავა? — იკითხა მან. — არაფერი!“.

მართლაც, მოსისხლე მტერი კი არ იყო სანდრო ქვარაია ლევან ხოფერიასი, რომ მისი მოსპობით უდიდესი სიამოვნება ეგრძნო. არა, მას მხოლოდ თანამდებობრივ გზაზე არ აწყობდა ხოფერიას პიროვნება. კომისარიატი რაიკომისგან დამოუკიდებელი დაწესებულება იყო და ამდენად არ შეეძლო ჩვეულებისამებრ ჩარეულიყო მის ყოველდღიურ საქმიანობაში, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდა ლევანის მტკიცე ხასიათი

— ის არ იღებდა ადგილობრივი ხელმძღვანელობის არაკანონიერ მეურვეობას. პარტიის რაიკომზე სამხედრო კომისარიატის დაქვემდებარების თაობაზე ქვარაიამ რესპუბლიქის ცენტრალურ კომიტეტში საკითხიც კი დააყენა და რამდენადაც უკმაყოფილო და ნაწყენი დარჩა მაშინ მის მიერ დაყენებული საკითხის გადაუჭრელობით, იმდენად კმაყოფილია ახლა. რადგან, რაკი კომისარიატის კომუნისტები პარტიის რაიონულ კომიტეტში არ ერთიანდებიან, არც ქვარაია იქნება პასუხისმგებელი მათ დანაშაულებრივ ქმედობაზე. ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც არ იქნება, რომ რაიმე ჩრდილი მიაყენოს მის მომავალ კარიერას, „რა ჩემი ბრალია, — ფიქრობდა ქვარაია. — ალბათ თვით განგებამ იწება ასე და ჩემს სავალ გზაზე ისეთნაირად დააყენა ლევანი, რომ გვერდს ვერ ავუვლი, პირიქით, მისი გატანით თუ გავიტან საკუთარ ლელოს!“

— ასეა, ყველამ თვითონ უნდა იზრუნოს საკუთარ თავზე და რადგან ცხოვრება ბრძოლაა, უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ბრძოლის დროს გამარჯვებისათვის ყოველგვარი ხერხი უნდა იხმარო, რომ მუდამ შემართული, მზადყოფნაში უნდა იყო, რათა ცხოვრებამ არ წამოგაჩოქოს, თორემ თუ წამოგაჩოქა, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა. მაშ, რა გასაკვირია, მეც ის გზა ვარჩიო გამარჯვებისათვის,

რომელიც ჩემთვის უფრო ხელსაყრელია?!

— ამ დროს კაბინეტის ორმაგ კარებში ლენტორ ჯოლოგუას ფრიად კმაყოფილი სახე გამოჩნდა.

— მოდი, ლენტორ! — დაასწრო ქვარაიამ, სანამ შემოსვლის ნებართვას ითხოვდა და ისიც ქლესური გამომეტყველებით მიუახლოვდა. წინ დაუდო რამდენიმე ცალი ხელნაწერი ფურცელი.

ქვარაიამ ჩვეულებრივად აჯგიმა ჯაგარა წარბები და თითქოს მზრუნველად ჰკითხა ლენტორს.

— სუყველაფერი მოიკვლიე?

— სუყველაფერი, ბატონო! |

— ოჰო, კარგია! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა მან, როცა ერთი გვერდი წაიკითხა და მერე ხმა არ ამოუღია, სანამ ბოლომდე არ ჩავიდა. — დავამტკიცებთ, რომ ხოფერიამ საკუთარი მიზნისათვის წაართვა სოფელს მოწინავე ბრიგადირი? |

— ეს ინფორმაცია კიტამ მომაწოდა. გარდა ამისა მეც ვიცი. რომ ჯემალ ლომია მოწინავე ბრიგადირი იყო მურიცხას კოლმეურნეობაში, ის რამდენიმეჯერ თვით რაიკომის მიერაა ფასიანი საჩუქრითა და სიგელით დაჯილდოებული. ახლა კი აგერ კომისარიატში მუშაობს.

— კიტას ჩვენი გასაჭირი ნაკლებ აწუხებს. ის ისეა დაინტერესებული ამ საქმით და იმდენს მუშაობს ამ საკითხზე, რომ ეტყობა საკუთარი ინტერესები აქვს სიძე-ცოლისძმის მიმართ. ის გაიბვერაა, ახლა დრო და ადგილი იშოვა მუქთი ცეცხლისპირზე ხელის მოსათბობად, ამიტომ მაგის ნათქვამს მთლად ნუ დაეყრდნობი. მოიცა... — აქ ყურადღება გაამახვილა, — სიძე-ცოლისძმა! გესმის?! სიძე-ცოლისძმა _ განა შეიძლება მათი ერთ წარმოებაში მუშაობა? ესეც გასარკვევია, ლენტორ !

— არის, ამხანაგო სანდრო, გავარკვევ მაგ საკითხსაც.

— ასეა, ვილაცას ანგარების თუ დაუდევრობის ჭია თავგზას აუბნევს და მერე შენ უნდა აგო პასუხი, უნდა იმტვრიო თავი სხვისი წახდენილი საქმის გამო.

პასუხად ლენტორმა ისე ამოიოხრა, თითქოს ისიც ამგვარ წახდენილ საქმეზე ფიქრს მოელოს, დაეტანჯოს.

რას იზამ, ურთიერთგაგების ათასგვარი ენა არსებობს.



— რატომ აგვიანებ ნარკვევს? — ჰკითხა რედაქტორმა ნათიას, — აქამდეც უნდა ყოფილიყო გაშვებული, საცაა ყრილობა მუშაობას შეუდგება, ჩვენ კი რაიონის რჩეულ ადამიანზე, რომელმაც დაიმსახურა ყოფილიყო სკკპ ყრილობის დელეგატი, ჯერ არაფერი გვითქვამს.

— მე თვითონ უნდა მომეხსენებინა დღეს, რომ მაგ დავალებას ვერ შევასრულებ!

— როგორ, შენ ნარკვევს ვერ დაწერ?!

— ბატონო ბიძინა, ვერ კი არა, არ დავწერ. რადგან „ვინც არა ჰგავს კახაბერსა მე ვერ ვიტყვი კახაბერად“. ბეჭდვითი სიტყვა, მუდამ იყო, არის და იქნება ყველაზე მეზრძოლი და ავტორიტეტისანი პროპაგანდისტი ხალხში. ამიტომ გვმართებს ჯერ პირადად ჩვენ ღრმად გვექონდეს შეგნებული საკუთარი სოციალური, მოქალაქეობრივი ფუნქცია, ნათელი გონებით ვიხედებოდეთ პოლიტიკური, საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების სფეროში და ჩვენივე მაგალითით უნდა მოვიზიდოთ, ავიყოლიოთ სხვები. სინამდვილეში კი რა გამოგვდის? მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქცობა, მუდამ ვიღაცის გავლენის ქვეშ ვიმყოფებით, ვცდილობთ ვიღაცას ვაამოთ და, ფარების ბებერი ძაღლებისა არ იყოს, ბუჩქებში მიმალულ უწყინარ კურდღლებს ვუყეფთ, მაშინ როცა ვიცით ჩვენს ირგვლივ მგლები დაძრწიან. აი, მაგალითად, ვთქვათ, რა კეთდება ჩვენს რაიონში ისე, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ, არ ვიცით. რამდენი შემთხვევაა, როცა კანონსა და ადამიანებს შორის ბიუროკრატიული კედელი აღმართულა, მაგრამ იშვიათად თუ გაუხდია მსგავსი რამ მსჯელობის საგნად ჩვენს გაზეთს.

თვალსაჩინო შრიფტებით ვლადადებთ მავანისა და მავანის „გმირულ“ საქმეებზე მაშინ, როცა ვიცით, მას სინამდვილეში არაფერი გაუკეთებია და სრულიად გულგრილად ვუყურებთ იმათ, რომელთაც ნამდვილად ეკუთვნით მსგავსი ღაღადი. ასეთი გულგრილობა და წაყრუება კი საზოგადოებაში იწვევს გულგატეხილობას, რაც თავისთავად ზიანის მომტანია საერთო საქმისათვის, მით უფრო საზიანოა იგი, თუ გულგატეხილის აგონიაში მოზარდი ჩავარდება. ამისი მაგალითიც ხომ გვაქვს. აი, თუნდაც მეთე კლასელი ყმაწვილი, რომლის მიერ დაწერილი თემაც თქვენ წაგაკითხეთ.

ბიძინას აღიზიანებდა ქალიშვილის შემტევი ტონი, მაგრამ მაინც ახერხებდა სიმშვიდის შენარჩუნებას და დინჯად უსმენდა, ბოლოს ჰკითხა:

— რა თქმა უნდა, ცუდი ფაქტია, მაგრამ ჩვენზე რატომ გადმოგაქვს ყმაწვილის გულგატეხილობის მიზეზთა მთელი სიმძიმე? ან ამას რა კავშირი აქვს იმ ნარკვევთან?

— სწორედ რომ აქვს კავშირი. ყმაწვილი ხედავს ამგვარ უმსგავსოებებს, ხედავს, რომ საექვო ნამუსისა და წამლლეტი ხალხი უფრო დაფასებულია, ვიდრე პატიოსანი მშრომელი. ჩვენი ვალია, ყოველთვის გავითვალისწინოთ ეს! სხვაგვარად არ შეიძლება ახალი ადამიანის აღზრდის პრობლემის გადაჭრა, რაც ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია პარტიის სოციალური პოლიტიკისა. პოლიტიკისა, რომლის ძირითად მიზნად დაწერილია ადამიანთა კეთილდღეობა, ხოლო როცა ადამიანების კეთილდღეობაზე ვლაპარაკობთ, მას უპირველესად ახალი თაობის ბედნიერი დღევანდელი ვადასტურებთ. ან რამხელა გულგრილი უნდა იყო, რომ ყურადღება არ მიაქციო საზოგადოების უკმაყოფილებას, რომელიც პოლიტიკურ და თანამდებობრივ თავშესაფარებში რაღაც მანქანებით შემძვრალი ანტიპოდების მიზეზით გაჩენილა. რომელთაც გამომძალველობის და მომხვეჭელობის ფერად-ფერადი ძაფებით მომხმარებლური დამოკიდებულება გაუბამთ სახელმწიფოსთან — ალბათ მიხვდით, რისი თქმა მინდა.

ნათია გაჩუმდა, ბიძინაც ერთხანს ხმას არ იღებდა, ბოლოს კი, დაღონებით თქვა:

— ნათია, შენ შენებურად მართალი ხარ, მაგრამ ასე მაინც არ იტყვი, როცა ჩემს ასაკს მიაღწევ...

— მე ვამბობ მხოლოდ იმას, რასაც ვფიქრობ, რაც მწამს. ჩემს ადგილას თქვენც ასე იტყოდით და თავის დროზე გითქვამთ კიდევაც. მაგრამ მერე, ცხოვრებისეული გზის რომელიღაც მონაკვეთში, მებრძოლ ტაქტიკას შემწყნარებლური არჩიეთ. მე მესმის თქვენი, როგორც უკვე მოსწრებული შვილების მზრუნველი მამის, მდგომარეობა გაიძულებთ უარყოთ თქვენი პრინციპულობა, რომ არ მოიმდუროთ ადგილობრივი ხელმძღვანელი პირები და ამით ხელი არ შეუშალოთ აღმასვლაში შვილებს. თქვენ შეიძლება ცალმხრივად მართალი იყოთ!

— ცოტა ზედმეტი ხომ არ გამოგდის, ნათია? — ბიძინას ხმა ში აშკარად ჩანდა, რომ მოთმინებას კარგავდა. — ნუ დაგავიწყდება, რომ მე ჩემი

მოქმედებით არასოდეს არ ვყოფილვარ სხვისი ჩოხის კალთას გამობმული.

— თუ ასეა, ალბათ ამიხსნით, რატომ თქვით უარი ჩემს ნარკვევზე გიორგი სართიას საქმიანობის შესახებ? ის ხომ თქვენ ძალიან მოგეწონათ, რატომ ამოიღეთ მაკეტიდან უკვე დაგეგმილი ლევანის წერილი და ვინ იცის კიდევ რამდენი „რატომ“ მაწვალებს.

— ნათია — ბიძინამ შეძლო ხმაში სიმშვიდე ისევ დაემკვიდრებინა. — გამოუცდებლობა გიქმნის შენ ასეთ შეხედულებას. ცხოვრებისეული გზა კი სადღაც და როცა იქნება მთავრდება, ხოლო ამ ჟამის მოახლოება იმდენად უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს, რომ მართლაც აცხრობს ადამიანში მებრძოლ სულს, მაგრამ მაინც მთავარია ის გზა ისე გავლით, რომ თუ ქვეყნისთვის რაიმე განსაკუთრებულად ფასეულს ვერ შევქმნით, არც წავუხდინოთ მას რამე.

— ეგ არარაობაა, ამისათვის არც ღირს სიცოცხლე, რადგან თქვენი დებულების თანახმად ბოლოს ლუარსაბ-დარეჯანისეულ ფილოსოფიამდე დავალთ.

ბიძინამ თავი ხელებში ჩარგო და ასე გაჩუმებული უსმენდა.

— მე, მართალია, არა მაქვს ამდენის თქმის უფლება ასაკისა და თანამდებობის მიხედვით, მაგრამ მე მხოლოდ ერთი რამ მწამს_ ადამიანს უნდა გააჩნდეს პიროვნების პრინციპული მთლიანობა!

იმ წუთებში ნათიას რომ შეძლებოდა ბიძინას გულის უხმო ჩურჩულის მოსმენა, შემდეგს გაიგონებდა: „ნათია, შენ ცოდვა ხარ ამ ცოდვილიან მიწაზე, შენი სული ღვთიური სხივითაა განათებული და გაგიძნელებს!“...

— ეგ რა ყაჩაღვით ძნელად მოსახელთებელი გამხდარხარ, ქა! — მოესმა ნათიას გამოჯავრების კილოთი ნათქვამი სიტყვები,

— ვინც გულით მოისურვებს, ის ყოველთვის მოახერხებს თვალი დამკრას! _ღიმილით უპასუხა ნათიამ გზისპირა ალაგეზე ჩამომჯდარ ელიკოს.

ელიკო ალაგედან გადმოხტა, მათ ერთმანეთი გადაკოცნეს და საუბრით გაუყვნენ ორღობეს.

— ნათია, თუ ხარ კმაყოფილი შენი არჩევანით. ხალხი კი გაფასებს უკვე.

— ეჰ, ჩემო ელიკო, ხანდახან ვფიქრობ, დამეჯერებინა თქვენთვის და

თბილისში დავრჩენილიყავი-მეთქი, მაგრამ კიდევ კარგი ჯერჯერობით ვახერხებ ვსძლიო გულგატეხილობას და არ ვაძლევ საშუალებას ჩაქრეს ჩემს სხეულში ჩავანებული მებრძოლი სული.

— თავიდანვე ხომ იცოდი შენ, რომ აქ ბევრი წინააღმდეგობა შეგხვდებოდა.

— ვიცოდი და ალბათ სწორედ ეს უწყობს ხელს, რომ გამარჯვების რწმენა კვლავაც ძველებური სიკერპით მიმიძღვის წინ!_ ის უეცრად ელიკოს მიუბრუნდა, — შენ თვითონ რასა შვრები? როგორ მიგდის ახალი თაობის აღზრდის საქმე?!

— მე ის ჯგუფი მყავს, რომელიც სექტემბერში მიდის სკოლაში და გამოსაშვები სადამოსათვის ვემზადებით. ერთი გაჩვენა, რა საყვარელი ბავშვები არიან. ლამაზები, ლამაზები... ოო, აბა რა ვიცი, როგორ გითხრა, შენებურად, პოეტურად, ხომ ვერ ვიტყვი მე!

— შენც ისე თქვი რა...

— ისე ძალიან კარგები არიან და მეც სულ მათთან ყოფნა მინდა...

— ახლახან უმცროს ჯგუფში მოიყვანეს ბუთხუზა ბიჭი. ბავშვი ტიროდა, დედას შეჩვეულს უცხო გარემოში ძალიან გაუჭირდა. არავის არ ეკარებოდა. მე რომ შევედი, უეცრად ხელები გაშალა და „დედაო“ დამიძახა. ალბათ საკუთარ დედას მიმამსგავსა. ნათია, გესმის, „დედა“ დამიძახა!_

ელიკომ უცნაურად ანაპერწკლებული თვალებით შეხედა ნათიას, რომელიც თავის მხრივ ღიმილით შეჰყურებდა.

— ძლიერი განცდაა, არა?

— ამის გაგონებაზე კუჭის თავთან, გულის კოვზს რომ ეძახიან იქ, მეტკინა რაღაცა. კი არ მეტკინა... არ ვიცი, როგორ გამოვთქვა ის შეგრძნება, რომელმაც მაშინ არათუ სხეულით, სულითაც შემძრა.

— მართლაც კარგი რამეა დედობა, ელი, ჩვენ კი... ვბერდებით.

— რას იზამ, „სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“ და ვიაროთ ჩვენც. როცა იქნება მივადგებით აღთქმულ ქვეყანას.

— რა ვიცი, ძალიან შორს კი ჩანს ის ქვეყანა, — ჩაილაპარაკა ნათიამ.



გურგენ თორდიასი თავიდანვე იწამა ნათიამ. ხოლო ერთერთმა პარტიული აქტივის კრებამ საბოლოოდ ჩამოუყალიბა მისი პიროვნება და ერთგვარი იმედითაც აღავსო, რადგან თუნდაც ერთი თანამგრძნობი ძალიან ბევრს ნიშნავს მაშინ, როცა შენი რწმენით მრავალს უპირისპირდები.

— ამხანაგებო, მოდით ვიყოთ ერთმანეთთან გულახდილნი! ასე მიმართავდა აღნიშნულ კრებაზე გურგენი კრების მონაწილეებს _ რატომ ვატყუებთ ურთიერთს. უფრო სწორად, რატომ ვიტყუებთ საკუთარ თავს! თვითეულმა ჩვენგანმა ხომ იცის, სად რა კეთდება და როგორ კეთდება. მთელი ორი საათია თქვენს კამათს ვუსმენ და ყალბი, მამებლური სიტყვების მეტი ჯერ არა გამიგია რა, რატომ? რისთვის გვჭირდება ერთსა და ორს ვაამოთ, ხოლო ათასს გული დავწყვიტოთ? ერთისა და ორის საქმე გავაკეთოთ, ხოლო ათასის წავახდინოთ? ეს არის ჩვენი მოვალეობა? დღეს ჩვენი რაიონის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების საჭეს ჩვენ ვმართავთ. დიახ, ჩვენ — ყველა ერთად და ამჯერად აქ შევეყრილვართ, რომ ვიმსჯელოთ იმ მოვლენებზე, რომელნიც ხელს უშლიან რაიონის წინსვლა-წარმატებებს, მშრომელთა ინტერესებს, ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ აზრს. დიახ, გვემსჯელა და მიგველო სათანადო დადგენილება, მაგრამ თავიდანვე, როგორც უკვე აღვნიშნე, ზერელედ წარიმართა თათბირი, რატომ არ ვამბობთ კონკრეტულად თუ რას აკეთებს თვითეული ჩვენგანი იმ დევიზისათვის, რომელსაც „ნეგატიურ მოვლენებს — უკომპრომისო ბრძოლა!“ დავარქვით? . ამ კითხვის სრულყოფისათვის თუნდაც შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს, ამხანაგ სერგო აბრალავას მივმართოთ ერთ მეტად საინტერესო საკითხზე:

— ამხანაგო სერგო, სწორი მიმართულებით მიდის თუ არა გამოძიება, სოფელ ჯუმში მომხდარი ფაქტის გამო და თქვენის აზრით იმ დანაშაულის სათავე ნამდვილად იქნება იქ, სადაც ეძებთ? ხომ არ აჯობებდა საქმეში უფრო ღრმად ჩახედვა და თუ აჯობებდა, თავს რატომ იკავებთ?

— ამხანაგო გურგენ, მაგ საქმეს მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ და დარწმუნებული ვარ, რომ საქმეც წინ მიდის სწორი გზით ... დიახ, სწორი გზით. მე არ მომწონს თქვენი დღევანდელი პოზიცია. რაშია საქმე?

— აბრაღას მაგივრად გაეპასუხა ქვარაია.

— ამ საკითხზე პირველი სიტყვა, ჯობდა, მილიციის უფროსს ეთქვა, მაგრამ რაკი, ამხანაგო სანდრო, თქვენ ასე გსურთ, მოგახსენებთ, რომ მთავარი არ არის მე, როგორც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს და თქვენ, როგორც პარტიისა და რაიკომის პირველ მდივანს, მოგვწონს თუ არა ერთმანეთი. უფრო სწორად, მოგვწონს თუ არა ერთმანეთის პოზიციები, არამედ მთავარია ეს ნონს! ჩვენი პოზიციები იცავს თუ არა სოციალისტურ წესრიგსა და კავვევალება!

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ჩვენ არ გვესმოდეს, რა

— არა, ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რაც გვევალება, რაც მოგვეთხოვება და ზოგჯერ, სამწუხაროდ, სწორედ ეს ცოდნაა საფუძველი კანონის დარღვევისა სრულიად გარკვეული მიზეზით _საკუთარი ტყავის თუ სკამის დასაცავად.

კაბინეტში, მიუხედავად იმისა, რომ ღია ფანჯრიდან შემოჭრილი სუფთა და სურნელოვანი ნიავი დანავარდობდა, ჰაერი დამძიმდა._ თითქოს საავდრო ჯანლი ჩამოწვა.

— იქ მყოფთა უმრავლესობა გულში კვერს უკრავდა გურგენს, მაგრამ მაინც ჩაურევლობის ტაქტიკას ამჯობინებდა. იმათთვის კი, რომელთაც გარკვეული წვლილი ჰქონდათ წყლის ამღვრევამი, სინდისის ქენჯნას ციებ-ცხელება შეეყენებინა და გურგენის ყოველი სიტყვა თითოეულ მათგანს მწარედ უტყლაშუნებდა სახეში.

— ამხანაგო გურგენ, რა საჭიროა ამდენი ქარაგმებით ლაპარაკი, თქვი პირდაპირ რა გინდა? ვის ადანაშაულებ? ვის რას აბრალებ?..

— მე განაჩენი არავისთვის არ გამომაქვს. მაგრამ მსურს ყველას ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს, ამ დანაშაულში ვინ არის დამნაშავე, ვინ უნდა აგოს პასუხი. რა გაკეთდა ამ მიმართულებით აქამდე და რა კეთდება ახლაც.

— ამხანაგო გურგენ, ეს მართლაც სამარცხვინო ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი. გამოძიება კიდევ გრძელდება, ვერ გავიგე, რითი ხართ უკმაყოფილო?

— სანდრო ილიჩ! — გურგენს აშკარად ეტყობოდა მისთვის უჩვეულო მღელვარება. — თქვენ, როგორც რაიკომის მდივანი, საქმისადმი ასეთი

ცალმხრივი, ზერელე მიდგომით არ უნდა კმაყოფილდებოდეთ. რატომ გვავიწყდება, რომ დღევანდელი მოქალაქე საკმაოდ გარკვეულია იურიდიულ კანონებში და იშვიათად თუ შეხვდებით ცხოვრების ავანჩავანის უბირს. ნუ გავხდით საკუთარ თავსა და საქმეს საჭოჭმანო მსჯელობის საგნად. აი, თუნდაც, რა უშუალო კავშირი აქვს იმ ბანდიტების საქმესთან სამხედრო კომისარიატს?

— როგორ თუ რა! ნუთუ საკმარისი არ არის, რომ იმ ოჯახში, სადაც ნაძირალები აფარებდნენ თავს, წვევამდელი იმყოფებოდა, რომელიც იმ პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში უნდა ყოფილიყო?

— სანდრო ილიჩ, ყველასათვის ცხადია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულმა ძიებამ „სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ე. ი. ვერ დამტკიცდა კომისარიატის თანამშრომლის მიერ ქრთამის აღების ფაქტი, გაირკვა ის კონკრეტული მიზეზებიც, რის შედეგადაც მოახერხა წვევამდელმა ლომჯარიამ სამხედრო სამსახუროსათვის დროებით აერიდებინა თავი.

— ნუ გვავიწყდება, რომ ჯერ კიდევ არაა დამთავრებული ძიება და გახსოვდეთ, ჩემთვის სასურველი შედეგია მხოლოდ სიმართლის დადგენა.

— რა უფლება მაქვს არ დაგიჯეროთ. მითუმეტეს ვხედავთ, ყველა ხედავს, თუ რა გამწარებული აგროვებს კომისრის საწინააღმდეგო მასალებს რაიკომის ინსტრუქტორი ლენტორ ჯოლოგუა.

ლენტორს დაფანჩულ წარბებს ქვეშ შეყუჟული უფერული თვალები, ვითომდა გაკვირვებისაგან, გადმოეკარკლა.

— ამხანაგო გურგენ, მე რა... მე იმას ვაკეთებ, რასაც...

— ვიცი! — მტკიცე ხმით შეაწყვეტინა თორდიამ და ისეთი თვალებით შეხედა, რომ ლენტორს თმა აებურძგლა. ის უსიტყვოდ დაჯდა.

— მე ერთი რამ მაინტერესებს, სერგო ისაკიჩ! — როგორც იქნა მიაღწია მილიციის უფროსამდე თორდიამ, — ვთქვათ და დამტკიცდა ის ბრალდებები, რაც წაყენებულია კომისრის წინააღმდეგ, ე. ი. სამხედრო კომისარიატს თუ გამოვიყვანთ დამნაშავედ, ამით თუ ეშველება რამე იმ სამარცხვინო ლაქას, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით წაეცხო ჩვენს რაიონს სამოქალაქო ცხოვრების სფეროში და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობას თუ მოუხსნის რაიონის ხელმძღვანელობას?

— ამხანაგო გურგენ, ჩვენი რაიონის სამხედრო კომისარს აქ მყოფთაგან

ალბათ არც ერთი არ იცნობს და არ აფასებს ისე, როგორც მე. მის წინააღმდეგ უსამართლო მე არაფერი გამიკეთებია და არც ვაკეთებ. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, მისი ხელოვნური შეღავათებით არც შემსუბუქება შეიძლება და მითუმეტეს, არც მოხსნა.

— ამხანაგო სერგო, მაშ რითი უნდა ავხსნათ სწორედ იმ თქვენს მიერ ხსენებული „ხელოვნური შეღავათების აღმოსაჩენად გაწეული კვლევა-ძიება? _ამ სიტყვებში ირონიაც იგრძნობოდა და ერთგვარი თანაგრძნობაც მილიციის უფროსისადმი, რადგან გურგენ თორდიას ყველა ებრალებოდა, ვისაც სხვისი თავი ება მხრებზე.

პარტიული აქტივის იმდღევანდელმა კრებამ მაინც მოახდინა ძირეული გარდატეხა ქვარაიას სულში. ის ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ღრმად შეტოპა და შეიძლებოდა საქმე ისევ მის წინააღმდეგ შემობრუნებულიყო. მან ბევრი იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა შუამდგომლობა გაეწია რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატში, რომ ხოფერიას მიმართ საქმე შეეწყვიტათ, რადგან ყველაფერი გაუგებრობის საფუძველზე მოხდა და ლევანი არ იმსახურებს მკაცრ სასჯელს!, მაგრამ როგორ მოეხერხებინა ეს? თვითონ ხომ არ წავიდოდა? მართალია, თავიდან პირადად ბევრჯერ მისცა „საჭირო ცნობა, დაურეკა კიდეც, მაგრამ ახლა ვერც ვერაფერს დაწერს და ვერც დარეკავს!... მაშ ვის დაავალოს? — ამ დროს სახეზე ღიმილი დაეფინა, — ისევ გურგენი სჯობია, დარწმუნებული ვარ, ისე, მე რომ ვეტყვი, იმაზე მეტს გააკეთებს ლევანის საკეთილდღეოდ. გარდა ამისა, ამით მეც შემოვირიგებ, ხელს არ მაძლევს მასთან ურთიერთობის აშკარა გამწვავება.

— მაშ ასე, ხვალვე გავაგზავნი გურგენ თორდიას თბილისში! თუმცა მოიცა... ეგებ ეს შემთხვევა ხაფანგადაც გამოვიყენო და ერთი კი არა, ორი კურდღელი დავიჭირო, — ჩაიცინა სანდრომ, მას ვერ მოენელებინა ნათიას მიერ ისე აბუჩად აგდება. არ ახსოვდა ქვარაიას მისი სასიყვარულო ინტრიგა მიზანს არ სწეოდა, მისთვის უცხო იყო სურვილის უარყოფა. ვინ იცის, რამდენ ქალიშვილსა და ოჯახის ქალს აურია თავგზა. ნათია, ნათია კი...

მან ტელეფონის ნომერი აკრიფა, პირველსავე ზარზე აიღო მოპირდაპირემ ყურმილი.

— ალო! — გაისმა ყურმილში ქალის ხმა.

ქვარაია ერთხანს ხმას არ იღებდა. მერე გაიფიქრა, ყურმილი არ დამიგდოსო და გაეპასუხა.

— გამარჯობათ! — საკუთარმა ხმამ თვითონ დააფრთხო, შეცვლილი მოეჩვენა, მაგრამ იგრძნო, ნათიამ რომ იცნო, რადგან საპასუხო სალამი დაუგვიანა და როდის-როდის უპასუხა ნახევარი ხმით.

— გამარჯობათ.

— მიცანით?

— გიცანით. თან მიკვირს.

— რა არის საკვირველი?

— შეიძლება არაფერი, შეიძლება ყველაფერი!

— ნათია, თქვენ არ გესმით ჩემი.

— მე არ მესმის თქვენი?!

— დიახ, შეიძლება ცუდი კაცი ვჩანდე, მაგრამ სხვამ თუ არა, შენ ხომ იცი, თვითონ ცხოვრება ქმნის ადამიანის ხასიათს.

— რას გულისხმობთ?

ქვარაიამ იგრძნო, ნათია დააინტერესა და უნებურად შეცვლილი ხმა ერთგვარი იმედით დაეწმინდა.

— მე არ მინდოდა ამ მდგომარეობამდე მისულიყო საქმე... ლევანის საქმეზე გეუბნები.

— თქვენ არ გინდოდათ? მაშ ვის უნდოდა? სხვას ვის ეწვოდა ზურგი?

ქვარაიამ სრულ პასუხს თავი აარიდა.

— მე უკვე, მივიღე გადაწყვეტილება თბილისში სანდო პირის გაგზავნაზე

— ამით რისი თქმა გსურთ?

— ლევანის სასარგებლოდ აღვძრა შუამდგომლობა გენერალთან.

— ყველაფერი იმის შემდეგ, რაც თქვენ გააკეთეთ, შეიძლება ასეთი ნაბიჯის გადადგმა?

— შენ ხომ ძალიან გიყვარს ლევანი? — სიტყვა ბანზე აუგდო.

— ამას ჭკუათმყოფელი კაცი არც მკითხავდა. — ქვარაიამ უსიტყვოდ გადაყლაპა შეურაცხყოფა, თან აშკარად იგრძნო სიტყვებში გამჟღავნებული ზიზღი.

— მე იმიტომ გკითხე, რომ მხოლოდ შენ შეგიძლია მისი ხსნა.

— მე შემიძლია ლევანის ხსნა? ეს როგორ?

— უბრალოდ. თქვი, რომ შენ გსურს ასე. მეტი არაფერი.

— და თქვენ სურვილს ამისრულებთ?

— უსიტყვოდ.

ნათიამ ჩაიცინა.

— ან მე, ან ლევანს რა შეგვატყვეთ ისეთი, რომ მოწყალება თქვენისთანა სულმოკლე ადამიანს ვთხოვოთ? ხომ არ გგონიათ, არ ვგრძნობდე თქვენს „საქველმოქმედო“ წინადადებებში რა მყრალი სურვილი დევს? თავხედი!...

ყურმილში წყვეტილი ზარი გაისმა.

ქვარაია ერთხანს ანგარიშმიუცემლად დაჰყურებდა მოზუზუნე ყურმილს. მერე ბრაზით დაახეთქა და კბილებში გამოსცრა:

— ისევ დავუშვი შეცდომა...



„პირველი მარცხის შემდეგ იმ კუთხეს არ უნდა გავკარებოდით“ – გაიფიქრა პატიმარმა და თვალწინ წარმოუდგა ის პიოველი მარცხიც: გამოძალვის მიზნით ბანდის მიერ ქალაქში მოტაცებული ბავშვი ჯუშში, ერთ-ერთი თანამზრახველის ოჯახში, ჰყავდათ დამალული. მშობლებმა, ნაცვლად იმისა, რომ დიდძალი გამოსასყიდი გაეღოთ, მილიციას მიმართეს, ბანდის წევრები თვალს ადევნებდნენ ძიების მსვლელობას და დარწმუნდნენ, რომ გამოძიება მათ კვალში იყო ჩამდგარი, ერთი გაფიქრება იფიქრეს ბავშვი მოესპოთ, მაგრამ მოთათბირების შემდეგ დაასკვნეს, რომ მისი სიკვდილით თავს კი არ დაიცავდნენ, არამედ უფრო დაიმძიმებდნენ დანაშაულს. მით უფრო, რომ აშკარად იყო, როცა იქნებოდა, საქმე გაიხსნებოდა. ამიტომ ბავშვი თვალახვეული წაიყვანეს ზღვისპირა სოფელში და იქ ღამით მარტოდ-მარტოდ დატოვეს. ბანდიტებს რომ ეგონათ, იმაზე გონიერი გამოდგა ბავშვი და მალე დააპატიმრეს ბანდის რამდენიმე წევრი, კიწუაშვილი და ნანავა კი მიიმალნენ. მათზე საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამოცხადდა ძებნა, იძებნებოდნენ თვეების განმავლობაში. ნაძირალებმა კი ივარაუდეს, რომ ჯუშში მათი კვალის ძებნას ნაკლებად ეცდებოდნენ და ისევ იქვე დაიდეს

ბინა. ამჯერად ტყისპირას მოსახლე კიტი ლომჯარიას ოჯახი შეარჩიეს. კიტი დააშინეს და ისე დაითანხმეს, საიმედო მფარველი ყოფილიყო მათი, ან სხვა რა გზა ჰქონდა, ოჯახის მშვიდობა და უნიათო უფროსს — მით უმეტეს, თითო მძევალი მუდამ თან ჰყავდათ ბანდიტებს.

ახლა, ალბათ, ისე გაასამართლებენ მამა-შვილს, როგორც რეციდივისტთა თანამზრახველთ“. — აქ ჩაეღიმა კიწუაშვილს.

მამას მართლა იყენებდნენ ხანდახან, უფრო მეტად სურსათისათვის აგზავნიდნენ ბაზარში. ბევრჯერაც უცემიათ ბაზრიდან დაბრუნებული, როცა მათი ფასში მოტყუება მოუნდომებია. ვაჟი კი ისეთი წყალწყალა იყო, მძევლად თუ დაიტოვებდნენ ხანდახან, თუმცა, ეტყობა, ძიებაში რაიონის ხელმძღვანელებს მთავარ ფიგურად სწორედ ის გაუხდიათ. აქ პატიმარს გაახსენდა ერთი შემთხვევა:

საკნის კარი გაიღო..

— უფროსთან! — მკვახედ ესროლა მორიგემ პატიმარს და ღია კარისაკენ ანიშნა.

პატიმარი წინ გაუძღვა მილიციელს. ის ძალიან გააკვირვა ციხის უფროსის კაბინეტში დაჩი გელოზიას დახვედრამ. მით უფრო, რომ იგი მეგობრულად უღიმოდა, მოიკითხა კიდევ.

— „ეტყობა, ფანდია!“ — გაიფიქრა პატიმარმა, ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— მე ხომ ყველაფერი ვაღიარე! ხომ იცით, რომ ჯუმში გახიზნული ბავშვის გამტაცებელი მე და ნანავა ვართ. ისიც იცით, რომ ხიტი ლომჯარია და მისი ოჯახი დაშინების გზით ვაიძულეთ შევეფარებინეთ ჭერქვეშ. რა გინდათ მეტი, სხვა დანაშაული ჩვენ თქვენს რაიონში არ ჩაგვიდენია.

— ესეც საკმაოა, გარდა ამისა, თქვენ გააუპატიურეთ ხიტის არასრულწლოვანი გოგონა. — გელოზიამ განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა ბოლო სიტყვები, მაგრამ პატიმარში მას რაიმე სულიერი ცვლილება არ გამოუწვევია. ის ისევ გამომწვევად შეჰყურებდა. — მაგრამ...

— აქ განზრახ გააკეთა პაუზა დაჩიმ. პატიმარს კი კვლავ არ შეუცვლია პოზა, — მე ამას ყველაფერს ხაზს გადავუსვამ, ოღონდ ერთ საკითხში უნდა იყო გულახდილი: ლომჯარიას უფროსი ვაჟი წვევამდელია, ის დაკავების მომენტში ჯარში უნდა ყოფილიყო. თუმცა გაიწვიეს, წაიყვანეს კიდევ, მაგრამ მან შეძლო თქვენთან დაბრუნება. შენ ისე იყავი იმ ოჯახში, არ შეიძლება არ იცოდე, როგორ მოახერხა ეს?

— რომც ვიცოდე, რა მნიშვნელობა აქვს? მე ის გითხარით, რაც მეხება. სხვა ჩემი საქმე არაა.

— შენ შეგიძლია, თუ გონივრულად მოიქცევი, საგრძნობლად შეიმსუბუქო სასჯელი. მე ვიღებ ამას საკუთარ თავზე და გამლევ სიტყვას... — აქ ისევ გააკეთა პაუზა, — ლომჯარიას ვაჟმა სამხედრო სავალდებულო სამსახურს თავი აარიდა ქრთამის გაღებით, თავისთავად ცხადია, ლომჯარიები ამას ვერ მოახერხებდნენ, თუ თქვენ, მისი ხიზნები, არ დაეხმარებოდით.

პატიმარი მიხვდა, რომ რაიონში გადაწყვეტილი ჰქონდათ დანაშაულის ძირითადი სიმძიმე სამხედრო კომისარიატზე გადაეტანათ, ამისათვის კი ხელშესახები საბუთები, მოწმეები იყო საჭირო და ერთ-ერთ მოწმედ, ეტყობოდა, კიწუაშვილი იყო ნაგულისხმევი, „თუ ასეა, არც მე მაწყენს, თუნდაც მცირე შეღავათი“ — გაიფიქრა კიწუაშვილმა და ჯიქურ შეხედა თვალეზში გელოზიას.

— მაშ, მე მივეცი ფული ლომჯარიებს კომისარიატის თანამშრომლის მოსასყიდად, არა?!

— სხვანაირად არ მოხერხდებოდა მაგი! — გაულიმა დაჩიმ.

— თუ ასეა, ასე იყოს!

— ასეთ ჩვენებას მისცემ ოფიციალური დაკითხვის დროს?

— რა თქმა უნდა, თუ თქვენც არ დაივიწყებთ პატიოსან სიტყვას.

პატიმარმა და პროკურორმა მაშინ გაუგეს ერთმანეთს. ოფიციალურ დაკითხვაზე კი კიწუაშვილმა ყველაფერი ისე თქვა, როგორც დაჩიმ ასწავლა. ამით კი ეტყობა „მართლმსაჯულებამ“ თავისი საქმე გააკეთა, კიწუაშვილისათვის მიცემული პირობა კი რატომღაც არ გახსენებია დაჩის. დღეს, საღამოს, პატიმარი თბილისში გადაჰყავდათ.

კიწუაშვილი უეცრად წამოვარდა, „ხომ არა გონია, შევარჩენ!“ — კბილებში გამოსცრა და საკნის კარს ეცა, რაც შეეძლო დაუშინა მუშტები.

სარკმლიდან მილიციელმა შემოიხედა.

— წამიყვანეთ ციხის უფროსთან! — მას სახე ისე შეცვლოდა, რომ დაბნეული მილიციელი უსიტყვოდ წავიდა უფროსის კაბინეტსკენ.

— ამხანაგო უფროსო, პატიმარი კიწუაშვილი დაჟინებით ითხოვს თქვენს ნახვას.

უფროსმა წარბებქვეშ გახედა მილიციელს და ბუბუნა ხმით უთხრა.

— მოიყვანეთ!_

შემოიყვანეს პატიმარი.

ციხის უფროსმა მაშინვე შეამჩნია მასში ცვლილება. პატიმრის გამოხედვა ადრინდელივით ჯიქური არ იყო. აშკარად ჩანდა, მისთვის უჩვეულო გრძნობას აეფორიაქებინა იგი.

პატიმარმა მზერა გაუსწორა, მაგრამ ეს არ იყო თავზეხელაღებული უტიფარი, არც პატიების მთხოვნელის შესაბრალისი შემოხედვა. მან უბრალოდ, მართალი ადამიანის სიმშვიდით მოუთხრო ციხის უფროსს გელოზიასთან შეხვედრის სცენა. მაგრამ ვერ გაითვალისწინა, რომ ციხის უფროსიც იმ მართლმსაჯულების წარმომადგენელი იყო, რომელიც საკუთარი ნებისამებრ ჭრიდა სამართალს.



ლევანი სარკის წინ იდგა და პირს ელექტროსაპარსით იპარსავდა, მის ნაღვლიან თვალებში აშკარად ჩანდა ის სულიერი ტკივილი, რომელიც ადამიანებში მოულოდნელად აღმოჩენილმა სულმდაბლობამ, განუშორებელ კაემნად ჩაუწნა სულში. მანამ მისთვის თვით ფსიქოლოგებს ასობით დამამტკიცებელი საბუთით რომ დაემტკიცებინათ, მაინც არ ირწმუნებდა, თუ ადამიანში თავიდანვე არსებობდა უმაღლესი ადამიანური გრძნობები_ რომელთაც კაცთმოყვარეობა, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, პრინციპულობა ჰქვია_ შეიძლებოდა უმდაბლეს ფორმამდე დასულიყო.

ნანომ ახალი პიჯაკი შემოიტანა მეორე ოთახიდან და იქვე მდგარ სკამის საზურგეზე გადაკიდა. ლევანმა სარკიდანვე შეატყო, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა.

— ნანო, რატომღაც გაბუტული ჩანხარ. — დაყვავებით შეეხმიანა ცოლს ლევანი.

ნანომ ნაძალადევი ღიმილით შეანათა თვალები:

— შენთან არ ვარ გაბუტული და მეტი ვინ მყავს შინ, რომ..

— რათა მაინცდამაინც მე, ხომ შეიძლება სხვა გარეშე ვინმემ გაწყენინოს?

ნანომ თავი ვერ შეიკავა. ქმარს მივარდა და მკერდში ჩაეხუტა. ლევანმა

საპარსი გამორთო,

— რა გემართება, ნანო?

ლევან, მე მჯერა, შენ გაიმარჯვებ! გესმის, შენ გაიმარჯვებ! -

— მე კი არა, სიმართლე გაიმარჯვებს, ნანო.

— თუმცა შეიძლება მომენტში გული გეტკინოს, დამარცხდე კიდეც, მაგრამ... რას იზამ, სამართალი, როცა იქნება, ჭამს პურს, ხომ გჯერა ჩემი?

— მჯერა, ნანო!

ამ დროს პატარას, რომელიც ოთახის კუთხეში თავისთვის თამაშობდა, სკამი წაექცა და ატირდა. ნანო ბავშვისკენ გაიქცა.

ლევანმა სარკეში შეათვალიერა გაპარსული სახე, საექვო ადგილებზე კიდეც ერთხელ გადაატარა საპარსი და საჩქაროდ ჩაიცვა ტანზე.

— ნანო! – გასძახა ცოლს, რომელსაც ატირებული ბავშვი დერეფანში გაეყვანა.

ნანო შემოვიდა.

— ნათიამ დამირეკა, თბილისში მეც მივდივარო და თუ მოვიდა, დამიცადოს.

„ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა ნანო და თან ფანჯრიდან გაჰყურებდა მიმავალ ლევანს — განა შეიძლება ასე უღვთოდ აწამო სხვა, მხოლოდ იმისათვის, რომ შენს არაკანონიერ სურვილებს არ ემორჩილება?!“.

ცოტა ხნის მერე ნათიაც მოვიდა.

— ლევანი იყო? – იკითხა მან მოსვლისთანავე და ნანოს ბავშვი გამოართვა.

— იყო და დაიბარა, დამიცადოს და გამოვუვლიო. რამდენი დღით მიდიხარ?

— ერთ კვირიანი კურსებია.

— ოჰო, ახლა მალამოსავით იქნება შენთვის თბილისი, ნეტავ თავიდან სულაც იქ დარჩენილიყავი. — ნანოს ხმა გაეზარა, მაგრამ მაშინვე შეცვალა საუბრის თემა: — მოშეებული იქნები.

— არ გეტყოდი უარს.

ნანო სამზარეულოში გავიდა. ნათიამ კი ახუტებული ბავშვი სასტუმრო ოთახში გაიყვანა. ბავშვი ტახტზე გააგორა და ასე ათამაშებდა ერთხანს. მერე იქვე მაგიდაზე დადგმული რადიომიმღები ჩართო. თითქმის ყველა

არხი შეამოწმა, მაგრამ საინტერესო გადაცემა არაფერი იყო. „რაიმე კარგი იყოს ეგებ ჩაწერილი“, — გაიფიქრა და მიმღებშივე ჩამონტაჟებული ჩამწერი ჩართო, მაგრამ იქაც რაღაც გაურკვეველი, ერთმანეთში არეული ხმებილა ისმოდა. იმედგაცრუებულმა ის-ის იყო გამომრთველ ღილაკს დაადო თითი, რომ გარკვევით გაისმა:

— შენ ხომ ესწრებოდი ამ საქმის გამო სახელდახელოდ მოწვეულ ბიუროს? — ლევანის ხმა იყო.

— როგორ თუ ვესწრებოდი! ეს რა საკითხავია! იმ ბიუროზე არ გადაწყდა ჩემი საქმეც?

— როგორ ფიქრობ, შენი, როგორც უბნის ინსპექტორის, სამსახურიდან განთავისუფლება და პარტიიდან გარიცხვა მართებულია?

— ყოველი დამნაშავე ყოველგვარ სიტუაციაში ეცდება თავი იმართლოს. მე არ ვცდილობ. ვალიარებ, რომ ვალდებული ვარ, ვაგო პასუხი, რადგან ჩემს სამოქმედო უბანში ასეთი ფაქტი მოხდა, მაგრამ ამ დანაშაულის მთელი სიმძიმის ჩემს მხრებზე გადმოტანა და ყველას მაგივრად ჩემი გაჯობვა, რა თქმა უნდა, არ მიმაჩნია მართებულად და კიდევაც გავაგზავნე ახსნა-განმარტებითი ბარათი ჩვენს სამინისტროში, ვითხოვ ობიექტურად განხილულ იქნას ყოველივე და თუ მართლა ვიმსახურებ ამგვარ სასჯელს, დავისაჯო კიდევ. არ მეწყინება მაგი მე!

— თუ გახსოვს, როგორი ჩვენება მისცა იმ ბიუროს ხორხადემ? ისე ვიყავი მაშინ აფორიაქებული, რომ ვერ ვიხსენებ, თუ რა ითქვა იქ.

— ღმერთის წყალობით ცინცხალი მახსოვრობა მაქვს — თქვა ინსპექტორმა და სიტყვასიტყვით გაიმეორა ბიუროზე ხორხადის ნათქვამი.

— ახლა კი ამტკიცებენ, თითქოს ხორხადემ ბიუროზე აღიარა, რომ ფული მიუტანა წუწუნავას.

— ვიცი!

— იცი?

— დიახ, ვიცი. ხორხადე მოატყუეს. მას ასე უნდა ეთქვა სწორედ იმ ბიუროზე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ვერ თქვა, არც მერე იტყოდა ალბათ, მაგრამ სანამ ბიურო დაიწყებოდა, მანამ პროკურორის კაბინეტში რეპეტიცია გაუვლია, ხოლო დაჩის საიდუმლოდ მოუხდენია მისი ნათქვამის ჩაწერა. მერე კი ვერ გადაუთქვამს, რადგან თუ მანამდი საბჭოს თავმჯდომარეობას პირდებოდნენ, მერე კი ციხით დაუშინებიათ.

— მაგრამ განა დაჩის მიერ ჩაწერილი ხმა იქნება ოფიციალური საბუთი, თუ ბიუროს ოქმი? ხმის ჩაწერა ძალდატანებითაც ხომ შეიძლება?

— შეიძლება, ყველაფერი შეიძლება და აი, წარმოიდგინე შენ, რომ შენს მიერ ხსენებულ ოქმშიც ის სწერია, რაც დაჩის ჩამწერში.

— ეს როგორ? ეს ხომ შეუძლებელია! — აქ ყოფილი ინსპექტორი გაჩუმდა, ერთხანს ლენტის ოდნავ გასაგონი შრიალიდა ისმოდა. ეტყობოდა, ინსპექტორი ფიქრობდა, ბოლოს კი თქვა, — კი მაგრამ, ბიუროს წევრები ხომ იყვნენ მოწმე ხორხადის მიერ ბიუროს წინაშე თქმულისა. ოქმი განა ზეპირად იწერება?

— საქმეც მაგაშია, რომ ბიუროს წევრები იმას ადასტურებენ, რაც ბიუროს ოქმში წერია. რატომღაც არცერთს არ ახსოვს ის, რაც შენ დაგმახსოვრებია და რაც, სიმართლე თუ გინდა, მეც ზუსტად მახსოვდა.

— ჩვენ ხომ გვახსოვს?

— მერე რა მნიშვნელობა აქვს?!.. შენც დამნაშავე ხარ, როგორც იმ უბნის ინსპექტორი, სადაც დანაშაული მოხდა და მეც, როგორც იმ დაწესებულების ხელმძღვანელი, რომლის თანამშრომელიც ქრთამს იღებს და არღვევს სახელმწიფო კანონს, დისციპლინას. აქედან გამომდინარე, ნაკლებ სარწმუნოა ჩვენი სიტყვა. გადამწყვეტია, რას იტყვიან სხვა მოწმეები.

— არა, ლევან, ეგრე ნუ გაიტეხ გულს. სიმართლის გზა ასე მოკლე როდია, ის რაიკომის იქითაც საკმაო მანძილით გრძელდება, არც ქვეყანაა ჩალით დახურული“. . დიალოგი შეწყდა,

— ეგ რა არის, ნათია? — იკითხა გაფითრებულმა ნანომ, რომელიც კარებში იდგა და ფართოდ გახელილი, შიშჩამდგარი თვალებით შეჰყურებდა ქალიშვილს.

თავზარდაცემულ ნათიას თითქოს ენა წართმეოდა — „შენ შეგიძლია ლევანის ხსნა“ — უწიო და ყურებში სანდროს მიერ ტელეფონით ნათქვამი სიტყვები და მოძალებულმა ზიზღმა ისე შეუშალა სახე, რომ ისედაც დაფეთებული ნანო ციებიანივით ააკანკალა და სასოწარკვეთილი ხმით ათქმევინა:

— ნათია, რა მოგივიდა, გოგო? რას გავხარ?

— თუ კლდეზე გადავარდები ლევანს იხსნიო, რომ მითხრან, მზად ვარ. ბიწიერი გზით კი არამც და არამც!_ თითქოს თავისთავს უთხრა ნათიამ, ნანო კი ვერაფერს მიხვდა და კვლავ შიშით შეხედა დაზაფრულ

ქალიშვილს.

— განა შენზე ნაკლებ იმოქმედა ჩემზე? ასე საოცრად ნუ იცი ხოლმე ყველაფრის გულთან მიტანა, — დაუყვავა ნანომ ნათიას.

— ეეხ! — ამოიხვნეშა ნათიამ, მერე ნანოს მიმართა: — ეტყობა ლევანს საიდუმლოდ ჩაუწერია, ალბათ, სჭირდება, — ამ სიტყვებით თითო დააჭირა ლენტის უკუდამხვევ ღილაკს, ერთხანს დახვევის შრიალი ისმოდა, _ეტყობა, ვერ მოასწრო მისი შენახვა. არცაა გასაკვირი დაავიწყდეს ასეთი რამეც კი, რადგან ისეა აფორიაქებული. შენც ნუ აგრძნობინებ, რომ იცი.

ჩამწერი ისევ თავის ძველ ადგილზე დადგა. კარებზე ზარი დაირეკა.

— ნათია მოვიდა? — იკითხა ლევანმა შემოსვლის უმაღ.

— აგერ ვარ, ლევან, წავიდეთ?

ლევანმა ჩვეულებისამებრ გადაკოცნა ცოლ-შვილი, ნახვამდისო დაუბარა და ნათიასთან ერთად ჩაჯდა მანქანაში.



დილით რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატში მისულ ლევანს წუწუნავა იქ დახვდა. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებიათ. რესპუბლიკის სამხედრო კომისრის პირადმა მდივანმა მოახსენა მათ, ხოფერიას კომისარი იბარებსო.

მალე შემდეგი საუბარი გაიმართა გენერალსა და ლევანს შორის:

— ამხანაგო მაიორო, მე საკუთარ თავს ვაძლევ უფლებას, რომ გითხრათ, არ მჯერა არცერთი იმ ბრალდებათაგანი, რომელიც თქვენთვისაა წაყენებული. თუმცა ზოგიერთ მათგანს ვერც უწოდებ ბრალდებას, იმდენად წვრილმანია, მაგრამ საერთო ჯამში ერთმანეთს ავსებენ და მეტნაკლები სიდიდის რგოლებისაგან დანაშაულის ერთიან ჯაჭვს ქმნიან.

— გენერლის სახის გამომეტყველებასა და ხმაში აშკარად ჩანდა ფარისევლობა. — ასე რომ, საქმე მაინც, ასე თუ ისე, რთულია და მოგვიწევს სათანადო ღონისძიების მიღება. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მაინტერესებს თქვენი აზრი.

— მოგეხსენებათ, დანაშაული ხელისშემწყობი მიზეზის გარეშე არ ხდება, თუნდაც ეს მიზეზები ყოველგვარი წინასწარი განზოახვის გარეშე იყონ წარმოშობილნი, ისინი ხომ მაინც ვიღაცის მიერ, ნებსით თუ უნებლიეთ, საქმისადმი ყურადღების შესუსტების შედეგია... — ლევანი გაჩუმდა.

გენერალს ენიშნა ლევანის პასუხი. მან ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მაიორ ხოფერიას სახელმძღვანელო სამხედრო კომისარიატის სტრუქტურას, სადაც შტატით სულ სამი ოფიცერი იყო კომისრის ჩათვლით, აქედან ერთი — მოადგილე, სხვა რაიონში იქნა გადაყვანილი. წელიწადი სრულდებოდა და ახალი მოადგილე ჯერ კიდევ არ იყო დანიშნული, ეს კი უშუალოდ გენერალს ეხებოდა და, საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებადაც ჩათვლებოდა. მერე: ოფიცერი კირცხალია გაწვევის წინა მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში იწვა, როგორც მძიმე ავადმყოფი. ასე რომ გაწვევის წინა პერიოდის მთელი საქმიანობა ერთადერთ ოფიცერს, თვით კომისარს დააწვა მხრებზე. მართალია, ის გამოიყენებდა ზემდეგსა და სამოქალაქო ხაზით მომუშავე სხვა თანამშრომლებს, მაგრამ ოფიცრის შეცვლა განა შეიძლება რომელიმე მათგანით? აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, ყურადღების გარეშე დარჩენოდა წინა გაწვევაზე საექიმო კომისიის მიერ ჯარში სამსახურისათვის დროებით უვარგისად ცნობილი წვევამდელის პირადი საქმე. აქ ხომ თვით საექიმო კომისიაა დამნაშავე. კერძოდ კი ის ექიმი, რომელმაც ისეთ წვევამდელს, რომლის პირად საქმეშიც ჩაკერებულ სამედიცინო ცნობაში „ტუბერკულოზი“ ეწერა, სრულიად გულგრილად ჩაუწერა „ჯანმრთელი“ და სწორედ ამ გულგრილობითა და უგულისყურობით უნებურად განასკვა დანაშაულის პირველი მარყუჟი.

— ამხანაგო მაიორო, მე მესმის თქვენი, მაგრამ საქმე მხოლოდ უკვე ცნობილ ბრალდებებში როდია, შემოსულია ახალი ბრალდებები პირადად თქვენზე.

— ახალი ბრალდებები პირადად ჩემზე?

— დიახ, ინებე! — მან ორი საჩივარი მიაწოდა ლევანს.

ერთ საჩივარს სანდრო ქვარაია აწერდა ხელს, მეორეს — ლადო წუწუნავა, სუნთქვა შეკრულმა ლევანმა ჯერ ქვარაიას განცხადება წაიკითხა: „როგორც უკვე ოფიციალურად მოგახსენეთ, რაიონის

სამხედრო კომისარიატში გამოვლინდა დანაშაულებრივი ფაქტი, თუმცა მე მგონი სამხედრო პროკურატურა მიკერძოების ტაქტიკას იყენებს და განზრახ ცდილობს არ დამტკიცდეს ქრთამის აღების ფაქტი, მაგრამ იმედია ყოველგვარი მრუდე გზა გასწორდება და სიმართლე გზას გაიკვლევს. ახლა კი დამატებით უნდა მოგახსენოთ ადგილობრივი გამოძიების შედეგად მოკვლეული რამდენიმე ფაქტი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ხოფერია წლების განმავლობაში უწყობდა ხელს წესრიგის დარღვევას. ამ მხრივ უპირველეს დანაშაულად შეიძლება ჩავთვალოთ მის მიერ კომისარიატის სამეურნეო ნაწილის გამგის უმიზეზოდ მოხსნა. თუმცა მიზეზიც ჰქონდა... ცოლისძმა უნდა მოეწყო თბილ ადგილზე, ეტყობა არც კადრულობდა მის ბრიგადირობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი რაიონში ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადირი იყო. ახლა კი უდანაშაულოდ მოხსნილი პირის ახლობლები წარამარა ჩვენ გვაწუხებენ განცხადებებით თუ საჩივრებით.

მეორე: ამას წინათ რაიონში გავანაწილეთ ტყავის ლაბადები. უფრო სწორედ, წარმოების ხელმძღვანელებს დავურიგეთ. ერთი, რა თქმა უნდა, კომისარიატში გავაგზავნეთ. ლევანმა კი ის კომისარიატის მძღოლს მისცა. ამით მისთვის ჩვეული, თავისებური ოინი გვიყო. აქაოდა, ტყავის ლაბადებს კომისარიატში მძღოლებიც იცვამენო. მესამე: ამას წინათ ოფიცერმა კირცხალიამ ავტობუსში მგზავრ ქალს მოჰპარა ჩემოდანი. ხოფერიამ მაშინვე ხელი გადააფარა და საქმე იმით მიაფუჩეჩა, თითქოს ჩემოდნის პატრონი ქალი და კირცხალია ინტიმურ კავშირში ყოფილიყვნენ, ხოლო ინციდენტი მხოლოდ ხუმრობა ყოფილიყო. ადვილი წარმოსადგენია ასეთი ხელმძღვანელის ხელში რანაირი წესრიგი დამყარდება. სწორედ წარმოებაში გამეფებულ უწყესრიგობისა და თანამშრომელთა უპასუხისმგებლობის მაგალითია ოფიცერ კირცხალიას მიერ ჩადენილი მეორე შემთხვევა: ახალი წლის ღამეს, ზუსტად თორმეტ საათზე, ოფიცერი კირცხალია მოდის ჩემთან ბინაში და მეუბნება: „ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ტრადიკულად დაღუპულა ჩვენი რაიონის წარგზავნილი ჯარისკაცი, დარეკეს, რომ რაიკომმა მიიღოს სათანადო ღონისძიება და მოვახერხოთ ხვალ ათ საათზე გაგრაში მანქანით დავხვდეთ ცხედარსო“. ვიმეორებ, ეს იყო ახალი წლის ღამეს ზუსტად თორმეტ საათზე კომენტარი ზედმეტია!

- როცა ლევანმა ბოლომდე წაიკითხა ქვარაიას განცხადება, გაეღიმა.
- რას იტყვით, სწორია თუ არა?

– სწორია, ოთხივე შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

გენერალმა წარბები შეიკრა,

– ცოლისძმა, მართალია, დავნიშნე სამეურნეო ნაწილის გამგედ, მაგრამ წინასწარ აქ, სათანადო განყოფილებაში, ვიკითხე და უფლება მომცეს, რადგან მატერიალურ დაქვემდებარებებს ჩვენთან არა აქვს ადგილი. რაც შეეხება იმას, რომ მე არ ვკადრულობდი ცოლისძმის მოწინავე ბრიგადირობას, ეგ ტყუილია. ის თვითონ მოხსნეს სრულიად უმიზეზოდ.

– რაც შეეხება ლაბადის ამბავს, საქმე იმაში იყო, რომ კომისარიატის თანამშრომელ მამაკაცებს შორის ის სწორედ მძლოლს მოერგო. მშვენიერი, თვალტანადი ბიჭია და განა იმიტომ წამერთმია ლაბადის მიკუთვნების უფლება, რომ მძლოლი იყო? მე ასე არ ვახარისხებ ადამიანებს!

– განაწილების დროს პირადად თქვენს სახელზე იყო განაწილებული?

– განაწილების ფურცელში ეწერა ასე: „კომისარიატს – ერთი ცალი“. თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა?

– კარგი. განაგრძე!

– ჩემოდნის ამბავსაც განზრახ ამუქებს ქვარაია, მან ძალიან კარგად იცის, როგორც იყო. აქ ლევანმა სიტყვასიტყვით უამბო ყველაფერი. მეოთხე ბრალდებაში კი ბრალი ედება იმაში, რომ ახალი წლის ღამეს ადამიანურმა სისუსტემ გადამძლია და ცოლშვილითურთ ვინახულე მარტო მყოფი მოხუცი დედა მეზობელ ქალაქში. მე იმ ღამეს წესისამებრ ადგილზე რომ ვყოფილიყავი, კირცხალია მე დამეკითხებოდა, ისე არ მივიდოდა ქვარაიასთან, მაგრამ მარტოდ დარჩენილმა სხვა ვერაფერი მოიმოქმედა, მით უმეტეს იქიდან დაურეკეს, რაიკომიც დაიხმარეთო, ხოლო სინამდვილეში კი რაც მოხდა, იმას მართლაც რომ არ სჭირდება კომენტარი.

აქ გენერალსაც გაეღიმა.

– გაეცანით მეორე განცხადებას!

– „ჩემი შვილი, ოლეგი ლადოს ძე წუწუნავა, მუშაობს რაიონის სახედრო კომისარიატში. მას არასოდეს არ მიუღია სამსახურებრივი საყვედური. ახლა კი მის წინააღმდეგ საქმეა აღძრული და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეგ ყველაფერი ჩემი ბრალია, ჩემი თანხმობით მოხდა. დიახ, მე ვაიძულე ჩემი შვილი თვითონ ეტვირთა დანაშაულის მთელი სიმძიმე. ახლა კი ვხედავ, შევცდი და ამ შეცდომის გამოსყიდვას თქვენს წინაშე სიმართლის აღიარებით ვეცდები. აი, როგორ მოხდა ყოველივე:

ლევანი მოვიდა ჩემთან და მთხოვა, ოლეგიმ თქვას, რომ ჩემთვის არ მოუხსენებია ნავთლულიდან წვევამდელის გაპარვის ფაქტი. თითქოს დაავიწყდა, ამისათვის მას ვერაფერს უზამენო. მომატყუა, მწარედ მომატყუა იმედი მაქვს მიიღებთ მხედველობაში ჩემს მიერ აღიარებულ სიმართლეს“.

ლევანი გაფითრდა.

— ამხანაგო გენერალო, ეგ,... — მას სიტყვა გაუწყდა. ეგ სიცრუეა, ცილისწამებაა!

გენერალმა თითი დააჭირა ღილაკს. კაბინეტში პირადმა მდივანმა შემოიხედა.

— შემოვიდეს წუწუნავა.

ოლეგი გაუბედავად შევიდა კაბინეტში.

— რატომ მიეცი ყალბი ჩვენება გამოძიებას?

— მე სიმართლე ვაღიარე.

— ამხანაგმა ხოფერიამ ხომ გთხოვათ, საკუთარ თავზე აგელო დანაშაული და გეხსნა თვითონ იგი მოსალოდნელი საფრთხისაგან?

ოლეგიმ შეცბუნებული მზერა გენერლიდან ლევანზე გადაიტანა. ის ამ შეკითხვით იმდენად დაბნეული ჩანდა, რომ პასუხის გაცემაც ვერ მოეხერხებინა.

— ამხანაგი მაიორი თვით აღიარებს!

— აღიარებს? — უფრო დაიბნა ოლეგი.

— როგორ, არ უთხოვია შენთვის ყალბი ჩვენების მიცემა?

— კომისარს ჩემთვის არაფერი უთხოვია.

— მაშინ ეს წაიკითხე! — უთხრა გენერალმა და ლადოს განცხადებაზე მიუთითა.

— ეს მამაჩემის მოფიქრებულია, — თქვა ოლეგიმ განცხადების წაკითხვის შემდეგ და არარსებული ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, — მამაჩემს, ეტყობა, საკუთარი მიზნები აქვს, ის თავისებური კაცია.

— ჰმ, თავისებური კაცია! _ჩაილაპარაკა გენერალმა, მერე კი ბრაზით მიმართა:

— თავისუფალი ხარ!

წუწუნავა ფეხაკრეფით გავიდა კაბინეტიდან.

გენერალი და მაიორი ერთხანს უსიტყვოდ ისხდნენ. მერე გენერალმა დაარღვია სიჩუმე:

— როგორი დამოკიდებულება გაქვს თქვენი რაიონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან?!

— გურგენ თორდიასთან? დიდებული კაცია. არა მგონია, მაგან მაინც იკადროს ღალატი.

— იყო ჩემთან. — ისიც საჩივრით? — ფერი ეცვალა ლევანს. გენერალს გაეღიმა.

— არა. გვთხოვა, ყველაფერი გაპატიოთ, რადგან თურმე გაუგებრობას ჰქონია ადგილი, თორემ შენ არ ყოფილხარ დამნაშავე და იცით ვისი დავალებით მოვიდა? — სანამ ლევანი ჰკითხავდა, თვითონ დაასრულა: — სანდრო ქვარაიას დავალებით.

— სანდროს დავალებით? — გაუკვირდა ლევანს.

— დიახ, და მე მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება. იმ რაიონში შენი მუშაობა შეუძლებელია. ჩემის აზრით, ეს ქვარაიას ახალი ფანდია. დაუჯერებელია, მან ყველაფერი იმის შემდეგ, რაც იკადრა, შენი დაუსჯელობა გულწრფელად ითხოვოს. მან იცის შენ ამჯერად მკაცრ სასჯელს მაინც ვერ მიიღებ და სურს ჩვენი ყურადღება მოაღუნოს, შემდეგ კი მისთვის ჩვეული ვერაგობით შანტაჟიც მოგიჩქოს.

გენერალი ერთხანს ჩაფიქრდა. მერე ლევანს თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— სიტყვას გაძლევ, ექვსი თვის შემდეგ ყოველგვარ სასჯელს მოგიხსნით და გზაც ხსნილი გექნება. შენ ყველაზე, ახალგაზრდა კომისარი იყავი რესპუბლიკაში. ჯერ მხოლოდ ოცდაათოთხმეტისა ხარ,... ნეტავ შენს ასაკში ვიყო ...

გენერალი არასოდეს ყოფილა ლევანის მიმართ გულცივი, მაგრამ იმდღევანდელმა მეტისმეტმა გაშინაურებამ აშკარად აგრძნობინა, რომ გენერალს საკუთარი ტყავისა უფრო ეფიქრებოდა, ვიდრე ახალგაზრდა კომისრისა.

— რას ითვალისწინებთ სასჯელში?

— თანამდებობრივ ჩამოქვეითებას სხვა რაიონში გადაყვანით.

გიმეორებ, მხოლოდ ექვსი თვით.

ლევანს უკვე მერამდენედ ეცვალა ფერი.

იმ მომენტს მერე ასე იგონებდა ლევანი: — გენერლის მზერა და ხმაც უცნაურად მოქმედებდა ჩემზე. თითქოს გრძნეული იყო და ის ზღაპარი, რასაც მიყვებოდა, ჩემი მოსაზრებების შელოცვა გახლდათ. ასე რომ არ ყოფილიყო, რატომ დავუჯერე, რატომ ვირწმუნე მისი. მე ხომ ვიცოდი რაიონის სამხედრო კომისრის დაწინაურებისათვის რესპუბლიკის კომისრის კეთილგანწყობილება არ კმაროდა. მთავარი იყო სარდლამდე როგორ გაივლიდა პირადი საქმე და მერე სარდალი როგორ შეხედავდა მას. მოგეხსენებათ, ქართველისათვის არც ისე ადვილია ამგვარი გზების გავლა, მით უმეტეს, თუ პირად საქმეში ლაქა, თუნდაც უმნიშვნელო, იქნება. _ ეს ხომ კარგად მოეხსენებოდა თვით გენერალს, მაგრამ იმ დღეს კიდევ ერთხელ ნახა ლევანმა, თუ რა პატარა კაცად აქცევს ადამიანს საკუთარი ტყავის გადარჩენის ინსტინქტი.

თბილისიდან დაბრუნების მეორე დღეს ლევანი თავის კაბინეტში სანდომიანი გარეგნობის ახალგაზრდას ესაუბრებოდა:

— კი მაგრამ, მაშინვე რატომ არ მოხვედი ჩემთან? რატომ არ ისურვე გაგეგო მიზეზი ამგვარი შეურაცხყოფისა?

— დავიბენი. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. ერთი რამ მჯეროდა: მე არ ვიმსახურებდი ისეთ დახასიათებას და არც თქვენ იყავით ისეთი კაცი, რომ ასე ბოროტად გაგეწირათ თანამშრომელი, თუნდაც ყოფილი, მაგრამ ფაქტი სახეზე იყო, დახასიათებას თქვენ აწერდით ხელს.

— შენ დარწმუნებული იყავი, რომ ის ხელმოწერა ჩემი იყო?

— ააა! — ახალგაზრდა გაფითრდა; — ამაზე არც მიფიქრია..

— გივი, ნუ დელავ. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და ისინი, განსაკუთრებით კი ლენტორი, შენ კი არა, ეშმაკსაც დაუბნევენ გზას..

— მე ხომ არ მინახავს თქვენი ქართული ხელწერა. დახასიათება კი ქართულად იყო დაწერილი. რუსულად რომ ყოფილიყო, ასე ვერ გამასულელებდნენ.

— ეს წინასწარ ჰქონდათ მათ მოფიქრებული. მაინც რატომ გაჩვენეს ის დასასიათება, რაში დასჭირდათ? _ ლევანმა უკვე იცოდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ სურდა თვითონ მისულიყო ჭეშმარიტებამდე კომისარიატის ყოფილი თანამშრომელი, სამეურნეო ნაწილის ყოფილი გამგე, რომელიც სპეციალობით ინჟინერი იყო, მაგრამ წლების განმავლობაში ვერ იპოვა ადგილი და დროებით დაიწყო კომისარიატში მუშაობა (ისევე, როგორც ლევანმა). ორი წლის შემდეგ გამოჩნდა ადგილიც და გივიმ ითხოვა

კომისარიატიდან გათავისუფლება. რაც, რა თქმა უნდა, დაკმაყოფილებული იქნა.

— ის-ის იყო სამსახური უნდა დამეწყო, რომ რაიკომში დამიბარეს და მეუბნებიან, შეუძლებელია შენი მაგ ადგილზე დანიშვნაო. მე გამიკვირდა და მიზეზი ვიკითხე. აი, როგორ გახასიათებს შენი ყოფილი უფროსიო და მიჩვენეს ისიც.

— მაინც რაო!

— მე თითქოს როგორც ლოთი, ქარაფშუტა, უპასუხისმგებლო და რა ვიცი კიდეც რამდენი რამ...

— მიკვირს, რამ გაფიქრებინა, თუნდაც ერთი წუთით, რომ ამგვარ დახასიათებას მე დავწერდი შენზე.

— ახლა მეც მიკვირს. — მორცხვად თქვა გივიმ და თავი ჩაღუნა.

— ამჟამად რას აკეთებ, მუშაობ?

— არა.

— რატომ!

— წინადადება მომცეს, ჯერ ლევანს უჩივლე და დაუმტკიცე, რომ უმიზეზოდ მოგხსნაო.

— გამოდის, რომ უნდა მიჩვილო, თორემ სამუშაოს ვერ იშოვი! — ღიმილით უთხრა ლევანმა.

— მე ამის გაკეთება რომ მდომოდა, აქამდე გავაკეთებდი კიდეც.

რაც შეეხება სამუშაოს, უკვე არც მინდა. გადავწყვიტე, სულაც წავიდე რაიონიდან.

გივის გასვლის შემდეგ ლევანთან ჯემალი შევიდა.

— ლევან, მე თავიდან მიგრძნობდა გული, რომ უსიამოვნებას მოგიტანდა ჩემი აქ მუშაობა. გითხარი კიდეც ეგ.

— არა უშავს, ჯემალ, ნუ ჯავრობ ამაზე.

— ლევან, მე გთხოვ დღესვე დაწერო ჩემი განთავისუფლების ბრძანება. აი, განცხადებაც, მან წინ დაუდო განცხადება. — ასე სჯობია, სანამ არ არის გვიან.

— უკვე გვიანაა.

— მითუმეტეს.

— მერე შენ?

— მე რა, ბიჭებთან წავალ... მთაში, მურიცხაშიც არ გავჩერდები.

ლევანს გული შეეკუმშა, რადგან გრძნობდა რა ცეცხლში იწვოდა ჭაბუკი. ის დინჯი და წინდახედული რომ არ ყოფილიყო, დაჰკრავდა ფეხს და რომელიმე ქალაქს მიაშურებდა, ვერ მონახავდა საკუთარ ადგილს თუ? მაგრამ ქალაქს ადრე წასული უმცროსი ძმის ტრაგიკული სიკვდილი მშობლების მოურჩენელ სწეულებად და მის ბორკილებად ქცეულიყო. ასე რომ არა, ის იმ დღესვე აიკრეფდა გუდა-ნაბადს, როცა კონდრატე უმიზეზოდ აუხირდა ჩაის ასაწონ პუნქტში, „რატომ დროზე არ გადაგიზიდავთ, გადაგიხურებიათ ჩაიო“.

„ბატონო, მუშები მომატყუებინეთ, შეპირებული თანხა არ მიმაცემინეთ და ასეთი პიკის დროს აბა ვინ სულელი მოიკლავს თავს კაპიკების გულისთვის?“. — კონდრატე გაბრაზდა ამ პასუხზე და სიტყვიერად შეურაცხყო, რამაც გადაღლილი ჯემალი თოფის წამალივით ააფეთქა და საქმეც იქამდე მივიდა, რომ გაშველებაც კი გახდა საჭირო. კონდრატემ იმ დღესვე, ყოველგვარი ფორმალური მხარეების გარეშე, გააფორმა ბრიგადირის განთავისუფლების ბრძანება.

თუმცა ჯემალი იმ დღიდან მაინც არ იყო კანტორაში მიმსვლელი, არც პლანტაციისკენ გაუხედავს მერე, მას ეტყობოდა ყელში ქონდა ამოსული უთავო მეთაურის თავგასული სიბრყვე. ორმოცდახუთმა ქალმა, მთელმა ბრიგადამ, მოაწერა ხელი ჯემალის უკან დაბრუნების განცხადებას, პირადადაც სთხოვეს, მაგრამ უარი თქვა.

— ლევან, მე არაფრის არ მეშინია და რაც გინდ უხეზად მომექცეს ცხოვრება, მაინც ვერ წამომაჩოქებს! — მტკიცედ თქვა ჭაბუკმა.

ჯემალთან საუბრის შემდეგ ლევანი ერთხანს კიდევ იჯდა ჩა ფიქრებული. მერე უეცრად მობრუნდა ტელეფონისკენ და ნერვი ულად აკრიფა ნომერი.



ტელეფონმა რამდენიმეჯერ დარეკა. ქვარაია ერთხანს ყურმილს არ იღებდა, მაგრამ აპარატმა ჯიუტად რომ განაგრძო წკრიალი, შუბლშეკრულმა ბრაზით ჩასძახა:

— ალო!

— თქვენი ნახვა მსურდა! — მან მაშინვე იცნო ლევანის ხმა, უნებურად შეყოვნდა, მერე კი, თითქოს ბურანიდან გამოფხიზლდაო, უეცრად ჩასძახა:

— მობრძანდი

ყურმილი დადო.

„ეგებ სჯობდა, სულაც არ გადამედგა ეს ნაბიჯი... მგონი, დიდი შეცდომა დავუშვი თავიდან თუ არა, ბოლოს მაინც: რაკი ამდენი რამე გავაკეთე, მერე არ უნდა გამეშვა გურგენი თბილისში. შევცდი! — მან ბრაზით გამოსდო შუა თითი ცერს და გაატკაცუნა. შევცდი!

თითქოს განგებ ჩაესმა გურგენის ნათქვამი: გენერალმა იმწამსვე ცენტრალურ კომიტეტში, რა თქმა უნდა, სათანადო განყოფილებაში, დარეკა და მოახსენა... ქვარაია, რომელიც დღემდე საჩივრებით არ ვგაძლევდა მოსვენებას როგორც ჩვენ, ასევე თქვენ, დღეს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მიგზავნის, მკაცრად ნუ დასჯით ხოფერიას, არ იმსახურებსო“.

მალე ლევანმაც შემოაღო კაბინეტის კარი.

— მოგილოცავთ გამარჯვებას, ამხანაგო რაიკომის მდივანო! თქვენ სრულყოფილად მიაღწიეთ იმას, რისთვისაც იღვწოდით!

— ქვარაიას მდუღარესავით ჩაეღვარა ტვინში ლევანის ნათქვამის დამცინავი კილო და მისი თვალებიდან ნიაღვარივით გადმომდინარი ირონიული ღიმილი.

— ნუ გავიწყდება, ამხანაგო, სად იმყოფებით. თუ საქმე გაქვთ, სერიოზულად ილაპარაკეთ.

— არა მგონია წმინდა ადგილას ვიმყოფებოდე, რომ „სიწმინდისადმი გრძნობა-პატივმა“ თავი მორჩილად დამახრევეინოს, თუმცა უკვე დაიდგი რაიკომის შენობის წინ ძეგლი-სიმბოლო და ამით კიდევ ერთხელ შეურაცხყავი საზოგადოება, რადგან შენ საკუთარ თავს გულისხმობ იმ გამარჯვებულ მზეჭაბუკში, რომელიც დამარცხებული ურჩხულის (იგივე ბოროტების) ზურგზე ამაყად დგას, იქვე რუსთველის აფორიზმიც ამოკვეთე „ბოროტსა სძლია კეთილმა“, ასეთი ძეგლი თვით ხალხს უნდა დაედგა შენი აქედან სამართლიანი გაძევების შემდეგ!

— ამხანაგო, დაუკრეფავში ნუ გადახვედი და საერთოდ, სხვის საქმეში,

ცხვირის ჩაყოფა ნუ გიყვარს. სხვას ნუ აბრალებ იმას, რაც შენმა უთავობამ მოგიტანა. ხომ იცი, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“ — აქ ქვარაიამ მრავლისმეტყველად მოწკურა თვალები და ირონიულად გამოხედა ლევანს.

— რაო! — ლევანმა ანგარიშმიუცემლად წამოიძახა ეს სიტყვა და სანამ სხვა რამეს მოიმოქმედებდა, კაბინეტში დაბარებულებივით შემოვიდნენ რაიკომის ერთ-ერთი განყოფილების გამგე და ინსტრუქტორი.

— გაიძვერა! — კბილებში გამოსცრა ლევანმა.

— ამხანაგო ლევან, დაბრძანდით, დამშვიდდით, ვილაპარაკოთ საქმეზე;

— ქვარაია ისე ლაპარაკობდა, თითქოს არ ლელავდა.

— მშიშარა, ძაღლები კარგად დაგიგეშია, მაგრამ მაინც რომ ვერ ინარჩუნებ შინაგან სიმშვიდეს?

— ამხანაგო, ილაპარაკე წესიერად, თორემ...

— თორემ რა! გეტყობა, კარგად ვერ გიცვნივარ, თუ გგონია, შემაშინებ. შენ ჯერჯერობით რატომღაც გაგიდის ასეთი ტონი და მუშტი, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერცერთს ვერ გამოიყენებ, უფრო სწორედ არ გამოიყენებ! არ გამოიყენებ იმიტომ, რომ გეშინია. იმიტომ, რომ იცი მყარ ნიადაგზე არ დგახარ! იმიტომ, რომ შენს პიროვნებაში კაცი კი არა, კაცუნაა ჩაბუდებული, რომელიც სავაჟაკო სავარძელში შემთხვევით მოკალათებულა. მე შემიძლია შენ გაგანადგურო, თვალის დახამხამებაში ნაცარტუტად გიქციო დიდების უშარავანდელო კოშკი, რომელიც ძალმომრეობით, მუშტის ძალით გიშენებია და რომლის ირგვლივაც დაგეშილი ძაღლები დაგიბამს. მაგრამ ამას არ ვიზამ, არ ვიზამ იმიტომ, რომ აქამდე უნდა მექნა, ახლა კი ისე გამომივა, თითქოს პირადი მტრობით ვიძიე შური! — ქვარაიას ეტყობოდა, ვეფხვისებური ნახტომისათვის ემზადებოდა, ისე მოქუფრული უსმენდა, ლევანი კი მთელი მგზნებარებით განაგრძობდა ლაპარაკს, — იმის დასტურად, რომ უსაფუძვლო ტრაბახი არა მჩვევია, ეს მიიღე — თითქოს ბრძანების კილოთი უთხრა ლევანმა და პიჯაკის გულის ჯიბიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო.

ქვარაიამ უსიტყვოდ ჩამოართვა და თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა, მერე უნებურად ამოიხვნეშა და თავი ხელებში ჩარგო,

— როგორც ხედავთ, შემძლება, რაც ვთქვი, იმის შესრულება, მაგრამ როგორც უკვე გითხარი, არ გავაკეთებ ამას. ახლა კი ერთს გეტყვი: როცა

განკითხვის დღე დაგიდგება, ცოდვების აღიარება იმით დაიწყე, რომ შენი სულიერი ხრწნა დაიწყო მაშინ, როცა გადაწყვიტე რაიონი გაგეწმინდა ნიჭიერი, საკუთარი აზრის მქონე, შორსმჭვრეტელი ადამიანებისაგან და მათი ადგილი ამათნაირი, — იქვე მდგარ გაცეცხლულ განყოფილების გამგესა და ინსტრუქტორზე მიუთითა — კაცუნებით დააკომპლექტე, რომ იცოდე ამით ესენიც დალუპე, რადგან მათ შეიძლებოდა თვითონ უფრო მიეგნოთ საკუთარი ადგილისათვის ცხოვრებაში და საზოგადოებისათვისაც მეტი სარგებლობა მოეტანათ. ახლა კი რანი არიან? შენი სათამაშო კაცუნები, მეტი არაფერი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ასე თვითონ როდი ფიქრობენ. თავი რჩეულნი ჰგონიათ და ამასწინათ რესპუბლიკურ გაზეთში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ამგვარებზე თქმულისა არ იყოს ... ,, ისინი მეოცნებე ბავშვებიდან პატარ-პატარა კარიერისტებად ქცეულან, ლოყების ბერვითა და დაბოხებული ხმებით ლაპარაკობენ. თავიანთი გაფუყული კაცუნობით გულს უტეხენ მართლაც რომ უნარიან და ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდებს!“ ასე რომ, ბევრი ცოდვა გაწევს მხრებზე! — დაასრულა ლევანმა და ისე გავიდა კაბინეტიდან, რომ იმ სამთაგანს არც ერთს ხმა არ ამოუღია.

ღია ფანჯრიდან შემოჭრილი ნიავი კი ისე აშრიალებდა ლევანის მიერ დატოვებულ „ბრალდებათა ნუსხას“, თითქოს ურჩევდა მათ, ამაზე იფიქრეთო..



ნათია მატარებლიდან ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე ავტოსადგურისაკენ გასწია, რადგან მურიცხას ავტობუსი უკვე ჩამომდგარი იყო, ამ დროს ვიღაცამ დაუძახა.

ნათიამ მიმოიხედა.

— ნათია, აქეთ! — მისკენ ბეგოს ბიჭი მოდიოდა, ის ახალმა თავმჯდომარემ პირადი მომსახურების მანქანაზე მძღოლად აიყვანა და ძალიან კმაყოფილიც იყო.

— რევაზ, შენ ხარ? გამარჯობა!

— გამარჯობა, გენოს დავხვდი, თბილისიდან ჩამოვიდა. ის-ის იყო უნდა წავსულიყავით, რომ მან დაგინახა.

ამ სიტყვებით მანქანასაც მიუახლოვდნენ.

— ეგებ ავტობუსზე უკეთეს კომფორტად არც ჩვენი „ვილისი“ ჩაითვლებოდეს, მაგრამ მაინც გავკადნიერდი და შემოგთავაზეთ, — ღიმილით შეეგება გენო.

— გმადლობთ ყურადღებისათვის._

ისინი ერთმანეთს მიესალმნენ. მთელი ორმოცდაათი კილომეტრი ისე გაიარეს, რომ არც გაუგიათ, რადგან გენო გატაცებით უყვებოდა ნათიას სოფლის საკეთილდღეო გეგმებზე, რომელნიც ახლო მომავალში უნდა განხორციელებულიყო და ეს გეგმები ისე ემთხვეოდა ნათიას მიერ მრავალგზის ნაოცნებარს, როგორც მორგებული გასაღები საკეტის ჭრილს...

— მოიცათ, ეგ რა ამბავია?! — თქვა უცებ ნათიამ და გაფითრდა.

ტიტიკოს ეზოს კარებთან რამდენიმე კაცი იდგა. ეზოშიც დაღვრემილი ქალ-კაცნი რაღაცის მოლოდინში გაშეშებულიყვნენ.

— ნათია, დამშვიდდი. რა დაგემართა, რაიმე უბედურება რომ იყოს.. — ქალიშვილის დამშვიდება სცადა გენომ.

— ტიტკო ბიძია, რა მოხდა! რა გვიჭირს? — ფერმიხდილი ნათია სულმოუთქმელად შეეკითხა ბიძას.

— დაწყნარდი, შვილო, ბიცოლაშენი.. — ხმა გაუწყდა. — ცოტა უქეიფოდ შეიქნა, ახლა ექიმია მასთან.

ნათიამ კიბე აირბინა.

„საშიშროებამ უკვე გაიარა, აწი არა გიშავს, მაგრამ იცოდე, თავს უნდა გაუფრთხილდე.“ _ მოესმა ოთახის ღია კარიდან ექიმის ხმა. ის შეყოვნდა.

— მობრძანდით, აქეთ მობრძანდით. — ეპატიჟებოდა სტუმარს ტიტკო.

— რა დაემართა? — გენოს ხმა იყო.

— მაღალი წნევის გამო მარცხენა კიდურების დამბლა. — მოთენთილი ხმით უპასუხა ტიტკომ.

ნათია შეკრთა.

— „დამბლა“ — ამ სიტყვამ დენივით დაუარა ტანში და მოეჩვენა, რომ დედამიწა დატრიალდა...

ამ დროს ექიმიც გამოჩნდა.

— აი, ნათიაც მოსულა!_ თქვა ექიმმა, მერე ქალიშვილს მიუბრუნდა: რა იყო, ნათია, როგორ გაფითრებულხარ? მთლად აგრე არაა საქმე.

მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება.

— დამბლა?!

ექიმმა ხელი მოკიდა მაჯაზე და აივნის კუთხისაკენ წაიყვანა.

— შენ არც ბავშვი ხარ და არც საქმის უმეცარი, ამიტომ რა მნიშვნელობა აქვს მდგომარეობის შელამაზებას. მდგომარეობა მძიმეა. მაგრამ, როგორც გითხარი, გამოსვლა შეიძლება, ოღონდ...

— ოღონდ არ უნდა განმეორდეს! — დაასრულა ნათიამ. — მისი არც წაყვანა შეიძლება საავადმყოფოში ხომ?!

— არა, ავადმყოფი აბსოლუტურად მშვიდ მდგომარეობაში უნდა იყოს, მაგას ყველაფერი ადგილზე უკეთდება.

ამ დროს ოთახიდან რძალი გამოვიდა.

— ნათია, დედა გეძახის.

ნათიამ ბოდიში მოუხადა ექიმს და სასწრაფოდ შევიდა ოთახში.

— ბიცოლა, რა იყო? რამ შეგაშინა? ავად აქამდი არ გამხდარხარ? — მან აკოცა ავადმყოფს.

— კი, შვილო, როგორ არა. — ცრემლი მოერია ნუცას.

— ჰოდა, ისევ კარგად იქნები, ოღონდ ექიმმა თქვა, აბსოლუტურ სიმშვიდეში უნდა იყოსო.

— კი, შვილო, ოღონდ თქვენ მეყოლეთ კარგად და მე რა მაქვს სანერვიულო.

„ლაპარაკი გამართული აქვს, მაშ მართლა იმედია, თუმცა ეტყობა ძალიან სუსტადაა!“ — გაიფიქრა ნათიამ.

— თუ მაინც საშველი არ იქნა, თქვენს სანაცვლოდ წავსულიყო, შვილებო, თქვენთან ყოფნა ბედნიერებაა, მაგრამ მე იქაც ხომ შვილი მიცდის, ვაჟკაცი შვილი!

— ბიცოლა, რატომ მაშინებ? — ნათიას ცრემლი მოერია.

— შენი ქმარ-შვილი რომ მენახა, კი მიხდოდა, მაგრამ რას იზამ. სამაგიეროდ, მჯერა, არ შემარცხვენ.

— ბიცოლა!...

— მაცალე, ეგებ მართლა არ ვკვდები ჯერ, მაგრამ მაინც მირჩევნია არ მქონდეს იმის დარდი, რომ უთქმელი დამრჩება....

— ბიცოლა, დაწყნარდი, შენ, გეტყობა, რაღაცაზე ინერვიულე...

— მე მივედი გზის ბოლომდე, შვილო. ძალიან მენანება, მაგრამ არა უშავს, ოღონდ ერთი თხოვნა შემისრულეთ.

ავადმყოფმა შეისვენა, თვალები მილულა და თითქოს შორიდან დაილაპარაკა.

— ჩემს თავს ნუ დაატირებინებთ კიტას და ტასიას.

— ბიცოლა...

— მე გთხოვ, შვილო, უკვე ყველას ვთხოვე და მადლობა ღმერთს, რომ შენც მოხვედი დროზე. ნუ აღუდგები ბიძაშენს, მე მჯერა ის შემისრულებს ამ ერთადერთ და უკანასკნელ თხოვნას. თუნდაც იმის წილ, რომ ცხოვრებაში არა სჩვეოდა ჩემი აზრის გაზიარება. რას იზამ, ასეთი კაცი იყო: ბოროტი კი არა — თავისნათქვამა, მუდამ გებრალეობდეთ ის. მაგას ჩემს მერე ვერავინ გაუგებს და დაიტანჯება, ნეტავ უფრო ახალგაზრდა მაინც იყოს...“ — ლოყაზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— ბიცოლა, მეტი არ შემიძლია... —

— მეც არ შეგაწუხებ, შვილო, ოღონდ ის თხოვნა შემისრულეთ, რადგან მე მკვდარსაც გამაწამებს მათი სიახლოვე. თან გთხოვთ, მერე მტრობაში ნუ გადაზრდით.

ავადმყოფი გაჩუმდა. ერთხანს ხმა არ ამოუღია. მერე ჩაეძინა კიდევ.

— რადგან ზაფხულში მზის ჩასვლა მხოლოდ სამიოდე საათით უსწრებს შუაღამეს, სოფელიც ადრე იძინებს და ციური მნათობებისა და ვერცხლისფერი ბინდის საუფლოდ ქცეული სამყარო საამოდ გაინაბება ხოლმე. ნათიას ბავშვობიდანვე უყვარდა ასეთ დროს ფანჯარასთან ჯდომა და ოცნება ფრთახატულა და ამბორივით მსუბუქი, იავნანასავით საამოდ და შარბათივით მათრობელა. იმ ღამესაც ფანჯარასთან იჯდა და ოცნებობდა. კი არ ოცნებობდა — ფიქრობდა. ეტყობოდა, ფიქრი მწარე და მტანჯველი იყო, გულს უწიწკნიდა, აწამებდა. „ეგებ მე ვარ სულაც ამ ოჯახის უბედურების მიზეზი — ფიქრობდა ქალიშვილი. — ეგებ მე ვარ ასეთი ბედნავსიანი... იმ წლებში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გაბატონებულმა სენმა, რომელიც საკუთარი ნებისამებრ ზომავდა და ჭრიდა სხვის ბედს, ნანო, მიუხედავად იმისა, რომ ის სკოლაში ჭემმარტად ნიჭიერ მოსწავლედ ითვლებოდა, ორი წელი შეაფერხა, სამი წელი ეწამა ნათიაც მისაღებ გამოცდებზე. ყოველივე ამან კი თავისებური გავლენა მოახდინა ბიჭებზე: მათ არ ისურვეს უფროსი

დებივით წლების განმავლობაში ეცადათ, თუ როდის მოისურვებდა ბედი გაღიმებას და სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ისევ რუსეთში გაბრუნება გადაწყვიტეს, ვისწავლით და დავბრუნდებითო. ჯემალი, მისი რბილი ხასიათის გამო, დაიყოლიეს, დარჩენილიყო საქართველოში. უმცროსი კი გაიპარა: „მშობლებო, ვიცი რა დღეში ჩაგაგდეთ, მაგრამ მაპატიეთ. განსაკუთრებით შენ მაპატიე, დედა! გთხოვ, არ იდარდო, მე აქ კარგად ვარ, ვმუშაობ უკვე და აგვისტოს ბოლოს სტუდბილეთით ნახევარ ფასად ჩამოვალ თქვენთან. ერთი სიტყვით ან სტუდენტი დაგიბრუნდებით ან კუბოთი ჩამიტანენ საქართველოში! „საქართველო და დედა, ორნივე ერთია ჩემთვის“, ორნივე ერთნაირად მათბობთ ამ შორეთში და ერთნაირად მინათებთ გზას მიზნისკენ“. — ეს წერილი დაჰქონდა ტიტკოს და უჩვენებდა ყველას, ვინც გაიზიარა მისი მწუხარება და ცხარე ცრემლით დაიტირა ოცდაერთი წლის, ჯან-ღონით სავსე, მითიურ არამხუტუსავით თვალტანადი ჭაბუკი, რომელმაც სამშობლოდან შორს ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე მიზნის მიღწევამდე ერთი თვით ადრე. მექენია (როგორც დედა უწოდებდა) ბიჭმა მოტეხა, დააუძლურა ნუცა, მან ექიმი ახლოს არ გაიკარა. მე სიცოცხლეზე ვიფიქრო და ის მიწამ ჭამოს, ეგ რა კანონიაო და ოთხი წლის თავზე ეტყობა მიაღწია კიდეც საწადელს.

— შემისრულეთ ეს თხოვნა! — ძილში დაილაპარაკა მეორე ოთახში მწოლიარე ავადმყოფმა, ნათია შეკრთა. მან იცოდა, რომ ავადმყოფის დაჟინებული სათხოვარი გზის დასასრულამდე მისული ადამიანის თავისებური პროტესტი იყო ყველა სულმდაბალთა წინააღმდეგ.

ნუცას, ადრე დაობლებულს და ობოლი და-ძმის აღმზრდელს, ცხოვრებისაგან უფრო მეტი წიხლი ახსოვდა, ვიდრე სიამე, მაგრამ გულით არასოდეს არ გაბოროტებულა. თითქოს საკუთარი არ ჰქონოდა სამყოფი, ისე განიცდიდა სხვის უბედურებას. ყველას ტკივილი მას სტკიოდა, არავისი არაფერი შურდა. ავს არავიზე იფიქრებდა. ასე რომ ხასიათების ამ შტრიხით ცოლ-ქმარი ერთმანეთს ჰგავდნენ და შვილებიც ასეთივენი აღზარდეს. ნუცას განსაკუთრებული თვისებაც ჰქონდა: ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, თუ ვინმეს ორგულობას, გაუტანლობას შეამჩნევდა, მერე მისკენ გული არ მოუბრუნდებოდა. პირშიც ეტყოდა სათქმელს. ეტყოდა და სახალხოდაც შეაჩვენებდა, მისი ეს ხასიათი ბევრს არ მოსწონდა და ამიტომ არ უყვარდათ კიდეც.

ერთხელ საკარმიდამო ნაკვეთიდან დაფნის ჩაბარებისათვის დრო

დანიშნეს — შაბათი საღამო, მაგრამ დილის ხუთ საათზე ჩაიბარეს თურმე წინასწარ შეთანხმებული პირებისაგან და საღამოსათვის ვინც მიიტანა დანიშნულ ადგილზე, უთხრეს, რომ ძალზე მცირე იყო მიღების გეგმა და უკვე შეივსო. ამ თვალთმაქცობაზე განაწყენებულმა ნუცამ კიტას შეუძახა: ხალხი ბრმა ხომ არ გგონია, ასე რომ ატყუებო!

გავიდა ხანი.

ამ შემთხვევის გამო ვიღაცამ საჩივარი გააგზავნა რაიკომში. ტასიამ იაზრა, ამას ნუცა იზამდა, რადგან იმ დღეს ისე შემოუტევია კიტასათვისო. კიტა კი თაყვანს სცემდა ცოლის „გამჭირახობას“ და ამჯერადაც ირწმუნა მისი სიბრძნე, ამით კი მეზობლებიდან კიდევ ერთ ოჯახს გადაუსვეს ხაზი.

მალე მთელმა სოფელმა გაიგო, რაშიც იყო საქმე. უფრო სწორედ, ტასიამ მის მიერ შეთხზული ტექსტი საუცხოოდ შეუწყო „ჭორსაკრავს“ და ქუჩა-ქუჩა თავგამოდებით წრიპინებდა ხოლმე. ხოლო როცა ჯუმში ბანდა აღმოაჩინეს და ამ საქმესთან დაკავშირებით ლევანსაც გამოდეს კვანტი, ტასიამ უფრო გაამდიდრა თავისი რეპერტუარი.

მართალია, თითქმის არავის სჯეროდა ტასიას უხვსიტყვაობის სიწმინდისა, მაგრამ თავშეკავებით მაინც უსმენდნენ.

ნუცას უნდოდა სიმართლე სახალხო სასამართლოს წესით გაერკვია, მაგრამ ოჯახში არ დაანებეს: „მაგან ნამუსის ქუდი თუ დაკარგა, ჩვენ გვხურავს და ნუ ავყვებითო, შენ ნუ ჯავრობ, ის თავის ნაფურთხს თვითონვე ალოკავსო“. ნუცა თავს გააქნევდა ამგვარ პასუხზე და ნაღველს გულში ჩაიქცევდა. დღემუდამ მერამდენედ ეკითხებოდა საკუთარ თავს: „რატომ, რისთვის?!“

უბედური ქალისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ლევანის უსამართლო დასჯა. როცა გაუგია, რომ სხვა რაიონში გადაყავდათ და ისიც თანამდებობრივი დაქვეითებით, წნევას აუწევია და გონიც დაუკარგავს. ნათიას თვალწინ დაუდგა რამდენიმე საათის წინ ლევანისთან ნუცას საუბარი. იგი სვენებ-სვენებით საუბრობდა: ეგ არაფერია, შვილო, სკამზე ვინც ზის, მაგას წაექცევა, მაგრამ მთავარია სინდისი გქონდეს სუფთა. ეგ დამარცხება კი არაა, უბრალო შეფერხებაა. რაც ცხოვრებისეული კანონზომიერებაა. მერწმუნე, შენ ამით ჩირქი არ მოგცხებია. პირიქით, ყველას უჩვენე, რომ არა ხარ სულმდაბალი. გულს ნურც გაიტეხ, შვილო, ნურც გააბოროტენ, ნურც ისე გააკეთებ რამეს, რომ შურისძიება გამოგივიდეს, ეგ შენი ხასიათი არაა და გაგაწამებს. ნუ

გეფიქრება, ვინც ამ ამბით ხელის მოთხოვა მოინდომა, დიდხანს ვერ ატარებს კოკას წყალზე, სამართალი იმ მყრალ წყაროსაც დააშრობს და ცოდვებით სავსე კოკებსაც დაამტკრევს. — ეუბნებოდა ამას ლევანის და თან გულში იხუტებდა მის ხელებს. მერე ისე სთხოვა მასაც კიტაზე, როგორც ნათიას.

ნანო და ნათია ბევრს ეხვეწნენ, ასე ნუ ამბობო, ექიმმაც ხომ გაგაფრთხილა, აბსოლუტურ სიმშვიდეში უნდა იყო, მაგრამ მაინც თავისაზე იდგა. მეც ვიცი, კიტას ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერაფერს უზამდა ლევანსო. მაგრამ ისიც ხომ ვიცი, რომ ყველაფერი იკადრა საკუთარ გვამში ჩამძვრალი ბოროტების ჭიის გასახარებლად, და რაკი სიცოცხლეში არ გადავსულვარ თქვენს ნებას, მომეცით უფლება, სიკვდილის შემდეგ მაინც შევაჩვენო იგი, ეგებ ჩაფიქრდეს, ეგებ გაუკეთოს ანალიზი თავის მოქმედებას და გადაურჩეს საბოლოო გადაგვარებას არა მარტო ის, არამედ მისი მაგალითით ბევრი სხვაცო. მე ისიც ვიცი, რომ ყველა ვერ გამიგებს და ამიტომ თქვენც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებთ ამ თხოვნის შესრულება, მაგრამ დაუთმეთ ტიტკოს. ყველას თავისი ანგარიში აქვს ცხოვრებასთან და ყველა თავისებურად ამბობს ბოლო სიტყვასო... — ეს ერთი თხოვნა... ეს უკანასკნელი.... — კვლავ წარმოსთქვა ავადმყოფმა.

ვინ იცის ეგებ საერთო საქმისათვის მართლა სჯობდეს დათმობაზე წასვლა? — გაიფიქრა ნათიამ და იჭვნეულად გაიმეორა, — ვინ იცის!



შუახნის კაცი ტახტზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა. იგივე ასაკის ქალი სახაჭაპურე ცომს აბრტყელებდა.

კარებში ზურაბმა შემოიხედა. —

— წავედი მე! — თქვა მან, ფეხებში გაბლანდული ფინია ხელში აიყვანა, ბავშვივით მიიკრა გულზე, მერე ფაფუკ ბეწვზე რბილად გადაუსვა ხელი და ძირს დასვა. ჩემს მოსვლამდე ჭკვიანად იყავიო, დაუბარა და ჭიშკრისაკენ წავიდა.

ძალი მანამ გაჰყურებდა მიმავალს, სანამ თვალს არ მიეფარა. მერე ნელა, თითქოს სევდიანმა, იბრუნა პირი სახლისაკენ.

— ეს ბიჭი დღითიდღე იცვლება. ხანდისხან რომ ვუყურებ, უცხო მგონია და მერიდება კიდევ. — თქვა კაცმა, რომელმაც გაზეთს თავი მიანება და ნეილონის ფარდიდან გახედა მიმავალ შვილს.

— ნეტავ როდის გამოგებერტყება ეგ ფილოსოფიური აზრები თავიდან? ბავშვი დავაჟკაცდა, დაღვინდა. საკუთარი საზრუნავი აქვს. პატარა საქმე გგონია იმხელა ობიექტის ხელმძღვანელობა? შეიცვალაო! ჰმ! — ქალმა ბრაზით გააქნია თავი.

— თინა, დედა ხარ და მეტი წინდახედულება გმართებს, შენ ჩემზე უკეთ ხედავ სიმართლეს, მაგრამ თავს იტყუებ!

— რატომ, შე კაცო, რა მჭირს ისეთი, რომ თავი მოვიტყუო. ქალიშვილი ხომ არაა, გაბახებისა მეშინოდეს!

— არა, მაგრამ დროა, ოჯახიც შექმნას.

— ენაცვალოს დედა, მაგიც არ გაუჭირდება მაგას. ამას წინათ ფედოსი მეუბნებოდა, მერცხალივით გოგო მყავს ზურაბისთვის თვალდადგმულიო. შენ რომ გინდა, ზუსტად ისეთიაო.

— ეეხ, თინა! — კაცმა ისე ამოიხვნეშა, რომ ქალს გამზადებული სახაჭაპურე ცომი ხელიდან გაუვარდა.

— რა ამბავია, კაცო, შენს თავს. არ იტყვი?

— შენ მებრალები, თინა.

— მე?

— ჰო, შენ!

— რათა, ადამიანო? — ფერი ეცვალა გაოცებულ ქალს.

— რომ წარმოვიდგენ შენი სიბერის ჟამს წინასწარ დაწუნებული რძლის ხელში.

— შენ რაღაცას მიმაღავ, ამირან! — შეცბუნებულ ქალს გადაავიწყდა ცომი და ქმარს გვერდით მიუჯდა. — რაშია საქმე?!

— ზურაბის ძველებურად უყვარს ეთერი, შეიძლება უფრო მეტადაც.

— სიზმარში ნახე?

— სიზმარში კი არა, ცხადში ვნახე. გუშინ მთელი ორი საათი ისხდნენ წყაროსთან და საუბრობდნენ.

— და შენ იმდენი ხანი იდექი და შორიდან უყურებდი?!

— აბა ახლოს ხომ არ მივიდოდი. ისე ჭუკჭუკებდნენ, ვინც ქრისტიანი ჩადგებოდა მათ ცოდვაში. — ამირანს დაავიწყდა ცოლის განწყობილება ქალ-ვაჟის დამოკიდებულებისადმი და უნებურად გასცა საკუთარი გრძნობები.

— როგორ თუ ჭუკჭუკებდნენ! — იწივლა უცებ გაწიწმატებულმა ქალმა და ამირანიც მაშინვე გამოერკვა. მიხვდა, რომ ფონით გატაცებულმა მორევში შეტოპა, მაგრამ უკვე გვიანი იყო და უკან გაბრუნების ცდა წყლის ნაყვა იქნებოდა.

— სხვა ახალი ამბავიც გავიგე.

— ყოჩაღ შენ! მეტი რა არისო?

— ზურაბს მურიცხელას პირას მშენებარე საერთო საცხოვრებელში უკვე უთხოვია ოთახები.

— რას ამბობ, კაცო, ხომ არ აურიე! ჩემს შვილს ობშიჟიტიაში საცხოვრებელი რა ჭირს? ეპატარავება ეგ ათთვალისანი სახლი?

— რას იზამ, ჩემო თინიკო, დღევანდელ ახალგაზრდებს იქით უნდა მიყვე...

— ამ დილა უთენია ისეთი რა ჩაგიძვრა გვამში, რომ ყვავივით დამეცი თავზე. ისედაც ხელით დამაქვს გული! — თქვა თინამ და შეწუხებულმა საშინაო აფთიაქში ვალერიანის წვეთებს დაუწყო ძებნა. — ესე იგი, მე ამათს ხუმტურებს უნდა დავემორჩილო, არა?! ქალმა მთელი ჩემი ახალგაზრდობა და ჯანი ოჯახს შევალე. ერთი ვაჟიშვილი მყავს და უზრუნველად უნდა ვაცხოვრო-მეთქი, ჩიტის რძე არ აკლდაო, რომ იტყვიან, ისე გავზარდეთ, ოჯახიც საშვილიშვილოდ მოვუწყეთ და ვითომ რა დაშავდებოდა, მეც ერთი ექიმი რძალი მყოლოდა. — თინას მაზლის ცოლის ჯინაზე უფრო აინტერესებდა ექიმი რძალი. მის ჩიტირეკია შვილზე ნაკლები რითაა ჩემი ბიჭიო! — ფიქრობდა სულ და ამ აზრით ტვინგადადლილს ეთერის რძლობა უბედურებად მიაჩნდა. — ახლა კიდევ მიდი და ფეფოიას გომბიოს უზარდე ლეკვები. ისიც, ალბათ, დედამისივით ნახევარ დუჟინს მაინც დაყრიდეს იქნება. იმდენი აუდგათ მაგათ გვერდები!

თინამ წვეთები მიიღო და სავარძელში ოხვრით ჩაეშვა.

ამირანი მიხვდა ჩარევა აუცილებელი იყო.

— კარგი, თინა, წინასწარ ნუ იხეთქავ გულს.

— კი მაგრამ შენ თვითონ რას ფიქრობ, კაცო?

— რა უნდა ვიფიქრო, ხომ იცი ჩათრევას ჩაყოლა სჯობია და სხვა გზა არა გვაქვს, უნდა დავუთმოთ, მით უმეტეს ტყუილად ვატკენთ გულს და ის მაინც თავისას გააკეთებს. სირცხვილიცაა ერთადერთი ვაჟი სოფლის საერთო საცხოვრებელში დადგეს.

— მაშასადამე, შენ დათმობაზე მიდიხარ, არა?! — შესაბრალისად წარმოსთქვა თინამ, შუბლი თავსაფრით მაგრად წაიკრა და ერთხანს საფეთქელზე თითწაჭერილი იჯდა.

ამირანს შეებრალა ცოლი და კვლავ სცადა დაყვავება.

— ხომ გითხარი, ნუ ნერვიულობ-მეთქი. აბა, დაფიქრდი, შენ. თუ თავი მოიკალი, ამით რა შეიცვლება?

თინა მართლა დაფიქრდა და გააჟრჟოლა....

— კისერიც უტეხიათ. თვითონ ინანებს ბოლოს — თქვა გადაჭრით და მივიწყებულ ცომს მიუბრუნდა. ამირანი ხედავდა, თინას ძალიანაც რომ მოენდომებინა, მაინც ვერ მოახერხებდა ეგრე მალე დამშვიდებას, რადგან სულით ხორცამდე გაჟღენთილი იყო წამხედურობისა და პატივის მანიით. მან მხოლოდ სიმშვიდის უფერული ნიღაბი აიფარა და მის უკან სულშეგუბებული ბორგავდა.

— მე თუ მკითხავ, ქალის ღირსება მარტო დიპლომით როდი განისაზღვრება, მით უმეტეს სოფლის ოჯახისათვის. ვისაც შრომის ყადრი არ ესმის, ის გაგიგებს, შენ რა ჯაფა გაქვს ამ შენს მოწონებულ ეზოსახლში? გარდა ამისა, მრავალშვილიან ოჯახებში აღზრდილები გულდია და კაცთმოყვარენი არიან. ეთერის ესენი არც ერთი არ აკლია, საცაა აგრონომის დიპლომსაც მიიღებს. ან რომ დაგიჩემებია მაზუთიანი კაცი ჭირს ოჯახში, ქალი კი არაო, არ შეგშვენის მაგი შენ! აი, ნახე რა კარგად წერია — მან ისევ გაშალა. გაზეთი — „გედივით ყელმოღერებული ეთერი მწვანე ზღვაში ნარნარით დაასრიალებს თავის კობტა „საქართველოს“ და გაოცდებით კიდევაც, თუ თვალს გადაავლებთ მის შრომით ბიოგრაფიას...“

— გეყოფა, ამირან, ლამის გაიზეპირო ეგ აბდაუბდა. ენაც გაუხმეს და მარჯვენაც ამის დამჯღაბნავს. — კვლავ გადავიდა შეტევაზე თინა. მაგრამ ამ დროს მეორე ოთახში მწოლი მოხუცებული, რომელსაც ღია შუა კარიდან ესმოდა შვილ-რძალის საუბარი, გამოელაპარაკა მათ:

— შვილებო, ერთი მეც გამიგონეთ და თუ გამიგონებთ, იცოდეთ, რომ

ორივე ცდებით. ადამიანი საზამთრო არაა, გვერდი ჩააჭრა და გულში ჩახედო. ვერც მოდგმა-ნასწავლობით განსჯი რანაირი დადგება იგი, რადგან ხშირად ის, ვინც შრომისმოყვარე, უბრალო ოჯახში გაზრდილა, ისეთი თავმოყვარე და ამპარტავანია, რომ შენ ბუმბერაზიც რომ იყო, ბუზადაც არ ჩავთვლის. ზოგი ხელის გულზე ნატარები კი უბრალო და თავმდაბალია. ასე რომ, ყველაფერი გამოდგომაზეა, შვილებო, და თქვენც ფრთხილად იყავით. ბიჭი უკვე ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და თავისი საქმისა თვითონ იცის. ეგებ მეც არ მომწონდა ჩემი შვილების არჩევანი, მაგრამ არც ერთის საქმეში არ ჩავრეულვარ, ვინაიდან ვხედავდი, მათ ესმოდათ ერთმანეთის.

აწი როგორც გასურდეთ ისე ქენით!

— მოხუცებული გაჩუმდა. თინას ესუსხა დედამთილის ნათქვამი, მაგრამ პასუხი არ გაუცია.

ამ დროს ჭიშკრის გაღების ხმაც გაისმა.

— აი მეოცე საუკუნის მაჭანკალიც მოდის! — თქვა ამირანმა, რომელმაც ფანჯრიდან გახედა ჭიშკარს.

ეზოში ფედოსი შემოვიდა.

— ამირან, მაგ ქალს შენი ოჯახისათვის მხოლოდ კეთილი სურს და ეგრე ნუ მასხრობ! —

— აბა თქვენ იცით, როგორ შემოაბრუნებთ საქმეს, — თქვა. ღიმილით ამირანმა და უკანა კარიდან ბაღჩაში გავიდა.

ძილ-ბურანში მყოფ ნათიას ხმამალალი საუბარი მოესმა, ნაცნობი ხმების გაგონებაზე სწრაფად წამოხტა ლოგინიდან, ხალათი გადაიცვა და ფანჯრიდან გაიხედა, მაგრამ მოსაუბრეები სახლის უკან გასულიყვნენ და უკვე ყრუდ ისმოდა მათი ხმები, ნათია ფანჯრის რაფას დაეყრდნო და აღმოსავლეთს გახედა. ამომავალი მზის ათინათს ცისკარისთვის ოქროს ფუნჯი დაესვა და მის ფონზე ისე ჩანდა მთის კორტოხზე წამოდგმული ეკლესიის ნანგრევი, თითქოს თავს ნათელი დასდგომიაო.

ნაადრევი შემოდგომისათვის დამახასიათებელი ნიავი ქროდა.

„გულისა და ნერვული სისტემის სამკურნალო ყოველგვარ ანტიბიოტიკს ათასწილ სჯობია დილის მასქურის!“ — გაახსენდა ნათიას ბიძამისის სიტყვები და ღიმორეულმა ღრმად ჩაისუნთქა უებარი მკურნალი.

გამხნეებულმა სწრაფად მოიყვანა წესრიგში საძინებელი ოთახი და საკუთარი თავი, მერე ავადმყოფის ოთახში შევიდა. ნუცას მშვიდად

ეძინა. ნათია ფეხის წვერებზე გავიდა გარეთ.

— გამარჯობათ, მთის კაცნო! ხომ ხართ მხეცურად? — მიესალმა ის ბიჭებს, რომელთაც ტიტკოს დახმარებით მოტოხერხი „დრუჟბა“ მოჰყავდათ წესრიგში.

ისინიც მიესალმნენ ნათიას.

— ვართ, აბა არა ვართ? ცანგოს შიშით ტყიდან დათვებიც კი გაიხიზნენ.

— უპასუხა ყველას მაგივრად ტკიბამ. _

— რამდენ ხანში წახვალთ? — უცებ შეცვალა საუბრის თემა ნათიამ.

— შუქური გამოგვივლის მანქანით და წავალთ. — უპასუხა კვლავ ტკიბამ.

— მეც მოვდივარ თქვენთან.

— შენც? — იკითხა გუგუტამ და სახე აელეწა, რადგან მეტისმეტად როყო ნათქვამი გამოუვიდა.

— შენ? — გაკვირვებით იკითხა ცანგომაც.

— დიახ, რამდენი ხანია მინდა წამოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ყველანი გაჩუმდნენ.

— შენ გაუჩას ახალგაჭრილი გზა ფოთის ჭადროვანი და ასფალტიანი ტრასა ხომ არ გგონია? — ახლა ტკიბა მიუბრუნდა ქალიშვილს, — ზოგან სანტიმეტრის სიზუსტე სჭირდება მძღოლებს. ჩვენ უკვე მიჩვეულები ვართ. გარდა ამისა...

— გარდა ამისა ვაჟკაცები ხართ ხომ? — ჩამოართვა სიტყვა ნათიამ. მის ხმაში წყენა და ჯიუტობა ერთნაირი დოზით გარეულიყო.

ტკიბა მიხვდა, ქალიშვილს გული ატკინა და რამდენადაც შეეძლო, დაყვავებით უთხრა:

— თუ ასე გადაგიწყვეტია, წამოდი. საცაა მოვა შუქურიც, ჩვენ საღამოს უკან არ ვბრუნდებით, მაგრამ შენ შუქურის წამოყვები.

— მე ვბრუნდები! — თქვა ცანგომ და გაწითლდა.

— ჰო, მართლა, ცანგო უკვე ვერ ათენებს გაუჩაზე, სადაც აქამდე თავს ისე გრძნობდა, როგორც ბედნიერი წყვილი ზაფხულის გრილ საღამოს რუსთველის პროსპექტზე. რას იზამ, ასეთია ახალშერთული ცოლი, მერე კი... — თქვა ტკიბამ და მაზუთიანი ხელი ჩვარზე შეიწმინდა. ცანგოს პასუხი არ გაუცია.

ნათიამ სწრაფად დატოვა ისინი და ათიოდე წუთის შემდეგ, როცა შუქური ეზოს კარებს მოადგა „ბელაზით, ის სამგზავრო ტანსაცმელში ბიჭურად გამოწყობილი ჩამორბოდა კიბეებზე. .

გუგუტამ ამოიოხრა და უკანმოუხედავად, არეული ნაბიჯით წავიდა ჭიშკრისაკენ.

ნათიამ ბიძას გასძახა, წავედიო. ეტყობოდა, შინაურობაში ადრე იყო შეთანხმებული.

— დაიცა, ბაბაგე, აგრე ხელცარიელი როგორ ახვალ ბიჭებთან? — დაუძახა მარნიდან გამოსულმა ტიტკომ. — მას სავსე აბგა ეჭირა ხელში.

— ღმერთმა ას წელს გვიცოცხლოს შენი თავი, ტიტკო, თორემ ნათიას აზრადაც არ მოსვლია, რომ მთაში ჩვენთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს „პილატეს ცრემლს“, ვიდრე საგაზეთო ინტერვიუს. — მხიარულად უთხრა ცანგომ ტიტკოს და აბგა ჩამოართვა. თან ისე შეხედა, რომ ტიტკოს გაეცინა.

— არის, ბიჭო, არის. სამლიტრიანშია და ერთბაშად ზომაზე მეტი არ მოგივიდეთ. თავს გაუფრთხილდით. მურიცხაში ნუ გგონიათ თქვენი თავი.

— შენ, ტიტკო ბიძია, ტკიბას ნუ უსმენ, ის შურბუმუში რომ დახუჭავს თვალებს, გაუჩაზე ახელს ხოლმე და მერეც ერთი საათი ვანიავებთ, ისე ყარს მისი შარვალი.

— უი, შენ არ გაგიხმეს ეგ ენა, არ გაგიგოს მაინც, თორემ მოგკლავს! — უპასუხა ტიტკომ და გახედა ტკიბას, რომელიც ხერხს სურგზე იკიდებდა და ეტყობოდა, არაფერი გაუგია ცანგოს ნათქვამისა.

— მოდიხართ თუ არა! — უსაყვედურა მათ შუქურამ და თან ვეფხვის ღრიალივით სიგნალიც ზედ მიაყოლა. — თქვენი ბედოვლათობის გამო მერე ღამე უნდა ვიარო იმ ქარაფებში.

— ნუ გეშინია, შუქური, ამაღამ თანამგზავრები გყავს და ბუ ვერ შეგაშინებს! — გასძახა მას ტკიბამ.

შუქურის სახე აელეწა, მაგრამ პასუხი არ გაუცია, რადგან იცოდა პასუხს პასუხი მოყვებოდა და თავბედს აწყევლინებდნენ.

— გამარჯობა, მეზობელო! — მხიარულად მიესალმა ნათია, რომელმაც კაბინაში ჯერ ზურგჩანთა შეაგდო, მერე თვითონაც მარდად მიჰყვა.

ბიჭები, მიუხედავად იმისა, რომ მარა მთლიანად ღია იყო_ როგორც

დიდი მორების გადასაზიდ მანქანებს აქვთ საერთოდ_ მაინც ყოჩაღად იდგნენ კაბინასა და ძარას შორის ტიხარს ჩაჭიდებულნი.

— კი მაგრამ შენ საით გაგიწევია, კალმის ოსტატო? — გაკვირვებით ჰკითხა შუქურიმ.

— გადავწყვიტე თქვენი საგმირო საქმენი ქვეყანას ვაუწყო და ხომ იცი, ამგვარ საქმეში გაგონილს ნანახი სჯობია ყოველთვის. ისე გზა ძალიან სახიფათო უნდა იყოს... განსაკუთრებით ღამით. — თქვა ნათიამ.

შუქურიმ მალულად გამოხედა ნათიას, თან მანქანა აამუშავა, მაგრამ ნათიას მშვიდმა თვალებმა დაამშვიდა: „ეტყობა, თვითონ. ეშინია და ჩემთვის არ გადმოუკრავს“. — გაიფიქრა მძღოლმა.

— არა, არც ისე საშიშია. მითუმეტეს ღამით, რადგან შემხვედრი მანქანები არ გხვდება და მოდიხარ შენთვის.

— ნათიამ იცოდა, შუქური როგორ განიცდიდა, ბიჭებს სამასროდ რომ მისცა თავი და ახლა ნათიასაც ეცინებოდა გულში, რადგან გრძნობდა, რა გამომცდელად გადმოხედავდა ხანდახან. — ნათიამ თუ იცის ის ამბავიო, ნათიამ კი იმ დღესვე იცოდა: ერთხელ გზაში შეღამებია შუქურის, ნაწვიმარი ყოფილა და გზის გაგრძელების შეშინებია, ვაი თუ გადავიჩეხო, მაგრამ სიცივისაგან ვერც კაბინაში გაჩერებულა, ერთხანს სათბურას ჩართვა უფიქრია, ჩაურთავს კიდეც, მაგრამ თავბრუ დახვევია და ისევ გამოურთავს. სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა ჩამოსულიყო და ცეცხლი დაენთო... ასეც მოუხერხებია და მალე კარგადაც გამთბარა. აგიზგიზებული ცეცხლის პირას ზის თურმე შუქური მარტოდმარტო უღრან ტყეში და გულის სიღრმეში მოფართხალე შიშს ბოლო რომ მოუღოს, ვინ იცის, რაზე არ ფიქრობს, სად არ ეხეტება ფიქრით,

უცებ ცეცხლს შავი, უზარმაზარი, ბანჯგვლიანი რაღაცა გადაეფარა თურმე და თან უცნაურ ხმაზე აყვირდა... თავზარდაცემული შუქური ელვის სიწრაფით ამხტარა მანქანაზე და 15 წუთში დაუფარავს ის გზა, რომელსაც დღისით-მზისით 3-4 საათს ანდომებდა, როგორც ფრთხილი მძღოლი. მეორე დღეს გაოგნებული იყო, მხოლოდ მესამე დღეს ამოიდგა ენა და როცა გაიგეს, რაშიც იყო საქმე, მაშინვე მიხვდნენ, რა იყო ის „ურჩხული“.

— ის ხომ ბუ არის, ბიჭო. — უთხრა ტიტკომ — ალბათ იმ ხის ტოტზე იჯდა, რომლის ძირასაც შენ ცეცხლი დაანთე. მას შენი კოცონი უბრალო სინათლე ეგონა და „ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად“

ჩაფრინდა, მერე საკუთარ უბედურებაზე ყვიროდა და ფართხალებდა.

შუქურის ერთხანს ვერ შეაცვლევინეს იმის რწმენა, რომ იმ ღამეს „ტყაშიმაფა“ ან „ოჩოკოჩი (იგივე ალი, ოღონდ პირველი ქალის სახით, მეორე კაცისა) გამოეცხადა და მან რაღაც სასწაულით შეძლო თავის გადარჩენა. მერე კი თანდათან ირწმუნა სიმართლე და ახლა საკუთარ თავზე ძალიან ბრაზობდა.

ამასობაში მანქანაც მურიცხელას ხეობაში შევიდა. ნათია აღტაცებული შეჰყურებდა ბუნების მშვენიერებას. ის ბავშვობაში რამდენჯერმე ყოფილა ამ ხეობაში. წაბლზე მოდიოდნენ აქ გოგო-ბიჭები და ნათია ყოველთვის ერთნაირად აღფრთოვანებული და მშვენიერების ნექტარით გაბრუებული ბრუნდებოდა შინ. მან ზეპირად იცოდა აქაური ადგილები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი.

— შუქური, გააჩერე რა! — უთხრა მან უცებ მძღოლს. შუქურიმ დაამუხრუჭა და გაოცებით შეხედა ქალიშვილს:

— რა იყო?

— შურბუმუსთან ვართ!

— მერე?

— ჩვეულებად მაქვს ყური დავუგდო მის სიჩუმეს, რომელიც დაუწერელი პოემაა!

— შენი ნებაა! — თქვა შუქურიმ და უხერხულად მოიფხანა კეფა, როცა ნათია ჩავიდა ჩუმად ჩაილაპარაკა: — ეჰ! ეს პოეტები!..

ნათიამ ტუჩებზე თითი მიიღო და ძარაზე მდგარ ბიჭებს ანიშნა ჩუმად იყავითო. ბიჭებმა იცოდნენ ნათიას ჩვეულება, წაბლზე წამოსულებს აქ გააჩერებდა და მათთან ერთად ყურს უგდებდა ამ საოცრებას.

„შურბუმუს“ მეგრულად ხმაგაკმენდილს, გაჩუმებულს ნიშნავს და მართლაც სათავიდან გავაკვებამდე ხმაურითა და ზათქით მიმავალი მდინარე იქ ისე ნელა, ისე ჩუმად მიედინება, თვით ხეობაც ისე გარინდებულია თითქოს (ზღაპარში რომ ხდება ისე) რაღაც გრძნეულ ძალას გაუშეშებიაო გარემო. ამ ადგილთან დაკავშირებული თქმულება არ შეიცავს ისტორიულ სიზუსტეს, მაგრამ მაინც დარწმუნებით ამბობს, რომ თურქი გამოკიდებია ღამაზ ქალს, რომელსაც ბავშვი ყოლია გულში ჩახუტებული, ქალი თავგანწირვით გარბოდა თურმე ტყის ვიწრო ბილიკზე. თურქიც არ ეშვებოდა უბედურ დედას, რომელიც სულს უკვე ძლივს ითქვამდა. ესმოდა მოახლოებული მტრის ცხოველური ქმენა და

საცა იყო გულშეღონებული დაეცემოდა, დაიღუპებოდა, მაგრამ... უცებ კლდემ მკერდი გაიხსნა და დედა-შვილი შეიფარა. შეიფარა თუ არა, კვლავ უჩინარი გახდა გამოქვაბულის კარები. ამის შემყურე ბუნებამ ხმა გაკმიდა. მდინარე, რომელიც წუთის წინ არემარეს აყრუებდა ხმაურით, ისე მისრიალებდა ღორღიან კალაპოტში, თითქოს ვერცხლის წყალიაო. ქალის მდევარი გაოცებული შედგა, მან ვერ მოასწრო ენახა, როგორ და სად შეაფარა ქალმა თავი. დაბნეულს თავზარი დასცა ხეობაში გამეფებულმა სიჩუმემაც და უკან გაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ სადღა იყო ის ბილიკი, რომლითაც აქამდე მოვიდა. ირგვლივ გაუვალი, ხშირი ტყე ერტყა. თურქს, რომელსაც ალბად ხელი არ აუკანკალდებოდა თოთო ბავშვის კოცონში ჩაგდებისას, რომელიც ქალს თავგანწირული მისდევდა საკუთარი პირუტყვეული ჟინის დასაკმაყოფილებლად და მზად იყო იმ ჟინისათვის დედა-შვილიც შეეწირა, უცებ შიში მოერია, მუხლი მოეკვეთა და მუხლმოყრილმა ზეცას აჰხედა ზეაწვდილი ხელებით, მაგრამ ქართულ ცაზე ალაჰს ამაოდ ეძებდა და ისე მუხლმოყრილს სულიც ამოსძვრა. ის ვიწრო კალაპოტი, სადაც წინათ კისრისტეხით მონავარდობდა მთის წყალმარჩხი მდინარე, დამდოვრებულს არ ეყო და წყლის დონემ აიწია. აიწია იმ სიმაღლემდე, რომ თურქის გვამით წაბილწვისაგან ეხსნა ეს წმინდა ალაგი. ამბობენ, მურიცხელამ შავ ზღვამდე თავდაღმა ატარა თურქი, რომ მკვდარსაც არ შეეხედა საქართველოს ზეცისთვისო.

ნათიას ბავშვობიდანვე ჩარჩა გულში ეს თქმულება და სწამდა, რომ დედა-შვილობას, ქვეყნად ყველაზე წმინდა და ძლიერ გრძნობას, რომელსაც ვერავითარი ხელოვნება ვერ ასახავს სრულყოფილად, თვით ბუნებამ დაუდგა ხელთუქმნელი ძეგლი და რამდენჯერაც გაივლიდა აქ, ყოველთვის თავს ხრიდა მის წინაშე. უსმენდა სიჩუმეს, რომელსაც თავის მხრივ ყველაზე სიტყვამრავალ და ხმაგუგუნა სიმღერად თვლიდა დედამიწის ზურგზე.

ნათიამ იცოდა, შუქურის ეჩქარებოდა და დიდხანს არ შეყოვნებულა. ზემოდან გადმოხედა კლდის ქიმს, რომელმაც მაშინ დედაშვილი იხსნა და რომელსაც ახლა უხმო ჩურჩულით დარაჯობდა მურიცხელა და თვით გარინდებული გარემო.

— საოცრებაა, თითქოს ფოთოლიც. არ ინძრევა, — თქვა კაბინაში დაბრუნებულმა ნათიამ.

— გჯერა ყოველივე ის, რასაც შურბუმუზე ამბობენ?

— ეს მხოლოდ თქმულებაა და არა ისტორიული სინამდვილე, მაგრამ მაინც ქედს ვიხრი მის წინაშე, როგორც ობელისკების და მარადიული ცეცხლის წინაშე, რადგან იგიც თავისებური ობელისკია, მარადიული ცეცხლია.

შუქურიმ პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. „ბელაზი“ მალლა მიიწევდა. მოტორი ხმაშეცვლილად თუხთუხებდა. „ტატაბიამ ალბათ უკვე დახუჭა თვალები“, — ღიმილით გაიფიქრა ნათიამ და ქვევით ხევისკენ ჩაიხედა. იქ რძისფერი ნისლი ჩაწოლილიყო, არცკი ჩანდა მურიცხელა, რომელიც მუქმწვანე ქურქიან მთებს შორის კალმახებთან თამაშ-თამაშით მიაგორებდა აქოჩრილ ტალღებს.

ხეობას გვერდებდაწეწილი ლურჯი საბანივით ეხურა ცა, რომელსაც ისეთი ნათელი აკვროდა, როგორსაც კმაყოფილების ღიმილი იწვევს ხოლმე ადამიანის სახეზე და ვინ იცის, ეგებ ის ნათელიც ცისეული ღიმილი იყო, მისი დიდებული ხვედრით გამოწვეული: დღემუდამ უყუროს ისეთ მშვენიერ სანახაობას, როგორიც მურიცხელას ხეობაა თავისი ბუნებრივი სილამაზით.

— ყოჩაღ თქვენ! უთხრა ნათიამ გუგუტას, როცა მთელი უბანი შემოიარეს და დაღლილები დაბრუნდნენ შინ — როგორც ბიჭები ეძახდნენ პატარა ტაფობს, სადაც კარვები გაემართათ და სადაც მუდამ ღიმილით ხვდებოდათ მზარეული გაბო. — ახლა ვხვდები, რად მიატოვე მშენებლობა, სადაც უფრო ადვილად შეგეძლო გამოგეჩინა თავი.

— არასოდეს მიფიქრია თავის გამოჩენაზე, მე მოვედი იქ, სადაც აუცილებლად ვიყავი საჭირო. მშენებლობაზე სოფელში ძალიან ბევრს შეუძლია მუშაობა. აქ კი... — ჭაბუკმა ეს სიტყვები ისე თქვა, თითქოს ვიღაცას ხევსგაღმა ეჩურჩულებო.

ხმაც მთრთოლვარე, დამტვრეული ჰქონდა.

ნათია შეკრთა.

— გუგუტა....

ვაჟმა მოხედა. წამით ჩახედა თვალებში, მხოლოდ წამით... მერე იქვე ბილიკზე მომავალი გაბოსკენ გაიქცა, ნათიასთვის არაფერი უთქვამს.

— ძია გაბო, მომეცი კოკა, მე ამოვიტან სასმელ წყალს! — მიმართა გუგუტამ და კოკა თითქმის ააგლიჯა ხელიდან. სანამ გაბო გონს მოვიდოდა, გუგუტა უკვე ბილიკზე გარბოდა.

გაბომ მხრები აიჩეჩა და ნათიას გახედა. ქალიშვილი თავის მხრივ გახევებული იდგა უზარმაზარი წაბლის ძირას.

— წამო, შვილო, კარავში დაისვენე, — უთხრა გაბომ.

ნათია გაჰყვა. ის მიხვდა გუგუტამ წყლის მოტანა განმარტოებისათვის მოიმიზეზა და არა გაბოს პატივსაცემად.

ნათიას სოფელში ცხოვრების ერთი წლის განმავლობაში ხშირად უხდებოდა შეხვედრა გუგუტასთან, ხან მშენებლობაზე, სადაც ხშირად დადიოდა ნათია, ხან ბიჭებთან ერთად ტიტკოსას მოდიოდა იგი, მსგავსი რამ კი არასოდეს შეუნიშნავს მისთვის და თვითონაც მეგობრულად, გულლიად იყო ვაჟთან, რადგან ბოლო დროს ისე გარდაიქმნა გუგუტა, რომ სულ არ ჰგავდა საკუთარ პირველ სახეს, სოფელში უკვე აფასებდნენ როგორც მუყაითს, დინჯს, წესიერ ჭაბუკს, თავისუფალ დროს წიგნებსაც კითხულობდა, ნათიას სიამოვნებდა კიდევ მისი თავდაჯერებული მსჯელობა, რაც ყველას უკვირდა, ნათიას კი არასოდეს. „გაუარა თავქარიანობის პერიოდმა და ბოლოსდ ბოლოს მის შეგნებამდე დავიდა, რომ საკუთარი ენერგია და უნარი უმიზნოდ კი არ ეფლანგა, არამედ ხელი მოეკიდა რაიმე საქმისათვის, საზოგადოებაში საკუთარი ადგილი მოენახა“. — ფიქრობდა ნათია და თავის მხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო. მოჰქონდა მისთვის გემოვნებით შერჩეული წიგნები.

— ამ შემოდგომაზე კი მოსამზადებელ განყოფილებაზე შესასვლელად ლიმიტსაც აძლევენ, როგორც მოწინავე კომკავშირელს.

ნათიამ ბევრი იფიქრა და მიუხედავად იმისა, რომ გუგუტასთან დამოკიდებულებაში ვერაფერი ნახა საჩოთირო, მაინც დაასკვნა, რომ თვითონ იყო დამნაშავე. „ეტყობა, არ ველოდი მისგან და იმიტომ არ შევამჩნიე მასში ის ცეცხლი, მაგრამ რატომ არ მოველოდი?“ — მერამდენედ ეკითხებოდა საკუთარ თავს და გამამართლებელ პასუხს მაინც ვერ პოულობდა.

ამ დროს კარვების უკანა მხრიდან ხმამაღალი საუბარი მოისმა.

— აი, ხომ ვთქვი, ესენიც მოვიდნენ. მართლა სად არის ამდენი ხანი? — თქვა გაოცებულმა გაბომ და ერთგვარი შიშით გახედა ხრამში ჩამავალ საცალფეხო ბილიკს.

— აგერ მოდის, ეტყობა, იბანავა კიდევ! — მოჩვენებითი სიმშვიდით უპასუხა ნათიამ და ხრამიდან ამომავალ გუგუტაზე მიუთითა. მას

მხარზე სველი კოკა ედგა.

— ესეც შეიძლება, ცივი წყალი გულის ცეცხლსაც ანელებს ხოლმე, თუმცა ვერ აქრობს. — ვითომ სხვათაშორის თქვა გაბომ და ვაგონ-სამზარეულოს მიაშურა.

ნათიას გული ატკინა ამ სიტყვებმა.

„ნუთუ გაბომაც იცის? მაშინ ყველას სცოდნია!“ — გაიფიქრა და აქამდე თუ ერთგვარად თანაუგრძნობდა ბიჭს, ახლა ბრაზი მოერია.

— ნათია, აქვე თხზავ ჩვენზე ლექსებს? — მიმართა ჩაფიქრებულ ქალიშვილს ტკიბამ.

— გესმით, ბიჭებო, ტკიბას ლექსის გმირობაც მონდომებია! ნათია, დაეკითხე, ეგებ ჩონგურის სიმებისთვის შეწყობაც უნდა, — ჩაუნისკარტა ტკიბას უჩამ.

ბიჭები ისეთი ალალი ღიმილით შეყურებდნენ ნათიას, რომ მას მაშინვე გადაავიწყდა წყენა და ჩვეულებრივი მხიარულებით უპასუხა:

— დავწერ, რატომაც არ დავწერ! _

— არა, მართლა ლექსს დაწერ თუ უბრალო წერილს. აი, რომ იცით ხოლმე, ეს გახლავთ მოწინავე ბრიგადა. ამდენი გეგმა ჰქონდათ, ამდენი ვალდებულება აიღეს და უკვე შეასრულეს კიდეც. — აქ ჩაფიქრდა. _ ჰო, მომდევნო წლის ანგარიშში შრომობენ უკვეო და ა. შ. — ამჯერად სერიოზულად იკითხა ტკიბამ.

— ამასაც დავწერ. ეგ ხომ სიმართლეა.

— მას ლექსი ურჩევნია. მერე რამდენიმე ეგზემპლარად გადაბჭ დავს და სამახსოვროდ ჩამოურიგებს ცოლებს, — კვლავ ჩაერია საუბარში უჩა.

ისეთმა ძარღვიანმა სიცილმა იფეთქა, როგორც მხოლოდ ამ დევგმირებს შეეძლოთ.

ნათია ღიმილით შეჰყურებდა მათ.

— გაცოცხლებულან ზღაპრების

რკინის მკვნეტელი დევები, მათ საქმეს მე რას ავუვალ ნეტამცა რაღად შევები! — თქვა ნათიამ და თვალი ჩაუკრა უჩას, რომელსაც მეღექსეობა შთამომავლობით მოსდგამდა, უჩამაც არ დააყოვნა:

— რაკი შეები კიდევაც ქმენ საქმე გასახარები აქეთ მოუხმე ასულებს, თორემ დაბერდნენ ვაჟები!

ამაზე ნათიამ კოპები შეიკრა და ვითომ წყენით უთხრა უჩას:

— ეს რაღა გვითხარ, უჩაო, არ მოგიწონებ მე მასა, თვით როდის ეძებს ქათამი სოროს დამალულ მელასა?!

კვლავ იფეთქა სიცილმა და სახელეწილმა უჩამაც უსიტყვოდ დაყარა ფარხმალი.

— ბიჭებო, აქ ისადილებთ თუ მდელიოზე გავშალოთ! — გამოსძახა სამზარეულოდან ბიჭებს გაბომ.

— მდელიოზე, გაბო ბიძია! — უპასუხეს ბიჭებმა და თვითონ გაიქცნენ მისაშველებლად. გაბომ საგანგებოდ შენახული თეთრი გადასაფარებელი გამოიტანა ნათიას პატივსაცემად და რამდენიმე წუთში საუცხოო სუფრაც გაიშალა.

მადის მომგვრელი სურნელი დააფრქვია ღრმა თეფშებით ჩამორიგებულმა წვნიანმა. ეტყობოდათ, მოშიებოდათ ბიჭებს, ისე მადიანად ჭამდნენ და არც ჩვეული ქილიკობის თავი ჰქონდათ.

ნათიასაც, მიუხედავად მორეული წიწაკისა, ძალიან მოეწონა კერძი.

— ყოჩად, გაბო ბიძია, თუ ყოველდღე ასეთი კერძებით უმასპინძლები ამ ბიჭებს. — გადაულაპარაკა გვერდით მჯდარ გაბოს ნათიამ.

— თუ არ გჯერა, დააკვირდი უჩას, როცა სოფელში ძმარზე დაყოლებული პრასის მწნილით გადადიოდა, ბეჭედში გაძვრებოდა. ახლა რუსულ კარებში ისე ვერ გავა, ღიპი არ გაჰკრას სადმე. — ჯავრი იყარა ტკიბამ.

— ეჰ, ჩემო ძმაო, ქოსას ღინღლი მღვდლის წვერი ეგონაო. — უპასუნა უჩამ და ტკიბასთვის არც შეუხედავს, ისე შეავსო ჭიქები.

კვლავ ჩაიშრიალა სიცილმა.

— ამ ჭიქით კი ამის გამომგზავნს გაუმარჯოს! შეაბერდეს მარჯვენა ტიტკოს! — თქვა გაბომ და ალავერდს გუგუტასთან გადავიდა.

ნათიას კვლავ არ ეამა გაბოს ქცევა: „რატომ მაინცდამაინც გუგუტას გადაულოცა“, — გაიფიქრა მან, მაგრამ გარეგნულად არაფერი შეიმჩნია, თითქოს ჭამით იყო გართული და ცივი წყლით მალიმალ იგრილებდა დაფუფქულ პირს.

ნათია გრძნობდა მასა და გუგუტას შორის ისეთი ღრმა უფსკრული გაჩნდა, რომ ერთმანეთის შეხედვასაც ვერ ახერხებდნენ. უფრო სწორად, ორივე ცდილობდა ერთმანეთისკენ არ გაეხედათ.

— ამით კი გაგვიმარჯოს ჩვენ! — თქვა გაბომ.

— ამინ, გაგვიმარჯოს! გაუმარჯოს ჩვენს საქმეს და თვითეულის გულისთქმას, ხოლო რომელიმე თუ ვცდებით, ღმერთმა შეგვინდოს. — თქვა ტკიბამ.

— ეგ რა ქარაგმები დაგვიწყე, ბიჭო! — გაეპასუხა მას უჩა და თვალებში შეაჩერდა.

— შენ რა გიჭირს, ძმაო, სახლი გაწუხებს თუ კარი. მტერი თუ მოყვარე... ამდენად არც ფიქრობ, რამდენსაც გაძლევენ, იმაზე მეტის წაღება თუ შეიძლება შინ. არც ის გადარდებს, რომ ორი თვეა, ჯამაგირი არ აგიღია, როცა იქნება ერთად მომცემენო! — ნაღვლიანად უპასუხა მას ტკიბამ.

ნათიამ გოცებით გადაავლო თვალი ყველას, ისინი უკვე დანაყრებულიყვნენ და ახლა ტკიბას შეჰყურებდნენ. მხოლოდ გუგუტა არ იღებდა მონაწილეობას კამათში. მას თვალი გაემტერებინა ტყის სიღრმისათვის და გაუნძრევლად იჯდა.

— რაც გეკუთვნის, იმაზე მეტი ან რაზე უნდა წაიღო. ეს ტყე სახელმწიფო კუთვნილებაა და არა გეურქიას დუქანი — უპასუხა ტკიბას ისევ უჩამ.

— გეთანხმები, ჯიმა, მაგრამ მე ხომ არ ვამბობ კაი ბიჭობისათვის დამითმონ-მეთქი თუნდაც ერთი მანქანა მორი. მე ვთხოვე საბუთით, სატყეო მეურნეობაში დაკანონებული წესების მიხედვით მოეცათ ჩემთვის ამის უფლება და ბოლოს და ბოლოს ჩემს შვილებსაც ღირსებოდათ მამაპაპური ჯარგვლიდან ახალ სახლში გადასვლა.

— ეგებ ამ მორებზე აკრძალულია კერძო გამოყენების ქვითრის გამოწერა? — თქვა ნათიამ.

— ვთქვათ აკრძალულია. მაშინ სად მიდის ყოველი დღე თითო რეისი, რომელიც ყოველგვარი საბუთის გარეშე იტვირთება და იგზავნება? — იკითხა ტკიბამ.

— შენი აზრით სად მიდის? !

— საკუთარი აზრი არ უნდა ამას. აგერ მძღოლებს ჰკითხე. მათ ზუსტად იციან რაიონის ხელმძღვანელობიდან რომელს მოუნდა სახლი — სასახლეების რესტავრაცია. რატომ, რისთვის? ეგებ იმისათვის, რომ მათ ხელებს თითს თუ მიაკარებ, დაემჩნევა, ჩემსაზე კი ჯოგმაც რომ გადაქელოს, მაინც ვერ დატოვებს კვალს? — მან დაკოჟრილი ხელისგულები უჩვენა თანამეინახეებს და ნათიას ჰკითხა:

— მე მთელი დღე გაკვირდებოდი შენ და ერთხელაც არ შემიმჩნევია იმგვარი აღფრთოვანება, როგორც ამ დილით შურობუმუსთან განიცადე. მე დარწმუნებული ვარ, გული გატკინეთ ამ უმოწყალოდ გაჩეხილ-გაჩანაგებული ტყის ხილვით, რადგან ვიცი, გეგონა, მართლაც სანიტარულ ჭრას ვაწარმოებდით და აქა-იქ ფრთხილ გამოხშირვას ჰქონდა ადგილი. დიახ, გეწყინა და რატომ არ იმჩნევ?

ნათია შეკრთა. ტკიბასგან არ მოელოდა ამგვარ შეკითხვას. სხვებიც დანაშაულში წასწრებული ბავშვივით თავჩაქინდრულნი ისხდნენ.

— მე რატომღაც მეგონა, რომ ჩემი ტკივილის გამჟღავნებას თქვენ ამჯერად ვერ გამიგებდით, რადგან ხე-ტყის დამუშავებით თქვენთვის გამოინახა სამუშაო. ერთი სიტყვით, დასაქმდით. ხოლო იმ გადაწყვეტილებით, რაც აქ ნახულმა მიმაღებინა, თქვენ კვლავ უსაქმოდ დარჩებით. რაკი შენ, ტკიბა, ასეთი შეკითხვა მომეცი, ეტყობა თანაუგრძნობ უჩას, ვისი თხოვნითაც ამოვედი აქ და ძალიან მინდა დავიჯერო, რომ თქვენ ყველა ასე ფიქრობთ. მე ეს საკითხი უნდა დავაყენო რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე და შეიძლება თქვენი თანადგომაც დამჭირდეს! აუცილებლად უნდა შეწყდეს ასეთი გამაჩანაგებელი ჭრა!

— დიახ, უნდა შეწყდეს. ჩვენ არ გვინდა იმ გზით მიღებული შემოსავალი, რომელ გზასაც მერე შვილები და შვილიშვილები დაგვიწყევლიან, მითუმეტეს როგორც ტკიბასგან მოვისმინეთ, არც შემოსავლითა ვართ განებივრებულნი... გასარკვევია ერთიც: განა რაიონის ხელმძღვანელობამ არ იცოდა, აქ მომუშავე „ტყემრეწვის“ ბრიგადები რას ჩადიოდნენ? ჩვენი სახით ახალი ბრიგადა რა საჭირო იყო? ეტყობა, ჩვენი შრომა მათ შემოსავალსაც ზრდის! შენ რას იტყვი, გაბო ბიძია? — მიმართა გაბოს უჩამ.

— მართალი ხარ, შვილო, თუ თქვენ გადაწყვეტთ, მე ახლაც მზად ვარ მივატოვო აქაურობა.

— ჩვენი წასვლით საქმე არ გამოსწორდება, სხვა ბრიგადები მაინც იმუშავენ და ბევრი არაფერი შეიცვლება. მთავარია, საკითხი დაისვას მტკიცედ. მინდოდა, ყოველივე თვითონ ენახა ნათიას. მე მჯერა, ის იმოქმედებს ისე, როგორც საჭიროა! — დაასრულა უჩამ.

... უკვე საღამოს ჩრდილი წვებოდა ტყეში, როცა მორებით დატვირთული „ბელაზი“ სოფლის გზას დაადგა. გაოგნებული გუგუტა დიდხანს დაჰყურებდა „დრუჟბას“ და ყურს უგდებდა „ბელაზის“

მოტორის გუგუნს, რომლის ექოც ხმაურით ავსებდა ხეობას.

„კი ღირს, გუგუტა, ის გოგო ამდენ ფიქრად“, — გულში გაელაპარაკა ჭაბუკს გაბო და თეფშების ნარეცხი წყალი კარვის უკან ხრამში გადაღვარა.

„ეს ერთი კვირა ერთი საუკუნე გახდება“, — გაიფიქრა გუგუტამ და გონების თვალით გაუღიმა კარზე მომდგარ მოსავლის ზეიმის დღეს, რომლისთვისაც მთელი სოფელი ემზადებოდა. შაბათ-კვირას ბიჭებიც ჩადიოდნენ რეპეტიციაზე. იმ დღეს გუგუტას შესაძლებლობა ექნება კვლავ ახლოს იგრძნოს ნათია. რაც მთავარია, პირველი ნაბიჯი გადადგმულია — ნათიამ უკვე იცის ყველაფერი. ბიჭმა „დრუჟბას“ საბენზინე ბაკს ხუფი მოხსნა და იქვე მდელიოზე ჩამოჯდა. უხარისხო ბენზინი ხერხის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა და უნდა გაეწმინდა.



თინა და ამირანი ტელევიზორს უყურებდნენ.

— კი მაგრამ, რომ მიხვედით იმ ხალხთან, რა მოიმიზეზეთ მაინც? რა თქვით? — ჰკითხა უცებ ცოლს ამირანმა.

ფედოსი რას არ მოახერხებს. თურმე ახლახან შეუძენიათ საძინებელი ოთახის უცხოური გარნიტური და თითქოს მე მაინტერესებდა მისი ნახვა, რადგან ვითომ ყიდვას ვაპირებ და წინასწარ მსურს ფასონი შევარჩიო.

— მერე?

— ის გოგოც იქ იყო. ნეტავ არც მენახა.

— რატომ? !

— დახატული ანგელოზიო, რომ იტყვიან ისაა ზუსტად. სამედიცინო უკვე დაუმთავრებია და აქ რაიონშია განაწილებული. მაგრამ რად გინდა, ამ მუტრუკს მხრებზე ეშმაკი აზის. ის გოგო ზაფხულობით სულ აქ ისვენებდაო, ფედოსის შარშან შეუნიშნავს, და უთქვამს კიდევ ზურაბისთვის.

— მერე? — ყურები ცქვიტა ამირანმა.

— რას ეტყოდა. რას იზამ, ფედოსი ბებია, ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს მღვდლის ცოლიო — შენ ის მოგწონს და მე სულ სხვაო.

— ჰოდა, რას ფახიფუხოვთ თქვენც. რად არ უჯერებთ იმ ბიჭს! ძალით შეიძლება კაცს ცოლი წაართვა, მაგრამ ძალით შერთული... რაღაც არ გამოდის მაგი! - თქვა ამირანმა და საათს შეხედა, — მგონი სულ არ აპირებს ამაღამ მოსვლას...

— უიმე! _შეიცხადა თინამ და შუბლზე იტკიცა ხელი.

— რა იყო, ქალო?

დღეს ხომ კულტურის სახლის საზეიმო გახსნა იყო, დიდის ამით ემზადებოდნენ... რაზე ადრე არ გამახსენდა მე სასიკვდილეს, წავიდოდით!

ამ დროს ეზოს კარი გაიღო.

— მოვიდა ზურიკო! — სული ამოითქვა თინამ და მაშინვე ბალიშს ეცა, იქიდან თბილად შეხვეული, სულგუნჩახარშული ღომი გამოიტანა და სასწრაფოდ დადგა გაზქურაზე შეჭამადის ქოთანიც.

ამასობაში ოთახის კარიც გაიღო და სირბილისაგან გაწითლებული ფედოსი გამოჩნდა. მის დანახვაზე თავზარდაცემულ თინას ხელიდან თეფში გაუვარდა, — ისეთი სანახავი იყო აფორიაქებული ფედოსი. ამირანმა კი განძრევაც ვერ მოახერხა.

— ვაჟიანობის და გამრავლების საწინდარი იყოს! — რიხით თქვა ფედოსიმ და დამტვრეულ თეფშზე ანიშნა.

— მთელი სოფელი იქ შეყრილა, თქვენ კი აქ რას უზიხართ?!_ისე მსახიობურად შესძახა ფედოსიმ, თითქოს მათა წყნეთელის როლის შემსრულებელი ყოფილიყო.

— ფედოსი, მითხარი, რაშია საქმე? ჩემს ზურაბის...

— რა ფერი მიგდის, ქალო, შენი ზურაბი ჯვარს იწერს! — ამ სიტყვებით ორივეს აკოცა.

ამირანი უხერხულად შეიშმუშნა, თინას კი ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა თქვა ფედოსიმ, რომელიც ახლა ზურაბის ბეზიას კოცნიდა ლოგინში და ულოცავდა შვილიშვილის გაბედნიერებას.

— წავიდეთ მალე, წავიდეთ ჩქარა! — ახლა წამდერებით მიმართა თინასა და ამირანს და ისინიც უნებურად აჰყვნენ „ნიკოლოზას ბეზრეკს“, როგორც ამირანი უწოდებდა. არც უკითხავთ ხეირიანად, სად რა ხდებოდა, ისე ფაცხაფუცხით გაცვივდნენ სამივენი სოფლის შუკაზე.

— ჩემმა ზურაბიმ მაგარი ოინი მიქნა, მაგრამ ახია ჩემზე, კარგადაც ქნა!

– უკვე მერამდენედ იმეორებდა ფედოსი და უკან მოუხედავად გარბოდა, ბებრის სიმარდით უფრო დაბნეული ცოლ-ქმარი ძლივს ეწეოდნენ მას, ისინი, სირბილს გადაჩვეულნი, ქოშინით მისდევდნენ. უეცრად სადღაც, ახლოს აფეთქებასავით დაიგრუხუნა ჯაზორკესტრმა და ცოლ-ქმარიც შედგა. ფედოსის კი ნაბიჯი არ შეუნელებია. ცაცხვის კორომში ჩადგმული თანამედროვე ტიპის კულტურის სახლი საზეიმოდ ჩახჩახებდა.

თინამ და ამირანმა ერთმანეთს შეხედს და უსიტყვოდ გამოუდგნენ ფედოსის.

როცა მაყურებელთა დარბაზში შევიდნენ, პარტერი მთლიანად დაკავებული იყო, მაგრამ ფედოსიმ რაღაცნაირად მოახერხა სამი ადგილი გაენტავისუფლებინათ და ისინიც დასხდნენ.

სწორედ იმ წუთს შეირხა ოქროსფერი ხავერდის ფარდები და უჩამ მოახსენა მაყურებლებს: „სახეზე გატყობთ კმაყოფილებას, ვიწყებთ მეორე განყოფილებას!“ დარბაზში ტაშმა იგრიალა და ფარდაც ნელა გაიხსნა.

თინა და ამირანი გაოცებული შეჰყურებდნენ სცენას, სადაც საოცარი გემოვნებით იყო წარმოდგენილი მეგრული ფაცხის შიგა ხედი. დარბაზსა და სცენაზე ნათურები გამორთეს, მხოლოდ შანდლებში ჩამაგრებული რამდენიმე სანთელი და კოჭობი ჰფენდა საამო ნათელს კედელზე გაკრულ ვეებერთელა ტყავს დათვისას. ტყავზე კი მიმაგრებული იყო ქორბუდა ირმის რქა, რომლის ტოტებზეც წამოეცვათ სხვადასხვა ზომის ჯიხვის რქის ყანწები. სცენის შუაში იდგა გაშლილი სუფრა, თანამედროვე სტილზე გაწყობილი ზიზილპიპილებიანი კი არა, არამედ მასზე ჰარმონიულად შეზავებულიყო ძველის და ახლებურის მხოლოდ ბუნებრივი იერსახე — შეულამაზებლად წარმოეჩინათ სოფლის ბარაქიანი ჭირნახული.

ძველებურად ჩაცმული ქალ-ვაჟნი საქმიანობდნენ, გარბი-გამორბოდნენ. დროული კაცები კი ჯორკოებზე ჩამომსხდარიყვნენ და ბაასობდნენ. ყველას ეტყობოდა რაღაცის მოლოდინში იყვნენ.

უეცრად თოფის ზედიზედ გასროლის ხმა მოისმა და „კუჩხიბედნიერიც“ შემოსძახეს,

– მოვიდნენ! მოვიდნენ!.. წამოიშალნენ სცენაზე მყოფნი.

გამოჩნდა ნეფე-დედოფალი მაყრიონითურთ, პატარძალს ფეხებთან თეფში დაუდეს, მან სიცილით დაამსხვრია. ამასობაში „დედამთილიც“

მოფაშფაშდა და მიეგება მათ, პატარძალს თავისი ხელით ტკბილეული აჭამა: „ასე ტკბილად ყოფილიყავი ჩვენს ოჯახშიო“, ტარეს. შემდეგ ნეფედედოფალი გადაჯვარედინებულ ხანჯლებს ქვეშ გაატარეს.

— რა არის ეს? უჩურჩულა ამირანმა თინას.

— ამირან, ფრთხილად, ამ ეშმაკის ფეხმა სოფლის ყბაში არ ჩაგვაგდოს. მე მგონი აქ რომელიღაც ძველი დროის მოთხრობის ინსცენირება და ჩვენი მიჯნურები როლებს ასრულებენ.

რაკი ამირანს საკუთარი აზრი ზედმეტი მღელვარებისაგან ჩაქრობოდა, ცოლისას დაენდო და ირწმუნა კიდევ.

„მართლა ზღაპრულ ეთერის არა ჰგავს ეს ლაწირაკი?“ — რბილად გაიფიქრა თინამ და ეთერიდან ზურაბიზე გადაიტანა მზერა, რომ შეედარებინა მისთვის ვარდისფერ საქორწინო კაბაში გედივით ყელმოღერებული ქალიშვილი. იმ წუთში ვინმეს დაკვირვებით რომ შეეხედა თინასთვის, შეამჩნევდა, რომ პატარძლის კაბისფერად აუფეროვანდა ლაწვები და თვალებიც დახარა, ფაქტის წინაშე იდგა — სწორედ მათნაირ წყვილზე იტყვიან ხოლმე „ფერი ფერსო, მადლი ღმერთსო!“.

— ნახე, ეთერი მზეთუნახავს არა ჰგავს? — მისთვის ჩვეული აღფრთოვანებით უნებურად დაამოწმა ამირანმა მეუღლის ფიქრები.

თინამ წაუყრუა... ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, რომ როგორც რიგითი მაყურებელი, ისე ესწრებოდა საინტერესო სპექტაკლს. ბოლოს საქორწინო ცერემონიის თავისებურ ფინალად წარმოადგინეს ქალ-ვაჟის სატრფიალო გაშაირება ფანდურის თანხლებით, რომლის საამური ჟღერაც სალბუნად ეცხებოდა სულს.

— მეგობრებო, თანასოფლელებო, — გაისმა დარბაზიდან მაიას წკრიალა ხმა. კიდევ ერთხელ გილოცავთ ჩვენი სოფლისთვის, თვითეული ჩვენგანისათვის ასეთ დიდებულ შენამენს, როგორც კულტურის სახლია. ამავე დროს გილოცავთ ახალი ტრადიციის დაბადებას. მოსავლის ზეიმი, ეს ხომ თავისებური ზეიმია მშრომელი ადამიანისა, მისი მარჯვენის საგალობელი და სიყვარულის უკვდავყოფაა. რა თქმა უნდა, ზეიმი შემდეგში უფრო გამრავალფეროვნდება, დაიხვეწება და... მე ერთ რამეს გთხოვთ: დაე, ყოველწლიურად ეს ზეიმი სიცოცხლის დასაბამის, ჯანსაღი მერმისის ასეთი ხელთუქმნელი სურათით დაგვირგვინდეს! — მაიამ ამ სიტყვებით ხალხს ნეფე-პატარძლისაკენ მიუთითა. — დიახ,

დღეს საფუძველი ჩაეყარა ახალ ოჯახს. ვუსურვოთ მათ ბედნიერება!... გამარჯვება. დარბაზში ერთხანს ისევ სიჩუმე იდგა, მაგრამ მალე გაიარა დაბნეულობამ და ტაშმა მხიარულ შემახილებთან ერთად ხავერდის მიძიმე ფარდებიც აათრთოლა,

— მეგობრებო! _ გაისმა მიკროფონში და ალტკინებაც მოსხლეტით ჩაცხრა, — ვთხოვთ მშობლებს, პირველებმა მიულოცონ შვილებს ბედნიერება.

თინა მაშინვე მიხვდა, რომ ფედოსიმ ახლა მართლაც უყო მათ ოინი, მაგრამ განკითხვის დრო არ იყო და ამირანთან ერთად სცენისაკენ წავიდა.

ზურაბი ამაყად, გამარჯვებული კაცის იერით იდგა მოამაგე მშობლების წინაშე.

— ბედნიერი იყავით, შვილებო! — თქვა თინამ და კისრიდან გრეხილი ოქროს ძველებური ყელსაბამი მოიხსნა, რომელსაც წლების განმავლობაში სარძლოს სახელით დაატარებდა.

ზურაბის გაახსენდა დედის ნათქვამი: „შვილო, ამას მაშინ გადავცემ შენს მეუღლეს, როცა მასში შევიცნობ ჩემს სასურველ რძალს, შენს ერთგულ მეგობარს“.

— იხარეთ, ერთმანეთს შეაბერდით! — თქვა თინამ და ორივეს აკოცა. ზურაბის კი ჩუმად უჩურჩულა: — საყვედურს არ გეუბნები, მაგრამ უხერხულობაში კი ჩაგვაყენე მე და მამაშენი. ამ სიტყვებთან ერთად ყელსაბამით დაამშვენა ისედაც მშვენიერი პატარძალი.

დედის სიტყვებსა და ქცევაში მონანიების, პატიების თხოვნა შეიცნო ვაჟმა და გული შეეკუმშა, მას მოუნდა კოცნით ამოეშრო მშობლის თვალთა უპეებში ჩამალული ცრემლი. დედის ცრემლები ხომ მრავლის მეტყველია ყოველთვის, მაგრამ თავი შეიკავა, — ვაჟკაცს არ შეშვენოდა გამჟღავნებული გულჩვილობა.

მერე ამირანმაც დალოცა შვილები და ხალხს მიმართა:

— მეზობლებო, მეგობრებო! — ვთხოვთ ეს „ლიტერატურული ქორწილი“ ჩვეულებრივად დავასრულოთ ნეფის ოჯახში. გეპატიჟებით ყველას! — ამირანის გაბადრული სახე უდიდეს ბედნიერებას გამოხატავდა. მის ბოლო სიტყვებზე ჯაზ-ორკესტრმა დაიგრილა და თუ მაშინ სირბილით სუნთქვაშეკრულ ამირანს ის ველური ბგერების უშინაარსო ხმაურად მოესმა, ახლა სიცოცხლისა და მშვენიერების დიდებულ სიმღერად ეღვენებოდა სულში.



„ღმერთო ჩემო, ეგ რა იყო, რა დამესიზმრა? ჩურჩულებდა ნათია და აშკარად ესმოდა საკუთარი გულის ბაგაბუგი. თვალწინ ედგა ირინეს ნალვლიანი თვალები. ნათია სიზმარშიც გრძნობდა, რომ ირინე მკვდარი იყო, მაგრამ არ შეშინებია, მშვიდად ემუსაიფებოდა მას. იმ საუბრიდან კი მხოლოდ ერთი ფრაზა შემორჩა მეხსიერებას. უფრო სწორად, იმ ფრაზამ გამოაღვიძა და სხვა ყველაფერი დაჩრდილა: „ტასიასთვის კაბის ზომა უნდა ამელო!“

— „ეგ რა იყო? რატომ მითხრა ასე? ვითომ მიმახვედრა რამეს?_ ეკითხებოდა ნათია საკუთარ თავს და ლოგინში წრიალებდა, ვერ იძინებდა. ღამის ოთხი საათი იყო და დილამდე რა გაატანდა. მოუსვენრობას განსაკუთრებით ის უორმაგებდა, რომ მისთვის სიზმარი არაერთგზის ყოფილა წინათგრძნობა. „ტასიასთვის კაბის ზომა უნდა ამელო!“ — ცხადშიც კი ესმოდა უკვე ირინეს სიტყვები. ვითომ კიტაა? კიტამ უღალატა? ღმერთო ჩემო, განა ასე შეიძლება ფიქრი? — იტანჯებოდა ნათია, — მაგრამ როცა ოთარიზე ვფიქრობდი გამძვინვარებული, მაშინაც ხომ მითხრა ირინემ „ოთარის სიყვარულისთვის ნუ დასჯითო!“ განა ირინეს ამ სიტყვებმა არ გამომაფხიზლა? განა იმის შემდეგ არ შევხედე სხვა თვალთ მათს ურთიერთობას? და მაინც როგორ შეიძლებოდა კიტა გამხდარიყო ირინეს მკვლელი?... მართალია, არც ისე დიდი მანძილი ჰქონდა ირინეს გასავლელი, მაგრამ შეიძლებოდა მაინც ჩამჯდარიყო კიტას მანქანაში. აქ არაფერი არაა შეუძლებელი. მერე? როცა ოთარის ავმა წინათგრძნობამ ურჩია კარგად მიყურადებოდა გარემოს და ალბათ მაშინვე აღძრული ეჭვის საფუძველზე კიტას ეზოშიც შეეხედა, ხომ ადგილზე ნახა მანქანა?! აქ უკვე ორი ვერსიაა. პირველი: შემხვედრი მანქანა არ ეკუთვნის კიტას, რადგან ის ისე მოკლე დროში ვერ მოახერხებდა შორს გაეტყუებინა ირინე, ჩაედინა ბოროტება და შინ მობრუნებულიყო და მეორე: ის მანქანა კიტას ეკუთვნოდა, მან რაღაცნაირად მოახერხა ირინე სახლში შეეტყუებინა... მაგრამ როგორ? სად იყვნენ ტასია და თამრიკო?...

— ამ დროს გვერდით ოთახიდან უჩვეულო ხმა მოესმა. შეკრთა, შეეშინდა კიდევ. „არა, ეგ ხვრინვა არაა,“ ტიტკო ბიძიამ სხვანაირი ხვრინვა იცის“, — გაიფიქრა და ლოგინიდან ელვის სისწრაფით წამოვარდა, ეტყობა, ტიტკომაც იგრძნო უბედურება და სანამ ნათია მათ

ოთახში შევარდებოდა, მან უკვე ჩართო სინათ

ლე..

ნუცას სახეზე ცვილის ფერი გადაფენოდა, პირი და თვალები ოდნავ ღია დარჩენოდა.

სხვა არაფერი დამახსოვრებია ნათიას.



ნათიამ ძალიან განიცადა აღმზრდელის სიკვდილი, მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვდა და ისიც მალე ჩადგა მისთვის ჩვეულ შრომის რიტმში. ერთ დღეს გადაწყვიტა ზურაბი და მისი ბიჭები მოენახულებინა.

ზურაბი კულტურის სახლის ჩაბარების შემდეგ პიონერთა ბანაკის კომპლექსის მშენებლობას ჩაუდგა სათავეში. ის სულ ობიექტში ტრიალებდა, ყველგან და ყველაფრისათვის საკუთარი თვალი უნდა მიეწვდინა.

გვიანი შემოდგომისათვის უჩვეულო ხვატისაგან მიწას აღმური ასდიოდა. ფოთლებშემოდარცვული ხეები ჩრდილს ვერ იჭერდნენ, მაგრამ მდინარისპირა ცაცხვის ძირას მაინც ჩამომსხდარიყო რამდენიმე კაცი. ისინი რაღაცაზე საუბრობდნენ.

— ესენი ვინ არიან? — იკითხა ერთმა და მათკენ მომავალი წყვილისაკენ მიახედა სხვები.

— ნათია და მისი კავალერია.-უპასუხა მეორემ.

— ხომ გაგიგია უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო, ისეა ბურდას საქმეც. ვინც ბიჭად ბიჭია, რაღაც საქმიანთა დაკავებული და ბურდალა შემორჩა სოფელს ხელწამოსაკრავი.

— არ იმშვენებს საპატიო მისიას თუ!

— ერთხელ ვუთხარი, ნათია კარგი გოგოა და რას უცდი, ცოლად შეირთე-მეთქი, ბეწვზე გადავრჩი თავის გახეთქვას – რას ამზობ, შე უწმინდუროო, ის ჩემი დაიააო, და იქვე ჯოხს დაავლო ხელი.

ამასობაში ნათია და ბურდაც მოვიდნენ.

— მუშა ხალხს დიდება! — მიესალმა ნათია დამხვდურთ.

— დიდება შენცა, მგოსანო! — არ დარჩნენ ვალში ბიჭებიც.

— ყოჩაღ თქვენ, კარგი ტემპით მიდიხართ.

— აბა მხართემოზე გორაობით არ აშენდება სოფელი, ჩემო ნათია! — თქვა ზურაბმა, რომელიც ის-ის იყო მოვიდა.

უცებ მდინარისკენ გადაძენძილ ეკალ-ბარდებთან ბურდას როხროხა სიცილი გაისმა.

— რა მოხდა, ბურდა, მოდი აქ! — უთხრა ნათიამ. ბურდა სიცილით წამოვიდა. სულს ვერ ითქვამდა და ხელით მდინარისკენ რალაცას ანიშნებდა.

— რა იყო, ბიჭო! — იკითხა ზურაბიმ.

— ზაფხულში იქ ბევრი... აი, ამდენი, — მან ოთხი თითი აჩვენა, — შიშველი ქალი ვნახე.

— მერე შენ რა, შე უბედურო, — სიბრალულით თქვა ერთმა და თან ნერწყვიც გადაყლაპა.

— ქვა რომ ვისროლე, შეეშინდათ და წყალში ჩაცვივდნენ, — ხვიხვინებდა ბურდა.

— რამე ხომ არ გინატრია, ბურდა უბედურო? — ახლა განმარტოებით მჯდარი ჭაბუკი ჩაერია საუბარში.

ბურდამ არაფერი თქვა.

— გიას ძალიან აინტერესებს, უთხარი, ბურდა, ნუ გრცხვენია.

ბურდა უფრო აიწურა და მორცხვად თქვა.

— კი.

— რა ინატრე ბიჭო?

— ყველაზე კარგი რომ იყო იმათში, ნეტავ იმად მაქცია-მეთქი.

— ეგ რაღად ინატრე, სულძაღლო?

— ცოლად მოვიყვანდი.

სიცილმა იფეთქა. იცინოდა ბურდაც, უფრო იმიტომ, რომ ისინი იცინოდნენ, ნათია კი თვალცრემლიანი შეჰყურებდა უბედურ ბიჭს, რომელსაც ყველა მასხრად იგდებდა. ერთხანს ვერ უბედავდნენ ამას, თუ ნათიაც იქ იყო, მაგრამ მერე მაინც გაიტანეს თავიანთი ნება..

— არა გრცხვენიათ, ბიჭებო? ამას თავის გაჭირვება ეყოფა, თქვენ რაზე

დასცინით. ესეც თქვენსავით ჯანსაღი დაიბადა, მაგრამ ავადმყოფობამ დაჩაგრა. რომელი ხართ დაზღვეული, რომ შთამომავლობაში ასეთი არ გამოგერევათ, სხვის ჭირს ადვილად ნუ წაჰკრავთ ხოლმე ფეხს. არ შეგშვენით ეს თქვენ!

ბიჭებს შერცხვათ.

ბურდა კი იცინოდა და იმ სიცილით ნიშნს უგებდა მათ _ ესეც თქვენ, თქვე უბედურებო!

ნათიამ ზურაბისთან ერთად მშენებლობა დაათვალიერა. მერე ბიჭებს დაემშვიდობა. ნათიას და ბურდას ზურაბიც გაჰყვა.

— ცაცხვის ძირას ერთხანს ვერავინ ახერხებდა საუბრის დაწყებას, მერე, როგორც იქნა, გატეხეს ნავსი.

— რა საოცარი გულის პატრონია ეგ გოგო, სხვა რომ იყოს მის ადგილას, ბურდას სიახლოვეს გავლასაც არ იკადრებს, ის კი ქომაგობს კიდეც და არც ეუხერხულება.

— ერთხელ კითხეს, რა სიამოვნებას განიჭებს ბურდასთან მეგობრობაო, მან უპასუხა, ბურდა იმითაა უფრო დაბეჩავებული, რომ ყველა მასხრად იგდებს. თვითონაც შეჩვეულია ამას. მაგრამ სინამდვილეში მთლად ასე არ არის საქმე, მას შერჩენილი აქვს ადამიანური აზროვნების უნარი. მე დარწმუნებული ვარ, ერთადერთი, ვისთანაც ის თავს ადამიანად გრძნობს, მე ვარ. აი, ეს მსიამოვნებს მე.

ამ დროს გიამ ამოიოხრა.

— ეხლა შენც არ თქვა, ნეტავ ბურდად მაქციაო, — უთხრა გვერდით მჯდარმა ჭაბუკმა.

— რატომ ვითომ? — წამოენთო გია.

— უბრალო მიზეზის გამო, ნათიასთან მასავით ახლო იქნებოდი და უფრო მეტიც, მისი ზრუნვა არ მოგაკლდებოდა.

— შენ ენა გააჩერე, თორე იცი რას გიზამ?

— რას მიზამ!

— ხომ გაგიხსნია შამპანური!

— გამიხსნია.

— დაკვირვებიხარ, ბოთლიდან როგორ ვარდება საცობი?

— დაკვირვებივარ!

— პანდურს რომ ამოგარტყამ, სწორედ ისე ამოგაგდებ შარვლიდან!

— ვაა, ვინც არა ქნას?

— უყურე, კიდეც რომ იჯგიმება! — წამოიძახა გიამ და მისკენ გაიწია. ძლივს დააკავეს.

— არა გრცხვენია, ბიჭო? რა მოხდა, ხუმრობა არ იცი?— რბილად უთხრა გიას ნირშეცვლილმა ბიჭმა. — მე ნათიასთვის რომ მეთქვა, ასე ფიქრობს შენზე გია-მეთქი, ის არ მიფრენდა ამნაირად.

გია უცებ მოიღვენთა, ხელი გააშვებინა გამკავებლებს და ხმის თრთოლვით დაეკითხა ბიჭს:

— მართლა არ გაბრაზდებოდა?

— სინდისს ვფიცავარ, არა!

გიამ ამოიოხრა და მშენებლობისაკენ უსიტყვოდ წავიდა. სხვებმაც ღიმილით გადახედეს ერთმანეთს და მიჰყვნენ მას.

მშენებლობიდან წამოსვლის შემდეგ ერთხანს ერთად მოდიოდნენ სამივე, მერე ზურაბმა კოლმეურნეობის კანტორისკენ გადაუხვია. ნათიამ და ბურდამ კი გზა გააგრძელეს კულტურის სახლისაკენ, რომელიც შორიდან ისე ჩანდა, თითქოს იქ ძეხორცეული არ იყო, მაგრამ მისულთ მურმანი გამოეგება.

— ყოჩაღ, დირექტორო, ეზო კარგად მოგიწყვია, თუ ძირითადი საქმეებიც ასე ლამაზად გაქვს მოგვარებული.

— რა ვიცი, შევამოწმეთ. — უპასუხა ვაჟმა და ხელი ჩამოართვა.

ზღურბლს გადააბიჯა თუ არა ნათიამ, იგრძნო, მზრუნველი, საქმეზე შეყვარებული ადამიანის ხელი ეტყობოდა ყველაფერს.. მას ძალიან მოეწონა კულტსახლის მიმდინარე თუ პერსპექტიული სამუშაო გეგმაც, რაზედაც კმაყოფილება გამოთქვა და შეაქო კიდეც ახალგაზრდა დირექტორი.

— თუკი რამეს მივალწიეთ, ეს მარტო ჩვენი დამსახურება როდი იქნება, გენო გვიდგას გვერდში, ყველაფერს აკეთებს ჩვენთვის და საერთოდ, მასავით გულთან არავის მიუტანია მშრომელი კაცის ჭირ-ლხინი.

სოფლელ კაცს საქმე თუ არ მიეცი, მაშინ რა უნდა ქნას? სად უნდა ეძებოს შემოსავლის წყარო? გენომ ზესკვონას მიწების მიზნობრივი გამოყენებით მოაღონიერა სოფელი, კონდრატემ იქ სამუშაოდ ცალკე ბრიგადის გამოყოფაც ვერ გაბედა და რომ არა გენო, ლამის ხელიც აეღოთ ზესკვონას

მიწებზე, რომლის გამოყვანაზეც თავის დროს დიდძალი თანხაც კი დაიხარჯა. და მაინც, მე მგონია, ყველაზე მეტ ყურადღებას ჩვენ გვაქცევს.

— გოგოებს არ მაჩვენებ?

ისინი ჯერჯერობით სარდაფში არიან, მალე მოთავდება სალონიც და გადავლენ. ისე, რამდენიმეჯერ უსიამოვნებას გადავეყარეთ პეპსიკოლას გამო.

— რატომ? - გაიოცა ნათიამ.

— რაც აქ გადმოვიდა სამუშაოდ, მას შემდეგ სოფელში ნაწნავებიანი ქალები თითზე ჩამოსათვლელი გახდა. ასე რომ უკვე ნახევარზე მეტი სოფელი გაიკრიჭა.

— რა არის ამაში ცუდი. ჩვენი ქალები ვიზე ნაკლებნი არიან! რატომ უნდა იარონ ძველმოდურად?

— ახალგაზრდებს ვინ ჩივა, ხანშიშესულებმაც იცვალეს ფერი. ქმრები ჩხუბობენ გადაგვირიეს ეს მორჩილი ქალები ამ გადარეულებმაო. აბა რომელი ქალი იტყვის უარს, ათი წლით მაინც თუ გააახალგაზრდავებ მის გარეგნობას და ასე ატროკებულ ცოლებს რომ უყურებენ, ეჭვიანობენ ქმრები.

— კარგი რა! _იცინოდა ნათია.

— თუ არ გჯერა, თვით პეპსიკოლას ჰკითხე, რა დღეშია.

— მკერავებზე რას ამბობენ!

— მათზე არაფერს, პირიქით, უმადლიან, მუხლებქვევით რომ ჩამოსწიეს კაბები, თითქოს მათი მეცადინეობით შეცვლილიყოს მინი მოდა მაქსით.

ნათია და მურმანი კულტურის სახლის ნახევარ სარდაფში დროებით მოთავსებულ სალონისაკენ ბაასით მიდიოდნენ. ღია კარიდან გამოჭრილი ტკრციალი მაისის წვიმასავით საამოდ იფრქვეოდა დერეფანში.

ნათია მიხვდა, ბურდა იყო ქალიშვილების ამგვარი სიცილის მიზეზი.

— ჩემზე უკეთესი იყო, ბურდა? — კისკისებდა ერთი.

— ის შიშველი იყო, შენც გაიხადე და მერე გეტყვი. _ სიცილმა ისე იმძლავრა, თითქოს აგურგურებულ ცეცხლს ნავთი დაასხესო.

ქალიშვილებს ერთხანს არ შეუმჩნევიათ კარებთან მდგარი ნათია და

მურმანი.

ბოლოს პეპსიკოლამ შენიშნა ისინი და სახიდან საკვირველი სისწრაფით ჩამოირეცხა ღიმილი, გაფითრდა კიდეც. ქალიშვილის ასეთი ცვლილება ნათიას არ გამოჰარვია. ის მიესალმა დამხვდურთ, მაგრამ პეპსიკოლას სალმისათვის არ უპასუხია.

— როგორ ართმევთ თავს საქმეს?

— ისე რა, მომდურავი არა გვყავს, გეგმასაც ვასრულებთ.

— ესაა მთავარი. — თქვა ნათიამ და ხელით გასინჯა, დაათვალიერა შეკერილი კაბები და პიჯაკები.

სალონში ყოველგვარ შეკვეთას იღებდნენ, აქ იკერებოდა როგორც ქალის, ასევე ბავშვის და მამაკაცის ტანსაცმელი და ხარისხიანადაც იკერებოდა.

— კარგია! — ისევ ჩაილაპარაკა ნათიამ და ახლა პეპსიკოლას მიმართა:

— პეპსიკოლას როგორა აქვს საქმე?

— ისე როგორც მტერს ეწყინება და მოყვარეს გაუხარდება! — მის ხმაში ჩაქსოვილმა სიცივემ დააბნია ნათია.

— მოყვარე მესმის, მაგრამ შენ მტერი ვინ უნდა გყავდეს?

— როგორ, ისეთი დამთხვეული ვარ, რომ ჩემი მტრობაც არ იკადრონ?

— ეგ რა შუაშია, პეპსიკოლა, მინდოდა მეთქვა, შენ ისეთი რა უნდა დაუშავო კაცს, რომ გადაგემტეროს-მეთქი.

— ჰმ! უცნაურად ჩაიცინა ქალიშვილმა, ასევე უცნაურად შეხედა ნათიას და მაშინვე ფარდის უკან შევარდა.

გაოცებულმა ნათიამ დანარჩენებს გადახედა, მაგრამ თითქოს ყველას ერთად გასჩენოდა თავსატეხი და თავდახრილნი ჩაჰკირკიტებდნენ ხელსაქმეს.

მურმანს, ეტყობოდა, არ მოუსმენია მათთვის, ის ჩაფიქრებული იმზირებოდა სარკმლიდან.

კუთხეში მჯდარი ბურდა კი კვლავ იღიმებოდა.

ნათიამ უხერხულად ჩაილაპარაკა, ნახვამდისო და ბურდას მმართა:

— არ მოდიხარ, ბურდა.

— ბურდა ჩვენთან დარჩეს. — თხოვეს ქალიშვილებმა, რომელნიც გაცილების ნიშნად მოწაფეებივით იდგნენ ფეხზე.

ბურდა დარჩა. ნათია და მურმანი ეზოში გამოვიდნენ.

— პეპსიკოლა უჩვეულო სასიათზე ჩანდა დღეს.

— რას გაუგებ გასათხოვარ ქალიშვილებს. _ ისე უპასუხა მურმანმა, რომ არც შეკითხვისათვის მიუცია განსაკუთრებული მნიშვნელობა და არც პასუხისათვის.

მალე მურმანსაც დაემშვიდობა ნათია,

მაროს ირინეს ტანსაცმელი გასამზებურებლად გამოეტანა. ეფერებოდა მათ და თან საბრალოდ მოთქვამდა. ეზოში შემოსული ნათია რომ დაინახა, გაჩუმდა, ცრემლები ხელუკუღმა ამოიწმინდა და შეეგება. გალიმებაც კი სცადა, მაგრამ ცრემლმორეული ნათია გადაეხვია, გულში ჩაიკრა უბედური ქალი და ორივენი ატირდნენ.

— ნათიაც მიეფერა ირინეს კაბებს, მერე ფრთხილად ჰკითხა მაროს:

— მარო დეიდა, იმ დღეებში ირინეს ვინმეს კაბა ხომ არ ჰქონდა შესაკერად?!

მარო დაფიქრდა.

— არა, შვილო, ირინე შინ ხომ არ კერავდა. მან თავისი მანქანა წარმოებაში წაიღო. იქაურით ვერ ვკერავ და ხელი მეშლებაო. რატომ მკითხე?

— რა ვიცი, რა არ დაესიზმრება ადამიანს და სიზმრად ვნახე, წუხდა, ტასიასთვის კაბა უნდა შემეკერაო.

— უი შენს დედას, შვილო. — გულზე მჯიღი დაიკრა მარომ: — იქაც არ გასვენებს შენი კეთილი გული?

ნათია დაიძაბა. მარო ტიროდა და თან მოთქმით ყვებოდა, რომ იმ დღეებში არაერთხელ მისულა მასთან ტასია. ირინემ კაბა შემიკეროსო. მგონი თბილისში წასასვლელად უნდოდა და ეჩქარებოდა.

— ირინე სახლში რომ არ კერავდა?

— საკერავი მანქანა ტასიასაც აქვს და რამდენჯერ შეუკერა. მაშინაც პირობა მისცა, ერთ დღეს ადრე მოვალ და შევკეროთო, მაგრამ იმ კვირას საერთოდ არ მოსულა. შემომითვალა, ბევრი სამუშაო მაქვს, გვიან ღამემდე ვმუშაობ და ერთ-ორ დღეს ვერ მოვალო, მის დასამიწებელ დედას მერე არც უნახავს...

ნათიას ყურებმა მზუილი დაუწყო, თითქოს ხელ-ფეხიც დაუბუჟდა. „ცუდად ვხდები!“ — გაიფიქრა და მარო რომ არ შეეშინებინა, გადაწყვიტა,

როგორმე შინამდე მიეღწია.

— კარგი, მარო დეიდა, ტირილით რას არგებ ირინეს, თავს გაუფრთხილდი. მის საფლავს, ხომ იცი, შენს მეტი პატრონი არა ყავს!_

ძლივს წარმოთქვა, თანაგრძნობისა და დამშვიდობების ნიშნად მხარზე დაადო ხელი და წამოდგა.

— მიდიხარ, ნანაგე? — საბრალოდ ჰკითხა მარომ.

— ისევ შემოგივლი, ახლა მეჩქარება.

გზაზე რომ გავიდა, ცოტა შვება იგრძნო. „მგონი წნევამ ამიწია მაშინ“,

— გაიფიქრა და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. შინ წასვლა გადაიფიქრა. გრძნობდა, მარტოობა უშველიდა მხოლოდ და სკვერისაკენ აუხვია. სკვერი მდინარის მალალ ნაპირზე იყო გაშენებული. მის შუაგულში ისე ჩანდა ფინური კოპწია სახლი, როგორც ზღაპრული ქოხი წალკოტში. იმ სახლში ზაფხულობით მწერლები ისვენებდნენ და ამიტომ მწერალთა სახლს უწოდებდნენ, ნათია კი — „ზღაპრულ ქოხს“. ნათიამ იცოდა, რომ იქ ახლა არავინ იყო და სწორედ ამიტომ არჩია ბუნების წიაღში ეპოვა სულის მალამო, ის მოწყვეტით დაეშვა ხის გრძელ სკამზე, გაშლილი მკლავებით გადააწვა საზურგეს, თვალები დახუჭა. გულზე ისე უჭერდა რაღაცა, როგორც შრატიდან ამოღებულ, პემზში მოქცეულ ყველს ნუცა ბიცოლა. ჰაერიც არ ყოფნიდა. „ღმერთო ჩემო, მგონი სიმართლეს ჩავუდექი კვალში: ტასია თბილისში აპირებს წასვლას. რა თქმა უნდა, ახალი კაბა უნდა ქალს და ცოფს ყრის, ჯავრს ანთხევს ირინეზე, რომელმაც მის ჯინაზე სახლიდან ფეხი ამოიკვეთა და იმ დღეებში არ მოვიდა. ის გაბრაზებული წავიდა თბილისში თამრიკოსთან ერთად.

კიტამ რკინიგზამდე მიაცილა ისინი და უკან გამობრუნებულზე დაეწია ირინეს, მანქანა გაუჩერა. ირინე ჩაჯდა.

კიტას გაახსენდა ცოლის სიტყვები „მატყუარა“ ირინეზე და უთხრა: ტასიას ძალიან ეჩქარება კაბის შეკერვა და წუხს. კარგი იქნება, ამაღამ თუ აუღებ ზომას. მერე ატელიეშიც კი შეგიძლია შეკერო. ხომ იცი მისი ამბავი, ძალიან ნერვიულობს. მაინცდამაინც ახალი კაბით უნდა თბილისში წასვლაო. ირინეს ისედაც აწვალებდა გატეხილი სიტყვა და დაუფიქრებლად გაყვა კიტას...

ნათიამ ისე ნათლად წარმოიდგინა ეს ახალი ვერსია, რომ ყოველი დეტალი თვალთ ნახულივით ირწმუნა, მაგრამ შინაგანმა ხმამ კვლავ ჩაუგდო ორჭოფობის მარცვალი: „ტასია და თამრიკო ნამდვილად

წავიდნენ?"...

„ მე მგონი ამ საქმეს გადავყვები, ლამის შევიშალო! " — ჩაილაპარაკა ნათიამ და იქვე სკამზე დაგდებული ხელჩანთიდან უბის წიგნაკი ამოიღო.

ამ დროს ზურგს უკან ფეხის ხმა მოესმა, რადგან დარწმუნებული იყო, მწერალთა სახლში არავინ ისვენებდა და არც სხვა ვინმეს ელოდა ამ დროს იქ, შეკრთა, უნებურად შემოტრიალდა და... გაოცებისაგან გაქვავდა: მის წინ უცნობი ახალგაზრდა იდგა. სპორტულ ყაიდაზე შეკერილ მუქწითელ პერანგსა და მორგებულ ჯინსებში ისეთი მშვენიერი ჩანდა იგი, რომ მნახველს ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც აღმოხდებოდა აღტაცების შემახილი.

ნათიამ უნებურად გულზე მიიკრა ხელჩანთა და დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით შეცბუნებული შეჰყურებდა ვაჟს, რომელიც, თითქოს ჯიბრზე, ხმას არ იღებდა და მომნუსხველი ღიმილით თვალსაც არ აშორებდა. სწორედ ეს ღიმილი აბნევდა ნათიას. ვერაფრით ვერ მოიგონა, საიდან ეცნობოდა იგი, ბოლოს თითქოს ვაჟიც მიუხვდა ფიქრს_ მან შავი სათვალე ამოიღო და გაიკეთა.

ნათიას უეცრად თავბრუ დაეხვა, მაგრამ სძლია სისუსტეს და სხვა ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, იქვე ბზის ბუჩქებში ჩაწულ ბილიკს სირბილით ჩაუყვია.

— ნათია! — დაუძახა ვაჟმა, მაგრამ ქალიშვილი ქურციკივით გარბოდა ბილიკზე.

ირაკლი ღიმილით ჩამოჯდა სკამზე. ნათიას მიერ დატოვებული (დარჩენილი) წიგნაკი აიღო. მასში ლექსის ერთადერთი სტროფი ეწერა:

მე სანთლებად ამინთია ვარსკვლავები ზეცას,
მათს ციმციმს და ჩემს ჩუმ ოხვრას აღარა გრძნობ, ნეტავ? ...
ეს სიზმრების ღამე თუა, გათენდება ვითომ?
თუ მოდიხარ, მოდი ბარემ, ნულარ მტანჯავ, ბიჭო!

ირაკლიმ რამდენიმეჯერ წაიკითხა ლექსი, მერე უჩვეულოდ აღელვებულმა გულში ჩაიკრა პაწია მაცნე და მლოცველივით შეჰლაღადა ზეცას: „დიახ, მეგობარო, მე მესმოდა სპეტაკი გულის ოხვრა და ვხედავდი წმინდა სანთლების ციმციმს, მე ვიცოდი, შენში ვპოვებდი მას, ვისაც ვეძებდი. მე მოვედი!“

ირაკლი დედისერთა, თბილისელი ბიჭი იყო. მისთვის, როგორც ფუტკრისთვის სურნელოვანი ყვავილი, ისე გადაშლილიყო ცხოვრება მთელი თავისი მიმზიდველობით და სიტკბოთი. ნებიერი ბიჭიც ტკბებოდა ასე ადვილად ხელმისაწვდომი მშვენიერებით და თითქოს მაღლიერიც ჩანდა თავისი ბედისა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო: თუ უმრავლესობა ფუქსავატური, უზრუნველი ცხოვრების თავბრუდამხვევი ბურუსიდან გამოსვლას არც ისურვებდა, ირაკლის, პირიქით, გულს ურევდა მსგავსი ბედნიერება და როცა, სხვათა აზრით, თავდავიწყების მორევში შარბათით გათანგული ნებივრობდა, მაშინ გულშემძრული ნატრობდა, ნეტავ მაცხოვრა ნამდვილი ცხოვრებითო. ნამდვილი ცხოვრება კი მას ვერაფრით ვერ წარმოედგინა უკმარისობის გრძნობის გარეშე. „ცხოვრებაში რაღაც უნდა გაკლდეს, რაღაც უნდა გაინტერესებდეს, გიზიდავდეს და ალგაღზნებდეს კეთილშობილური ბრძოლისათვის, რომ იმ ბრძოლით მოიპოვო ის, რაც გაკლია“.

მართალია, მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა, რომ საზოგადოებაში პატივდებული პიროვნების სახელი დაემკვიდრებინა, მაგრამ ხალისს უკარგავდა ის, რომ იცოდა ვიღაცეების მეცადინეობით იმთავითვე მზადდებოდა საჩრდილობელი მისი ტახტისათვის. მაშინ, როცა სხვა მისებრ ნიჭიერნი (შეიძლება უფრო მეტიც), შეუმჩნეველნი რჩებოდნენ. ირაკლი აშკარად ხედავდა ამის მიზეზსაც: მათი მამები ვრცელ, ნათელ, ძვირფასად მორთულ კაბინეტის ფუმფულა სავარძლებში რბილად არ ისხდნენ, და... მას ეჯავრებოდა მოყირჭებული მშვენიერებაც და მომავალი დიდებაც, რომელიც ისე ადვილად შეეძლო მოეპოვა, როგორც ლამაზი ქალიშვილის კოცნა. ირაკლი ძალზე თავისებური იყო ქალიშვილებთან ურთიერთობაშიც, საკმარისი იყო მას შეემჩნია ქალიშვილში მისკენ სწრაფვა, რომ მაშინვე გაუცივდებოდა გული. გაოცებული ახლობლები მას პირუთვნელი გულწრფელობით ეუბნებოდნენ:

„სხვა ყველაფერი კარგი, მაგრამ აი, რანაირი უნდა იყოს ქალიშვილი, რომ შენი სიყვარული შეინარჩუნოს და გაიძულოს, ბოლომდე დარჩე მისი ერთგული?“

ირაკლი მისებური ღიმილით გაიღიმებდა და უპასუხებდა:
„თანამედროვე, მაგრამ სიყვარულში პირველყოფილი“.

„ეს როგორ, თანამედროვე პირველყოფილი რას ნიშნავს?“

„ამაში არავითარი ფილოსოფია არაა. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა:

ქალიშვილს გულის ნადებს რომ გავუმჟღავნებ, სიხარულით კისერზე კი არ ჩამომეკიდოს, არამედ ისე უნდა ათრთოლდეს, რომ მთხოვოს მარტო დარჩენა. მე კი დარწმუნებული ვიყო, ჩემი წამოსვლის შემდეგ ის ბედნიერებისაგან ატირდება, დიახ, ატირდება და... მერწმუნეთ, ამგვარ ცრემლებზე წმინდა ქვეყნად სხვა არა არსებობს რა“.

„ჰოდა იმ ცრემლების ძებნაში ისე დაბერდებით შენ და შენი ეს რწმენა, რომ მერე თვითონ იტირებ, მაგრამ უკვე გვიანი იქნება. ცაში ნუ დაფრინავ, ძმაო, ჩამოდი ძირს მიწაზე ეძიე ბედნიერება, თორემ, ხომ იცი, ეგ ცხოვრება კვამლივითაა, ისე ჩუმად და შეუმჩნევლად გაქრება, რომ ვერც გაიგებ!“ — უთხრა ერთხელ ირაკლის მეგობარმა, რომელსაც იმხანად შეექმნა ოჯახი.

მაგრამ ირაკლი როდი იყო ისეთი, რომ სხვას თავისი შეხედულებისამებრ გადაეკეთებინა მისი ხასიათი, მას ჰქონდა საკუთარი რწმენა, საკუთარი შეხედულება და საკუთარი გზაც თვით აირჩია ცხოვრებაში.

იმ დროს, როცა ირაკლი შემთხვევით დაემგზავრა ნათიას, უკვე მუშაობდა თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში ქირურგიული განყოფილების გამგედ, თან დისერტაციასაც ამზადებდა. მან თავიდანვე შეამჩნია ქალიშვილი, რომელიც კარებზე ნომრებს აკვირდებოდა. რაკი ირაკლი ჯერ კიდევ მარტო იყო კუპეში, იფიქრა, ხომ შეიძლება ჩემთან ჰქონდეს ბილეთიო და უეცრად გადაწყვიტა კუპეშივე დახვედროდა. შავი სათვალე გაიკეთა, ფანჯარასთან დაჯდა და კედელს მიეყრდნო...

ირაკლის საშინლად ეჯავრებოდა წერილების წერა და არც ახსოვს მიეწეროს ვინმესათვის, მითუმეტეს ქალიშვილისათვის. მაგრამ ნათიას ხშირად წერდა და წერდა ძალიან ორიგინალური ხერხითაც: მან ქალიშვილს საკუთარი თავი წარუდგინა, როგორც ავადმყოფი — სუსტი მხედველობის მქონე, თან ღარიბ სტუდენტად, რომელსაც მოსკოვიდან ჩამოსვლაც ვერ მოეხერხებინა ხელმოკლეობის გამო და მხოლოდ წერილობით იკლავდა სანატორელი ადამიანის ნახვისა და მასთან საუბრის ჟინს. ამისთვის მას თვეში ორჯერ უხდებოდა მოსკოვში გადაფრენა, მაგრამ მაგრერიგად შეყვარებული ჭაბუკისთვის აბა ეგ რა აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო? მას ზუსტად ჰქონდა ნაანგარიშევი ის დრო, რომელიც წერილებს გზაში დასჭირდებოდა. იცოდა, ნათიაც, ძალიანაც რომ ცდილიყო, მაინც ვერ დააგვიანებდა პასუხს და დროულად გასცემდა ხმას მოსკოველ ღარიბ სტუდენტს, რომელსაც სატრფოსთან ურთიერთობის

ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებად წერილი დაესახა. მართალია, ნათია მუდამ ზომიერი თავშეკავებულობით პასუხობდა ირაკლის ყოველ წერილს, მაგრამ ჭაბუკს აშკარად ესმოდა წერილს ამოფარებული ცეცხლის გურგური და ყოველივე ამას თავშესაქცევად როდი აკეთებდა ის. მას სწყუროდა ნამდვილი სიყვარული, რომელსაც სარჩულად არ ექნებოდა არც მიჯნურის გარეგნობა, არც მისი ოჯახური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა,

არავინ იფიქრებდა რომ ირაკლი თბილისს დატოვებდა და, მით უმეტეს, მთის რაიონის ასეთ მივარდნილ სოფელში წასვლის სურვილს განაცხადებდა. ვინც ირაკლის კარგად იცნობდა, მას, რა თემა უნდა, არ გაკვირვებია მისი ასეთი ნაბიჯი, მაგრამ სხვები მართლაც რომ სახტად დარჩნენ. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ მშობლები, მაგრამ ახა რას იზამდნენ. ყველაზე უკეთ ისინი იცნობდნენ შვილის ხასიათს და დედას ისღა დარჩენოდა, რომ ეთხოვა, შვილო, ჭკუით იყავი, ვინმე სოფლელს არ გადაეყარო.

„არა დედი, მაგისი ნუ გეფიქრება. ისღა მაკლია, სოფლელი რძალი დაგისვა სახლში.“ — ღიმილით უპასუხა ირაკლიმ და დამშვიდობების ნიშნად აკოცა.

... ფიქრში გართულმა ირაკლიმ თავი ასწია და კმაყოფილი ადამიანის იერით გადახედა მურიცხას მშვენიერ სანახებს. მერე მისთვის დროებით დათმობილი ფინური სახლისკენ წავიდა, რომ დამშვიდებული გონებით ჩაჰკვირვებოდა საკუთარ მდგომარეობას.

ნათიამ ის დღე და მთელი ღამე თავგზააბნეულ ფიქრებში გაატარა. მის სულს ქარბორბალა დაუფლებოდა და უმოწყალოდ უწეწავდა ნაზ, მგრძნობიარე გულს.

— „არა, მაინც რა მომარბენინებდა ეგრე კისრისტეხით! თუმცა.. იმ წუთებში იქ დარჩენაც არ შემიძლო, ვისაც განუცდია დიდი ხნის ნანატრი ბედნიერების მოულოდნელი გამოცხადება, გამიგებს, თუ გამოუთქმელ სიხარულთან ერთად, რაოდენ თავზარდამცემია იგი. ჩემთვის წუთიც საკმარისი იყო მუხლებს ემტყუნა, ჩავკეცილიყავი. — აქ თვალნათლივ წარმოიდგინა მიჯნურის წინ უნებურად მუხლმოყრილი საკუთარი თავი, მერე ისევ განაგრძო ფიქრი, — წრფელი სიყვარულისა და განუმეორებელი ერთგულების დიდებული სურათი იქნებოდა სწორედ, მაგრამ თვითონ ირაკლი შეხედავდა მას ასეთი რომანტიკული თვალით? ეგებ სულაც გულგრილად მიეღო იგი, მაშინ ხომ იგივე სურათი, სასაცილო იქნებოდა.

— ეგ რა ღამე დამიდგა!“ – ბუტბუტებდა ნათია ლოგინში და მალიმალ გახედავდა ფანჯარას, რომ ალიონის პირველი შუქი არ გამოპარვოდა. დღე მაინც სულ სხვაა, დღისით ათასგვარი მალამო შეგიძლია მოუნახო დაწყლულეულ სულს, ღამე კი სწორედ მაგ წყლულს უჭერს თავის ავსა და აჩონჩხილ ხელებს...

როგორც იქნა, ინათა და ნათიამაც სასწრაფოდ გამოაღო ფანჯარა, დილის ნიავის საამო ამბორმა ერთბაშად შემატა უძილობით წართმეული სიმხნევე და ღიმილით გახედა არემარეს, საიდანაც ღამე ფაცხაფუცხით კრეფდა თავისი შავი ძაძის ბოლოებს.

მერე ხალათი გადაიცვა და დერეფანში ფეხაკრეფით გავიდა, მაგრამ იქ გზა ვერ აუქცია დიდ სარკეს, რომლის წინ კოპწიაობაც ბავშვობიდანვე უყვარდა, ახლაც ჩვეულებისამებრ შეათვალიერა საკუთარი თავი და შეკრთა — იმ ერთ ღამეში საოცრად გამოცვლილიყო. ის შუქმფენი სხივი, რომელიც წამწამთა ჩრდილის სიღრმიდან ანათებდა და უჩვეულო ლივლივით ცეცხლს მატებდა დიდრონ შავ თვალებს, ჩამქრალიყო. მის მაგივრად იქ უსაშველო ნაღველი ჩაბუდებულიყო. ნათიამ იცოდა, სწორედ ის სხივი იყო თავბრუდამხვევი, გულისდამპყრობი და შინაგანად ამაცობდა კიდეც. მასზე, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეზე; მეზობლის სტუმარმა აღტაცებით თქვა: ღირს, ამ თვალების გულისთვის ციხეში ჯდომაო. მაშინაც საოცრად შეეშინდა ნათიას, მაგრამ შინ დაბრუნებული მაინც გამარჯვებული და ამაცი იდგა ამ სარკის წინ. ახლა კი... მას უეცრად ტირილი მოუნდა, მაგრამ მოაგონდა წერილის სიტყვები „თუ გინახავს ხბოს თვალები, დიდრონი, სველი, ნაღვლიანი. მე მომინდა ამ მშვენიერებისათვის მეკოცნა“. ნათიას ტანში ჟრუანტელმა დაუარა... „მას მოუნდა ასეთი ნაღვლიანი თვალებისათვის ეკოცნა“. — ჩურჩულით წარმოსთქვა ქალიშვილმა და აქ მოხდა, საოცრებაც: „ეკოცნა“! — გაიმეორეს უცებ სახლის კედლებმა და ეს ხმა იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ სახლს თუნუქის სახურავი ახადა და ცაში აიჭრა. მერე ჩიტებმა გაიტაცეს და პაწია ფრთების ფათქუნით ქვეყანას მოსდეს, მზისკენ გააქანეს.

ნათიამ ყურებზე ხელები აიფარა და გაოგნებულმა ჩამოირბინა კიბე, მან აგვარის კარებიდან მოხედა სახლს, მაგრამ გარეგნულად არსად არაფერს არ ეტყობოდა ცვლილება.

„მგონი ჭკუიდან ვიშლები!“ — ჩაიჩურჩულა მან და კუტი კარს მიეყრდნო.

— ნათია, რა იყო, აგრე უთენია რამ წამოგაყენა, დღეს ხომ კვირაა? — გამოელაპარაკა მას რძალი, რომელიც გაოჩანებულ ხბოს დედას ვერ აცილებდა.

— არაფერია, დალი, წუხელ რაღაც ძილი გამიკრთა.

დალის გაეღიმა, მაგრამ მეტი არაფერი უკითხავს ქალიშვილისათვის.

— მე ძროხებს გავრეკავ, შენ კი ეს ხბო გადაიყვანე შემოკავებულში, — უთხრა დალიმ ნათიას უფრო იმ მიზნით, რომ დაბნეული ქალიშვილისთვის საქმე გაეჩინა. ნათიას ხბომ გულუბრყვილოდ მიაპყრო მზერა. ნათიამაც ერთხანს უყურა მას და მერე თავდავიწყებით დაუწყო კოცნა სველ თვალებში. ხბოც არ უძალიანდებოდა.

ამ დროს ფრთხილი ჩახველების ხმა მოესმა და ნათიამაც იქით მიიხედა, საიდანაც ხმა ისმოდა — ალაგეზე გუგუტა იდგა.

ნათიას პოზა არ შეუცვლია. მუხლებზე დაჩოქილს ხბოს თავი გულში ჩაეკრა და ჩაფიქრებული გასცქეროდა ვაჟს: „ან ახლა, ან... არა, სწორედ ახლა უნდა ვუთხრა ყოველივე. ოღონდ ფრთხილად, უმტკივნეულოდ. ხვალ შეიძლება გვიან იქნეს... ეგებ თვითონ დავმარცხდე საკუთარ სიყვარულში და ამის შემდეგ ვინიციობაა თავისუფალი გული დავუთმო კიდევ გუგუტას მგზნებარე გრძნობას, მაშინ ხომ მთელი სიცოცხლე გამაწამებს ის აზრი, რომ გული ბირჟაზე გავიტანე და მას დავუთმე, ვინც მეტი ფასი გაიღო მისთვის“.

— გამარჯობა, ნათია! — გუგუტა ნათიასთან მივიდა. ის, ჩანდა, დააბნია ქალიშვილის უჩვეულო მზერამ.

— გაგიმარჯოს, გუგუტა.

— გიყვარს?

— ძალიან!

გუგუტამ ამოიხვნეშა, თუმცა ორაზროვანი პასუხის არსს არც ჩაწვდენია.

— გუგუტა! — ჩურჩულით მიმართა ქალიშვილმა.

ვაჟმა უნებურად ჩაიმუხლა მის გვერდით და სასოებით შეხედა სანატრელს.

— შენ თუ გინახავს ასეთი ნაღვლიანი თვალები?!

გუგუტა დაიბნა.

— ჰო, დააკვირდი, გაიხსენე, თუ გინახავს.

— მინახავს. _ ნათია შეკრთა. „ვაითუ გუგუტამაც ირაკლის სიტყვები გაიმეოროს. — გაიფიქრა და ხმის თრთოლვით კვლავ გაუმეორა კითხვა.

— სად, გუგუტა? — ყველა ხბოს ლამაზი თვალები აქვს, ნათია.

— შეიძლება, მაგრამ ყველა თავისებურად ამჩნევს იმას, რაც მოსწონს, უყვარს...

ნათია უეცრად გაფითრდა, მან ცოცხალი ღობის გადაღმა თეთრწინწკლებიან წითელ თავსაფარს ჰკიდა თვალი. ნათიამ თავსაფარი იცნო, პეპსიკოლამაც იგრძნო, რომ ნათიამ შეამჩნია. ის სწრაფად მოშორდა იქაურობას.

გუგუტას არ გამოპარვია ქალიშვილის შეცბუნება, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის, რადგან ხედავდა, ნათია დღეს საერთოდ არ იყო ჩვეულებრივ განწყობაზე.

— სამწუხაროდ, — თქვა ნათიამ. — იშვიათად თუ ცდილობს ვინმე ის მოეწონოს, შეიყვაროს, ვინც სწორედ მისი ერთგულებისათვის შესაწირ ზვარაკად შეუქმნია შემოქმედს და შეუმჩნევლად იწვის, როგორც ხატის წინ დანთებული სანთელი.

ერთხანს პასუხი არ გაუცია გუგუტას. ბოლოს მაინც მოიკრიბა გამბედაობა და უთხრა:

— შენივე სიტყვებით მინდა გითხრა: რატომ არ ხედავ, რომ იმ სანთელივით ვიწვი?

— მთაში შენთან საუბრის შემდეგ ბევრი ვიფიქრე ამაზე. მე შენთვის არასოდეს შემიხედავს სხვა თვალთ. გიყურებდი ისე, როგორც ჩემს ჯემალის და ამიტომ ვიყავი თამამად. ალბათ, მკითხავ, რატომ არ ამჩნევდი ჩემში იმ ცეცხლს, რომელმაც ასე გარდამქმნაო. ალბათ იმიტომ არ ვამჩნევდი, გუგუტა, რომ მეც შეყვარებული ვიყავი. ძალიან უცნაური სიყვარულით მიყვარდა იგი და მიყვარს დღესაც. წელან რომ მიგანიშნე ზვარაკსა და სანთელზე, მათში პეპსიკოლას ვგულისხმობდი, პეპსიკოლას უყვარხარ, ბიჭო და თუ გინდა ბედნიერი იყო, ნუ უარყოფ მის სიყვარულს. ის შესანიშნავი გოგოა.

— ნათია, შენ ან ანგელოზი ხარ, ან სატანა, ან ორივე ერთად.

რამდენი ხანია შენს სიყვარულს გულით ვატარებ და აქამდე არ მიფიქრია, ვინ იყავი შენ!

— არა აქვს მნიშვნელობა, ჩემო გუგუტა, მე სატანა ვიყო, ოღონდ შენ მაინც დაიხსომე ჩემი შეგონება: ხელი მას გაუწოდე, ვინც გულს უანგაროდ მოგიძღვნის, მაშინ იქნები, ბიჭო, ბედნიერი!...

გუგუტა ჯერ კიდევ მოსავლის ზეიმზე მიხვდა, ნათია არ გაიზიარებდა მისი გულის ძახილს, რადგან მთელი ზეიმის განმავლობაში ქალიშვილს ისე ეჭირა თავი, თითქოს არც ამჩნევდა ჭაბუკს, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა — განაზება ქალიშვილების ჩვეულებრივ ხასიათად მიაჩნდა, იმდღევანდელმა შეხვედრამ კი საბოლოოდ დაარწმუნა მარცხში, მაგრამ ნათია მისთვის წმინდა სიყვარულის სათაყვანო კერპად ქცეულიყო, და ისე, როგორც მორწმუნეს არ უცვლის ხატის მიმართ რწმენას გაცრუებული იმედი (რადგან ესეც განგების ნებად მიაჩნია), არც გუგუტა გამსჭვალულა ნათიას მიმართ შურისძიებით. მან იგრძნო მხოლოდ, რომ ნათიას ვერ დაივიწყებდა.

ნათია შინ ვერ გაჩერდა. რა საქმეს არ მოჰკიდა ხელი, მაგრამ გული ვერაფერს ვერ დაუდო. ბოლოს გადაწყვიტა მაიასთან წასულიყო, მაგრამ ისევე გადაიფიქრა.

„ზურაბისას წავალ, ეთერიც ნაწყენი იქნება, ამდენი ხანი რომ ვერ მოვინახულე“ — გადაწყვიტა ნათიამ და მურიცხელას ნაპირზე დაემშვა, რომ მოკლე გზით მისულიყო მეგობართან.

ნათიას დიდი სიხარულითა და დაუფარავი სიყვარულით შეხვდა მთელი ოჯახი, ზურაბი არ იყო შინ.

ნათიამ დაკვირვებით შეათვალიერა ეთერის გარეგნობა, მერე გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

ეთერი გაწითლდა,

— ყოჩაღ თქვენ. მაშ როგორ, დამკვრელური შრომა შინაცაა საჭირო, ისე ვერ წავალთ წინ, მით უმეტეს, ასეთი დამაბული პოლიტიკური ვითარების დროს. ბევრნი და კარგები უნდა ვიყოთ, რომ გამარჯვების გარანტია მუდამ გვქონდეს.

— შენ მუდამ ხელთ გაქვს მამულიშვილური მოვალეობის ათასგვარი ფორმულა, თუ საუბარი სხვას შეეხება, მაგრამ ერთი შენ თვითონ რას ფიქრობ, ნუთუ არა გაქვს იგივე ვალი?

— შვილო, ეთერ, როცა ქალიშვილი ოც წელს გადაცდება, მაშინ თუ არ არის გამიჯნურებული, მერე ძნელია. — გამოელაპარაკა რძალს სამზარეულოში გასული თინა.

ეტყობოდა ის ჯურჯანს კმაზავდა, რადგან ოთახში ქონდრისა და ნივრის ნერწყვის მომგვრელი სურნელი ტრიალებდა.

— თინა დეიდა, ერთი სიტყვით, უკვე დროა მაჭანკლები დატრიალდნენ, არა? — თავისებური სიცილით უპასუხა ნათიამ.

— რა დროს მაჭანკალია? ქალ-ვაჟი ერთმანეთს რომ გააცნო, ეგ მაჭანკლობაა?

ნათია გრძნობდა, თინას გულწრფელად ეწადა მისი ბედნიერება, რადგან იცოდა, რომ ის სიყვარული, რომელიც ახლა მის ჭერქვეშ სუფევდა, ნათიას დამსახურება იყო. მართალია, ეს ხმამაღლა არასოდეს უთქვამს თინას და მისებური თავმოყვარეობა არც არასოდეს მისცემდა ამის თქმის უფლებას. სამაგიეროდ ასე უხმაუროდ ცდილობდა სიკეთის გადახდას.

— რა მოხდება ვითომ, ის ექიმი ბიჭი გააცნოთ ნათიას, ამით ეპოქას თანადროულობის ელფერს წაართმევთ თუ რა?!.. — კვლავ მიმართა თინამ რძალს.

— დედა, ეგ მართლაც კარგი რამე მოიფიქრე.

— ასეთნი ხართ თქვენ, ახალგაზრდები, თქვენსას გაინაღდებთ და მერე სხვა არც გახსენდებათ.

ეთერის ზურგი აუწვა დედამთილის მიერ მოხდენილად მოქნეულმა შოლტმა და პასუხად ჩუმად ჩაილაპარაკა.

— მაგრამ მისთვის უკვე ქსოვენ ბადეს.

— როგორ თუ ბადეს ქსოვენ, მეტს რას იზამენ აწი, ბარემ ისე გადაყირავდეს ეს ქვეყანა რომ ქალიშვილებმა თვითონ სდიონ ვაჟებს.

— ეგ რა შუაშია, დედა, სიყვარულის უფლება ყველასა აქვს.

რძალ-დედამთილის დიალოგს ყურს უხმოდ უგდებდა ნათია, რომელსაც უხერხულობის დასაფარავად ჟურნალი აელო ხელში და ვითომ მისი თვალთვლით იყო გართული.

— ვინაა მაინც ასეთი თადარიგიანი, რომ ბიჭი ჯერ კარგად არც ჩამოსულა და უკვე ხაფანგს რომ უგებს?

— ელიკო. ფედოსი ბიცოლა შემხვდა დღეს და მითხრა, კარგი ბიჭიაო ზურაბის მეგობარი. რომელი მეგობარი-მეთქი, უეცრად ვერ მოვედი გონს, ახალი ექიმიო, ფინურ სახლში რომ ცხოვრობსო.

— ნათია შეკრთა, მაგრამ თავი შეიკავა და ახლა უფრო გულისყურით

მოუსმინა მათ.

— ოო, თუ ასეა, ფედოსი უკვე თავისებურად ტრიალებდეს იქნება, მაგრამ მაგან იმ ბიჭთან მაინც როგორ უნდა გამონახოს საერთო ენა?

— ის ხომ უვლის იმ სახლს და ემსახურება კიდეც, თუ ვინმე დადგა მანდ!

— ელიკოს ჭკუა დაუკარგავს და ეგაა. თვითონ უთქვამს ფედოსისთვის?

— მაშ, თანაც გადაჭრით ამბობს თურმე, რომ გადავყვებიო ამ სიყვარულს.

— ღმერთო ჩემო!

— ვინ არის მაინც ეს მზეჭაბუკი, ქალიშვილი ასე რომ დაუბნევია? — როგორც იქნა, მოახერხა ნათიამ ხმის ამოღება.

— სულ რამდენიმე დღეა რაც ჩამოვიდა თბილისიდან. თბილისელია, იქიდან ცნობია ზურაბისაც, დიდი კაცის შვილია თურმე. გარეგნობითაც მშვენიერი და არც მიკვირს ელიკო აგრე რომ გაუსულელებია მის სიყვარულს.

— წავედი ეხლა მე!-თქვა ნათიამ და წამოდგა.

— კარგად იყავით, კიდეც გამოგივლით.

— რა მოგივიდა, გოგო, რა მიგარბენინებს, ეგ რა მოსვლაა? — წყენით მიმართა გაოცებულმა ეთერიმ, მერე თინას გასძახა — დედა, ნათია მიდის.

— ნანაგე, ნუ მიზამ ამას, მეწყინება იცოდე, აი მარტო ღომი მაქვს ამოსაღები, დანარჩენი მზადაა და ძალიან გთხოვ, არ გამაწბილო. — შეეხვეწა თინა.

— თინა დეიდა, ახლა გამახსენდა, რაღაც უნდა დამეწერა, საყვედური არ ამცდება თუ დავაგვიანე. — თქვა ნათიამ და დაემშვიდობა მათ.

— ეთერ, რაღაც ვაწყენინეთ მაგ გოგოს, თორემ, რომ მოვიდა, მშვენიერ ხასიათზე იყო.

— რა ვიცი, უცნაურად კი მოიქცა.

„ეგ რა თამაში იყო ვითომ! თავი გამაცნო, როგორც ღარიბმა სტუდენტმა, სინამდვილეში კი... არა, მაინც რას ნიშნავს ეს?“ — ფიქრობდა ეთერისგან წამოსული ნათია.

— ნათია! — ფიქრი შეაწყვეტინა ქალიშვილს ნახევარი ხმით

წარმოთქმულმა მისმა სახელმა, მის წინ ელიკო იდგა.

— რა იყო, ნათია, რა ფერი გადევს. ცუდად ხომ არა ხარ?

— ცუდად?! ჰო... არა, ისე დაღლილი ვარ. შენ საით?

— შენთან მოვდიოდი.

— ჩემთან?!

— ჰო, მაგრამ რაკი დაღლილი ხარ, ხვალ გნახავ.

— მოსმენა კი შემიძლია, ელიკო, მითხარ თუ რამე გაწუხებს.

ელიკო აიღეწა, მაგრამ სიყრმის მეგობართან მართლაც რა ჰქონდა მოსარიდებელი ან დასამალი და გულახდილად მოუყვა, თუ როგორ დაატყვევა ერთი ნახვით მისი გული იმ ბიჭმა, რომელიც „მწერალთა სახლში“ ცხოვრობს.

— მაგან არაფერი იცის?

— აბა საიდან?

— არც არავინ იცის?

ელიკო კვლავ უხერხულად შეიშმუშნა.

— კი... ფედოსის გავანდე. ახლა ვგრძნობ, რომ ავჩქარდი, მაგრამ იმ დღეს ის რომ დავინახე, უნებურად გამოვითიშე აზროვნების ცენტრიდან. არც ვიცი, რატომ გავანდე ფედოსის, ალბათ იმიტომ, რომ ყოველდღე ხედავს მას და კიდევ ალბათ იმიტომ, რომ მაჭანკალი ჰქვია. არ მეპატიება!

— ამოიოხრა ელიკომ.

— გეპატიება!

— მეპატიება? _ თვალეები გაუფართოვდა ელიკოს.

— დიახ, რადგან ძლიერმა გრძნობამ ეგრე იცის, მით უფრო ნიაღვარივით უეცრად მოვარდნილმა. ძალიან გიყვარს?

— ძალიან! ასე მგონია ბედისწერაა ჩემი, რადგან ასეთი საოცარი რამ ჯერ არ დამმართნია. მე ბავშვი ხომ არა ვარ!

— მაინც სულ არაფერი არ იცის მან ამის შესახებ?

— როგორ გითხრა, გუშინწინ ზურაბიმ გაგვაცნო მე და მაიას. მე მგონი... შეჩერდა ელიკო.

— შენ რა გგონია? — ხმა გაუდრკა ნათიას.

— გულგრილად არც ჩემთვის შემოუხედავს.

- მაშინ, მეტი რაღა გინდა? აგრე იწყება სიყვარულობანა.
- ვითომ?
- გეფიცები!



რეიდიდან დაბრუნებული ნათია მასალების შემოწმებას მეუდგა, მაგრამ ისეთ შინაგან დაძაბულობას განიცდიდა, რომ რამდენჯერაც ჩაიკითხა პირველი გვერდი, იმდენჯერ იძულებული გახდა თავიდან დაეწყო კითხვა — აზრი გონებამდე ვერ მიჰქონდა.

„ღმერთო ჩემო, რა მეშველება, ნუთუ ასეთ დაბნეულობას ბოლო არ მოეღება“ — გაიფიქრა ნათიამ და მასალები უკმაყოფილოდ შეინახა უჯრაში.

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო.

- იმედი მაქვს ახლა მაინც არ გაიქცევი, ნათია.
- ირაკლი. შენ? — ნათია გაფითრდა.
- მე ვარ, ნათია.
- კიდევ თამაშობ?
- უკვე დავასრულე, თუმცა არასოდეს არ მითამაშია!
- არ გითამაშია?
- არა! — ვაჟის ხმა ისე მტკიცე იყო, რომ ნათია მიხვდა, არ უნდა მიეცა ასეთი შეკითხვა.
- მე მთელი მონღოლებით ვაკეთებდი იმას, რასაც შენ თამაშს უწოდებ. ნათია, მე ჩემი გზით მოვედი შენთან და არა მაქვს სურვილი ისევ თავიდან დავიწყო ყოველივე, გაცვეთილი, მოძველებული ფრაზებით გითხრა ის, რაც უთქმელადაც ცხადია.
- სწორი ხარ, ისედაც ცხადია და არაა საჭირო... — ნათიას უცებ თვალწინ დაუდგა ელიკო, ცხადად ჩაესმა მისი სიტყვები. „მე მგონი ის ბიჭი ბედისწერაა ჩემი“ და შეშინებული მზერა მიაპყრო ირაკლის.
- ქალიშვილის უცნაურმა მზერამ გააოცა ვაჟი.
- რა მოხდა, ნათია?...

— არაფერია... მგონი არც მე მაქვს რაიმე სათქმელი.

— მაშ სიზმრების ღამე გათენდა, არა!

— გათენდა, ირაკლი!_ ნათიამ ამ ხნის განმავლობაში პირველად შეხედა თვალებში პირდაპირ, გულლიად.

რამდენი წყვილი თვალი ენახა ირაკლის, ლამაზებიც, ულამაზონიც, სევდიანნიც, მხიარულნიც... მათში გრძნობები თითქმის ერთნაირად დუღდა ზედაპირზე და უხმოდ, მაგრამ მაინც აშკარად უხმობდნენ: ხომ ხედავ, ფიალა შარბათით ავსებულა და მოუთმენლად გელის, ნუ აყოვნებ, დაეწაფე და შესვიო. ნათიას თვალებში კი ბრდღვიალა მზის სხივჩახლართული ზღვა ლივლივებდა. მის უძირო სიღრმეში უამრავი... უამრავი იდუმალი სანთელი ციმციმებდა. თითქოს იქ უხილავი ხატიც ესვენა, რომელიც უნებურად თავს დაგახრევენებდა, მუხლის მოდრეკა მოგინდებოდა და ბაგეებს აუცილებლად მოსწყდებოდა სახელდახელოდ შეთხზული წრფელი ლოცვა.

— ირაკლი, გთხოვ დამტოვო მარტო! — ჩაიჩურჩულა ნათიამ.

ვაჟი, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, შეტოკდა და გაუღიმა ქალიშვილს.

— შენი ნებაა. — უთხრა და გავიდა.

ირაკლის გასვლის შემდეგ სერაპიონი შევიდა ნათიასთან. სერიოზული კაცის იერის შესანარჩუნებლად შეყრილ ქერა წარბებს ქვეშ შეყუჟულ ჭროლა თვალებში აციმციმებული ღიმილი სასაცილოს ხდიდა მას.

სერაპიონმა მალე ირწმუნა, რომ ნათიას მხოლოდ სიკეთე და სიმართლე ალაპარაკებდა მასთან მკვახედ, თორემ საქმით ცუდს არასოდეს გაუკეთებდა. ქალიშვილში უსაზღვროდ იყო მოძალებული სიკეთის წყურვილი და თანდათან სერაპიონიც კეთილად განეწყო მის მიმართ.

სერაპიონს რომ შეხედა, ნათიამ ღიმილი ვერ შეიკავა, მან უკვე იცოდა სერაპიონის თავში რა ჩიტიც აფათქუნებდა ფრთებს და თვითონ დაასწრო:

— გრიპი ხომ არ გჭირს, სერაპიონ, ცხვირი საეჭვოდ რომ დაგწითლებია?

— ჩემს ცხვირს გარეგნული ღირსებებთან ერთად ქიმიური თვისებებიც გააჩნია, რო იცოდე.

— ეგ როგორ, კაცო? — ნათია მშვენივრად ახერხებდა შინაგანი მღელვარება სერაპიონის მეგობრულ ქილიკში დაეცხრო. — მაინც რა თავისებურებაა ასეთი, არ იტყვი?

— ლაკმუსის ქაღალდისა,

— საოცარია...

— მართალს გეუბნები, როცა გულით გამიხარდება რამე, მაშინ გამიწითლდება, როცა მეწყინება — გალურჯდება.

— იშვიათი ეგზემპლარი ყოფილხარ, სერაპიონ ჩემო, მაგრამ, თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, ეგებ მითხრა, დღეს რა გაგხარებია ასეთი?

— შენ რომ გენახა კიბეებზე ჩამავალი ჭაბუკი, მაშინ ასე არ შემეკითხებოდი. მე ამ ხნის კაცი ვარ და ასე ბედნიერი ადამიანი ჯერ არ მინახავს და აქაც იმ სურვილით შემოვედი, რომ პირველმა მოგილოცო შენ ბედნიერება. ნათია, მართლაც „ფერი ფერს და მადლი ღმერთსო!“. გაიხარეთ, გამრავლდით!...

— სერაპიონ! — სახელეწილი ნათია ცდილობდა შეეჩერებინა ექსტაზში შესული სერაპიონი, რადგან ღია კარებში თანამშრომლები იდგნენ, მაგრამ სერაპიონს არაფერი ეყურებოდა. უფრო მეტიც, ეტყობოდა, თანამშრომლები მანვე გააფრთხილა წინასწარ.

ნათიას გული აუჩუყა მათმა გულწრფელმა ღიმილმა, ქალიშვილმა აშკარად იგრძნო, რომ მათ ესმოდათ მისი. სწყუროდათ მისი სიკეთე და ... ბედნიერების ცრემლებმა საგნებს ფორმა დაუკარგეს, ირგვლივ ყველაფერი ღიმილის ზღვაში ატივტივდა და მზისფერი გახდა გარემოც. „ალბათ ესაა ბედნიერება — მზისფერი და მსუბუქი!“ — ფიქრობდა ნათია.



— მაია, დიდი და სერიოზული საქმე მაქვს შენთან!

— გისმენ, ნათია, — ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა მაიამ.

— იცოდე თვეზე მეტია ამ ვარაუდზე ვარ და პირველი შენა ხარ, ვისთანაც ამის შესახებ ვამბობ. მჯერა გამიგებ და დახმარებასაც გამიწევ.

არც ის მაეჭვებს, დრომდე ყველაფერს საიდუმლოდ შეინახავ.

— თუ მენდობი, ასეთი შესავალი რა საჭიროა?

— არ ვიცი, ხანდახან ისეთ განწყობაზე ვდგები, რომ საკუთარ თავშიც მეპარება ეჭვი და ნუ მიწყენ შენც... მგონი, ირინეს მკვლევს მივაგენი.

— ნათია! — სიტყვა გაუწყდა მაიას.

ნათიამ დაწვრილებით უამბო ახალ ვერსიაზე. ბოლოს კი ჰკითხა:

— შეგიძლია დაიჯერო?

— აქ არაფერი არაა დაუჯერებელი. მითუმეტეს მისთვის, ვინც კიტას იცნობს. ხომ გახსოვს, კოლმეურნეობის ყანებზე გამავალ ბილიკზე ჯუმელი გოგონა რომ დაიჭირა. კიდევ კარგი, რომ იქვე ახლო იყო მეველე ბეგო და გოგონას კივილი გაიგონა...

— მახსოვს. საუბედუროდ, მახსოვს, მაგრამ მის თვალწინ გაზრდილობოლთან მაინც როგორ არ შეაჩერა რაიმე ადამიანურმა გრძნობამ.

— კიტა და ადამიანობა?!

— ჩვენ ისე ვსაუბრობთ, თითქოს რაიმე ნივთიერი სამხილი გვქონდეს ხელთ და არა არასპეციალისტის ვარაუდზე დამყარებული ვერსია. ჩვენი არგუმენტები ხომ მხოლოდ ვარაუდია. გამოძიებას კი ნივთმტკიცება და ცოცხალი მოწმეები სჭირდება. გარდა ამისა, ჩვენ არც ის ვიცით, იმ ღამეს კიტა მართლა მარტო იყო შინ თუ არა. მართალია, ტასიას ახალი კაბა თბილისში წასასვლელად უნდოდა, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ის ნამდვილად იმ ღამეს წავიდა. თან თამრიკოც უნდა წაიყვანოს. ამას ახლა აშკარად ვერ გამოიკითხავ, ძალზე დიდი სიფრთხილეს საჭირო. ყველაფერს დაზუსტება სჭირდება.

— მერე რა ძნელი საქმეც ეგ არის?

— ძნელი შეიძლება არ იყოს, მაგრამ სიფრთხილეს საჭირო.

— არაფერი გაქვს მოფიქრებული?

— შენ უნდა გაესაუბრო თამრიკოს.

— თამრიკოს?

— ჰო. ისეთი ღონისძიება მოიფიქრე, სადაც მოსწავლეებსაც ჩართავ. მითუმეტეს, თამრიკო უკვე მეთე კლასშია.

— მოვიფიქრებ რამეს.

— წინასწარ უნდა დაგეგმო სასაუბრო თემა, რომელიც აუცილებლად

თბილისთან იქნება დაკავშირებული, ფრთხილად გამოკითხე, ჯერ თუ ყოფილა თბილისში და თუ ყოფილა, როდის? გახსოვდეს, შენ გაინტერესებს შარშანდელი ხუთი აგვისტო. ამავედროს არ დაგავიწყდეს, რომ საექვო მანქანას მარცხენა შუქი არა აქვს. არც ის, რომ სამოქმედო დრო მოიცავს შუალედს ღამის თერთმეტიდან თორმეტ საათამდე. საინტერესოა, სად და როდის გაიგეს ირინეს უბედურების ამბავი.

— ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ გაგიხარდება. თუ გინდა, საუბარს ჩავიწერ.

— თუ შესაძლებლობა გაქვს, უკეთესია.

— მაქვს.

— როდის მნახავ?

— მაშინვე, როცა დავალებას შევასრულებ!



ყოჩაღ ბაჩო, კარგად შერჩეული მომენტებია, მაგრამ მე მაინც ამას მივაკუთვნებ უპირატესობას. — უთხრა ნათიამ გვერდით მდგარ ფოტოკორესპონდენტს და მაგიდაზე გაშლილი სურათებიდან ერთი აიღო. — ამაში კულტურული დასვენებისა და შრომის რიტმი ისე შერწყმია ერთმანეთს, რომ მართლაც აშკარად ჩანს ადამიანის ლამაზი ყოფისათვის მათი ურთიერთ შემაჯავებელი თვისება, კარგია.

ამ დროს მდივანმა ქალიშვილმა შემოაღო კარი.

— ნათია, რედაქტორი გიბარებს!

ნათია მაშინვე გაჰყვა.

— ამაღამვე უნდა წახვიდე თბილისში. — უთხრა ბიძინამ კაბინეტში შესულ ნათიას.

— თბილისში? რა მოხდა ასეთი?

— ეს წუთია დარეკეს, ხვალ თერთმეტ საათზე ჟურნალისტთა თათბირია დანიშნული.

ნათიამ უკმაყოფილოდ აიჩეჩა მხრები.

— კი მაგრამ სახლშიაც ხომ უნდა წავიდე?

— ალბათ. შინ შეუვლელად ხომ ვერ წახვალ.

— მან თითი დააჭირა ღილაკს.

ისევ შემოვიდა მდივანი.

— მძლოლს დამიძახე.

მალე მძლოლიც გამოცხადდა.

— ნათია წაიყვანე მურიცხაში, იქიდან კი რკინიგზის სადგურში.

ბიძინა ბოლო დროს აშკარად შეიცვალა, ცდილობდა მეტი პრინციპულობა გამოეჩინა და, საერთოდ, იმ დღიდან ნათიასთან პირისპირ საუბარს თავს არიდებდა. ის ისეთი ბავშვივით იქცეოდა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და დაისაჯა კიდეც, მაგრამ ამ სასჯელმა უფრო ნათლად შეაგნებინა თავისი დანაშაული. ნათია ვითომც არ ამჩნევდა ბიძინას სულიერ ტკივილს, სინამდვილეში კი განსაკუთრებით ადევნებდა თვალ-ყურს და გულში ზეიმობდა გამარჯვებას. ბიძინა თანამშრომლებისადმი უყურადღებო არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახლა ისე იქცეოდა, თითქოს მშობელი მამა საკუთარი ქალიშვილის გამგზავრების თადარიგს იჭერდა. სახეზეც კმაყოფილების უჩვეულო შუქი ეფინა.

რედაქტორის კაბინეტიდან გამოსული ნათია ერთხანს ჩაფიქრებული იდგა დერეფანში. მერე თავის კაბინეტში შევიდა და მაშინვე ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— ალო, მურიცხას საავადმყოფოა?

— არა, მეფრინველეობის ფერმაა. _ყურმილი ბრაზით დააგდო.

— ესეც ტელეფონია რა! ალთას დარეკავ ბალთას მოხვდები! _ ჩაილაპარაკა მან, კარი გამოიხურა და წავიდა.

ნათიას შინ მარტო რძალი დახვდა. როცა უთხრა თბილისში მივდივარ სასწრაფოდო, არ გაკვირვებია, თითქოს წინასწარ იცოდა.

თუ სხვა დროს დიდხანს იდგა ხოლმე სარკის წინ, ახლა არ დაუყოვნებია. შავი, წვრილხაზებიანი ველვეტის კაბა სწრაფად ჩაიცვა, თმა კეფასთან აიკრიფა, შავი ბეწვის ქუდი დაიხურა, რომელიც მაღალ შუბლზე ოდნავ წინ დაწეული საოცრად უხდებოდა და ის-ის იყო პალტო უნდა მოეხურა, რომ დალიმ უთხრა:

— ნათია, ესეც გაიკეთე. — მას ხელში შავი ხავერდის წვრილი ზონარი ეჭირა, რომელზეც ძვირფასი კულონი იყო გაკეთებული. ხომ გახსოვს,

როგორ უყვარდა დედას, ამას რომ ატარებდი! შენ კი იმის მერე არც გაგხსენებია.

ნათიამ უსიტყვოდ ჩამოართვა და კაბის ჩახსნილ მაღალ საყელოში თეთრად მოქათქათე ყელი ერთობ დაამშვენა კულონმა.

— ასე კარგია! — თქვა დალიმ და ნათიას თვალი აარიდა.



ნათია სიყვარულით შეჰყურებდა თბილისური პეიზაჟის ცალკეულ კონტურებს. მიჯრით ჩამწკრივებულ მაღალ კორპუსებს, უზარმაზარ ამწეებს, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, მტკვრის მღვრიე ტალღებს, ღრმად სუნთქავდა თბილისური სურნელით გაჟღენთილ დილის ჰაერს და ბედნიერი იყო მიუხედავად იმისა, რომ იცოდა სადგურში არავინ დახვდებოდა, არავინ ჩაიკრავდა გულში, არავინ მოიკითხავდა. მაგრამ თვით თბილისი ხომ ელოდა, რომელიც თავის ფრთებქვეშ სათუთად ინახავდა ნათიას სტუდენტობის ნათელ წლებს.

— პირველ ლიანდაგზე შემოდის თბილის-ფოთის მატარებელი. — გაისმა რეპროდუქტორში მორიგეს ხმა.

— შენ ნუ იტყვი, მე თვითონ თუ მივხვდები, გული თუ მიგრძნობს, რომელია შენი რჩეული — უთხრა შუახნის ქალმა შავი, ახალი ვოლგის საჭესთან მჯდარ ახალგაზრდას და მინა ასწია, რადგან დეკემბრის სუსხიანი ქარი უბერავდა.

— კეთილი, დედი!

... რკინიგზის სადგურის გვერდით დაღმართზე მალე გამოჩნდა თბილის-ფოთის მატარებლით ჩამოსულთა ნაკადი, რომელიც მოვარდნილი ნიაღვარივით გაქანდა ტაქსების გაჩერებისაკენ. ყოველი მგზავრი ცდილობდა პირველი მისულიყო და ერთი აგურივით მიმატებოდა ისედაც გაჭიმულ ცოცხალ რიგს.

ვოლგაში მსხდომნი გაფაციცებით აკვირდებოდნენ ხალხს.

— ეგებ არ წამოვიდა, შვილო? — თქვა ქალმა და ხმაშივე შეეტყო გულისტკივილი.

— რა სულწასული ხარ, ვერ მოიცდი ცოტას?! — უკმაყოფილოდ

გადაულაპარაკა გვერდით მჯდარმა მამაკაცმა.

— არა, დედი, წამოვიდოდა.

— მოიცა, აგერ მოდის. მე ქალი არ ვიყო, ის თუ არაა... — თქვა ქალმა და ისევ ჩაწია მინა, რომ უკეთ დაენახა ყელმოღერე

ბული ქალიშვილი, რომელსაც შავი ქუდი ისე ადგა მაღალ შუბლზე. თითქოს სამეფო გვირგვინიაო, თვალ-წარბიც მეფური, დიდრონი და გადაშლილი, საოცრად ამშვენებდა და გამორჩეულს ხდიდა.

— შვილო, მე მინდა, რომ ეს იყოს!

— რა თავნება ხარ, დარეჯან, ასე როგორ შეიძლება? — კვლავ მისცა შენიშვნა ქალს კაცმა.

— ისაა, დედი! უპასუხა ვაჟმა და მანქანიდან გადავიდა.

— ნათია!

ქალიშვილი შედგა. ოდნავ შეკრთა კიდეც.

— ნათია! — ისევ დაუძახა ვაჟმა.

— ირაკლი, შენ? — ახლავა შეამჩნია იგი და სიხარულისაგან დაიბნა, — როდის ჩამოხვედი? —

— უეცრად მომიხდა წამოსვლა. შენ დაგირეკე, მაგრამ ადგილზე არ იყავი. წამოდი, ჩემი მშობლები გაგაცნო.

— მშობლები?!

— ჰო, ეს-ესაა მამაჩემის მეგობარი გავაცილეთ დილის მატარებლით და ახლა შინ ვბრუნდებოდით.

ამასობაში ისინი მომღიმარი ქალისა და კაცის პირისპირ აღმოჩნდნენ.

— ჩემი ახალი მეგობართაგანია, ნათია ლორია, ჟურნალისტი, გაუთხოვარი, ოცდაოთხი წლის.

— ირაკლი! — ქალიშვილს შერცხვა ვაჟის ამგვარ სიანცეზე.

დამხვდურებმა მალულად კიდეც ერთხელ აათვალიერ-ჩაათვალიერეს ქალიშვილი. სიამოვნებისაგან სახეგაბადრულებმა მანქანაში მიიპატიჟეს.

— არა, მე ჟურნალისტთა სახლში უნდა მივიდე თერთმეტ საათზე. თათბირი მეწყება. თქვენ გზა რატომ უნდა გაიმრუდოთ?

— რაკი ირაკლის მეგობარი ბრძანებულხართ, ვალდებულიც ვართ

მასპინძლობა გაგიწიოთ. შინ წამობრძანდით, ვისაუზმოთ, მერე მე და გიორგის აეროპორტში გაგვაცილებთ, მოსკოვში მივფრინავთ. ამასობაში თეთრმეტი საათიც გახდება და ირაკლი ადგილზე მიგიყვანთ. — ქალი მეტად ენაწყლიანი გამოდგა, თან სიტყვებსაც განსაკუთრებული სითბოთი ამბობდა და თვალელებშიც ასეთივე შუქი ედგა.

ნათიას არ შეეძლო მისთვის უარი ეკადრებინა.



... მანამდეც რამდენ მდიდარ ოჯახში ყოფილა ნათია, მაგრამ ვერ წარმოედგინა ამგვარი ფუფუნება ახლანდელ დროში ასე ხელმისაწვდომი თუ იქნებოდა.

— ექვსი ოთახია, მეშვიდე კიდეც მოსამსახურე ქალისათვის ლოჯის მხარეს გადავტიხრეთ, — აუხსნა დიასახლიმა, რომელსაც ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, ყველაფერი ეჩვენებინა ქალიშვილისათვის. მაგრამ ნათია არც კი დაინტერესებულა ოთახების რაოდენობით, საერთოდ ერთი ნახვით ვერც გაიგებდა კაცი, რომელი ოთახი სად იწყებოდა და სად უერთდებოდა მეორეს. კარებიდან შემოხვიდოდით თუ არა, მუხის ფიცრით მოპირკეთებული დერეფანი ვრცელსა და სინათლიან დარბაზში შეგიყვანდათ, დარბაზის შუა ადგილი ოდნავ თაღოვანი იყო, თალი თავის მხრივ საუცხოო ორნამენტებიან ოთხ სვეტს ეყრდნობოდა, რომელთა მხოლოდ შიდა მხარეები ჩანდა, დანარჩენი კედლების კუთხეებში იყო ჩაშენებული. თაღქვეშ ფერადი ბროლის უცხოური ჭალი ეკიდა. დარბაზი მთლიანად მოფენილი იყო მაღალბეწვიანი ძვირფასი ხალიჩებით, გემოვნებით იყო განლაგებული არაბული ავეჯიც. კედლებს მუხის კარები ჰქონდა დატანებული — ალბათ ოთახებში გამავალი. დარბაზი ერთ მხარეს ღია კედლით გადიოდა სასადილო ოთახში, რომლის მორთულობაც არაფრით ჩამოუვარდებოდა დარბაზის ფუფუნებას.

ნათია შეცბუნებული შეჰყურებდა ყოველივე ამას და უკვირდა, გარეგნულად ჩვეულებრივი, რვასართულიან თანამედროვე ტიპის სახლში, ოთახების ასეთი წყობის თუ მოწყობის ფორმა რომელი პროექტით იყო ნებადართული.

— სანამ საუზმეზე დაგვიძახებდნენ, შეგვიძლია გავერთოთ. — უთხრა

ირაკლიმ ნათიას და მაგიდაზე დალაგებულ უცხოურ ჟურნალებზე მიუთითა.

ისეთ გარემოში, სადაც ყოველი ნივთი მედიდურად იმზირებოდა, ირაკლის უბრალოდ ნათქვამი სიტყვები ოთახში ძალად შემოჭრილი თავნება ქარის შრიალივით გაისმა. ქარისა, რომელიც ფარდებს ბაირალივით ააფრიალებს, აბურდავს და დაარღვევს ოდითგანვე დამკვიდრებულ წესრიგს.

ნათიამ გულში მადლობა გადაუხადა ღმერთს, რომ ცოლ-ქმარმა ადრევე მისცეს მათ თავისუფლება და არ გახდნენ ისინი მისი დაბნევის მოწმენი. ირაკლი?... ირაკლი გაუგებს.

მალე სუფრასთანაც მიიპატიჟეს. ნათია გრძნობდა, რომ ირაკლის მშობლები საქმის კურსში იყვნენ და აშკარა იყო ეთანხმებოდნენ შვილს არჩევანში, მაგრამ ნათიას მაინც აწვალებდა ფიქრი. მგონი ირაკლი კიდევ თამაშობს, რატომღაც ეს შეხვედრა არ გავს შემთხვევითს, თითქოს ელოდნენ მას, თითქოს ყველაფერი იციან. ეს ფიქრი არ მოშორებია არც საუზმის დროს და არც აეროპორტისაკენ მიმავალს, მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა რეპროდუქტორში საამო ხმამ თბილის-მოსკოვის თვითმფრინავის მგზავრთა რეგისტრაციის დაწყება გამოაცხადა.

— ნათია, — მიმართა ირაკლიმ ქალიშვილს. — ვერ გაუგებ ხანში შესულ ხალხის კაპრიზებს.

ირაკლი გულლიად იცინოდა.

— რა იყო, ირაკლი?

— დედამ და მამამ უეცრად უარი თქვეს გამგზავრებაზე. დაუჩემებიათ, თქვენ წადითო.

— როგორ თუ თქვენ წადითო! — კოპები შეიკრა ნათიამ.

— კი, შვილო, ასე სჯობია. დღეს გასაკეთებელი საქმის ხვალამდე გადადება რა საჭიროა?! — ჩაერია საუბარში დარეჯანი.

— ირაკლი, რას გავს ეს? — ნათიას წყენამ ხმა შეუცვალა. ლამის პატარა ბავშვივით ეტირა.

ირაკლიმ პასუხად უმისამართო კონვერტი ამოიღო და გადასცა:
ნათიამ სწრაფად გახსნა:

„საყვარელო დაო, როგორც იტყვიან ხოლმე, ჩემს ხელში ხარ, გაზრდილი და ზედმიწევნით ვიცნობ შენს ხასიათს. ვიცი, რამდენადაც

თანამედროვე ქალიშვილი ხარ, იმდენად პატივსაც სცემ ყველა ტრადიციას, რომელშიც ადამიანისადმი სიყვარული და პატივისცემა ჩადებულია. აქედან გამომდინარე ვიცი, ერთი წელი მაინც არ გათხოვდები. ეს კი არაა საჭირო. ძვირფასო, ხომ იცი, დედაჩემს საფლავში შენი ამბავი მიყვება ჯავრად და დაე, მისმა ძვლებმა მშვიდად განისვენონ საუკუნო სასუფეველში — იგი იგრძნობს შენს ბედნიერებას. მეც მომეცი უფლება მშვიდად ვიყო.. ჩვენ ირაკლიმ გაგვანდო ყოველივე. წერილში ყველაფერს ვერ დავწერ, ამიტომ გამიგე, არაა საჭირო საქმის გაჭიანურება. იყავით ბედნიერნი. ნანო."

„ეგ რა ჭკვიანი მეუღლე მყოლია, ნათია ჩემო. ამგვარი სტრატეგიული აზროვნების გამო დღეიდან უფრო დავაფასებ მას.

გისურვებთ ბედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და მთელი სიცოცხლის მანძილზე, თაფლობის თვეს! ლევანი“.

ნათიამ წერილი წაიკითხა.

დაბნეულობა და მკრთალი ფერი მის ისედაც სანდომიან სახეს უფრო მიმზიდველს ხდიდა.

— ახლა მივხვდი, განსაკუთრებული ყურადღებით რატომ მექეოდა გუშინ ყველა. შეთქმულება მოუწყვიათ. — ჩაილაპარაკა ნათიამ.

ირაკლი იცინოდა.

— ბედნიერნი იყავით, შვილებო, ბედნიერნი! — მერამდენედ ჩურჩულებდნენ ამ მოკლე, მაგრამ ბევრის დამტევ ლოცვას ირაკლის მშობლები და ხელს უქნევდნენ უკვე ტრაპზე მდგარ მზისსადარ ქალ-ვაჟს, რომელნიც თითქოს ღმერთს განგებ შეექმნა ასე მშვენიერნი.

როცა თვითმფრინავი ჰაერში აიჭრა, დარეჯანმა და გიორგიმ ერთმანეთს შეხედს, არც ერთი გრძნობდა და არც მეორე, ლოყებზე რა ღვარღვალით ჩამოსდიოდათ ცრემლი.

— დარეჯან!

— გიორგი!

ისინი უეცრად ერთმანეთს გადაეხვივნენ და ახლა მათი ბედნიერი სიცილი გაეჯიბრა თვითმფრინავის შორეულ გუგუნს.



— ჩვენი ხნის, ალბათ, როკი არ მოიძებნება მურიცხას ტყეში. აბა, დაუფიქრდი, რამდენი ხანია, მოვდივართ... სხვა რომ არა იყოს რა, რამდენი წყვილი ფეხსაცმელი გაგვიცვითია. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ფაბრიკა. თუ „ისანის“ იარლიყი აქვს ფეხსაცმელს, არ შემეშინდება, ვაითუ ვერ მოვასწრო ამის გაცვითა-მეთქი.

— ჰოდა, ჩვენც ვიაროთ, ჩემო ძოკია, სიარულშია, მოძრაობაშია თვით სიცოცხლის ქვაკუთხედი. ეს ჩემი მოგონილი არ გეგონოს შენ, წიგნებში წერია მაგი!..

— გინდ შენი იყოს რა, არ დაეჯერება თუ? მაგრამ მე სხვა რამეზე დავიწყე საუბარი. — მან ცოტა ხანს იყუჩა. ტაიაც განგებ არ იღებდა ხმას.

— ჩვენი ახალგაზრდები რატომ წუწუნებენ, რა აკლიათ, ჩასაცმელი თუ დასახური? საჭმელი თუ სასმელი, სახლი თუ კარი, მათ გონიათ ახალი დროის დადიებად არიან შობილნი და ყოველი სურვილი უნდა აუსრულდეთ, განა ცოტა რამ დაუთმეს, ცოტა რამ გაკეთდა მურიცხაში? მთლად ხომ არ უნდა გაუვიდეთ თავს? ეჰ! ჩემო ტაია, შენც გახსოვს, მათს ასაკში შარვალი ხეირიანად არც წინას გვიფარავდა და არც უკანას და თუ ავჯანყდით უნდა ავჯანყებულყავით, რადგან არსებობისათვის სხვა გზა არ გვექონდა. ახლა ამათ რა უნდათ? იმდენს ბაქი-ბუქობენ, იმდენს ყვირიან და არც იციან რა უნდათ, სოფელი მუდამ სოფელი იქნება და ქალაქი კი — ქალაქი. ამ ზღვარს ეს ტეტიები ვერ წაშლიან, — ბრაზით გადააფურთხა ძოკიამ და თავისი ხელით გათლილი ყალიონი გააბოლა.

— შენ რომ ფიქრობ, ეგრე როდია საქმე. შენ ხომ მაშინაც იმ სულისკვეთებით იბრძოდი, რომ საღი შარვალი გქონოდა, რომ მაძლარი ყოფილიყავი... შენთვის რაც ის შარვალი და მჭადი იყო, ის არის ახლა ამ ახალგაზრდებისათვის ყოველივე ის, რისთვისაც ხანდისხან ზემდგომთ ედავებიან, და რაც შენ არ გიჯდება ჭკუაში.

— მე, როგორც უბირს, შეიძლება ჭკუაში ბევრი რამ არ მიჯდებოდეს სწორად, მაგრამ შენ, ამ ნაკითხ, განათლებულ, პედაგოგ კაცსაც არ გადგია ხეირი, ვხედავ მაგას მე. მოეშვი მაგ წიგნებს და საერთოდ, წიგნის ენით ნუ მელაპარაკები.

— მე წიგნის ენით როდი გეუბნები, ძოკია, არამედ ცხოვრებისეული ენით გიყვები იმას, რასაც თვითონ ყოველდღიურობა გვკარნახობს. გვირჩევს და გვიჩვენებს უკეთესი მერმისისათვის. გუშინ რომ მიირთვი,

ის სადილი გეყოფა დღეს? ან დღევანდელი ხვალ?.. დღესვე უნდა იზრუნო ხვალისათვის _ ასეა ეს! დღეს ცხოვრება უფრო რთული და მომთხოვნია. ჩვენ დღევანდელი დღისათვის კი არ ვცხოვრობთ, არამედ ხვალინდელისათვის, თუნდაც ეს ხვალინდელი ჩვენ უკვე არც გვეკუთვნოდეს...

— შენ ყოველთვის ასეთი ყინჩი იყავი, ყოველთვის ვიღაცას რაღაცაში ედავებოდი, იბრძოდი და ამ მიხრწნილობის ჟამსაც არ იშლი შენებურ ხასიათს! — თანდათან ცეცხლდებოდა მოკია.

— კაცში ხასიათი ლერწამივით კი არ უნდა ირხეოდეს, არამედ ბერმუხსავით ურყევად, მძლავრად უნდა იყოს ჩაწნული სულში, მთელს არსებაში. ჩემი ხასიათი ჩემი სისხლ-ხორცეული ნაწილია, მაგრამ ის ნაწილია, რომელზეც დროჟამი ვერ მოქმედებს. ჩვენ ორივე ერთად ჩავალთ სამარეში, მაგრამ იმ სხვაობით, რომ მე, შენი თქმისა არ იყოს, ფიზიკურად მიხრწნილი, ის კი კვლავაც ჭაბუკი.

მოკიამ ამოიხვნეშა: — ძაღლს ძაღლის ტყავი როდის დაუხვევია.

— ეგრე ნუ იტყვი, მე ახალგაზრდებს იმიტომ ვამართლებ, რომ მართალნი არიან. იმათ რომ არ ეთქვათ, მე გამოვდგებოდი, მე ვიტყოდი ყველაფერს პარტიული ორგანიზაციის ამასწინდელ კონფერენციაზე.

— რას იტყოდი შენ!

— იმას, რომ კმარა ამდენი თვალის ახვევა, რომ ამ ფანდს უკვე ყავლი გაუღდის!

მოკიამ წაუყრუა.

— იმ დღეს რესპუბლიკის თავკაცმა აი აქ, ჩვენს მურიცხაში, რომ ჩაიარა, რა უნდოდა თუ იცი? რა აინტერესებდა? _ იკითხა ტაიამ, მაგრამ რაკი იცოდა, მოკია პასუხს არ გასცემდა, თვითონვე უპასუხა. მას უნდოდა საკუთარი თვალით ენახა, ჩვენი ცხოვრება. ჩვენ კი რა ვაჩვენეთ? მან რომ ნახა, ის იყო სინამდვილეში ჩვენი ცხოვრება? აი, მაგალითად იმ დღეს მურიცხელას ხიდთან კარტოფილით სავსე მანქანა რომ იდგა, მაღაზიებში ხორცი, კარაქი და სხვა პროდუქტი უხვად რომ იყო, მართლა ჩვენი ყოველდღიურობის ნამდვილი სურათია? ან არ გახსოვს სტუმრების მანქანები მოსახვევს მოეფარნენ თუ არა, რა ამბავი ატყდა სატვირთო მანქანაზე? ალბათ იქ იმდენი ცალი კარტოფილი არ იყო, რამდენი ღილიც დაიკარგა იმ ჯგლეტაში და რას ნიშნავს ყოველივე ეს? კარგი, ქვარაიას აქვს თავისი მიზნები და სურს რესპუბლიკის თავკაცს ისე მოაჩვენოს

თავი, თითქოს ეს დოვლათი მისი თავდაუზოგავი შრომის შედეგია. მაგრამ თვითონ არ იცის იმ დიდმა კაცმა, რომ დღეს არათუ ჩვენს სოფელში, არამედ მთელს რესპუბლიკაში არსად არ არის ჭარბად ეს პროდუქტები? რომ ხალხს შია? მე არასოდეს დავიჯერებ, რომ მან ვერ იცნო პოტიომკინის სოფელი! იცი შენ. რა არის პოტიომკინის სოფელი?

— ხომ გითხარი, წიგნის ენით ნუ მელაპარაკები-მეთქი.

— პოტიომკინი იყო კაცი, რომელმაც წინასწარ გაგზავნილი მაცნეების საშუალებით გაალამაზებინა, მოჩვენებითი სიმდიდრით აავსო ღარიბი სოფლები, რომელთა დათვალიერებასაც მეფე აპირებდა.

— ჰოდა, რა გინდა შენც, ხომ ხედავ ასეთი ტყუილები ყოველთვის ყოფილა.

— ახლა კი არ უნდა იყოს. ან რატომ ვტყუივართ, ვის ვატყუებთ, სხვას თუ საკუთარ თავს?

— უფრო საკუთარ თავს... რადგან იმ სხვამ ისედაც იცის სიმართლე...

— საქმეც მაგაშია და მადლობა ღმერთს, ძლივს ვიპოვე შენს გამომშრალ ტვინში ნედლი ძარღვი? მგონი უპრიანია შენთვის კიდევ რამდენიმე წყვილი „ისანური“ ჩაფულა! — ამ სიტყვებით ტაიამ ბებრულ მხრებზე წაუთაქა ძოკიას ასევე დროული მარჯვენა_ როგორც ვატყობ აგრე ჩხუბ-ჩხუბით წავალთ მე და შენ იმ ქვეყანას.

— მე როდის გეჩხუბები, ბავშვობიდან შენ მიდგახარ კრიჭაში.

— ეე, მაინც შენებურად მოუქცევ ხოლმე. ეს მე კი არა, თვით ცხოვრებაა.

— რაა ცხოვრება?

— ვინც შენ კრიჭაში გიდგას.

— ღმერთმანი, კიდევ კარგ გუნებაზე არიან შენს სიახლოვეს ის ტეტები.

— არა, შენმა მზემ, შენ და კიტა უკეთეს გაკვეთილებს ჩაუტარებდით მათ.

— კიტა ხომ ჩიჩიასავით გაქვთ კბილებში გაჩრილი. ლამისაა დაგიდგეთ თვალეები. მშვენივრად არიან ერთმანეთთან ქვარაია და კიტა. თქვენ კი არ იცით, შურით რა მოუგონოთ.

კიტას რა აქვს შესაშური. სოფელში ვილა შერჩა შენი და კიდევ რამდენიმე შენისთანა ჭკუამჭლეს მეტი, რომელთაც გჯერათ მისი უძლეველობისა და ისიც უმოწყალოდ ვატყუებთ. თქვენ კი

გამომდგარხართ და კითხულობთ, რა გინდათ მასთანო? რა უნდათ იცით?! — ჰო, რა უნდათ?

— ხომ არ გგონია, კიტას გამონაცვალ პერანგს ითხოვენ?

— მე არაფერი მგონია, მე ვიცი, რომ შენ სისხლში დედის საშოდანვე გაქვს მღვრიე ნარევი, რომელიც შთამომავლობასაც ეგრევე გადაეცი. ახლა შენ და შენი სისხლხორცნი გამომდგარხართ და ძლივს დალაგებულ ქვეყანას ისევ ურევთ.

ტაია მიხვდა, ძოკიამ საით მოიქნია მათრახი, ის, უპირველეს ყოვლისა, ნათიას გულისხმობდა. მან უღვაშებში ჩაიცინა და სანამ პასუხს გასცემდა, ძოკიამ დაასწრო.

— გრცხვენოდეს, ტაია, კაცი ისე როგორ უნდა გაანაწყენო, რომ შენი მკვდრის დატირებაზე უარი სთქვას.

— რაო?! — ასაკთან შეუფერებელი სისწრაფით წამოხტა ფეხზე ტაია.

— ჰო, რამდენჯერ გამოუგზავნეთ კაცი, მაგრამ მოვიდა კიტა ნუცას სატირალში?

ტაიამ წეკოსგან გაყვითლებული უღვაშის ბოლო მოიკვნიტა და ისევ მწარედ ჩაიცინა.

— ჰაი, დედასა, კაცი რას არ იკადრებს! — ჩაილაპარაკა და მერე ძოკიას მიმართა, — ძოკია, მაპატიე, შენ დღემდე ტყუილად მიწვალეხიხარ, რადგან უბრალო ჭეშმარიტება ამ წუთებამდე ვერ შემიგნია: ჩენჩოსაგან ღერდილის მიღება შეუძლებელია! — ამ სიტყვებთან ერთად დატოვა ძოკია და გზას გაუდგა. .

— „ჩემი სისხლი თუ გამოყვა რომელიმე ჩემიანს, ამით ქვეყანას _აფერი დაუშავდება, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ძოკია, შენი რომ არ გამოჰყოლია შენსას“, — ფიქრობდა გაბრაზებული ტაია, მას თვალწინ წარმოუდგა ძოკიასეული სამი თაობა, რომელნიც ცხოვრების შუაგულში ტრიალებდნენ მუდამ ალალი გულითა და სუფთა ხელებით.

ტაიამ კულტურის სახლისაკენ გადაუხვია.

— ჰმ, არა ვთქვი ამ დილაუთენია რამ წამოაჩანჩალა ჯუმიდან-მეთქი! იცის, დღეს კვირაა და იმ შარახვეტიებს იქ ნახავს. მართალია, ძაღლის კუდს მხოლოდ სამარე გაასწორებსო!

ძოკიამ უკმაყოფილოდ გადააპურჭყა გვერდზე და ხელმეორედ დატენა ყალიონი.

მიუხედავად ზამთრის დღისა, ბიჭებს ჭადრაკი გამოეტანათ და ბეტონის მაგიდას მისჯდომოდნენ. რამდენიმე ფეხზე მდგარი ადევნებდა თვალყურს გუგუტასა და მურმანის დინჯ თამაშს. გუგუტას ერთი გონივრული სვლა ყოფნიდა გამარჯვებისათვის. ზოგი უკვე ხედავდა ამ სვლას და ძლივს იკავებდა თავს არ ჩარეულიყო გაჭიანურებულ თამაშში, მაგრამ წესი წესია და ყველანი უსიტყვოდ დაჰყურებდნენ დაფას. ბოლოს, როგორც იქნა, დასრულდა თამაში და გამარჯვებაც გუგუტას ხვდა. ის-ის იყო ხელახლა უნდა გაეწყოთ დაფა, რომ ეზოში ტაია შემოვიდა.

— ტაია ბაბუა, აქეთ წამოდით! — დაუმახა მას ცანგომ.

ტაიამ ხმით იცნო მოკიას შვილიშვილი და გაიფიქრა: „თუნდაც ამ ბიჭის გულსთვის შეიძლება მოკიას შევუნდოთ მისი დამთხვეულობა“

— ბიჭებო, ისე დამყავებული სახე აქვს ტაიას, ეტყობა, ბაბუაჩემს შეხვედრია. — გადაულაპარაკა ბიჭებს ცანგომ ისე, რომ თვალი არ მოუშორებია ბერიკაცისთვის.

— ბაბუაშენს, ჩემო ცანგო, ტაია ჰგონია ქვეყნის მტერი. ლამის დაკორტონ ერთმანეთი და მაინც ვერ ძლებენ უერთმანეთოდ. რა ქნან, ორივეს თავისებურად ესმის ეს ცხოვრება. გულით კი კეთილები არიან, ამიტომ ვერც ელევიან ერთმანეთს და ვერც ეწყობიან. — უთხრა უჩამ.

— რაც არ უნდა იყოს, ბოროტი მაინც არ ითქმის მოკიაზე, რას იზამ, კაცია და ხასიათი, ზოგს მორევში უყვარს ბანაობა, ზოგი ღელეშიც საუცხოოდ გრძნობს თავს! — თქვა გუგუტამ.

ამასობაში ტაიამაც მოაღწია მათთან.

— გაუმარჯოს ალიონს! — ტაია მუდამ ასე ესალმებოდა ახალგაზრდებს.

— გაგიმარჯოს, ტაია ბაბუა.

ბიჭებმა ტაიას მაგიდასთან დაუთმეს ადგილი.

— მართაღს ამბობს მოკია, დროა კერის პირას მივიჩინო ჩემთვის კუთხე და ვიჯდე იქ, სანამ არ მომაკითხავს მიქელი. — თქვა ტაიამ და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, მერე სევდით დაუმატა: — დავიღალე!

— რატომ, ტაია ბაბუა? იმ ქვეყნის გამგებელ მიქელს, ტყუილია, უკეთესი კომფორტი ჰქონდეს და შენც რა გეჩქარება? ბაბუაჩემს სულ არ უნდა იქ გამგზავრება, მიუხედავად იმისა, რომ სჯერა იმქვეყნიური სამოთხისა, — თქვა ცანგომ.

— კიდევ კარგი ბაბუაშენს იმ ქვეყნის მაინც თუ სჯერა, ცოდვას ყოველმხრივ ურწმუნო კაცი._

— ამას წინათ მითხრა, საიქიოში არაფერი რომ არ იყოს, ვინ უღებავს ბოლოკს ძირებსო..

სიცილმა იფეთქა.

— ვილაც მოდის! — ამჯერად უჩამ შეამჩნია მომავალი.

სიცილი ერთბაშად ჩაცხრა და ახლა ყველა მომავალ ჭაბუკს მიაჩერდა.

— ეს ხომ ფრიდონია? — თქვა გუგუტამ.

— რომელი ფრიდონი? — სათვალე გაიკეთა ტაიამ.

— ფედოსის შვილიშვილი.

— აკი კარგად მოეწყო, კარგად ცხოვრობს ქალაქშიო? ეს კი ისე მძიმედ მოათრევს ჩემოდნებს, თითქოს მთელი თავისი ავლადიდება შიგ მოუთავსებიაო.

— მართალს ამბობ, გუგუტა, შენ! მძიმე ჩემოდანი რომელს მოაქვს ქალაქიდან, ასეთით ხომ მხოლოდ სოფლიდან მიდიან! — უპასუხა გუგუტას მურმანმა.

— ალბათ დაბრუნდა, ეგ განა პირველია, სოფელს რომ დაუბრუნდა?! ამასობაში ბიჭიც მოვიდა.

— გამარჯობათ მეზობლებო! — მიესალმა ის დამხვდურთ.

— ფრიდონს გაუმარჯოს! — დაუბრუნეს სალამი. მერე კი დასაჯდომი ადგილიც გამოუნახეს მგზავრობით დაღლილს.

— რა არის, შვილო, ქალაქში ახალი? — თბილად ჰკითხა ტაიამ.

— ჟურნალ-გაზეთები, მეტი არაფერი, ტაია ბაბუა.

ჩუმად ჩაიციინეს.

— თუ აგრეა, კარგად გვექონია საქმე. ჟურნალ-გაზეთებს ჩვენც კი ვღებულობთ. მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვღებულობთ. სამაგიეროდ, ტელევიზორს ერთდროულად ვუყურებთ ჩვენც და ქალაქელებიც...

ტაიას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ამ დროს ჭადარზე რომელიღაც ჩიტი აჭიკჭიკდა. მისი ხმა ისე საამო და მოულოდნელი იყო, რომ უნებურად ყველა გაირინდა.

— ღმერთო დიდებულო, ეგ ხომ მაფშალიაა! — გაიკვირვა ტაიამ.

— კი, ბაბუ, მაფშალიაა. ეტყობა, არ წავიდა თბილ ქვეყანაში —

თქვა უჩამ და მისი პოეტური გული უზომოდ ააღელვა ბულბულის გალობამ. ბიჭს ესმოდა, რომ ეს იყო ხელთუქმნელი მუსიკა სიყვარულზე, ერთგულებაზე...

— ფრიდონ, შვილო, ქალაქში გსმენია მაფშალიას სიმღერა არათუ იანვარში, თვით ზაფხულშიც კი? — მოულოდნელად ჰკითხა ტაიამ ფრიდონს.

ფრიდონი დაიბნა.

„მართლა სმენია? ახა საიდან გაიხსენოს თუ სმენია, რა შარიანია ხანდახან ტაია ბაბუა“.

— როგორ გითხრა, ტაია ბაბუა...

— არა, შვილო, ქალაქში არ მღერის მაფშალია, რომც იმღეროს, რისთვის? ვისთვის? ვის სცალია მის მოსასმენად ისედაც ათასგვარი ხელოვნური მუსიკით გაყრუებულ ქალაქში! მაფშალია მუდამ იქ არის და იქ მღერის, სადაც მისი ადგილია, სადაც მას მოუსმენენ, სადაც მადლიერი ღიმილით ხვდებიან მის სიმღერას ადამიანები.

ყველა მიხვდა ტაიას არაკს.

— ბაბუ, მესმის შენი და ვაღიარებ, რომ მართალი ხარ. მე უკვე მერამდენე წელია ქალაქში ვცხოვრობ. იქ ბევრი კარგი მეგობარი მყავს და არც პირადი მდგომარეობით ვიყავი უკმაყოფილო. მაგრამ გამუდმებით თან მსდევდა იდუმალი გრძნობა, თითქოს ჩემს მიერ მოწყობილი ცხოვრება ის არ იყო, რასაც მე ვეძებდი. სადღაც სულის სიღრმეში მუდამ მშობდა, მუდამ მწყუროდა და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ იმ შიმშილს, იმ წყურვილს ვერაფერი ვერ მომიკლავდა, თუ არა აქაური პური, თუ არა აქაური წყალი და... ამ წუთებში მივხვდი, არც შევმცდარვარ! — მან ღრმად ჩაისუნთქა მთიდან მონაბერი სუფთა ჰაერი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა არის ეს? — იკითხა უცებ ცანგომ და მდინარის პირას თეთრად მოქათქათე საერთო საცხოვრებლისკენ მიუთითა მათ:

— როგორ თუ რა არის?

— ჰო, გეკითხებით, რა არის ეს?

— საერთო საცხოვრებელია, ბიჭო,

— მერე რა უნდა სოფელში ამას?

პასუხი დააყოვნეს.

— ეს არის ახლად გაჭრილი საძირკველი ახალი ქალაქისა, მე ისევ გეკითხებით: მურიცხაში არის თუ არა მრავალი ბუნებრივი პირობა იმისა, რომ აქ დროთა განმავლობაში ქალაქი გაშენდეს? რა თქმა უნდა, არის! ჰოდა, თქვე კარგებო, სხვაგან რას გავრბივართ. ჩვენ თვითონ ავაშენოთ ჩვენი ქალაქი. მაშინ ძველ ბუდეებს მოაშურებენ უცხო ჭერქვეშ შეკედლებული ჩვენი ახალგაზრდები თუ უკვე ჭარმაგნიც.

— ნეტავი ჩემი ნათიაც აქ იყოს ახლა. როგორ გაიხარებდა. — ჩაილაპარაკა ტაიამ. მას გამორჩევით უყვარდა ნათია. თანაუგრძნობდა და მოსწონდა მისი ხასიათი. ნათია ჩემი განმეორებული ახალგაზრდობააო იტყოდა ხშირად.

— მართლა, ტაია ბაბუა, ისინი როდის ჩამოდიან? — იკითხა უჩამ, რომელმაც გაიგონა მოხუცის ნათქვამი.

— იმ კვირას, შვილო.

როცა აღგზნების ტალღა უკუიქცა, უჩამ გააცნო მათ ტაიას სინანული.

— იმ კვირას ჩამოდიან? — თქვა ცანგომ.

— ჰო, ასე ამბობს ტაია ბაბუა.

— მაშინ იცით რა, — ახლა ცანგო მიუბრუნდა მათ. — ხომ იცით, ტიტკო ამჟამად ქორწილს ვერ გადაუხდის, ზარ-ზეიმით ვერ დახვდება მგლოვიარე ოჯახი ნეფე-დედოფალს და მოდით, ჩვენ მოვუწყოთ შეხვედრა.

ყველას მოეწონა ეს წინადადება და ერთხმად მიიღეს იგი. ისაუბრეს, ითათბირეს და ბოლოს მურმანს დაავალეს ორგანიზაციულ საკითხებს თვითონ ჩასდგომოდა სათავეში.

გულაჩუყებული ტაია ცრემლებს ძლივს იკავებდა.

ბულბული კი, რომელიც სიცოცხლის გადასარჩენად უცხო ქვეყანაში არ გაფრინდა, თავდავიწყებით მღეროდა. ხოლო უჩარდია თვალეზგაბრწყინებული უგდებდა ყურს და გულწრფელ სტრიქონებს თხზავდა საოცნებო ქალწულზე.

— თამრიკო, ალბათ იცი, რომ საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნებულ ნათიასა და ირაკლის ახალგაზრდები ვუწყობთ შეხვედრას. რეპერტუარი ისე გვაქვს ჩაფიქრებული, ორი წამყვანი უნდა გვყავდეს — გოგო და ბიჭი. გოგონებიდან შენზე შევაჩერე არჩევანი, მაგრამ მითხრეს, გაკვეთილების შემდეგ დამატებით დადის მასწავლებელთან და

რეპეტიციებზე სასიარულოდ ვერ მოიცლისო. შენ რას იტყვი?

თამრიკო ჩაფიქრდა.

— თუ ხელი შეგეშლება, მაშინ იყოს. სხვას მოვიწვევო.

— რა ვქნა. — გოგონამ უხერხულად იგრძნო თავი.

„რა კარგი ბავშვია. კიტას და ტასიას ღვიძლი შვილი რომ იყოს, არც იქნებოდა ასეთი!“ — გაიფიქრა მაიამ. _

— კარგი. ამაზე ნუ იფიქრებ. სად აპირებ ჩაბარებას? — მაიამ.

მოხერხებულად შეცვალა სასაუბრო თემა.

— სამედიცინოზე.

— ყოჩაღ. მოგიხდება კიდევ თეთრი ხალათი. ისე თბილისი გიყვარს?

— ძალიან.

— ყოფილხარ ჯერ?

— კი. შარშან აგვისტოში წამიყვანა დედამ.

— მახსოვს. შორიდან მეც მოგკარით თვალი. მაგრამ მაშინვე ჩამოდგა მატარებელი და ვერ მოვახერხე თქვენთან მოსვლა. მამაშენი არ მიწახავს იქ.

— არა, მამა არ მოდიოდა. მხოლოდ სადგურამდე მოგვაცილა და მაშინვე გაბრუნდა.

— რატომ?

— მანქანას ცალი სინათლე არ ჰქონდა და გვიან ღამით მგზავრობისა ეშინოდა.

მაია ისე დაიბნა, რომ დაავიწყდა რიცხვის დაზუსტება, ვერც ის მოახერხა ეკითხა, თუ სად და როდის გაიგო ირინეს უბედურების ამბავი. მან, რაც გაიგო, ისიც საკმარისად ჩათვალა კიტას მკვლელად აღიარებისათვის. აშკარად იგრძნო, ცუდად ხდებოდა.

— კარგი, თამრიკო, რაკი დრო არა გაქვს, შეგიძლია წახვიდე. თამრიკო რომ გავიდა, მაიამ შიგნიდან ჩაკეტა კარები, რომ ცოტა ხანს მაინც მარტო დარჩენილიყო.

— ღმერთო, ეგ რა გამაგონე!- ამ სიტყვებით ჩამწერი გამორთო და მოწყვეტით დაემშვა სკამზე.

ნათიამ თავიდან ვერ იაზრა კულტურის სახლის ეზოში ხალხის

თავშეყრის მიზეზი, მაგრამ მანქანიდან ჩამოსულს მაშინვე ბუთხუზა ბიჭი რომ მიჰგვარეს და ფეხებთან თეფშიც დაუდეს, მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

გული აუჩუყდა...

„შენი ბედნიერების დღეს რომ მოვესწრებოდე, ამ შავებს მაშინვე გადავყრი და ვიცეკვებ. შენ არ მომიკვდე, ვიცეკვებ!“ — ჩაესმა ნათიას გამზრდელის სიტყვები და ცეცხლოვანმა საცეკვაომ ტანზე ბუსუსები დააყარა.

მან ცრემლმორეული, მაღლიერი თვალები სიყვარულით გადაავლო ყველას და უცერად გული ეტკინა“ იქ არც ელიკო იყო და არც გუგუტა.

— მაშ ასე, შვილებო! — ამბობდა ტაია, — მოგცემოდეთ იმისი უნარი, თუმცა ამაში ეჭვი არც მეპარება დააფასოთ სოფლის კეთილი გული. იგრძნოთ მიწის მაღლი და ისწავლოთ მისი ყადრი, იცოდეთ, ეს ყველგან გამოგადგებათ, უფრო ძლიერს გაგხდით. არა აქვს მნიშვნელობა, აქ იქნებით თუ სხვაგან, რადგან ყველგან, სადაც ვაზი ხარობს და ღვინო იწურება, სადაც ნაირფერი ვარდები ჰყვავიან, სადაც საყანწე რქებს ჯიხვები მზისკენ იწვდიან, ყველგან საქართველოა და კიდევ ერთი დაიხსომეთ ჩემგან: ვაზი რომ მუდამ ვაზობდეს, ვარდი რომ მუდამ ვარდობდეს, ყანწი რომ მუდამ ყანწობდეს, ამისათვის საჭიროა ბევრი და კარგები ვიყოთ. გამრავლდით, შვილებო!

— მეც მანდ ვარ, ჩემო ტაია! — გაისმა უცებ ძოკიას ხმა. მისი მოსვლა არავის შეუმჩნევია და ახლა ღიმილით მიაჩერდნენ

— მე ხვალინდელ საქართველოზე ვამბობ, შენ კი დღევანდელს რას უკეთებ, ხვალინდელს რომ აეკიდო?

წუთით ყველას გადაავიწყდა თავშეყრის მთავარი მიზეზი და ყურადღება ამ ორ ბერმუხაზე გადაიტანეს, რომელთაც მთელი თავიანთი სიცოცხლე ერთმანეთის ქილიკში გაეტარებინათ და მაინც ვერ მიმხვდარიყვნენ, რომელს ჰქონდა რომლის ვალი.

— ეჰ, ჩემო ტაია, რომელი არამხუტუ შენა მყავხარ, რომ თავი მოგწონს და ასე მასხრად იგდებ ჩემს უძღურებას! ხვალინდელ საქართველოს არც შენ ჰირდები, ჯანდაგო, მაგრამ რას იზამ, კაცთმოყვარეობის ამბავია. მე ვთქვი გამრავლების საკითხში გეთანხმები-მეთქი, შენ კი შენებურად დამიხურდავე. ახლა კი დალიე ეგ სადღეგრძელო და ყანწი აქეთ გადმომილოცე! — ვითომ წყრომით შეუტია ძოკიამ, მაგრამ ამჟამად ვერც

ხმა მოჰყვა სამაგისოდ და ვერც სახის გამომეტყველება.

მალე მოართვეს ძოკიას აპიპინებული ყანწი.

— შვილებო, დამილოცნიხართ. მართალია, ისე ლამაზად ვერ ვიტყვი სათქმელს, როგორც ტაია იტყვის ხოლმე, მაგრამ გულწოფელობაში მაინც შევეჯიბრები! ჰოდა, გამრავლდით, იდღეგრძელეთ, იცოცხლეთ, მანამ, სანამ ქვა ლეშად არ იქცეს. ჩემგან ამის ღირსად მიჩნეულთ ბოლომდი გაგემართლებინოთ. — მან დაბამბული პიჯაკის გულისჯიბიდან ლამაზი კოლოფი ამოიღო, ფრთხილად გახსნა და ყველამ შეამჩნია, რომ მოხუცის თვალებიდან დაგორებული კურცხლები და ვერცხლის საათი ერთდროულად ააბრწყვიალა მზემ. — სამამულო ომის დროს ჩემი უფროსი ბიჭი ფსხუსთან იბრძოდა. — განაგრძო ძოკიამ, — ერთ დღეს მე მის სანახავად წავედი. მისი დაჭრის ცნობა გვქონდა მიღებული, მაგრამ ადგილზე არ დამხვდა. სხვაგან გადაეყვანათ უკვე იარამოშუმებული. მეთაურმა შეიწყნარა ჩემი თხოვნა და მეც დავრჩი მებრძოლეთან. ვეხმარებოდი ყველგან, სადაც ჩემი გამოყენება შეიძლებოდა, განსაკუთრებით დაჭრილების გამოყვანაში. მე ტყვია თითქოს განგებ არ მეკარებოდა. მისვლიდან ერთი თვის თავზე საველე ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრილი ჭაბუკი მოვიყვანე, მან გზაშივე მთხოვა, ჩემი საქმე წასულია, დროს ნუ კარგავ, სხვებს მიხედეთ. მართლაც ეტყობოდა, საცა იყო გონებას დაკარგავდა, სისხლისგან თითქმის დაცლილი იყო, მაგრამ აბა როგორ მივატოვებდი ცოცხალ ადამიანს. მას სასწრაფოდ აღმოუჩინეს დახმარება და ჭაბუკმა თითქოს მოიხედა იმ ლამეს, მაგრამ მეორე დღეს სიცხემ აუწია. მაშინ მე მომისმო. ძოკია გაჩუმდა. ცოტა ხნის მერე ისევ განაგრძნო: ო, რა საშინელება იყო, ის უკვე კვდებოდა, ენის ბორძიკით მითხრა, ჩემი ფარაჯის გულისჯიბე გასინჯეთ. ჯიბეში ეს საათი იყო, მამაჩემის ნაჩუქარი. მძიმედ დაჭრილმა ჯერ კიდევ სრულიად ბავშვს ეს მისახსოვრა და მითხრა, ისე იცხოვრეთ, არ შემარცხვინოთ. მე მისი სახელი არ შემირცხვენია, დედიტაც ობოლს არავინ არ მყავს ისეთი, რომ მომიგონოს, ამით კი შენ მომიგონეთ. ყველას უთხარი, ამის პატრონს ტყვია მკერდში, გულთან ახლოს მოხვდა-თქო, მაგრამ მაინც ვერ ჩაუკლა ის რწმენა, რისთვისაც იბრძოდათქო. — ძლივს თქვა ეს და თვალებიც სამუდამოდ დახუჭა. ეს საათი კი მის ხსოვნასთან ერთად დღემდე მომიტანია, დღეიდან თქვენ გიძღვნით არა როგორც საჩუქარს პირადი მოხმარებისათვის, არამედ როგორც ძვირფას საქვეყნო განძს, რელიქვიას, როგორც ანდერძს, უსიტყვო, მაგრამ ანდერძთა შორის ყველაზე მრავლის მთქმელს. მე მაშინვე ჩავთქვი გულში ეს გადამეცა იმ ახალდაქორ

წინებული წყვილისათვის, რომელთა ერთიან სულშიც იმ ჭაბუკის ცოცხალ სახეს, მის რწმენას დავინახავდი! — ძოკია გაჩუმდა და აკანკალებული ხელის გულზე მოლაპლაპე ვერცხლის საათი ნათიას გაუწოდა.

ყველამ ჩუმიად ამოიოხრა, აქა-იქ თავშეკავებული ქვითინიც გაისმა. ნათიამ ფრთხილად ჩამოართვა იგი და გულზე ისე სათუთად მიიხუტა, როგორც დედა ჩაიხუტებს ხოლმე თოთო ბავშვს.

— ბიჭო, ეს შენა ხარ, შე ძაღლო? ეგ რა დიდებული სული გქონია მაგ მიხრწნილ სხეულში! — აღტაცება ვერ დამალა ტაიამ, მერე თანასოფლელებს მიმართა. — მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ძოკია ასეთი იყო. მაგრამ ვერ იქნა, ვერ ჩავაწვდინე მის სულში ხელი იმას, რასაც იდუმალი თვალთახედვით ვხედავდი, ვერ გამოვიყვანე სამზეოზე, თქვენ კი, — მან ახალგაზრდებს მიმართა. — რა ადვილად მიაღწიეთ ამას. იხარეთ, გამრავლდით და იარეთ წინ, გამართული მტკიცე ნაბიჯებით და ეცადეთ ყველამ, უკლებლივ ყველამ, კაცმა და ქალმა, ბავშვმა და ბერმა... აგიწყოთ ფეხი. აი ეს არის უპირველესი და საშური საქმე დღევანდელობისათვის. მაშინ თქვენს შორის არავის მოუწევს გაწითლება, გაპარვა უკანა კარიდან.

ყველა მიხვდა ტაიამ კიტა იგულისხმა, რომელიც იმ დილით, კულტურის სახლის ეზოდან, მათი თავშეყრის მიზეზი რომ გაიგო, შეუმჩნევლად გაიძურწა.

ერთიანი ტაშით უპასუხეს ტაიას სიტყვას.



ოთახში საამო სითბო და სურნელი იდგა, თუნუქის მოგუზგუზე ღუმელი აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ სოფლის ზრუნვა, სითბო და სიყვარული მათი თანამგზავრი იქნებოდა.

ნათიამ კმაყოფილებით მოავლო თვალი პატარა, უბრალო, მაგრამ ზედმიწევნით დაკრიალებულ ოთახს და უნებურად გაახსენდა თბილისში, ირაკლისთან, პირველად დაუფლებული უხერხულობა. თუ იქაური სიმდიდრე ზვიადი გულცივობით ბოჭავდა მაშინ, აქაური სიხალვათე შვებას ჰგვრიდა განცდებით დაღლილს.

ის უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

— ირაკლი, გიყვარვარ?

ირაკლის ხმამაღლა გაეცინა,

— რა გაცინებს?

— შენ მართლაც ბავშვი ხარ.

— აბეზარი ბავშვი?

— არა, საყვარელი ბავშვი.

— ირაკლი...

ირაკლის შემდეგი სიტყვები არ გაუგონია...

„მთვარის გოგონამ“ ქალწულის სიმორცხვით აარიდა თვალი ფინური სახლის ფანჯარას.



დადგა გაზაფხული.

აივანზე მდგარი ირაკლი ერთხანს ღიმილით გაჰყურებდა მურიცხას, მერე გულმა ვერ მოუთმინა და ოთახში მოფუსფუსე ნათიას გასძახა:

— ნათია, ნახე რა მშვენიერი დილაა!

პირღიმილიანი ნათია ირაკლის გვერდით დადგა და სიყვარულით მოავლო თვალი მურიცხას სანახებს. — სკვერი ხომ მაღლობზე იყო გაშენებული და აივნიდან თითქმის მთელი სოფელი ჩანდა.

— დააკვირდი, აყვავებული ტყემლები და ატმები ისე არა ჩანან, თითქოს ველ-მინდვრებს თეთრი და ვარდისფერ კაბიანი პატარძლები შესევნიანო? ან რა ჰაერია. დღეს ხომ კვირაა, მოდი გავისეირნოთ, ახლა ხეობაც ასევე ლამაზი იქნება. — თქვა ირაკლიმ.

— კიდევ ცოტა ხანს რომ დარჩები, ლექსის წერაც მოგინდება. _

ღიმილით უპასუხა ნათიამ, მაგრამ უეცრად სახე გაუშემდა.

— რა მოგივიდა? — შეშფოთდა ირაკლი,

— რა ნათელი ცაა, მე კი რა საშინელი ვნახე იგი წუხელ. — ჩურჩულით წარმოთქვა ნათიამ და შიში ჩაუდგა თვალებში,

— რას ამბობ?

— ირაკლი, შენ ხომ გესმის ჩემი და ნუ გაგეცინება, თუ გეტყვი რომ სიზმრისა მჯერა. რა ვქნა, სიზმარი ძალზე ხშირად წინათგოდნობაა ჩემთვის. ზოგჯერ პირდაპირი ნათქვამიც.

— რატომ გგონია გამეცინება? ამაში არაფერია სასაცილო.

— ამ ნათელ ცას რომ შევხედე, უცრად გამახსენდა წუხანდელი სიზმარი. ცა თითქოს ძალზე შავი იყო, ისე შავი, რომ შემეშინდა. გაქცევა მინდოდა, ვერ გავრბოდი. უცებ ჩემს წინ ორი დალუქული კონვერტი დავარდა. ავიღე და ამ დროს შენ გაჩნდი ჩემს გვერდით. ორივემ ერთად გავხსენით კონვერტები, მაგრამ არ მახსოვს, რა ეწერა.

— ეგ რას ნიშნავს?

— მე გამიგონია, რომ წერილი ახალი ამბავია. მაშინ რაღაც ორ საიდუმლოს გავიგებთ მე და შენ. მაგრამ მანამ მოხდება ისეთი რამ, რომელიც ძალზე შემაშფოთებს.

ამ დროს სასწრაფო დახმარების მანქანა გაბმული სიგნალით შემოვარდა ცენტრალური გზიდან სკვერისკენ შემოსახვევში, სანამ მანქანა ჭიშკრამდე მოვიდოდა, ირაკლი უკვე ეზოში იყო.

— რა მოხდა, ბეჟანა! — შორიდანვე შესძახა მძღოლს.

— ექიმო... ჩქ...ჩქარა... კვდება. — მძღოლი ისედაც ენაბლუ იყო და მღელვარებისგან ძლივს პოულობდა სიტყვებს.

— ვინ კვდება, ბიჭო!

— ქვარაია, ექიმო.

ნათიამ და ირაკლიმ ერთმანეთს გაოცებით შეხედეს. ნათიას ფერი წაუვიდა,

ძალე (ცენტრალურ გზაზე თავაწყვეტილი ს ჩ არითა და გაბმული სიგნალით მიქროდა სასწრაფო დახმარების მანქანა, რომელ საც კვალში მისდევდა შავი ვოლგა.

— ჩქარა, ირაკლი! — აჩქარებდა ნათია.



რაიონული საავადმყოფოს ეზო, რომელიც ნაძვის ხეებს დაეჩრდილა, ხალხით იყო გაჭედული. ყველას ისეთი გაურკვეველი შეცბუნება ეხატა სახეზე, როგორსაც სიკვდილის შიში იწვევს ადამიანებში.

ნათიას და ირაკლის ეზოს კარებშივე შეეგება ლატავრა. ირაკლი ლატავრასთან არ შეყოვნებულა, ის თითქმის სირბილით აუყვა კიბეს.

— თბილისში არ დარეკეთ? პროფესორი არ გამოიძახეთ? — სულწასულად ჰკითხა ნათიამ ლატავრას.

— მაშინვე დავრეკეთ. უკვე წავიდნენ, რომ კოპიტნარში დახვდნენ, მაგრამ ავადმყოფის მდგომარეობა ყოველ წუთს უარესდება. კიდევ კარგი, ირაკლიც რომ შეხვდა.

— დიაგნოზს არ ამბობენ?

— კუჭის წყლულიდან ფარული სისხლის დენა. თურმე ერთი ხანია უქეიფოდ ყოფილა და ყურადღება არ მიუქცევია. ამ დილით კაბინეტში გამხდარა ცუდად. ჩვენი ქირურგები ვერ ბედავენ ოპერაციას, ვნახოთ, ირაკლი რას იზამს, ერთხანს ჩუმად იდგნენ. ნათია ისე შეჰყურებდა საოპერაციო ოთახის ფანჯარას, თითქოს ხატის წინ დგას და უხმოდ ლოცულობსო. მართლაც ლოცულობდა. „ღმერთო, მიეცი ძალა ირაკლის და აჩუქებინე უბედური დედისთვის შვილის სიცოცხლე! _

— სისხლია საჭირო! პირველი ჯგუფის სისხლი. — მოესმა ამ დროს ნათიას ქალის ხმა, კიბისკენ გაიხედა და გაქვავდა: სახეშეშლილი ექთანის ისე შეჰყურებდა ეზოში თავმოყრილ ხალხს, რომ ნათიამ უმაღლეს წარმოიდგინა, როგორ ებრძოდა სიცოცხლე სიკვდილს, მაგრამ ვერ შეძლო დაემალა გაცემა, როცა თხოვნაზე ყველამ თვალები დახარა. აქაოდა არ გაგვიგონია, რაც ითხოვეო.

— მხოლოდ ახალ, თბილ სისხლს შეუძლია შეუნარჩუნოს სიცოცხლე ავადმყოფს! — კვლავ გაიმეორა ექთანმა, ხმაზე ეტყობოდა ატირდებოდა, თუ თხოვნას არ შეუსრულებდნენ, არ მისცემდნენ სისხლს.

— ინებეთ! — საამოდ გაისმა ნათიას წკრიალა ხმა. — მე პირველი ჯგუფის სისხლი მაქვს!

უკვე გვიანი ღამე იყო, როცა ირაკლიმ ავადმყოფი დატოვა.

— როგორაა საქმე? — ერთდროულად ჰკითხეს ნათიამ და ლატავრამ.

— ძალზე ცუდად. — პროფესორმა რა თქვა?

— როცა პროფესორი მოვიდა, მე უკვე ვამთავრებდი ოპერაციას. კმაყოფილი დარჩა ჩემი დასკვნითა და ოპერაციით.

— რას ამბობს, აქვს იმედი? — კვლავ მოუსვენრად იკითხა ნათიამ.

— ყველაფერს დრო გვიჩვენებს. — ეგრეა საქმე?

— ეგრეა!

... ნათიამ და ირაკლიმ ისე გამოიარეს ნახევარი გზა, რომ ხმა არ ამოუღიათ. ბოლოს ირაკლიმ ჰკითხა:

— რატომ ითხოვე, სანდრომ არ გაიგოს ვისი სისხლი გადაუსხითო?

— თუ გაიგებს, სიცოცხლეს გაუმწარებს, ეს კი ბოროტი შურისძიება იქნება.

— რატომ?

— ერთადერთი მოწინააღმდეგე, რომელსაც ვერ მოერია ქვარაია, მე ვიყავი. მას კიდევ ეშინოდა ჩემი, რადგან იცოდა, დღეს თუ ხვალ მაინც გამოვჩხრეკდი მის მიერ საგულდაგულოდ დაფარულ ირინეს მკვლელობას. ის ყოველთვის მზად იყო, შური ეძია ჩემზე, მაგრამ ვერაფერი მომიხერხა. მე ხომ თანამდებობით ძალზე პატარა ვარ. რა უნდა ექნა? ახლა კი წაქცეულს, მით უმეტეს მომაკვდავს, ნიშნს ვერ მოვუგებ, ამას გული არ მიზამს. გარდა ამისა, როცა სისხლს ვიღებდი, მაშინ მტერზე კი არ ვფიქრობდი, არამედ მომაკვდავზე, რომლის ხსნაც ჩემს სისხლს შეეძლო,...

— ნუთუ შენ არასოდეს გიოცნებია ქვარაიას მიმართ შურისძიებაზე?

— რა თქმა უნდა, მიოცნებია, მაგრამ ფიზიკური მოსპობა არასოდეს მინატრია, ან ადამიანის, თუნდაც მოსისხლე მტრის, სიკვდილი როგორ უნდა ინატრო? მე მინდოდა და დარწმუნებული ვარ გულითაც გავიხარებდი, თუ ქვარაიას კანონის მიერ პატივყარილს ვიხილავდი. ეს ხომ გამარჯვებული სიმართლის ზეიმიც იქნებოდა! გარდა ამისა, ქვარაიას პიროვნების ჩამოყალიბებაში თვით დროა დამნაშავე, ხომ ხედავ, ისეთი ჟამი დგას, რომ ადამიანი კი არა, უფალიც დაბნეულია.

— და მაინც ხალხი იტყვის, ქვარაიას ღმერთმა მიუზღო ცოდვების საზღაურო,

— მე არა მწამს ისეთი ღმერთი, რომელიც ადამიანს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს. თუ მართლა ღმერთია, ისე მოაგვაროს საქმე...

— ეტყობა, ისე ვერ მოგვარდება მანამ, სანამ ქვარაიას მფარველი მაღალ სკამზე ზის...

— ხომ გითხარი, უფალიც დაბნეულია-მეთქი, ასე რომ არ იყოს, მაშინ ჯერ მფარველი უნდა დასჯილიყო. — უპასუხა ნათიამ და გაოცებით მიაჩერდა სახლის კიბეს, რომელსაც უკვე ჭიმკართან გაჩერებული მანქანის შუქი ანათებდა. კიბეზე კაცი იჯდა.

— ასე გვიან ვინ უნდა იყოს? _ ჩაილაპარაკა ირაკლიმ და მანქანის კარი გააღო.

— ბეგოა! — დაიძახა უცებ ნათიამ და დაფეთებული გავარდა მანქანიდან.

— რა მოხდა, ბეგო ბიძია! ხომ არაფერი გიჭირს! — სულს ძლივს ითქვამდა ნათია.

— არა, შვილო, ასე რამ შეგაშინა. მე პატარა საქმე მქონდა თქვენთან. რომ

არ დამხვდით, ვიფიქრე ახლა მოვლენ, ახლა მოვლენ-მეთქი და კი დავრჩი აქამდე. ხომ იცი, დავბერდი და მეზარება სიარული. ხვალ ისევ ვერ ამოვიდოდი.

ამასობაში სახლში შევიდნენ. ბეგო ერთხანს ხმას არ იღებდა.

— რაღაცას მიმაღავ! — თვალეზში მუდარით ჩახედა ნათიამ.

— არ ვიცი, როგორ გითხრა. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და გადავწყვიტე შენთან მოვსულიყავი. — დაბნეულად ალაპარაკდა ბეგო და ამ სიტყვებით მაგიდაზე დადო კულონიანი ოქროს ძეწკვი.

— ეგ რა არის? — თითქმის ერთხმად იკითხეს გაოცებულებმა.

— ვნახე.

— ნახე? სად? — ჰკითხა ნათიამ და მაგიდაზე დახვავებული ოქროს მუშტარავით აიღო ხელში, ჯერ სიმძიმე გაუსინჯა, შემდეგ დააკვირდა, სუფთა ოქროა. შენ კი რამ შეგაშფოთა, ნახე, ხომ არ მოგიპარავს. აჩუქე შვილიშვილებს.

— შენ არ გეცნობა?

ნათიამ გაოცებით შეხედა ჯერ ბეგოს, მერე გაშლილ ხელის გულს, ერთხანს დაკვირვებით უყურა.

— თითქოს სადღაც მინახავს. მოიცა... ეს... ეს... — ვერაფრით ვერ გაიხსენა თუ სად ენახა.

— კარგად ნახე კულონი.

ნათიამ გასინჯა, გახსნა და შეჰყვირა:

— სად ნახე?

— ჭაში!

— რომელ ჭაში?

— კიტას ეზოში შარშან გავთხარე ჭა. მაგრამ ბოლომდი არ მომიმთავრებია. მაშინ რაღაც შემთხვევის გამო მივატოვე. მერე მიმრჩა და მიმრჩა. არც კიტას შეუხსენებია და არც მე შემიწუხებია თავი. დღეს დილით მოვიდა და მთხოვა, მოდი ბარემ მოათავე ის ჭაო, მეც სხვა საქმე არა მქონდა და გავყევი...

— დაწვრილებით მომიყევი ყველაფერი. შენ რა ვითარებაში მიატოვე შარშან და რა ვითარებაში დაგხვდა დღეს. —

— თითქმის ნახევრამდი ამოვსებული იყო. გამიკვირდა და ვკითხე კიდევ, რაღაზე ჩაყარეთ ეს მიწა-მეთქი. ვინ ჩაყრიდა, წვიმამ ჩარეცხა ალბათო, მიპასუხა. მეც ყურადღება დიდად არ გამიმახვილებია, მაგრამ

მიწის ამოღებისას ეს რომ ვნახე... ვერ გეტყვით, მაშინ რა დამემართა.

ხელმეორედ მოძალებულმა განცდამ მოხუცი ააცახცახა.

— დაწყნარდი, ძიაკაცო! — ამ ხნის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა ირაკლიმ და კულონში ჩასმულ მამაკაცის სურათს დააკვირდა, — ვინ არის?

— ირინეს მამაა! ამ ძეწკვს ირინე ატარებდა. — უპასუხა ნათიამ და ისევ ბეგოს მიუბრუნდა,

— ვინმემ იცის?

— არავინ! მაშინვე აქეთ წამოვედი და იმის შემდეგ აქ კიბეზე ვზივარ. მე ვიცი, ირინეს შენზე დიდი ჭირისუფალი არა ჰყავს,

— ცდები, ბეგო ბიძია, დღეს შენ ხარ ირინეს ყველაზე დიდი ჭირისუფალი. საერთოდ კი, ვისაც ფეხქვეშ გათელილი სიმართლე მწარედ გვტკივა, ყველანი ჭირისუფლები ვართ. საჭირისუფლო კი, საუბედუროდ, ძალზე ბევრი გვაქვს...

... მამლებმა ყივილს მოუხშირეს. ნათიამ დადლილი თვალებით გახედა ფანჯარაში მოლიცლიცე ალიონს...





1984 წელი.

ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია

ჟამი და უფალი

რომანი

ლ. ლემონჯ.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის პრ. 42, თბილისი, 1991.

მხატვარი მ. დედანაშვილი მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე კორექტორი თ. ფირცხალავა გამომშვები ნ. რაშოევა

წიგნის აღდგენა-განახლება (ციფრირება) 2022 წელი. შავლეგო ხოშტარია

ЛЕЙЛА ЛЕМОНДЖАВА-ХОШТАРИЯ

"ВРЕМЕНА И ВСЕВЫШНИЙ"

Роман

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»

пр. Руставели. 42 Тбилиси.

1991

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის

დეპარტამენტის # 4 სტამბა

380060. ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას პრ. N 29, Типография No 4

Департамента по печати Республики Грузия